

მარკუს ავრელიუსი ფიქრები

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
ბაჩანა ბრეგვაძემ

© თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძე

MARCI AURELII

AD SE IPSUM

In linguam Ibericam e Graeco convertit, praefatione et commentariis instruxit
BAČANA BREGVADZE

წარმართულ სამყაროში შეიძლებოდა ყოფილიყო ქველი იმპერატორი – მარკუს ავრელიუსი, მაგრამ ჩვენს ქრისტიანულ სამყაროში თვით გარდასულ საუკუნეთა მბრძანებლები – ფრანგი ლუდოვიკოები თუ ნაპოლეონები, ჩვენი ეკატერინე II-ები და ნიკოლოზ I-ები, გერმანელი თუ ინგლისელი ფრიდრიხები, ჰენრიხები და ელიზაბეტები, მეხოტბეთა მთელი მცდელობის მიუხედავად, ზიზღის მეტს ვერაფერს გვინერგავენ ჩვენს დროში.

ლევ ტოლსტოი

«ფიქრები» დიდი რომაელი მოაზროვნის, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (121-180) თხზულებაა. ძველი რომაული მწერლობის ეს შედეგრი ადამიანის წინაშე სვამს არა ერთსა და ორ მარადიულ კითხვას...

«...გულისხმაყავ, რაოდენ მსწრაფლწარმავალი და მსწრაფლდავიწყებადია ყოველი, მარადისობის რა უსასრულო უფსკრული ძევს როგორც შენს წინ, ისე შენს უკან, რაოდენ ფუჭია სახელის ძიება და რაოდენ უმტკიცნო და ცნობასუსტნი არიან შენი მეხოტბენი; რა ვიწროა წრე, რომელიც გარეშემოსწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას, რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციციქნა შავი წერტილი და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს?»

«... წუთიერია ყველაფერი ამ საწუთროში. არავინ არ კარგავს არც წარსულს და არც მომავალს, რადგან ვის ძალუძს წაგვართვას ის, რაც არ გაგვაჩნია?»

წარმართულ სამყაროში შეიძლება იყოს იმპერატორი – მარკუს ავრელიუსი, მაგრამ ჩვენს ქრისტიანულ სამყაროში თვით გარდასულ საუკუნეთა მბრძანებლები – ფრანგი ლუდოვიკოები თუ ნაპოლეონები, ჩვენი ეკატერინე II-ები და ნიკოლოზ I-ები, გერმანელი თუ ინგლისელი ფრიდრიხები, ჰენრიხები და ელიზაბეტები, მეხოტბეთა მთელი მცდელობის მიუხედავად, ზიზღის მეტს ვერაფერს გვინერგავენ ჩვენს დროში.

ლევ ტოლსტოი

«ფიქრები» დიდი რომაელი მოაზროვნის, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (121-180) თხზულებაა. ძველი რომაული მწერლობის ეს შედეგრი ადამიანის წინაშე სვამს არა ერთსა და ორ მარადიულ კითხვას...

«...გულისხმაყავ, რაოდენ მსწრაფლწარმავალი და მსწრაფლდავიწყებადია ყოველი, მარადისობის რა უსასრულო უფსკრული ძევს როგორც შენს წინ, ისე შენს უკან, რაოდენ ფუჭია სახელის ძიება და რაოდენ უმტკიცნო და ცნობასუსტნი არიან შენი მეხოტბენი; რა ვიწროა წრე, რომელიც გარემომოსწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას, რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციცქნა შავი წერტილი და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს?»

«... წუთიერია ყველაფერი ამ საწუთროში. არავინ არ კარგავს არც წარსულს და არც მომავალს, რადგან ვის ძალუმს წაგვართვას ის, რაც არ გაგვაჩნია?»

«... დროა შეიცნო, რომ შენი სიცოცხლე წამია მხოლოდ, და თუ ამ წამით არ ისარგებლებ, ის გაქრება, ისევე როგორც გაქრები შენ, და აღარასოდეს შემოიქცევა უკან.»

«... ყველაფერი აკეთე, ყველაფერზე იფიქრე და იმსჯელე ისე, თითქოს ყოველ წამს მოელოდე, რომ ეგ წამიც წარხდება და დასრულდება შენი სიცოცხლეც.»

მარკუს ავრელიუსი

იყო დრო, როდესაც ანტონინუსთა დინასტიის^[11] საუკუნოვანი მმართველობის ეპოქას (96-192 წწ) ისტორიკოსები იხსენიებდნენ როგორც რომის ისტორიის «ოქროს ხანას». XX საუკუნის კრიტიკულ-სკეპტიკურმა სულმა მართებულად უარყო ეს ტერმინი და უფრო პროზაული, მაგრამ, ამასთან, სინამდვილის უფრო ზუსტად ამსახველი ფორმულით – «იმპერიის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდით» შეცვალა იგი. და მართლაც, ერთის მხრივ, იულიუს-კლავდიუსთა და ფლავიუსთა ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ კატაკლიზმებსა და, მეორეს მხრივ, მესამე საუკუნის ტოტალურ კრიზისს შორის მეორე ასწლეულის პირველი ნახევარი რომის იმპერიისათვის იყო მხოლოდ სულის მოთქმისა და ძალ-ღონის მოკრების ხანმოკლე პერიოდი. საგარეო პოლიტიკის სფეროში ეს პერიოდი აღინიშნა იმპერიის^[21] სასაზღვრო ხაზების განმტკიცებით, ახალი ტერიტორიების შემომტკიცებითა და გავლენის სფეროთა გაფართოებით, საშინაო პოლიტიკის დარგში კი – მრავალრიცხოვანი ეკონომიური, იურიდიული და მორალური რეფორმებით, რომლებიც საყოველთაო კორუპციით, ამორალიზმითა და ნიჰილიზმით დასნეულებული იმპერიის გაჯანსაღებას ისახავდნენ მიზნად. ანტონინუსთა დინასტიის დიდი იმპერატორების – ტრაიანეს, ჰადრიანეს, ანტონინუს პიუსისა და მარკუს ავრელიუსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ნაწილობრივ შესძლეს კიდევ ამ მიზნის მიღწევა. მაგრამ ყველა მათეული ღონისძიება მაინც პალიატივი იყო და არა პანაცეა. აღარაფერს შეეძლო რომის ძველი ძლიერების აღდგენა. მარკუს ავრელიუსის ტახტზე ასვლით მთავრდება ე.წ. «რომაული მშვიდობიანობის» (Pax romana) პერიოდი და იწყება ძნელბედობათა ახალი ციკლი იმპერიის ცხოვრებაში. წყალდიდობანი, მიწისძვრები და შიმშილობანი, ბარბაროსთა შემოსევები და შინააშლილობანი, – აი, რითი აღინიშნა მარკუს ავრელიუსის პრინციპატობის დასაწყისი. ანტონინუს პიუსი უფრო სვებედნიერი იყო: ამ ღვთისმოსავ იმპერატორზე ამბობდნენ, რომ «მას მთელი თავისი მმართველობის მანძილზე არ დაუღვრია არცერთი წვეთი სისხლი – არც რომაელისა და არც ბარბაროსის»^[31]. მარკუს ავრელიუსმა – ამ «ფილოსოფოსმა მსოფლიო იმპერიის ტახტზე», როგორც მართებულად უწოდებს მას ზოგიერთი ისტორიკოსი, – თავისი პრინციპატობის ცხრამეტი წლიდან თხუთმეტი იმპერიის გარეშე თუ შინაურ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში გაატარა. ფილოსოფოსმა ჯავშანი ჩაიცვა და ჯარისკაცად იქცა. წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, ფილოსოფიურ-ჰუმანისტურ მრწამსსა და, მეორეს მხრივ, ჰეგემონის მოვალეობას შორის განსაკუთრებული ტრაგიზმით მოსავს ანტონინუსის აღზრდილის სახეს. მარკუს ავრელიუსმა გადაშალა უკანასკნელი ფურცელი რომის დიდების მატრიანეში და მანვე დახურა იგი. იმპერიის

მარკუს ავრელიუსის შემდგომდროინდელი ისტორია სულთამობრძავის აგონიას უფრო ჰგავს. ტყუილად როდი უწოდა რენანმა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევას «მარკუს ავრელიუსი და ანტიკური სამყაროს დასასრული».

მარკუს ავრელიუსი^[4] დაიბადა 121 წლის 26 აპრილს ესპანური წარმომავლობის დიდგვაროვან რომაელთა ოჯახში. მისი ორივე პაპა – ანიუს ვერუსი (მამის მხრივ) და კალვიზიუს ტულუსი (დედის მხრივ) დიდი გავლენით სარგებლობდნენ იმპერატორების – ტრაიანესა და ჰადრიანეს სასახლის კარზე. 6 წლისა ის უკვე მხედარია, 8 წლისა კი სალიელ ქურუმთა^[5] კოლეგიის წევრი. 9 წლისა მამა გარდაეცვალა და მისი აღზრდა თავს იღვეს პაპამ – ანიუს ვერუსმა და დედის პაპამ – კატილიუს სევერუსმა, რომელთაც, ისევე როგორც დედ-მამას და საყვარელ მოძღვართ, თავისი სიცოცხლის მიმწუხრზე ესოდენ გულმხურვალე მადლიერების გრძნობით იგონებდა იმპერატორი. მარკუს ავრელიუსის აღზრდელთა შორის იყვნენ იმპერიის უთვალსაჩინოესი ფილოსოფოსნი, სწავლულნი და ხელოვანნი: ჰეროდოტე ატიკუსი, დიოგენეტი, იუნიუს რუსტიკუსი, კლავდიუს მაქსიმუსი, კორნელიუს ფრონტონი, კლავდიუს სევერუსი, სექსტუს ხერონეელი, აპოლონიოს ხალკისელი, ალექსანდრე პლატონიკოსი და სხვ. მომავალმა იმპერატორმა საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული და რომაული მწერლობა, მჭევრმეტყველება, ფილოსოფია და იურიდიული მეცნიერებანი.

სწორედ იმ ხანად მიიპყრო მან იმპერატორ ჰადრიანეს ყურადღება, რომელმაც ხუმრობით Verissimus^[6] უწოდა ამ ზნეფაქიზ, ზომაზე მეტად დინჯსა და ნაადრევად დაბრძენებულ ბიჭუნას^[7].

სულ მალე ცხადი გახდა, რომ იმპერატორის სიმპათია შემთხვევითი არ ყოფილა, და რომ სალიელ ქურუმთა ნორჩი პრეზული^[8] უმაღლესი ხვედრისათვის იყო ხმობილი. თხუთმეტი წლის მარკუს ავრელიუსი ჰადრიანეს ბრძანებით დაწინდულ იქნა ტახტის მემკვიდრის – ცეიონიუს კომოდუსის ასულზე. კომოდუსის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ (138 წ. 1 იანვარი) ჰადრიანემ იმავე წლის 25 თებერვალს განსვენებული ცეზარის^[9] ნაცვლად იშვილა ანტონინუს პიუსი, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იშვილებდა მარკუს ავრელიუსსა და კომოდუსის ვაჟს – ლუციუს ვერუსს. ექვსი თვის შემდეგ (138 წლის 10 ივლისს) ჰადრიანე გარდაიცვალა და, ამრიგად, იმპერატორი გახდა მარკუს ავრელიუსის მამობილი ტიტუს ელიუს ანტონინუს პიუსი. ანტონინუსის იმპერატორობის წლები უბედნიერესი ხანაა მარკუს ავრელიუსის ცხოვრებაში. იმპერიის ყველა საზღვარზე სრული მშვიდობა სუფევდა

და მართლად გამრიგე იმპერატორი, რომლის მმართველობის უზენაესი პრინციპები იყო *aequitas, felicitas, fides* (თანასწორობა, ბედნიერება, სარწმუნოება), სენატთან ერთად, მტკიცე ხელით განაგებდა თავის უზარმაზარ საბრძანებელს. მარკუს ავრელიუსის წერილები თავისი უსაყვარლესი მასწავლებლის – კორნელიუს ფრონტონისადმი, რომლებშიაც გრძნობების რამდენადმე მოჭარბებული აფექტაცია ვერ ჩრდილავს დიდ უბრალოებას, გულწრფელობას და სტილის სისადავეს, ჩვენს თვალწინ აცოცხლებენ მისი სიჭაბუკისდროინდელი ცხოვრების უტყუარ სურათებს. თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ცეზარი ანტონინუს პიუსის მამულებსა და სააგარაკო ვილებში – მომხიბლავ ლორიუმსა თუ ლანუვიუმში, ტიბურსა თუ ტუსკულუმში ატარებს. უფლისწულს სძულს ყოველგვარი ფუფუნება და რუდუნებით ზრდის თავის სულში ყველა იმ სიქველეს – ზომიერებას, შრომისმოყვარეობას, აუმღვრევლობას და სიმტკიცეს, რომლებიც ასერიგად გამოადგა შემდეგ. ბევრს მუშაობს: ვარჯიშობს, ნადირობს, კითხულობს, წერს: «...გუშინ, ნავახშმევს, წიგნებს ჩავუჯექი და ვკითხულობდი სადამოს ცხრა საათიდან დღის ორ საათამდე. ორიდან სამამდე სანდლების ამარა ვსეირნობდი ჩემი ოთახის წინ. მერე ფეხთ ჩავიცვი, საგუმი^[10] მოვისხი, – რადგან ნაბრძანები მაქვს ასე ვეახლო იმპერატორს, – და გავწიე, რათა მივსალმებოდი ჩემს მბრძანებელს. სანადიროდ წასვლა გადავწყვიტეთ და წავედით კიდეც. ხელი მოგვემართა: დავხოცეთ ტახები... და ბოლოს, სასახლეში დავბრუნდით. ყველამ თავთავის საქმეს მიაშურა, მე – ჩემს წიგნებს... ორ საათს ვიწეი და ვკითხულობდი კატონის სიტყვებს. კითხვის შემდეგ ვწერდი. ძლივს დავჯღაბნე ორიოდ სტრიქონი, რომელიც იმის ღირსია, რომ ცეცხლს მისცენ ან წყალს გაატანონ... ცოტა არ იყოს, მაციებს: «არ ვიცი, იმიტომ, რომ სანდლების ამარა ვსეირნობდი თუ იმიტომ, რომ ვერაფერი დავწერე»...

ხელის მოცარვას წარმატების სიხარული მოსდევს და უფლისწული შედარებით კმაყოფილია:

«...დღეს შვიდი საათიდან ვმუშაობ ჩემს ოთახში და დავასრულე ათიოდე სახე, რომელთაგან გიგზავნი მეცხრეს, რადგან, თუმცა ბევრი ვეწვალე, თავი ვერ გავართვი მას... აი, სიუჟეტიც: კუნძულ ენარიის შუაგულში არის ტბა, ხოლო ამ ტბაში არის მეორე კუნძული, აგრეთვე დასახლებული. როგორ დავასრულოთ ეს სახე? მშვიდობით, ჩემო მეგობარო, ჩემი მბრძანებელი მოკითხვას გითვლის».

რამდენი უბრალოებაა ამ სტრიქონებში, რამდენი უშუალოება და «მდაბიორის უბრალო ცხოვრებით» ტკბობის რამდენი სიხარული:

«... ერთად ვისადილეთ, და, როგორ გგონია, რით დავკმაყოფილდი? ერთი ნატეხი პურით, მაშინ როდესაც სხვები ხარბად ნთქავდნენ ხამანწყას, სოკოებს და შემწვარ სარდინებს. მერე ყურძნის საკრეფად ჩავედით ვენახში. ბევრი ვიყიჟინეთ, ბევრი ოფლი ვღვარეთ და ორიოდე კუფხალიდა დავუტოვეთ ბალღებს სამცვრევად. ექვს საათზე დავბრუნდით შინ... ერთხანს ვიმუშავე, მაგრამ უნაყოფოდ... ვახშმის შემდეგ სიამოვნებით ვუგდებდით ყურს მდაბიორთა მხიარულ ყაყანს»...

ერთის მხრივ, ყოველგვარი რელიგიური მისტიციზმის, ხოლო, მეორეს მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართ ერთგვარი გულგრილობის მიუხედავად, ჩვენ გვანცვიფრებს ამ მშვიდი და ნათელი სულის მრავალმხრივობა, ინტერესების სიფართოვე და ინტენსიური შინაგანი ცხოვრება. ჰომეროსი და ჰესიოდე, პინდარე და თეოგნიდე, პლატონი და არისტოტელე, ემპედოკლე და ჰერაკლიტე, ესქილე და სოფოკლე, აგათონი და ევრიპიდე, არისტოფანე და პლავტე, ვერგილიუსი და ჰორაციუსი, სენეკა და ეპიქტეტე, – აი, მისი უსაყვარლესი ავტორები. მაგრამ ცეზარის ცნობისწადილი უსაზღვროა: მას სურს ყველაფერი გაიგოს, ყველაფერი შეიმეცნოს: «გამომიგზავნე შენი, კატონის, ციცერონის, სალუსტიუსის, გრაკუსისა და კიდევ ერთი რომელიმე პოეტის ნაწარმოებნი, რომელთაც თვითონ მიიჩნევ უმჯობესად; რადგან მე დაღლილი ვარ და დასვენება მჭირდება, სწორედ ამგვარი სახის დასვენება: ეგების კითხვამ დამავიწყოს დაღლილობა, ან იქნებ სულაც დამაძლევინოს იგი»...

თუმცა უფლისწულისთვის არც ჭაბუკური სილაღე და სიხალისეა უცხო:

«... ყურძნის კრეფას რომ მოვრჩით, მამაჩემი სასახლეში დაბრუნდა, მე კი, ჩემი ჩვეულებისამებრ, ცხენზე შევჯექი და გავისეირნე. თან ერთი მხედარი მახლდა. დიდხანს ვიარეთ. ანაზდად გზაზე ცხვრის ფარა გამოჩნდა. ადგილი უკაცრიელი იყო: ოთხი ძაღლი და ორი მწყემსი, მეტი არავინ. ჩვენს დანახვაზე ერთმა მეცხვარემ მეორეს უთხრა: თვალი ფრთხილად გეჭიროს, ეს ვაჟბატონები შარაგზის ყაჩაღებს ჰგვანანო. სიტყვის დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ ცხენს დეზი ვკარი და ფარის შუაგულში შევიჭერი. საწყალი ცხვრები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ ბლავილით. ერთმა მეცხვარემ კომბალი გვესროლა, რომელიც ჩემს მხლებლებს მოხვდა. მაშინ კი ვიკადრეთ ცხენების დაოთხება. ამრიგად, იმ კაი კაცმა, რომელსაც ფარის დაკარგვისა ეშინოდა, კომბალი დაკარგა მხოლოდ. ზღაპარიაო, ალბათ, იტყვი შენ; მაგრამ გარწმუნებ, რომ ყველაფერი ეს სრული სიმართლეა»...

145 წელს მარკუს ავრელიუსი ცოლად ირთავს ანტონინუს პიუსის ასულს ანია გალერია ფაუსტინას, და აი, ახალი შტრიხი წერილებში: ჩვენ ვეცნობით მარკუს ავრელიუსს – მოსიყვარულე მეუღლეს და მზრუნველ მამას. როგორ განიცდის ის

თავისი პატარების ავადმყოფობას და როგორ ხარობს მათი კარგად ყოფნით: «... მადლობა ღმერთს, მუცლის ტკივილი აღარ აწუხებს და ციებამაც გაუარა; მაგრამ ჯერ კიდევ ძალზე გამხდარია და ისევ ახველებს. შენ, ალბათ, მიხვდი: მე ვლაპარაკობ ჩვენს ძვირფას პატარა ფაუსტინაზე (იგულისხმება მარკუს ავრელიუსის ასული დომიცია ფაუსტინა, – ბ. ბ.), რომელმაც ასე შეგვაშფოთა»... «...ჩვენთან ჯერ კიდევ გაზაფხულის სიციხეები დგას, მაგრამ რაკი ჩვენი პატარები კარგად არიან, ასე გვგონია გაზაფხულის სიგრილით და სიხალისით ვტკბებით»...^[11]

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მარკუს ავრელიუსის ცხოვრებაში ეს იყო მხოლოდ თვითგანსწავლის, «კურთხეული მოცალოებისა» და ოჯახური იდილით ტკობის ნეტარი წლები. ცეზარმა სიჭაბუკეშივე იტვირთა სახელმწიფო მოღვაწის მძიმე ტვირთი. 138-39 წ. ის კვესტორია, 140 წ. – კონსული, უფრო გვიან კი ანტონინუს პიუსის ფაქტიური თანამოსაყდრე. ისტორიაში იშვიათად მოიძებნება ორი უავგუსტოესის მეგობრობისა და მამაშვილური სიყვარულის უფრო ნათელი მაგალითი. მაგრამ მარკუს ავრელიუსისათვის ანტონინუსი მარტო მამა და მეგობარი კი არ ყოფილა, არამედ უძვირფასესი მასწავლებელიც, რომელმაც ნებისმიერ სხვა მოძღვარზე უფრო დიდი ზემოქმედება მოახდინა მისი, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკური მოღვაწის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე. «მარკუს ავრელიუსი იმის წყალობით გახდა მარკუს ავრელიუსი, რომ მის წინაშე იდგა ცხოვრებისეული სრულქმნილების ისეთი შესანიშნავი ნიმუში, როგორიც იყო ანტონინუსი, რომელიც მან ჯეროვნად შეიცნო, შეიყვარა და დააფასა»^[12]: «მამობილის წყალობით ვეზიარე თვინიერებას. ის მასწავლიდა, არასოდეს მეღალატნა ხანგრძლივი ბჭობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისთვის, არად ჩამეგდო ფუჭი დიდება, მყვარებოდა შრომა და ყურადღებით მოვკიდებოდი ყველაფერს, რასაც ოდნავი სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო ერისათვის; მასწავლიდა, როგორ მიმეგო თვითეულისთვის მისი კუთვნილი, როგორ გამერჩია, სად მლმობელი ვყოფილიყავ, სად – ულმობელი, როგორ მომეკვეთა მამათმავლობის ბილწება და როგორ დავდებოდი მტლად ქვეყნის ინტერესებს... მას სურდა აღმოეფხვრა მემკვიდრის სულიდან ყოველგვარი მზვაობა და სანაცვლოდ უბრალოება და თავმდაბლობა ჩაენერგა მისთვის. ის მასწავლიდა, შეიძლება სასახლის კარზე ცხოვრობდეს კაცი, მაგრამ არ საჭიროებდესო სხეულის მცველთ, არც მდიდრულ სამოსს თუ მაშხალებს, ქანდაკებებს და სხვათ მისთანათ, რადგან სასახლის მკვიდრსაც ხელეწიფების თურმე მდაბიორივით უბრალოდ იცხოვროს, მაგრამ ისე კი, რომ ამ უბრალოებას არ უმსხვერპლოს ჰეგემონის მოვალეობანი, რომელთაც ხალხი და სახელმწიფო აკისრებს მას» (1, 16, 17).

161 წ. მარტის დამდეგს ანტონინუსი ავად გახდა... სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მან ბრძანა მარკუს ავრელიუსის აპარტამენტში გადაეტანათ გამარჯვების ქალღმერთის – ვიქტორია-ნიკეს ოქროს ქანდაკება, რომელიც, ტრადიციის მიხედვით, ყოველთვის ამკობდა რომაელ იმპერატორთა საწოლ ოთახს. 7 მარტს ანტონინუსი პიუსი გარდაიცვალა და ორმოცი წლის მარკუს ავრელიუს ანტონინუსი, სენატის კურთხევით, რომის იმპერატორი გახდა. მაგრამ ამ გარემოებას რაიმე არსებითი ცვლილება ან გარდატეხა არ შეუტანია მის სულიერ ცხოვრებაში. მარკუს ავრელიუსი აქაც თავისი თავის ერთგული დარჩა. ის ყოველთვის ფუჭი ილუზიებითა თუ მზვაობის ლიბრით დაუბინდავი თვალთ ქვრეტდა ამქვეყნიური დიდების ჭეშმარიტ არსს: «... გულისხმაყავ, რაოდენ მსწრაფლწარმავალი და მსწრაფლდავიწყებადია ყოველი, მარადისობის რა უსასრულო უფსკრული ძეგს როგორც შენს წინ, ისე შენს უკან, რაოდენ ფუჭია სახელის ძიება და რაოდენ უმტკიცონი და ცნობასუსტნი არიან შენი მეხოტბენი; რა ვიწროა წრე, რომელიც გარემემოსწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას, რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციცქნა შავი წერტილი, და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს? (IV, 3); «ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად. მიიქეც მთელი დრამებისა თუ ცალკეული სცენების ჭვრეტად, რომელთაც პირადი ცდითა თუ მემატიანეთა გადმოცემით იცნობ; წარმოიდგინე, მაგალითად, ჰადრიანეს, ანტონინუსის, ფილიპეს, ალექსანდრესა თუ კრეზუსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები» (X, 27).

ამიტომ იყო, რომ, I საუკუნის იმპერატორებისაგან ^[13] განსხვავებით, მარკუს ავრელიუსი უზენაეს ძალაუფლებას უყურებდა არა როგორც მესიანისტურ დანიშნულებას (შდრ. I, 7) ან თვითმპყრობელურ ფუნქციას თუ თვითგანდიდების საშუალებას, არამედ როგორც მძიმე მოვალეობას და ტვირთს («შენ შენი ვალი გაქვს მოსახდელი, როგორც ჯარისკაცს გალავნის გარემოცვისა და იერიშისას», VII, 7; «რა გაკავშირებს სხვებთან? რატომაა, რომ თქვენ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი? თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შენ მათი წინამძღოლობა გაკისრია, როგორც ბოტს – ფარისა, ან კუროს – ჯოგის», XI, 18; შდრ. შენიშვნები, XI, 31); **ამიტომ იყო**, რომ მარკუს ავრელიუსი ცდილობდა შეენარჩუნებინა რესპუბლიკური წყობილების დემოკრატიულ ინსტიტუტთა ნაშთები; ამ მხრივ, ის აგრძელებდა ნერვას, ტრაიანეს, ჰადრიანესა და ანტონინუს პიუსის პოლიტიკურ ხაზს. იმპერატორმა თავისი ძველი მნიშვნელობა დაუბრუნა რომაულ სენატს. დედაქალაქში ყოფნისას ის უკლებლივ ესწრებოდა სენატის ყველა სხდომას და ფეხმოუცვლელად იჯდა თავის ადგილზე, სანამ კონსული ტრადიციულ ფორმულას არ წარმოსთქვამდა: «Nihil amplius vos

moramur, patres conscripti»^[14]; ამიტომ იყო, რომ მარკუს ავრელიუსმა არ ისურვა ერთმმართველობა და, ანტონინუს პიუსის უკანასკნელი სურვილის, ისევე როგორც სენატის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელმაც მხოლოდ მას მიანიჭა უმაღლესი ძალაუფლება, ტახტზე ასვლისთანავე თანამოსაყდრედ დაისვა ანტონინუსის მეორე შვილობილი – და, მამასადამე, თავისი ძმაც (Adoptivbruder) – ლუციუს ვერუსი. ამრიგად, რომის ისტორიაში იმპერიის ტახტზე პირველად აღმოჩნდა ორი იმპერატორი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლუციუს ვერუსის ძალაუფლება, არსებითად, ნომინალური იყო. მას უფრო დროსტარება იზიდავდა, ვიდრე იმპერიის მართვა. ამბობდნენ, რომ მისი წყალობით, რომი ხელახლა გახდა ნერონის ზოგიერთი სიშლეგისა და დამთხვეულობის მოწმე: გამუდმებული ლოთობა და სიძვა, დებოშები რომის ქუჩებში, თავაწყვეტილი ორგიები ღამეულ ტავერნებში, რაც ზოგჯერ დღეში ექვს მილიონ სესტერციამდე ჯდებოდა და ა.შ. საბედნიეროდ, ვერუსისთვის უცხო იყო ნერონის გულმხეცობა და სისასტიკე. გარდა ამისა, ის უსაზღვროდ დიდ პატივს სცემდა მარკუს ავრელიუსს (შდრ. I, 17), და თუ ქმედით დახმარებას და თანამშრომლობას არ უწყევდა თავის უავგუსტოეს კოლეგას, სამაგიეროდ, არც სერიოზული დაბრკოლება შეუქმნია მისთვის ოდესმე.

მარკუს ავრელიუსის პრინციპატობის დასაწყისშივე იმპერიის ცხოვრებაში საშიშმა სიმპტომებმა იჩინეს თავი. ცხადი გახდა, რომ ანტონინუსის მტკიცე პოლიტიკისა და მოქნილი დიპლომატიის წყალობით იმპერიის საზღვრებზე თუ საზღვრებს შიგნით მიღწეული მდგომარეობის ნორმალიზაცია და შედარებითი სიმშვიდე სრულიადაც არ იყო სტაბილური, და რომ იგი დროებით მიძინებული ვულკანის სიმშვიდეს ჰგავდა. ახლა ეს ვულკანი თანდათან იღვიძებდა, სტიქიურ უბედურებებს (გამანადგურებელი წყალდიდობანი იტალიაში, მიწისძვრები მცირე აზიაში და ქალაქ ციციკუსის დაქცევა) ზედ დაერთო არეულობანი დასავლეთ პროვინციებში: მავრების შეჭრა იბერიაში (ესპანეთი) და აჯანყება ლუზიტანიაში, ხატების (χάττοι) თარეში რომანულ გერმანიასა და რეციაში, პიქტებისა – ბრიტანეთში, სეკვანების მღელვარება გალიაში. ბრიტანეთში ამბოხებულმა ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს თავიანთი მრავალნაცადი სარდალი სტაციუს პრისკუსი. მაგრამ რეალური საფრთხე რომს მაინც აღმოსავლეთიდან დაემუქრა: პართიის მეფე ვოლოგეზუს III დიდძალი ლაშქრით შეიჭრა სომხეთში, გააძევა ანტონინუს პიუსის მიერ დასმული მეფე – რომაელთა მეგობარი და მოკავშირე, ხოლო მის ნაცვლად თავისი კანდიდატი აიყვანა სომხეთის ტახტზე. მდგომარეობის გამოსასწორებლად სომხეთისაკენ ერთი ლეგიონით გაემურა კაპადოკიის მმართველი მ. სედაციუს სევერიანუსი, მაგრამ დამარცხდა და მოკლულ იქნა ელეგეიასთან. ამ მარცხმა ისეთი შეშფოთება გამოიწვია

მეზობელ პროვინციებში, რომ სირიის ლეგატი უბრძოლველად გაიქცა და, ამრიგად, გზა გაუხსნა გალადებულ პართელებს.

ამ რთულ სიტუაციაში მარკუს ავრელიუსი ისე მოიქცა, როგორც შეშვენიოდა ანტონინუსის მემკვიდრეს. იმპერატორმა დაუყოვნებლივ მიმართა მტკიცე და ენერგიულ ზომებს: ბრიტანეთიდან გამოიწვია სტაციუს პრისკუსი და კაპადოკიის მმართველად წარგზავნა იგი; რომში დიდი პატივით მიიღეს პართელთა მიერ ოტებული სომხეთის მეფე და სენატორის ლატიკლავიუმი^[15] უბოძეს მას: ეს დახმარების აღთქმას ნიშნავდა. და მართლაც, დანუბიუსის (დუნაი) და რენუსის (რაინი) ლეგიონებიდან სასწრაფოდ გამოყვეს მრავალრიცხოვან ბრძოლებში გამობრძმედილ ვეტერანთა (vexilarii) დამკვრელი რაზმები (vexillationes), რომელთა სარდლობა გამოცდილ სტრატეგებს – ავიდიუს კასიუსსა და პუბლიუს მარციუს ვერუსს მიანდეს, და აღმოსავლეთით გადაისროლეს ისინი. რომაელთა მთავარსარდლად დანიშნულ იქნა ლუციუს ვერუსი, რომელიც მარკუს ავრელიუსის ბრძანებით ანტიოქიაში შეჩერდა, რათა აღმოსავლეთ პროვინციების აწეწილ-დაწეწილი საქმეები მოეგვარებინა და მაშველი ძალები შეეგროვებინა არმიისათვის...^[16] ამასობაში სტაციუს პრისკუსმა დაამარცხა პართელები, ძლევით შევიდა სომხეთში და სამეფო ტახტი კვლავ რომაელთა ვასალს დაუბრუნა, ხოლო სომხეთის ციხეებში რომაელთა გარნიზონები ჩააყენა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სირიაში, სადაც ავიდიუს კასიუსმა და პუბლიუს ვერუსმა ჯერ ევფრატს გადაღმა გადარეკეს პართელები, ხოლო შემდეგ ფეხდაფეხ მიჰყვნენ უკუქცეულთ, აიღეს ედესა და ნისიბინი, აგრეთვე პართიის ორივე სატახტო ქალაქი – სელევკია და კტესიფონი. მაგრამ ჯერ კიდევ ტრაიანეს დროს ჩასახული მწვავე აღმოსავლური კონფლიქტის საბოლოო გადაჭრა მაინც ვერ მოხერხდა: რომაელებს წინ აღუდგა არა მარტო პართელთა სამხედრო ძლიერება, არამედ ქვეყნის ბუნებრივი პირობებიც: უზარმაზარი უდაბნოები, უწყლობა და გვალვა, რასაც ამჯერად შავი ჭირის ეპიდემიაც დაერთო ზედ და რომაელები იძულებულნი გახდნენ უკუქცეულიყვნენ. თუმცა, გამარჯვების შედეგი მაინც თვალსაჩინო იყო: სომხეთი კვლავ რომის მოკავშირედ დარჩა; მესოპოტამიის ჩრდ.-დას. ოლქი – ოსროენა ანექსირებულ იქნა და კაპადოკიის ნაწილად გამოცხადდა: კარჰა (Carhae) რომის კოლონია გახდა. ახალი ტერიტორიების საბოლოო შემომტკიცება, მოსახლეობის დაშოშმინება და ადმინისტრაციული აპარატის ორგანიზება მტკიცე და ძლიერ ხელს მოითხოვდა. ამიტომ მარკუს ავრელიუსმა სირიის პროკონსულად (მმართველად) დანიშნა ავიდიუს კასიუსი, რომელსაც ექსტრაორდინარული უფლებები მიანიჭა.

პართიის ომი ოთხ წელიწადს გაგრძელდა და 166 წ. დამთავრდა. მარკუს ავრელიუსსა და ლუციუს ვერუსს ტრიუმფი მოუწევს რომში. ორივე იმპერატორმა მიიღო ტიტულები: Parthicus Maximus, Medicus Maximus, Armeniacus Maximus^[17]. ომის დროს მარკუს ავრელიუსი დედაქალაქში დარჩა, რათა საერთო ხელმძღვანელობა გაეწია ბრძოლების მსვლელობისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა თუ საშინაო ცხოვრებისათვის. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი ადმინისტრაციული, სამეურნეო, ტუტელარული (სამეურვეო) და იურიდიული რეფორმების მეტი ნაწილი.

მარკუს ავრელიუსის ადმინისტრაციული რეფორმები შედარებით უმნიშვნელოა. უფრო მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული აპარატის შერჩევის პრინციპი. იმპერატორი ანტიკვათიურად იყო განწყობილი რომაელი არისტოკრატის მიმართ (შდრ. I, 11). მის თვალში ერთი რამ ფასობდა მხოლოდ: პიროვნების ინდივიდუალური ღირსებანი, მისი განსწავლულობა, პატიოსნება და შინაგანი კეთილშობილება. ამიტომაც იყო, რომ მის დროს იმპერიის უმაღლეს მაგისტრატურებში გვაროვნულ არისტოკრატას თანდათანობით ინტელექტუალური არისტოკრატია ცვლიდა. რენანი, რა თქმა უნდა, აჭარბებს, როცა ამ სოციალური ფენის ერთგვარ აღზევებას «ფილოსოფოსთა მეფობად» (Le règne des philosophes) სახავს^[18], მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კონსულის წოდება, რომელიც უწინ მხოლოდ რომაელ დიდგვაროვანთ ენიჭებოდათ, ახლა ფილოსოფოსებისა და რიტორების ჩვეულებრივ ტიტულად იქცა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის მარკუს ავრელიუსის მასწავლებლების – ჰეროდოტე ატიკუსის, კლავდიუს მაქსიმუსის, იუნიუს რუსტიკუსის, კლავდიუს სევერუსისა და სხვათა მიმართ: ყველა ისინი თავის დროზე კონსულები თუ პროკონსულები იყვნენ^[19].

მარკუს ავრელიუსმა წარმატებით გადაჭრა სასურსათო პრობლემა, რამაც, ფაქტიურად, შეუძლებელი გახადა შიმშილობა იტალიაში. იმპერატორმა ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფო მეურვეობის – ე.წ. ალიმენტარულ ინსტიტუტთა^[20] შემდგომი განვითარებისათვის. ამ მეურვეობისათვის ტრაიანემ პროკურატორთა სპეციალური თანამდებობანი დააწესა. მარკუს ავრელიუსმა დიდი ყურადღება მიაქცია პროკურატორთა შერჩევის საკითხს, მნიშვნელოვნად გააფართოვა მათი უფლებანი და პირველხარისხოვან მოხელეთა რანგში აიყვანა ისინი. ძველი საზოგადოებისათვის უცხო იყო სიბრალული სუსტ არსებათა მიმართ. მარკუს ავრელიუსმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ აქცია ხანაგების მშენებლობა მოხუცებისა და უპატრონო ბავშვებისათვის, მიუსაფართა, საპყართა და დავრდომილთათვის.

იმპერატორმა შეძლებისდაგვარად შეზღუდა მამის ტირანული უფლებანი^[21] და, ამრიგად, დაიცვა თითქმის სრულიად უმწეო და უუფლებო დედისა და შვილების ადამიანური ღირსება, რომელი ადათის მიერ მათი ფეხქვეშ გათელილი ინტერესები.

«მაგრამ ანტონინუსისა და მარკუს ავრელიუსის მმართველობა განსაკუთრებით კეთილისმყოფელი აღმოჩნდა მონებისათვის. მონობის ზოგიერთი არაადამიანური სისასტიკე აღკვეთილ იქნა..., მონის მოკვლა დანაშაულად ცხადდება. დანაშაულადვე ეთვლება პატრონს მონების წამება და დასახიჩრება... მონა პირველად იღებს სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლებას და პიროვნება, სახელმწიფოს წევრი ხდება. ის თავისი საკუთრებისა და ოჯახის პატრონია. ქმრის, ცოლისა და მათი ბავშვების ცალ-ცალკე გაყიდვა იკრძალება. ზოგიერთი კერძო შემთხვევის გარდა, პატრონს უფლება არა აქვს გლადიატორად გაყიდოს მონა, ხოლო მონა ქალი, რომელსაც იმ პირობით ჰყიდიან, რომ მან ne prostituatur^[22], დაზღვეულია ლუპანარში^[23] მოხვედრისაგან. ძალაში შედის favor libertatis^[24]; საჭოჭმანო შემთხვევაში დასაშვებია კანონის ინტერპრეტაცია განთავისუფლების სასარგებლოდ. სასამართლოს ჰუმანურობა არბილებს კანონის სიმკაცრეს»^[25]...

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რომელი კანონმდებლობის ამგვარ კორექტირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სტოელთა მოძღვრებამ მონობის, როგორც ბუნებრივი სამართლის შეზღავანის შესახებ. არ შეიძლება ამ მომენტის იგნორირება. ის, რაც დღეს სავსებით ბუნებრივ და მარტივ ჭეშმარიტებად გვეჩვენება, ოდესღაც მთელი რევოლუცია იყო აზროვნების ისტორიაში. სტოიციზმმა პირველად შეხედა მონას, როგორ სრულფასოვან ადამიანურ არსებას: «ის, ვისაც შენ მონას უწოდებ, – ამბობს სტოელი ფილოსოფოსი, – შენივე მშობელი თესლისაგან (ex iisdem seminibus) იღებს დასაბამს. ის შენთან ერთად ცხოვრობს ერთი და იგივე ცის ქვეშ და ერთი და იგივე ჰაერით სუნთქავს... და შენ ისევე შეგიძლია თავისუფალ კაცად თვლიდე მას, როგორც მას შეუძლია მონად გთვლიდეს შენ»... «ჩვენ მათ მონებს ვეძახით, მაგრამ ისინიც კაცნი არიან; ჩვენ მათ მონებად ვთვლით, მაგრამ ისინი ჩვენი ცხოვრების თანამოზიარენი (contubernales) არიან; ხოლო თუ დაუფიქრდები იმას, რომ ყველას თანაბრად გვათამაშებს ბედისწერა, შენ ნახავ, რომ ისინი ჩვენი მონობისმიერი თანამომძენი (conservi) არიან»^[26].

მარკუს ავრელიუსისა და, საერთოდ, მისი წინამორბედების იურიდიულმა რეფორმებმა, რომლებმაც საგრძნობლად შეარბილეს ძველი კანონმდებლობის

სისასტიკე და ტლანქი პრიმიტივიზმი, მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნეს რომაული სამართლის ევოლუციაში და განვითარების ახალ – ფილოსოფიურ სტადიაში შეიყვანეს იგი.

«ასე იქმნებოდა რომაული სამართალი – ეს ჭეშმარიტი სასწაული, ჭეშმარიტი გამოცხადება, რომლის შექმნის პატივსაც უმეცრება იუსტინიანეს კომპილატორებს მიაწერს, თუმცა, სინამდვილეში, ეს II საუკუნის დიდი იმპერატორების საქმე იყო, რომლებმაც უებრო კომენტატორები და გამგრძელებლები ჰპოვეს III საუკუნის შესანიშნავ იურისკონსულტთა სახით. ისტორია რომაულ სამართალს უმზადებდა ტრიუმფს, მართალია, ნაკლებ გახმაურებულს, მაგრამ არანაკლებ ხანგრძლივსა და მნიშვნელოვანს, ვიდრე ქრისტიანობის ტრიუმფი იყო. ერთხანს ბარბაროსების მიერ ფეხქვეშ გათელილი, ის კვლავ აღდგება საშუალო საუკუნეების დამლევს და თავდაპირველად აღორძინებადი სამყაროს, ხოლო შემდეგ – რამდენადმე მოდიფიცირებული რედაქციებით – თანამედროვე ევროპელი ხალხების კანონად იქცევა. ამრიგად, დიდი სტოიციკური სკოლა, რომელმაც II საუკუნეში სცადა გარდაექმნა სამყარო, დროებითი ხელმისაღწევად შემდეგ სწორედ რომაული სამართლის წყალობით მოიპოვეს სრულ გამარჯვებას»^[27].

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარკუს ავრელიუსის პროვინციალური პოლიტიკა. მეტროპოლიის შემდეგ პროვინციები იყო მისი ზრუნვის უპირველესი საგანი. ყველა თავის ქვეშევრდომში იმპერატორი უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ხედავდა და მხოლოდ შემდეგ – რომაელს თუ ბერძენს, გერმანელს თუ გალს, ბრიტანელს თუ იბერიელს, ეგვიპტელს თუ ნუმიდიელს, სირიელს თუ კილიკიელს და ა.შ. «ის დაეხმარა ხანძრებით გადაბუგულსა და მიწისძვრებით დაქცეულ სმირნას, ეფესს, ნიკომედიას, კართაგენს კვლავ აღმდგარიყვნენ ფერფლიდან თუ ნანგრევებიდან და გაათავისუფლა მთელი პროვინციები, ქალაქები და კერძო პირნი იმ დავალიანებისაგან, რაც მათ მთელი ორმოცდაექვსი წლის მანძილზე უნდა ეხადათ სახელმწიფო ხაზინისათვის»...^[28] სხვა სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად ამგვარ პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა კოსმოპოლიტიზმის^[29] სტოიციკური პრინციპიც, რომელმაც წაშალა სოციალური თუ ნაციონალური განსხვავების საზღვრები და «პოლიტიკური ზოგადკაცობრიულად აქცია»^[30]. პლატონი და არისტოტელე, რომლებმაც საკუთარი მეტაფიზიკის საწყისებზე დააფუძნეს თავიანთი იდეალური პოლისები, არსებითად, ვერ გასცდნენ ბერძნულ პარტიკულარიზმს და ნაციონალიზმის ჩარჩოებში ჩაკეტეს ისინი. სტოიციზმმა დასძლია ეს კარჩაკეტილობა^[31] და ანტიკური აზროვნების ისტორიაში პირველად

იქადაგა უნივერსალური «უფლის ქალაქის» (Civitas Dei) იდეა, რომელიც შემდეგ ქრისტიანობამ აიტაცა და განავითარა. «ყველაფერი, რასაც შენ ჭკრეტ და რაც გარემოიცავს ყოველივე ღვთაებრივს თუ ადამიანურს, – სწერდა სენეკა ლუცილიუსს, – ყველაფერი ეს ერთია და განუყოფელი, ხოლო ჩვენ ამ დიადი სხეულის ასოები ვართ. ერთი და იგივე მასალისგან რომ შეგვქმნა, ბუნებამ ნათესავებად გვაქცია ჩვენ. მან ჩაგვინერგა ურთიერთსიყვარულის გრძნობა და მანვე გვიბოძა თანაცხოვრებისა და თანაარსებობის ნიჭიც»^[321]. «ჩემი სამშობლო სამყაროა», – წერს იგი სხვაგან^[331], ხოლო მარკუს ავრელიუსი ამბობს: «მე ჩემი სამშობლო მაქვს და ჩემი ქალაქი: როგორც ანტონინუსს – რომი, როგორც კაცს – სამყარო. და არ არსებობს ჩემთვის, ორი ქალაქის მოქალაქისთვის, სხვა სიკეთე, გარდა იმისა, რასაც სარგებლობა მოაქვს ორივე ამ ქალაქისათვის» (VI, 44)^[341].

მარკუს ავრელიუსის ყოველგვარ რეფორმისტულ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას კაცთა მიმართ სიყვარული და პატივისცემა ედო საფუძვლად. «ის ყოველთვის უყურებდა ადამიანს, როგორც მორალურ არსებას და არა როგორც მანქანას ან საშუალებას» (რენანი). აქ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა მივუბრუნდეთ სტოიციზმს, კერძოდ, მის სოციალურ მორალს: ადამიანი არა მარტო მთელი სამყაროა, მიკროკოსმოსია, არა მარტო თავისთავადი, თავისებური და განუმეორებელი ინდივიდუუმი, არამედ, არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ – «სოციალური ცხოველიც» (ζῷον πολιτικόν), რომელიც თავისსავე მსგავს არსებათა წრეში და მათთან მუდმივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს საკუთარი არსებობის უმაღლესსა და უინტიმურეს მიზნებს. აქედან – მისი მოვალეობანი მოყვასთა მიმართ. «ჩვენ, – ამბობს მარკუს ავრელიუსი, – თანამშრომლობისა და თანამოღვაწეობისთვის ვართ შექმნილნი, როგორც ხელები, ფეხები, ქუთუთონი, ზედა და ქვედა ყბები. ამიტომ ურთიერთ წინააღმდეგობა ბუნების წინააღმდეგ აღძვრასა ნიშნავს, მაგრამ ვინც გმობს და გაურბის მოყვასს, წინააღმდეგომიც იგია მისი» (II, 1.) ხოლო სენეკამ ერთი საუკუნით ადრე თქვა: «კაცი წმიდათა-წმიდაა კაცისთვის (homo sacra res homini, Epist. 95; შდრ. ძველი კანიბალური ფორმულა: homo homini lupus). დიახ, მარკუს ავრელიუსის მოღვაწეობას კაცთა მიმართ პატივისცემა ედო საფუძვლად. მაგრამ ის არასდროს იტყუებდა თავს ფუჭი იმედებითა და ილუზიებით. იმპერატორი კარგად იცნობდა «კაცური ბუნების სისუსტეს და არასრულქმნილებას, ადამიანთა მიერ მორალური თუ ინტელექტუალური ჭეშმარიტებების შეთვისების მთელ უკიდურეს სიზანტეს და ისტორიულ ყოფიერებაში მოქმედ წინააღმდეგობის მთელ უზარმაზარ ძალას. არ შეიძლება ძალადობით განაახლო სამყარო და დაამყარო სრულქმნილი წესრიგი»^[351],

რადგან არცერთ მბრძანებელს არა აქვს კაცთა აზრებსა და გრძნობებზე მბრძანებლობის უფლება»^[36]. ამიტომ მარკუს ავრელიუსისათვის უცხო იყო ყოველგვარი უტოპიზმი თუ აბსოლუტიზმი, ამიტომ ანიჭებდა იგი ესოდენ დიდ მნიშვნელობას თუნდაც მინიმალურ პროგრესს: «ყოვლადი მიზეზი (ή τὰν ὅλων αἴτια; causa iniverslis) შმაგ ნაკადსა ჰგავს, რომელიც იტაცებს და თან მიაქანებს ყოველს. რაოდენ უბადრუკნი არიან ეს პოლიტიკოსნი, რომელთაც ფილოსოფოსებად მოაქვთ თავი. ცინგლიანები!.. რას მიელტვი, კაცო? ჰქმენ ის, რასაც დღეს მოითხოვს შენგან ბუნება. თუ შეგიძლია, მისდით მიზანს და ნუ იყურები აქეთ-იქით, აბა, ვინ მიმზერსო მე. ნუ გაქვს პლატონის რესპუბლიკის ამ ქვეყნად დაარსების იმედი. კმაყოფილი იყავ იმითაც, თუ საქმე ერთი ნაბიჯით მაინც მიიწევს წინ, და ნუ მიიჩნევ ამ წინსვლას უმნიშვნელოდ და უფასურად. ვინ შესცვლის კაცთა აზროვნების წესს? არადა, რას უნდა მოველოდეთ ამგვარი ცვლილების გარეშე კირთების ქვეშ მგმინავი მონობისა და მლიქვნელური მორჩილების გარდა?»... (IX, 29).

მაგრამ სოციალური თუ ზნეობრივი პროგრესის გზაზე სახელმწიფოს წინსვლის აუცილებელი პირობა იყო მშვიდობიანობა, ხოლო რომს სწორედ მშვიდობა აკლდა. პართიის ომი არც კი დამთავრებულყო, რომ იმპერიას ახალი საფრთხე დაემუქრა ჩრდილოეთიდან: დაიწყო ბარბაროსთა დიდი ტრანსმიგრაცია. ბალტიისპირეთიდან სამხრეთისაკენ დაიდრნენ გოთების მრავალრიცხოვანი მეომარი ურდოები, რომლებმაც წინ წაირეკეს დანარჩენი გერმანული, სარმატული თუ სლავური მოდგმის ტომები. სასიცოცხლო სივრცეებს მოწყვეტილმა სვევებმა და ჰერმუნდურებმა, ვიქტოვალეებმა და როქსოლანებმა, ბასტარნებმა და კოსტობოკებმა, ალანებმა და იაზიგებმა სამხედრო გაერთიანებები შექმნეს და იმპერიის დუნაისპირა საზღვრებს მოაწყდნენ, მაგრამ განსაკუთრებით საშიში იყო ორი უძლიერესი გერმანული ტომის – კვადებისა და მარკომანების სამხედრო კავშირი... იულიუს კეისარი გალიაში ებრძოდა გერმანელებს... დრონი იცვალნენ. ახლა გერმანელები თვითონ მოდიოდნენ რომში საომრად... გერმანელები!.. დამოკლეს მახვილი იმპერიის თავზე!.. მას შემდეგ, რაც ტაციტუსმა მათი ზნე-ჩვეულებანი აღწერა დიდ დროს არ გაუვლია, მაგრამ ამ მეომარი ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გერმანელებმა წარმატებით შეითვისეს რომაელთა სამწყობრო ხელოვნება, მათი სტრატეგია და ტაქტიკა და მრისხანე სამხედრო ძალად იქცნენ. სამხედრო ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი ექსპანსიური მისწრაფებებიც; «მათი თვალები ველური სიხარბით ინთებოდნენ იმ უზარმაზარი სიმდიდრის ჭკრეტისას, რაც რომის მწარმოებლურმა გენიამ დააგროვა საზღვარს გადაღმა, ხოლო მათ გულებში თანდათანობით ღვივდებოდა სიძულვილი და შური. დუნაისა თუ რაინის პირას წამოჭიმული მშვენიერი ვილები, რომლებსაც ისინი

თავიანთი ველური ნაპირიდან უთვალთვალეზდნენ, მათ თავიანთი უბადრუკი ქოხმახების შეურაცხყოფად ეჩვენებოდათ, ნატიფი ხელოვნებანი – თავიანთი სიტლანქის გამოზად, რომაელთა დახვეწილი ზნეობა და თავაზიანობა – ზნედაცემულობად. მაგრამ მათ განსაკუთრებით ატყვევებდათ ოქროს ციმციმი, და როცა მას იტაცებდნენ ხოლმე, ეგონათ, თითქოს იტალიის კაშკაშა მზის ერთი სხივი მაინც შეჰქონდათ თავიანთი ცივი და პირქუში ცის ქვეშ. მათ ნაციონალურ ეპოსში – «ნიბელუნგებში» – გმირების დაუოკებელი სწრფვის საგანი მშვენიერი ქალი კი არ არის – ზევსისა და ლედას ასული, – როგორც ტროას გარშემოწყობილ ელინთათვის, ან წმინდა საფლავი, როგორც იერუსალიმს მიმავალი ფრანგი ჯვაროსნებისთვის, არამედ – ოქრო! განძი! თავის მწირ მიწებზე თუ ველურ ტყეებში ეს სენსუალური, ხარბი და ლატაკი რასა უკვე ჩურჩულებდა Mignon-ის^[37] ვნებიან სტრიქონებს, მიძღვნილთ იმ მარადიული ქვეყნისადმი, რომლის ბაღებშიც ხეები ოქროსფერ ნაყოფთა სიმძიმისგან იზნიქებიან და რომელიც თვრამეტი საუკუნის მანძილზე აღიზიანებდა მის წადილსა და გულისთქმას... ბოლოს და ბოლოს, მათ შეძლეს ამ კოლოსის დამხობა და შუა საუკუნეების სისხლისა და ცრემლების ზღვაში ჩაახრჩვეს სამყარო»^[38].

მაგრამ თუ კოლოსი უფრო ადრე არ დაეცა, თუ ადრეული შუა საუკუნეების ბნელეთი უფრო გვიან ჩამოწვა ევროპის თავზე, – ეს იმიტომ, რომ უკვე მიხრწნილმა იმპერიამ მარკუს ავრელიუსის წინამძღოლობით შესძლო მოეკრიბა საკმაო სულიერი ძალა და მხნეობა, რათა წინ აღდგომოდა გერმანელ ნომადებს.

რომი მოუმზადებელი შეხვდა განსაცდელს. აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა ლეგიონებმა თან ჩამოიტანეს შავი ჭირი, რომლის ეპიდემია არნახული სისწრაფით გავრცელდა მოსახლეობაში და ათიათასობით იტალიელის სიცოცხლე იმსხვერპლა. მიაზმამ მნიშვნელოვნად შეათხელა არმიის რიგებიც და შეასუსტა მისი ბრძოლისუნარიანობა. სასოწარკვეთილ ხალხში გაძლიერდა რელიგიური ფანატიზმი, დაიწყო ქრისტიანებისა და სხვა აღმოსავლური კულტების მსახურთა დევნა. იტალიის ყველა კუთხეში გაისმოდა ფანატიკოსთა ბრბოების ყიჟინა: «ქრისტიანები – ლომებს!» რომში პაფლაგონიელი ქადაგი ალექსანდრე აბონოტიეხელი ვითომცდა თავისი სასწაულთმოქმედი გველის – გლიკონის პირით წინასწარმეტყველებდა ქვეყნის აღსასრულს... პუნიკური ომების შემდეგ რომი პირველად აღმოჩნდა უცხოელთაგან წალეკვის საფრთხის წინაშე.^[39] ბარბაროსებმა გაარღვიეს რომაელთა თავდაცვის ხაზი, შემუსრეს მათი საფორტიფიკაციო ნაგებობანი (limes) და რეციაში, ნორიკუმში, პანონიასა და მეზიაში შეიჭრნენ. კოსტობოკებმა, რომლებმაც საბერძნეთისაკენ აიღეს გეზი, ფოკიდას მიაღწიეს.^[40] მარკომანებმა და კვადებმა

ალპები გადმოლახეს, ალყა შემოარტყეს აკვილიას და თითქმის მთლიანად დაანგრიეს ოპიტერგიუმი (დღევანდელი ოდერცო). ინვაზორებმა გაჟლიტეს რომაელთა გარნიზონი და მოკლეს მათი სარდალი ფურიუს ვიქტორინუსი. მდგომარეობა კრიტიკული გახდა...

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მარკუს ავრელიუსს მთელის არსებით სძულდა ომი. ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრისათვის ომი თითქოს თვითდადგინების ერთადერთი საშუალება იყო.^[41] მარკუს ავრელიუსი ომს უყურებდა, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპთა რღვევას, როგორც ბოროტი საწყისის დისკარმონიულ გამოვლენას სამყაროს მთლიან ჰარმონიაში. მაგრამ ამასთან, ის ორ კერპს სცემდა თაყვანს: მოვალეობას და რომს. მისი რომი კი უფსკრულის პირას იდგა, და, მაშასადამე, მას უნდა ეხსნა იგი. მაგრამ ხაზინა თითქმის ცარიელი იყო, არმია – დეზორგანიზებული. «Historia augusta»-ს ცნობით, შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი მოსახლეობისათვის ახალი მძიმე ბეგარა რომ აეცილებინა თავიდან, მარკუს ავრელიუსმა უკიდურეს ზომებს მიმართა: საჯარო ვაჭრობით გასაყიდად გამოიტანა საიმპერატორო სასახლეთა ძვირფასეულობანი. იყიდებოდა ყველაფერი: იმპერატორთა ოქრომკედით ნაქარგი ტუნიკები და ტოგები, მათ მიერ მრავალრიცხოვან ბრძოლებში სვიანად ხმარებული საომარი საჭურველი, იმპერატრიცების ძოწისფერი სტოლენი, ფასდაუდებელი სამკაულები, პატიოსანი თვლები, ხელოვნების შედეგები, ისტორიული სუვენირები. ფული ახალი ლეგიონებისა და მაშველი კოჰორტების (cohortes auxiliares) შექმნას ხმარდებოდა. შეაიარაღეს ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო: მონები, გლადიატორები,^[42] დიოგმიტები (პოლიციელები), კატორღელები და, რაკი თავისუფალმა რომაელმა მოქალაქეებმა, ფაქტიურად, უარი თქვეს ბრძოლაზე, გერმანელებთან საომრად დაიქირავეს გერმანელივე ბარბაროსები.

ორივე იმპერატორი თავად ჩაუდგა სათავეში არმიას. 167 წელს მათ ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაამარცხეს იტალიაში შემოჭრილი ბარბაროსები და ალპებს გადაღმა გადარეკეს ისინი. მაგრამ ფრონტის ხაზი უზარმაზარ ტერიტორიაზე – თითქმის მთელი დუნაის გასწვრივ იყო გადაჭიმული, რაც რომაელთაგან ძალთა დიდ დაქსაქსვას მოითხოვდა და ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა არ მოხერხდა. საომარი მოქმედების შემდგომმა მსვლელობამ დაარწმუნა მარკუს ავრელიუსი, რომ საბოლოო წარმატებისათვის აუცილებელი იყო ახალი ლეგიონების დაკომპლექტება. ამიტომ ის იძულებული გახდა დათანხმებოდა ლუციუს ვერუსის დაჟინებულ თხოვნას – ზავი შეეკრათო

ბარბაროსებთან – და 169 წელს იმპერატორები რომისაკენ გამოემართნენ. მაგრამ გზაში ლუციუს ვერუსს ეპილეპსიის მწვავე შეტევა დაემართა და სამი დღის შემდეგ მარკუს ავრელიუსის გვირგვინოსანი კოლეგა გარდაიცვალა.

ომმა ახალი ძალით იფეთქა 169 წლის შემოდგომაზე. აქედან მოყოლებული, მარკუს ავრელიუსის თითქმის მთელმა სიცოცხლემ დუნაისპირეთში – დღევანდელი უნგრეთისა თუ ავსტრიის ტერიტორიებზე, კარნუნტუმში, სირმიუმსა თუ ვინდობონაში განვლო. სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, იმპერატორი სტოიკური სიმტკიცით იტანდა ლაშქრობის უმძიმეს პირობებს და თავისი არმიის რიგით ლეგიონერებთან – ჰასტატუსებთან, პრინციპუსებთან და ტრიარიუსებთან (hastati, principes, triarii) ერთად იზიარებდა ჯარისკაცის ყოველდღიური ხიფათითა და განსაცდლით სავსე ცხოვრების მთელ ჭირ-ვარამს და სიძნელეს. ამიტომ არმიას უყვარდა ის და უყოყმანოდ ემორჩილებოდა მის ნება-სურვილს. კვადებსა და მარკომარებთან ომის დროს მარკუს ავრელიუსმა დაამტკიცა, რომ ის არა მარტო შესანიშნავი ორგანიზატორი იყო, არამედ დიდი მხედართმთავარიც. იმპერატორს საქმე ჰქონდა ძლიერ, ვერაგსა და დაუნდობელ მტერთან, რომელიც თავს არიდებდა გადამწყვეტ შეხვედრას და ცდილობდა მოულოდნელი თავდასხმებით მოექანცა და სისხლისაგან დაეწრიტა რომაელთა არმია. გერმანელების ამგვარ საომარ მოქმედებას მარკუს ავრელიუსმა ერთადერთი სწორი ტაქტიკური გეგმა დაუპირისპირა: ელვისებურ დარტყმებს, რომლებიც ბარბაროსთა მცირერიცხოვანი დაჯგუფებების ერთბაშად განადგურების გარდა სხვას არაფერს მოუტანდა რომაელებს, მან ერთიანი, გაშლილი ფრონტით შეტევა არჩია. იმპერატორი მიზნად ისახავდა კარპატებსა და ბოჰემიის მთებს გადაღმა გადაერეკა გერმანელები და, ამრიგად, ამ მძლავრი ბუნებრივი ზღუდეებით გაემაგრებინა იმპერიის ჩრდილო საზღვარი. ასე დაიწყო ხანგრძლივი და გაჭიანურებული, მაგრამ, ამასთან, ყოველგვარი შემთხვევითობისაგან დაზღვეული დუნაის კამპანია.

მარკუს ავრელიუსი პირადად ხელმძღვანელობდა საომარ ოპერაციებს. მთელი დღის ნაომარს, ნატანჯს, დაქანცულს და მშიერ-მწყურვალს, მას მხოლოდ საღამომობით შეეძლო განმარტოებულიყო თავის კარავში, რათა, შეძლებისდაგვარად, დაევიწყებინა ბრძოლების გულშემზარავი ეპიზოდები, ხმლების ჩახა-ჩუხი და ფარების ჟღერიალი, მეომართა ყიჟინი, დაჭრილთა გმინვა, გვამებით მოფენილი ბრძოლის ველი, სისხლის სუნი და ფერი... შორს იყო რომი. შორს იყვნენ მასწავლებლები და მეგობრები: არცერთმა მათგანმა არ ისურვა თან წაჰყოლოდა იმპერატორს, და ის თავისი «ნახევრად ველური ურდოებით» (hordes à demi sauvages – ასე უწოდებს რენანი რომაელთა ძალზე ბარბარიზებულ არმიას) მარტოდმარტო ებრძოდა ბარბაროსებს.

ჩრდილოური ზამთრის გულისგამაწვრილებლად გრძელსა და ნალვლიან ღამეებში თავის საზამთრო ბანაკში (castra hiberna) ჩაკეტილი ეს მარტოსული სენეკას მოძღვრის – სექსტიუსის მსგავსად თვითეული განვლილი დღის ანგარიშს ახარებდა საკუთარ სინიდის, ფიქრობდა ხალხთა ურთიერთბრძოლისა და ხოცვა-ჟლეტის უაზრობასა და ამაოებაზე, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე, კაცის ადგილზე სამყაროში, მის ბედსა თუ დანიშნულებაზე და, კომმარული ხილვებისგან თანდათანობით განთავისუფლებული, ოდნავ მბჟუტავი სანთლის შუქზე წერდა თავისი სულიერი ცხოვრების ინტიმურ დღიურს – «წარმართული სამყაროს ამ სახარებას» (L’Evangile du monde païen, V. Duruy). ასე იქმნებოდა «ფიქრები» (ბერძნ. τὰ εἰς ἑαυτὸν, ლათ. Ad se ipsum, სიტყვა-სიტყვით, – «საკუთარი თავისადმი») – ეს ჭეშმარიტი უნიკუმი არა მარტო რომაული, არამედ ბერძნული მწერლობის ისტორიაშიც, რადგან «ფიქრები» ბერძნულადაა დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ მარკუს ავრელიუსისთვის – «დაბადებით რომაელისთვის ბერძნული თითქოს უცხო ენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში საქმე სრულიადაც არ არის ასე. თუ ფრონტონთან მიმოწერისას იმპერატორი ლათინურს იყენებს, სამაგიეროდ, ის ბერძნულად წერს ყოველთვის, როცა თავის თავს ელაპარაკება და როცა მარტო რჩება საკუთარი სინიდისის წინაშე... მაგრამ აქ ჩვენ არაფერი არ გვაგონებს სიტყვებით თამაშს და აზრის ხელოვნურ ტრანსპოზიციას.»^[43]

მარკუს ავრელიუსი – რომაელი საზოგადოებაში და თავის პოსტზე, – ნამდვილი ბერძენია, როგორც მორალისტი და მოაზროვნე. სწორედ ამ ენით ამცნეს მომავალ იმპერატორს მისმა მოძღვრებმა წარუვალი სიკეთე და ზნეობრივი ქცევის წესები, მთელი სიბრძნე და მთელი სიქველე; სწორედ ამ ენაზე ელაპარაკება მას თავისი სინიდისი და ისიც, ინსტინქტურად, ამავე ენაზე ეპასუხება მას»^[44].

ჩვენ ვიცნობთ რომაული მწერლობის მეორე შედეგს, დაწერილს აბსოლუტურად მსგავს ვითარებაში – ბრძოლების ქარცეცხლსა და ორომტრიალში: იულიუს კეისრის «Commentarii de Bello Gallico»-ს («გალიის ომის ქრონიკები»), რომლითაც ასერიგად აღფრთოვანებულნი იყვნენ ტაციტუსი, მონტენი, ნაპოლეონი, მომზენი და სხვ. მაგრამ ესაა და ეს; ამით ამოიწურება მთელი «მსგავსება» ამ ორ უკვდავ ძეგლს შორის. «გალიის ომის ქრონიკები», რომელიც მომზენის თქმით, ისეთივე განსაკუთრებული მოვლენაა ლიტერატურაში, როგორც მისი ავტორი – ისტორიაში, შინაარსეულად თითქმის არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ საისტორიო თხზულებათაგან: ბრძოლების პერიპეტიები, პოლიტიკური ავანტურები, დიპლომატიური ინტრიგები, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული აღწერილობანი, – ასეთია «ქრონიკების» თემატური რკალი. მისთვის უცხოა ყოველგვარი სენტიმენტალური პათოსი,

ყოველგვარი სუბიექტივიზმი. კეისარი დიდი გულმოდგინებით ჩქმალავს საკუთარ პიროვნებას და როლს, ჩრდილში აყენებს თავისი დამპყრობლური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევებსაც, მაგრამ ეს მოჩვენებითი თავმდაბლობა და მიუკერძოებლობა, ისევე როგორც «ქრონიკების» ყოველგვარი ეფექტურობისაგან თავისუფალი სტილისტური ბრწყინვალეობა და სინატიფე, თხრობის ეპიური სიდარბაისლე, ლაკონიზმი და აუმღვრეველობა მხოლოდ ნაწილობრივ მალავენ მომავალი დიქტატორის ზუსტად გამიზნულ პოლიტიკურ ზრახვებს: პოპულარობის მოხვეჭა, აი, ამ წიგნის, ისევე როგორც კეისრის ყველა პოლიტიკური აქციის უშუალო მიზანი ამიტომ იყო, რომ კეისარმა თითქმის დაწერისთანავე (51 წ. ძვ.წ.ა.) გამოაქვეყნა იგი.

«ფიქრების» სახით ჩვენ სულ სხვა რიგის ფენომენთან გვაქვს საქმე. მარკუს ავრელიუსის პროზა, როგორც მართებულად შენიშნავს ერთგან აკ. გაწერელია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ მე-ზეა პროეცირებული და მხოლოდ შემდეგ – გარე სამყაროზე.^[45] აქ აბსოლუტურად დამლეულია ნივთიერი საგნებისა თუ სინამდვილის მოვლენების დამთრგუნველი ძალმოსილება, აქ ყოველგვარი მატერიალური დეტერმინიზმისგან თავისუფალი სული თავისი ჭეშმარიტი სიცოცხლით ცოცხლობს: «თვითონ საგნები ოდნავადაც არ ეხებიან სულს. სული მათთვის სავსებით მიუწვდომელია და მიუდგომელი. მათ არ ძალუძთ მისი შეცვლა, არც მისი აღძვრა, რადგან სული თვითონვეა თავისი თავის მცვლეელიც და მძვრელიც. ამიტომ ბჭობის რა სახესაც მიიჩნევს ის თავის ღირსად, ისეთი იქნებიან მისთვის გარემომცველი საგნებიც» (V, 19). მარკუს ავრელიუსის სულიერი ცხოვრება, მისი მრწამსი, აზრი და ფიქრი ყოველთვის ადამიანის სულისა და კოსმოსთან თუ კოსმიურ პროვიდენციასთან მისი მიმართების ირგვლივ კონცენტრირებული: «დროა შეიცნო, ბოლოს და ბოლოს, რომელი სამყაროს ნაწილი ხარ შენ და სამყაროს რომელი გამრიგის ემანაცია» (II, 4); «მიუბრუნდი შენი არსების, საერთო ბუნებისა და შენი მოყვასის წარმმართველ საწყისთ. შენი არსებისას, რათა სამართლიანობა შთაუნერგო მას; საერთო ბუნებისას, რათა გაიხსენო, ვისი ნაწილი ხარ შენ; შენი მოყვასისას, რათა შეიცნო, რა ამოდრავებს მას – უმეცრება თუ ცოდნა, და გულისხმაცო, რომ ის შენი თვისტომია და ნათესავი» (IX, 22).

ირგვლივ მძვინვარებდა ომის გრიგალი: მის თვალწინ თამაშდებოდა იმ გრანდიოზული ისტორიული დრამის პირველი აქტი, რომელსაც რენანი «რასათა დიდ ცვლას (une grande substitution des reces)» უწოდებს. სისხლისღვრისა და სისასტიკის ამ სრულ ქაოსში (bellum omnium contra omnes) ის ცდილობდა შეენარჩუნებინა სიმშვიდე და აუმღვრეველობა, რათა მის სულში საბოლოოდ არ

ჩამქრალიყო სამყაროული ჰარმონიის, კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და სიმართლის დიად პრინციპთა რწმენა:

«იყავი, როგორც კლდოვანი კონცხი, რომელსაც ღრიალით აწყდებიან ტალღები, ის კი მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარება» (IV, 49).

მან შესძლო ეს, და შესძლო უფრო უკეთ, ვიდრე ქრისტიანმა ანაქორეტებმა. «როცა ეგზალტირებული ქრისტიანები, ბოლოს და ბოლოს, მივლენ იმ დასკვნამდე, რომ უფლის სუფევის დამკვიდრება ამ ქვეყნად შესაძლებელია მხოლოდ უდაბნოში გაქცევის გზით, ამონიუსი, ნილი, პახომი და სხვები ყოველივე მიწიერისაგან განდგომას გამოაცხადებენ ცხოვრების უმაღლეს კანონად; მაგრამ თეზაიდის^[46] ეს მოძღვარნი თავიანთ განდგომილებაში ვერ მიაღწევენ იმ სიმაღლეს და სრულქმნილებას, რასაც მიაღწია მათმა გვირგვინოსანმა თანამოდემ^[47]. «ფიქრებს» რომ ანონიმური ძეგლის სახით მოეღწიათ დღემდე, ჩვენთვის, ალბათ, სამუდამოდ დაფარული დარჩებოდა, თუ როგორი ვნებები ბობოქრობდნენ მისი ავტორის ირგვლივ და რა ისტორიული კატაკლიზმები არყევდნენ მის სულს:

«შენ გკლავენ, ასო-ასო გგლეჯენ და გაგინებენ, მაგრამ განა ეს ხელს უშლის სულს შეინარჩუნოს სიწმინდე, სიბრძნე, ზომიერება და სამართლიანობა? ეს იმას ჰგავს, კამკამა წყაროს თავს წაადგეს ვინმე გულარძნილი და გინებით მოინდომოს მისი სიწმინდის წაბილწვა: წყარო მაინც არ მოიშლის წყაროობას, ანკარა და ამოდ სასმელი. თუმცა გინებით კი არა, მწვირითაც რომ ამოავსოს იგი, წყარო უმაღვე წარიტაცებს, წარეცხს უწმინდურს და ხელახლა დაიწმინდება. როდისღა მოისმენ შენს სულში ამ მარადმედინი წყაროს ჩუხჩუხს და არა შმორიანი ჭაობის სუნთქვას? როცა მალიმალ შეაფარებ თავს შენსავე სულს, ვნებათაგან, თავისუფალს, კეთილმოსურნეს, მარტივს და მართალს». (VIII, 51).

იმპერატორმა შესძლო ეპოვნა სიმართლისა და გულწრფელობის აბსოლუტურად ადექვატური ენა თავისი «მარტივი და მართალი სულის» ნებისმიერი მოძრაობის, მისი მიზნებისა და მისწრაფებების გადმოსაცემად. «მას არასოდეს უფიქრია თავისი სტრიქონებით გავლენა მოეხდინა სხვებზე ან გამოესწორებინა ისინი^[48]. აქედან – ის უღრმესი გულწრფელობა, რაც ინტუიტურად აღიქმება «ფიქრების» ყველა მკითხველის მიერ და რაც ასერიგად აკლია არაერთ ავტობიოგრაფიას თუ აღსარებას; აქედან – ფორმის უბრალოება და თავისუფლება; მარკუს ავრელიუსს არასოდეს უძებნია ფორმა, ისევე როგორც არ ეძებენ მას წიგნის კიდეზე მიწერილი

შენიშვნებისთვის... «ფიქრებისათვის» უცხოა რიტორიკული ფიგურები და სამკაულები. მაგრამ სიტყვა ზუსტად და ნათლად გადმოგვცემს არა მარტო აზრს, არამედ ამ აზრის მიღმურ სულიერ ფონსაც». [49]

მარკუს ავრელიუსის თეზაიდა მისივე სული იყო. მის წიგნს წითელი ხაზივით გასდევს სინამდვილის ტრაგიზმზე ამალღებული, თავის თავში განმარტოებული და ბედისწერასთან მოსაუბრე თუ საკუთარი სრულქმნილების, სიკეთისა და ღმერთის მიმართ მიმსწრაფი სულის თვითშეგონება თუ აღსარება, ხშირად მხოლოდ ოდნავ მოდიფიცირებული შინაგანი განსჯის სახით გადმოცემული:

«კაცნი განმარტოებას ეძებენ და სოფლის მყუდროებისკენ, ზღვათა ნაპირებისა და მთებისაკენ ეშურებიან შენც ამას ნატრობ და მიელტვი ყველაზე მეტად. მაგრამ ეს მხოლოდ უმეცრების და უმწიობის ნიშანია, მეტი არაფრის, რადგან შენ შეგიძლია ყოველ წამს განმარტოვდე შენსავე თავში. ხოლო ყველაზე მყუდრო და უშფოთველი სადგური, სადაც კაცს შეუძლია განმარტოვდეს, – სულია მისი... მაშ, მალი-მალ მიაშურე მაგ მყუდრო სადგურს და, ამრიგად, განაახლე შენივე თავი»... (IV, 3).

«როცა გარემოებათა დამთრგუნველი ძალი გაშფოთებს, მეყვსეულად შეეფარე შენსავე თავს, და, თუ აუცილებლობა არ გაიძულებს, ნუ დაარღვევ შენი სულიერი ცხოვრების მშვიდსა და თანაბარ რიტმს, რადგან, რაც უფრო ხშირად მიუბრუნდები ჰარმონიას, მით უფრო მკვიდრ წილს დაიდებ მასში» (VI, 11).

«განმარტოვდი შენსავე თავში: შენი წარმმართველი საწყისი თავისი ბუნებით თვითკმარია და საკუთარი მართლმოქმედებითა და მისგან გამომდინარე აუმღვრევლობით კმაყოფილი» (VII, 28).

მაგრამ მსგავსი აზრები მათი ავტორისთვის არასოდეს ქცეულან პასიურობის, უმოქმედობისა და ინერტულობის წყაროდ. არაფერი ისე უცხო არ არის მარკუს ავრელიუსისათვის, როგორც ნირვანა თუ კვიეტიზმი:

«პატივმოყვარე თავის სიკეთეს სხვათა მოქმედებაში ხედავს, განცხრომის ტრფიალი – თავის შეგრძნებებში, ბრძენი – საკუთარ მოღვაწეობაში» (VI, 51).

ხოლო მოქმედება მისთვის ბრძოლას ნიშნავდა და ისიც იბრძოდა როგორც შეშენოდა «მამრს, რომაელს, მოქალაქეს, მოკვდავს», იბრძოდა რომის გადასარჩენად, მისი დიდებისა და უკვდავებისთვის. მარკუს ავრელიუსის ტაქტიკური გეგმა, ბოლოს და ბოლოს, სრული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წარმატებით დაგვირგვინდა: 171 წელს ის მთელი თავისი არმიითურთ გადავიდა დუნაის

მარცხენა სანაპიროზე და, ამრიგად, მტრის ტერიტორიაზე გადაიტანა საომარი მოქმედების არენა. შევიწროებულმა მარკომანებმა ზავი ითხოვეს 172 წელს; 174 წ. მათ მაგალითს მიჰბაძეს კვადებმა, ხოლო 175 წ. – იაზიგებმაც. იმპერატორმა მიიღო ტიტული Germanicus Maximus. რომში, გერმანელებზე გამარჯვების აღსანიშნავად, აღიმართა მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება^[50]... მაგრამ იცოდა თუ არა იმპერატორმა ვისთან ჰქონდა საქმე? გრძნობდა თუ არა იგი, რომ ისტორიის ასპარეზზე გამოდიოდა სრულიად ახალი ძალა, რომელიც შესძლებდა მას, რაც თავის დროზე ვერ შესძლო დიდმა ჰანიბალმა: ძალა, რომელიც შემუსრავდა რომაელთა სამხედრო ძლიერებას და ზუსტად 300 წლის შემდეგ (476 წ.) სამუდამოდ დაამხოდა რომის იმპერიას? ძნელი წარმოსადგენია. და მაინც, ჩვენ გვანცვიფრებს მარკუს ავრელიუსის შორსმჭვრეტელობა: იმპერატორს სურდა შეექმნა დაკიის მოსაზღვრე ორი ახალი პროვინცია – მარკომანია (ბოჰემია) და სარმატია (გალისია), გერმანელი კოლონისტებით დაესახლებინა ისინი და, ამრიგად, ამ მძლავრი პლაცდარმით გადაეღობა გზა გერმანელთა მომავალი აგრესიისთვის.^[51] ეს იყო დიდი პოლიტიკოსის ჭეშმარიტად ბრძნული პროექტი, რომელსაც, რენანის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ვინ იცის, იქნებ კიდევაც ეხსნა იმპერიის მომავალი». მაგრამ ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. მოხდა სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ: სირიის პროკონსულმა, პარტიის ომის გმირმა ავიდიუს კასიუსმა იმპერატორად გამოაცხადა თავი. კასიუსს მიემხრო ეგვიპტე და აღმოსავლეთ პროვინციების მეტი ნაწილი. მარკუს ავრელიუსი იძულებული გახდა სასწრაფოდ მიეღო ბარბაროსთა მიერ შეთავაზებული ზავი^[52] და ფორსირებული მარშით (maxima itinera) ევლო აღმოსავლეთისაკენ.

ავიდიუს კასიუსი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როცა ანტონინუს პიუსის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობდა. უფრო გვიან ლუციუს ვერუსი ეჭვის თვალით უყურებდა მის მოქმედებას აღმოსავლეთში: «უფრთხილდი მას, – სწერდა ვერუსი მარკუს ავრელიუსს, – მას არაფრად ვეპიტნავებით ჩვენ... ის ცდილობს საჯაროდ გაგვამასხროს თავისი ჯარისკაცების თვალში და შენ სიბრძნისმეტყველ დედაბერს (philosopham aniculam) გიწოდებს, ხოლო მე – გარყვნილ შეგირდს, რომელიც სკოლაში სიარულის ნაცვლად საროსკიპოებში დაძვრება»... მარკუს ავრელიუსმა ასე უპასუხა: «შენი წერილი არ შეჰფერის არც შენს ღირსებას და არც ჩვენს მეუფებას. უკეთუ ღმერთები ხელმწიფობას აღუთქვამენ კასიუსს, ჩვენ უძღურნი ვართ თავიდან მოვიცილოთ იგი. ხომ გახსოვს ჩვენი პაპის (ე.ი. ჰადრიანეს, – ბ.ბ.) სიტყვები: «არავის მოუკლავს თავისი მემკვიდრე»... რაც შეეხება შენს რჩევას – მოვაკვლევინო კასიუსი და ამრიგად, უზრუნველვყო ჩემი შვილების მომავალი, – მე

ვამჯობინებ უმაღლესი დაილუპონ, თუკი სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ავიდიუს კასიუსი უფრო დიდხანს ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს, ვიდრე მარკუს ავრელიუსის ძენი»...^[53]

საუბედუროდ, ლუციუს ვერუსის ეჭვი გამართლდა. ვიდრე მარკუს ავრელიუსი დუნაის საზღვარზე ებრძოდა გერმანელებს, ეს მამაცი, ცბიერი და პატივმოყვარე მხედართმთავარი ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით და თანმიმდევრულად ავრცელებდა თავის გავლენას აღმოსავლეთში, ახშობდა აჯანყებებს^[54], გარს იკრებდა მარკუს ავრელიუსის პოლიტიკით უკმაყოფილო ელემენტებს და ფარულად ამზადებდა შეთქმულებას იმპერატორის წინააღმდეგ. 175 წელს, როდესაც ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია დამთავრებულად ჩათვალიდა, სირიის პროკონსულმა ხმა გაავრცელა – მარკუს ავრელიუსი გერმანელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს დაილუპაო და თავი იმპერატორად გამოაცხადა. სენატორებმა ერთსულოვნად დაჰგმეს ავიდიუს კასიუსის ღალატი და რომაელი ხალხის მტრად გამოაცხადეს იგი. მაგრამ მათი მხნეობა ამით ამოიწურა და ისინი უკვე გულისფანცქალით მოელოდნენ სირიის ლეგიონების გამოჩენას რომში, როცა შეიტყვეს, რომ, იმპერიის საკეთილდღეოდ, სამოქალაქო ომის (bellum civicum) საფრთხე თავიდან აცილებულ იქნა: ავიდიუს კასიუსი მისმავე ცენტურიონებმა მოკლეს^[55] და მისი თავი მარკუს ავრელიუსს მიართვეს, ხოლო ამ ამბით შეძრწუნებული მეამბოხენი სასწრაფოდ დაიშალნენ და გაქცევით უშველეს თავს. როდესაც კასიუსის სიკვდილი აუწყეს, იმპერატორმა გულწრფელი სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ სახელმწიფომ დაჰკარგა დიდი მხედართმთავარი, ხოლო პირადად მან – გულმოწყალების გამოჩენის შესაძლებლობა^[56]. მარკუს ავრელიუსის მრჩევლები, მეგობრები, სენატორები ერთხმად მოითხოვდნენ, რომ იმპერატორი სასტიკად გასწორებოდა ავიდიუს კასიუსის მომხრეებს და მისი ოჯახის წევრებს. მარკუს ავრელიუსი იმით დაკმაყოფილდა, რომ მამისეული მემკვიდრეობის ნახევარი ჩამოართვა კასიუსის შვილებს და რამდენიმე თვით აკრძალა სახალხო სანახაობათა გამართვა ამბოხებულ პროვინციების ზოგიერთ ქალაქში.

თავისი იმპერატორობის მანძილზე მან პირველად ამოისუნთქა ერთგვარი შვებით, პირველად მისცა თავის თავს მცირე ხნით შესვენების უფლება. ეწვია აღმოსავლეთს – ანტიოქიას და ალექსანდრიას, სადაც მარტოდმარტო, თანმხლებთა და სხეულის მცველთა გარეშე, ფილოსოფოსის უბრალო მოსასხამით დაეხეტებოდა ამ დიდი ისტორიული ქალაქების ხალხმრავალ ქუჩებში; ინახულა ათენი, სადაც გაფაფიცებით დაემბდა თავის სათაყვანებელი სოკრატესა და პლატონის ნაკვალევს და სადაც მან

ფილოსოფიის ახალი კათედრები დააარსა, რომლებსაც არამარტო სტოიციზმის, არამედ მისგან ძირეულად განსხვავებული ფილოსოფიური სისტემების, მათ შორის, სტოიციზმის აშკარა მოწინააღმდეგის – ეპიკურეიზმის პოპულარიზაცია უნდა გაეწიათ და დიდძალი თანხა შესწირა მათ. აქვე ეზიარა იგი ელევსინის როგორც მცირე, ისე დიდ მისტერიებსაც და მოკლე ხანში განვლო ინიციაციის (ზიარების) სამივე საფეხური: $\mu\eta\sigma\iota\varsigma$, $\tau\epsilon\lambda\epsilon\pi\eta$, $\epsilon\pi\omicron\pi\tau\epsilon\iota\alpha$ მარკუს ავრელიუსამდე ეს მაღალი პატივი ორადორ იმპერატორს – ავგუსტუსსა და ჰადრიანეს ხვდომია წილად, ხოლო მის შემდეგ – მხოლოდ ერთს: დიდი ქრისტიანი თეოლოგების – ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის წარმართ თანამედროვეს, მრავალტანჯულ ფილოსოფოსს იულიანე აპოსტატას («განდგომილს»^[57]).

რომისაკენ გამობრუნებულს გზაში მეუღლე გარდაეცვალა, კაპადოკიაში, მისი გარდაცვალების ადგილას, მარკუს ავრელიუსმა ფაუსტინას სახელობის ტაძარი ააგო, ხოლო რომში, ვენერას ტაძარში, სპეციალური საკურთხეველი აღმართა, სადაც რომაელი ქალწულნი თავიანთი ქორწილის დღეს მსხვერპლს სწირავდნენ დედოფლის ხსოვნას. «მე ყოველდღე ვლოცულობ ფაუსტინასთვის და უკვდავ ღმერთებს ვაკვებ მას», – სწერდა იმპერატორი ფრონტონს. კაპიტოლიუმის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ბარიელეფზე გამოსახულია დედოფალი, რომელსაც ცად მიაქროლებს მისი მფარველი გენია, ხოლო იქვე მჯდარი იმპერატორი სიყვარულით და სასოებით სავსე მზერას აყოლებს «თავისი ძვირფასი ფაუსტინას» აპოთეოზს... მაგრამ ქორწინების პირველი წლების შემდეგ, როცა მარკუს ავრელიუსი ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, მას აღარასოდეს ღირსებია ოჯახური სითბო და მყუდროება. «მისი მომხიბლავი სენტენციები, მისი მკაცრი სიქველე, მისი მუდმივი მელანქოლია და ზიზღი სასახლის კარის მიმართ, ალბათ, ძალზე მოსაწყენი ეჩვენებოდა ახალგაზრდა, თავნება ქალს, რომელიც დაუოკებელი ტემპერამენტითა და განსაცვიფრებელი სილამაზით გამოირჩეოდა. უკანასკნელი დროის სკრუპულოზურმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო იმ ცილისმწამებლურ ბრალდებათა უმრავლესობის უსაფუძვლობა, რომელთაც მარკუს ავრელიუსის მეუღლეს უყენებდნენ. მაგრამ საკმაოდ მძიმეა ბრალდებათა ის ნაწილიც, რაც კვლავ ძალაში რჩება: ფაუსტინას არ უყვარდა ქმრის მეგობრები; მან ვერ შესძლო შესულიყო მარკუს ავრელიუსის ცხოვრებაში; მისი ინტერესები თანდათან ამორებდნენ მას მეუღლისგან. კეთილი იმპერატორი ხედავდა ამას და იტანჯებოდა, მაგრამ სდუმდა. ამაოდ ცდილობდნენ მოტყუებულ ქმრად გამოეყვანათ იგი, ამაოდ გაჰყვიროდნენ კომედიანტები ფაუსტინას საყვარლების სახელებს, – იმპერატორს არაფრის გაგონება არ სურდა... თვით ცოლის სიკვდილის შემდეგაც კი ვერავინ შესძლო მისი გამოყვანა

ამ წმინდა თვითმოტყუებიდან... ბოლოს და ბოლოს, ის მთლიანად ჩაეფლო თავისსავე მიერ შექმნილ ილუზიებში და ყველაფერი დაივიწყა, მაგრამ რა ბრძოლის გადატანა მოუხდა მას, რათა ამ აუმღვრევლობისთვის მიეღწია! წლების მანძილზე მას ღრღნიდა და აწამებდა უთქმელი სევდა. თავგანწირული ძალისხმევა, რაც მისი ფილოსოფიის არსს შეადგენს და დაუოკებელი სწრაფვა თვითგანდგომისაკენ, რასაც იგი ზოგჯერ სოფიზმებამდე მიჰყავს, თავიანთი საბურვლის ქვეშ უზარმაზარ ჭრილობას მალავენ. ამ უკიდურესობამდე მისასვლელად მას უარი უნდა ეთქვა ბედნიერებაზე! ვერავინ ვერასოდეს ვერ გაიგებს, რას განიცდიდა ეს საბრალო, შეურაცხყოფილი გული, რამდენი იდუმალი ტკივილი იმალებოდა ამ ფერმკრთალ, ყოველთვის მშვიდსა და თითქმის მომღიმარე შუბლს მიღმა. თუმცა ბედნიერებასთან გამომშვიდობება სიბრძნის დასაწისია და ბედნიერებისავე მოპოვების ყველაზე სანდო საშუალება. არაფერია უფრო ტკბილი, ვიდრე სიხარულის დაბრუნება მასზე უარის თქმის შემდეგ. არაფერია უფრო ცოცხალი, უფრო ღრმა და გულისშემძვრელი, ვიდრე განხიზღულის ხელახლა მოხიზვლა და მოჯადოება (l'enchantement du desenchanté)»...^[58]

იმპერატორს ტრიუმფი მოუწყვეს რომში. 177 წ. მან თანამოსაყდრედ დაისვა თავისი ძე – ლუციუს ელიუს ავრელიუს კომოდუსი^[59]. იმავე წელს მოჭრილი მედლები მარადიულ მშვიდობას აღუთქვამდნენ რომაელ ხალხს. მაგრამ თქმულა – კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო. ერთ წელსაც არ გაევილო, რომ გერმანელებმა დაარღვიეს საზავო ხელშეკრულება, ხელახლა გადმოლახეს იმპერიის ჩრდილო საზღვარი და 178 წლის 5 აგვისტოს მარკუს ავრელიუსი იძულებული შეიქნა კვლავ დუნაისპირეთისკენ აეღო გეზი. მან უკანასკნელად დატოვა მარადიული ქალაქი, რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყო იქ.

მძიმე და უსიხარულო ცხოვრებამ ნაადრევად მოტეხა და დააბერა იმპერატორი. დიდიხანია მის ორგანიზმს ნელ-ნელა ფიტავდა კუჭის წყლული, სიცოცხლის ბოლო წლებში, ხშირად მთელი დღეებისა და კვირეების მანძილზეც კი, რამდენიმე მწიკვი თრიაქი იყო მთელი მისი საზრდოცა და ერთადერთი წამალიც^[60]. ჭამდა იშვიათად და ძალზე ცოტას... მარკუს ავრელიუსის სიცოცხლე თანდათანობით იქცევა მისი საბოლოო მიზნის – სიკვდილის ცდად და სამზადისად, თავის უკვდავ დიალოგში პლატონი ამბობს: «ჭემმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილისთვის ზრუნავენო მხოლოდ» («ფედონი», XII). ამიერიდან სიკვდილს ეკუთვნის ყველა მისი სწრაფვაც, ფიქრიც, ზრახვაც, გულისთქმაც:

«სიკვდილი ბოლოს უღებს ყოველგვარ აღქმას, ყოველგვარ ვნებას, რომელიც თავის სათამაშოდ გვაქცევს, აზრის ცთომას და მსახურებას სხეულის მიმართ» (VI, 28).

«მალე შენ დაივიწყებ ყველას და ყველანი, თავის მხრივ, დაგივიწყებენ შენ» (VII, 21).

«ზიზღით ნუკი ემსჭვალვი სიკვდილს, არამედ უდრტვინველად მიიღე იგი, როგორც ერთი იმ მოვლენათაგანი, რომელიც სასურველად უჩანს ბუნებას, რადგან სულისა და სხეულის გაყრა არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდთან დაკავშირებული ისეთი ბუნებრივი მოვლენებისგან, როგორცაა სიყრმე და სიბერე, ზრდა და სიმწიფე, კბილებისა თუ წვერის ამოსვლა, ჭადარის შერთვა, განაყოფიერება, ორსულობა, მშობიარობა და ასე შემდეგ... და როგორც ელი, როდის გამოვა შენი პირმშო მეუღლის საშოდან, ისევე უნდა ელოდე, როდის დაადწევს თავს შენი სული ხორციელი გარსის ტყვეობას» (IX, 3).

«მალე ყველაფერი, რასაც შენ ჭკრეტ, მიწად იქცევა, და ასევე მალე მიწად იქცევიან ამ მიწადქცევის მჭვრეტნი. ის, ვინც მიხრწნილებამდე იცოცხლა, რას წაიღებს ამ ქვეყნიდან იმაზე მეტს, ვინც ჯერ კიდევ ყრმა მიიზარა მიწამ?» (IX, 33).

«გამოწვლილვით განიხილე ყველა შენი ცალკეული მოქმედება და ასე ჰკითხე შენსავე თავს: ნუთუ სიკვდილი საშიშია მხოლოდ იმიტომ, რომ გვიხსნის და გვათავისუფლებს მათგან?» (X, 29).

და, აი, ეს მიხრწნილი, კარს მომდგარი სიკვდილის სუნთქვით დამზრალი ბერიკაცი ხელახლა უნდა აღდგომოდა წინ ბარბაროსთა ურიცხვ ურდოებს. ჩვენი ცნობები დუნაის მეორე კამპანიის შესახებ ძალზე მწირია. ვიცით მხოლოდ ის, რომ ომი თავდაპირველად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ შემდეგ რომაელებმა ზედიზედ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. კიდევ ორიოდე თვეც და II საუკუნის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საომარი კამპანია, ალბათ, რომაელთა სრული წარმატებით დამთავრდებოდა. მაგრამ არმიაში ხელახლა იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელმაც უფრო მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა, ვიდრე თვით ომმა. 180 წლის 10 მარტს იმპერატორი ავად გახდა. მან თვითონ დაუსვა თავის თავს სასიკვდილო დიაგნოზი; სასწრაფოდ იხმო კომოდუსი, უბრძანა ეზრუნა არმიისათვის და საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა ომი, მერე მეგობრებს და უკვდავ ღმერთებს შეჰვედრა იგი და თავის კარავში განმარტოვდა. შვიდ დღეს იწვა გულხელდაკრეფილი, ახლოს არ იკარებდა სასმელ-საჭმელს და უდრტვინველად უცდიდა სიკვდილს. სნეულის ცნობიერებაში სიკვდილი უკვე თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. «ფიქრების» დასკვნითი სტრიქონები ჩვენ გვესმის როგორც სულთათანა, რომელიც თავისი ტრაგიკული პათოსით, ისევე როგორც თავისი

ნათელი და ამაღლებული განწყობილებით, ასერიგად ენათესავებს ბოსიუეს სიტყვებს: «ო, სიკვდილო, შენ კი არ არღვევ ჩემს განზრახვებს, არამედ ასრულებ მათ. მაშ, მოვედ, სასურველო!.. nunc dimittis – აწ განმიტყვე» («მეორეს ქადაგება განწმენდისათვის»). მალე, ნახევრად ცნობამიხდილს, ბოდვა დააწყებინა. მისი ბიოგრაფის სიტყვით, იმპერატორის სული უკანასკნელად შეადრწუნა კომმარულმა, ჭეშმარიტად წინასწარმეტყველურმა ხილვამ: სიციხითა და შიმშილით დაბინდული გონების თვალთ მან იხილა – ქვეყნიერების ოთხივე კიდიდან დაძრულიყვნენ ბარბაროსები და ცეცხლითა და მახვილით მოიწვედნენ რომზე^[61]. მაგრამ მას მოდუნებულ მარჯვენას უკვე აღარ შეეძლო აღემართა თავისი «მშვენიერი მახვილი». 180 წლის 17 მარტს თავის დუნაისპირა რეზიდენციაში – ვინდობონაში (დღევანდელი ვენა) მარკუს ავრელიუსი გარდაიცვალა. ის მოკვდა როგორც ჯარისკაცი, – თავის პოსტზე. მარსის თვეში ავიდა ტახტზე და მარსის თვეშივე დაასრულა თავისი მრავალტანჯული სიცოცხლე.

მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა საყოველთაო და, რაც მთავარია, გულწრფელი იყო. ხალხს უყვარდა თავისი იმპერატორი. «ყველა, თავისი ასაკის მიხედვით. ძმას, მამას თუ შვილს ეძახდა მას»^[62]. მარკუს ავრელიუსის ზნეობრივმა სრულქმნილებამ, კეთილშობილებამ, სამართლიანობამ, სიმამაცემ და სიწმინდემ თავის ქვეშევრდომთა თვალში «იგი ერთგვარ წმინდანად აქცია... პოპულარობა, რომელიც ესოდენ ხშირად სრულიადაც არ შეესაბამება პიროვნების ნამდვილ ღირსებას, ყოველ შემთხვევაში, ამჯერად მაინც სავსებით დამსახურებული იყო. ყველაზე უკეთესი იმპერატორი ყველაზე უკეთ დააფასა ხალხმა»^[63]. მარკუს ავრელიუსის ცხედარი რომში გადაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს ჰადრიანეს მავზოლეუმში. მისი ბიოგრაფის სიტყვით, «ისე ღრმა იყო მოწიწება ამ დიდი მბრძანებლის მიმართ, რომ მისი დაკრძალვის დღეს, საყოველთაო მწუხარების მიუხედავად, არავის დაურთავს თავისთვის ნება, დაეტირებინა მისი ხვედრი; იმდენად დარწმუნებული იყო ყველა, რომ ის დაუბრუნდა ღმერთების ხომლს, რომლებმაც მხოლოდ დროებით დაუთმეს იგი მიწას. დაკრძალვის საზეიმო რიტუალი არც კი დამთავრებულიყო, რომ სენატმა და რომაელმა ხალხმა (senatus populusque Romanus) «კეთილმოწყალე ღმერთად» (Deus propitius) გამოაცხადეს იგი, რაც არ ნახულა მანამდე და არ განმეორებულა შემდეგ. მის პატივსაცემად ააგეს ტაძარი და დააარსეს ქურუმთა კოლეგია, რომელთაც ანტონინუსთა სახელები მიიღეს. არა მარტო მას მიაგებდნენ ღვთაებრივ პატივს, არამედ მკრეხელად სთვლიდნენ ყველას, ვისაც მისი გამოსაულება არ ედგა სახლში»^[64]. ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი, ფორმალური და ეფემერული აპოთეოზი. მარკუს ავრელიუსის ხატება

იმპერიის საბოლოო დაცემამდე შედიოდა ფამილიარულ თუ სახელმწიფოებრივ პენატთა – ოჯახური კერიისა თუ სახელმწიფო კეთილდღეობის მფარველ ღვთაებათა რიცხვში, ხოლო მისი ხსოვნის წინაშე კრძალვით იხრიდნენ ქედს იმპერატორები – სეპტიმიუს სევერუსი, დიოკლეტიანე, კონსტანტინე დიდი, იულიანე აპოსტატა და სხვ. მაგრამ მარკუს ავრელიუსის უკვდავება, უპირველეს ყოვლისა, მაინც «ფიქრებმა» განაპირობა. ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ წიგნზე, შევხეთ მისი შექმნის ისტორიას და მოკლედ მიმოვიხილეთ მისი სპეციფიკური მოტივები, მაგრამ თითქმის არაფერი გვითქვამს იმპერატორის მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების შესახებ. მარკუს ავრელიუსის, როგორც მორალისტისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობა, სამყაროს საიდუმლოებებსა თუ ადამიანის სულის უიდუმალეს ხვეულებში წვდომის მისეული მეთოდი პირწმინდად სტოიციკურია...

მოკლე რეტროსპექცია:

სტოელთა სკოლა^[65] ისტორიულად კინიკოსებს, ანუ სოკრატული დოქტრინის კინიკოსებისეულ ინტერპრეტაციას უკავშირდება, ისევე როგორც მისი თანამედროვე ეპიკურეიზმი^[66] კირენელებისგან, ანუ იგივე სოკრატული დოქტრინის კირენელებისეული ინტერპრეტაციისაგან იღებს დასაბამს. ს.ნ. ტრუბეცკოის სიტყვით, სტოიციკური ფილოსოფია მაშინ იწყებს აღმოცენებას, როცა პლატონისა და არისტოტელეს თეორიულ-ინტელექტუალური ძიებებითა და მათი დუალისტური ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობებით დაღლილი ბერძნული აზრი ისწრაფვის მთლიანი, მონისტური მსოფლმხედველობისკენ, რომელსაც შეეძლება დაიკავოს უკვე დაშრეტილი სარწმუნოების ადგილი და მყარ დოგმატურ საფუძველზე დააფუძნოს რაციონალური ეთიკის სისტემა. ამიტომ იყო, რომ სტოელები ფილოსოფიას განსაზღვრავდნენ, როგორც ზნეობრივი სრულქმნილების მიღწევისა და «სიქველემში გაწაფვის» (ἀσκησις ἀρετης) გზას. სტოელთა ფილოსოფიური სისტემა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:^[67] ლოგიკა, ანუ შემეცნების თეორია (შეესაბამება ეპიკურელთა კანონიკას); 1. ფიზიკა – სტოას ნატურფილოსოფია და 3. ეთიკა;^[68] მაგრამ ამ ნაწილებს შორის იმთავითვე დარღვეული იყო ის მჭიდრო, ორგანული კავშირი, რაც ასერიგად დამახასიათებელია პლატონისა და არისტოტელეს თავის თავში დასრულებული ფილოსოფიური სისტემებისთვის. ამრიგად, სტოიციკური ფილოსოფიის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბერძნული სისტემატიკური გენიის აშკარა კრიზისთან. ფილოსოფიური აზრი თანდათანობით სტოელებს მეტაფიზიკური სპეკულაციის სიმაღლეებს და მორალის საკმაოდ საინტერესო, მაგრამ შედარებით ვიწრო და პრაქტიკულ საკითხთა რკალით იფარგლება. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის რომაელი სტოიკოსების – სენეკას,

მეზონიუს რუფუსის, ეპიქტეტეს, მარკუს ავრელიუსისა და სხვათა მიმართ, რომელთა ფილოსოფიაში პრაქტიკულ პრობლემათა დომინანტობა უკვე სრულიად თვალსაჩინოა. მათი მტკიცებით, ფილოსოფია დისპუტების წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ ცხოვრების მასწავლებელი (*non disputandi causa, sed ita vivendi*). ფილოსოფიას სულ უფრო და უფრო ხშირად ადარებენ ბაღს, სადაც ლოგიკა ღობეა, ფიზიკა – ხეხილი, ხოლო ეთიკა – ამ ხეხილის ნაყოფი. ამგვარი ტენდენცია მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო, ერთის მხრივ, ძველ რომაელთა ფსიქიკური წყობით, მათი აქტიური ტემპერამენტიითა და პრაგმატისტული ბუნებით, რომელიც ყველაზე უმაღლეს სწორედ პრაქტიკულ ფილოსოფიაში პოულობდა თავის თავსა და თავისი მისწრაფებების ჭეშმარიტ გამოხატულებას, ხოლო, მეორეს მხრივ, ძველი ნაციონალური იდეალების მსხვერველი და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადირებით. მარკუს ავრელიუსის წიგნი იმ დიდი ისტორიული ეპოქის პირმშოა, როცა ძველი ცივილიზაციის კატასტროფა უკვე გარდუვალი ხდება, როცა იმპერიის ფიზიკურ არსებობას ბარბაროსთაგან წაღვევის საფრთხე ემუქრება, მის სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას კი – სწრაფად მზარდი ქრისტიანიზმი, როცა ძველი ღმერთები კვდებიან, ხოლო აღმოსავლეთით ახლად მოვლენილ ღმერთს ჯერ კიდევ არ დაუმკვიდრებია მათი ადგილი. ამ ეპოქის სული და საერთო განწყობილება კარგად გამოხატა დ. მერეჟკოვსკიმ მარკუს ავრელიუსისადმი მიძღვნილ პატარა ესეში. «არის შემოდგომის დღეები, – წერს რუსი მწერალი, – როცა ზაფხულის ჭექა-ქუხილმა უკვე გადიგრუხუნა, ხოლო თოვლჭყაპისა და ქარაშოტის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, როცა მოქუფრულ ჰაერში, მზის სუსტსა და ფერმიმკრთალ შუქზე საყოველთაო დაღლილობა, ნაზი სევდა და სიმშვიდე სუფევს, თითქოს ბუნება საბოლოოდ ურიგდებაო სიკვდილს»^[69].

ბუნებრივია, რომ ამ «შემოდგომის განწყობილებამ», საყოველთაო დაღლილობამ და ნაღვლიანმა პერსპექტივამ თავისი დაღი დაასვა მარკუს ავრელიუსის ენას, მისი აზროვნების მანერას და სტილს. ძველი სტოელების მკაცრ დოგმატიზმს, მათ ქედმაღლურ ზიზღს ადამიანური ბუნების ნებისმიერი სისუსტით მიმართ, მარკუს ავრელიუსთან ყოველგვარი დოგმატურობისგან თავისუფალი ექსპანსიური სინაზე და შემწყნარებლობა, მოყვასთა მიმართ სიყვარულისა და კაცთა საყოველთაო ურთიერთმშობის ნათელი იდეალები ენაცვლებიან. ეს სინაზე და სიყვარული მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად მაინც არბილებენ ძველი სტოიციკური პრინციპის – *sustine et abstine*^[70]-ს (დაითმინე და ეკრძალე!) პრიმიტიულ სიტლანქეს და თითქოს ახალი, ათასწილ უფრო ჰუმანური ფორმულით ცვლიან მას: *ama et adjuva!* (გიყვარდეს და დაეხმარე!). მაგრამ ძველი სტოელებისაგან მარკუს ავრელიუსს მარტო დოგმების უგულვებელყოფა კი არ განასხვავებს, არამედ მისი სრული

ასისტემატურობაც შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა ფრანგ მეცნიერს კონსტან მართას (Martha): «მარკუს ავრელიუსის წიგნი სტოელი ფილოსოფოსის ქმნილება კი არ არის, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტოიციკური გულმონწყალებისაო (de piété stoïque)»^[71]. იმპერატორი, ისევე როგორც მისი დიდი მასწავლებელი, რომელი მონა ეპიქტეტე, პირწმინდად მორალისტია; მაგრამ მისი მორალური მოძღვრების არსის გასაცხადებლად აუცილებელია სტოელთა თეორიული ფილოსოფიის, კერძოდ, მათი ფიზიკის გათვალისწინება, რომელსაც ის ემყარება და რომელზედაც თავის ზნეობრივ დოქტრინას აშენებს.

სტოელთა ფიზიკა, არსებითად, მატერიალისტურია. ისინი არ სცნობენ არც პლატონის ჰიპერურანულ-იდეალურ სამყაროს და არც არისტოტელეს მეტაფიზიკურ დუალიზმს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი იონიურ ჰილოძოიზმს უბრუნდებიან. «ჯერ კიდევ არისტოტელესთან მატერია და ფორმა, როგორც ყოველივე რეალურად არსებულის შემადგენელი ნაწილები, აბსტრაქციის პროდუქტებად გვევლინებიან: სინამდვილეში კი ისინი განუყოფელი არიან.

მატერიის მიმართ ეს აზრი თანმიმდევრულად გასდევს მთელს მის სისტემას: არ არსებობს მატერია ფორმის გარეშე. სხვაგვარადაა საქმე იქ, სადაც არისტოტელე ფორმას ეხება: ღვთაებრივი სული წმინდა ფორმაა, რომლისთვისაც უცხოა ყოველივე მატერიალური, – წმინდა აქტუალობა, პოტენციალობის ყოველგვარი მინარევის გარეშე. იგია თვით უძრავი პირველი მძვრელი და, ამავე დროს, მთელი სამყაროული პროცესის მიზანი. ეს არისტოტელესთან დუალიზმის გადმონაშთია. ძენონმა უკუაგდო ეს გადმონაშთი და, ამრიგად, სრული თანმიმდევრულობა მიანიჭა მოძღვრებას მატერიისა და ფორმის, სხეულისა და სულის კორელატურობის შესახებ».^[72] სტოელთათვის არსებობს მხოლოდ ერთი, მატერიალურ-სულიერი სუბსტანცია, რომელსაც შეუძლია მოქმედებდეს ან თვით განიცდიდეს მოქმედებას, – მარად ცოცხალი რაციონალური სტიქიონი, ანაქსიმენეს ჰაერისა თუ ჰერაკლიტეს ცეცხლის მსგავსი. მართალია, ყოფიერების პრინციპებად ისინი მიიჩნევენ პასიურ, უფორმო მატერიას (τό πασχόν) და აქტიურ, მაფორმებელ ძალას (τό ποιόν), მაგრამ ეს დებულება დუალისტური აზრით არ უნდა იქნეს გაგებული: მასში მხოლოდ ერთი და იგივე სუბსტანციის ორი ატრიბუტი იგულისხმება. სუბსტანცია ერთია, ის ყოველთვის ფორმირებული, ან, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი თავის შინაგან მაფორმირებელია. აქტიური პრინციპი – (τό ποιόν) სხვა არა არის რა, თუ არა კოსმიური მატერიისა და კოსმიური პასიურობის ინჰერენტული ფორმა და ენერგია. იგია ცეცხლოვანი სასიცოცხლო სული, სასიცოცხლო ძალა – პნემა (πνεῦμα)

რომელიც თავისი თანმიმდევრული შემკვრივებისა (ჰაერი, წყალი, მიწა) და შეთხელებების (ორთქლი, ჰაერი, ცეცხლი) აღმავალი თუ დაღმავალი გზით აყალიბებს და ასულიერებს სამყაროს. სუბსტანციის ერთიანობა განაპირობებს კოსმოსის ერთობას და მთლიანობას, სამყარო ერთი მთლიანი გიგანტური სხეულია, ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ფუნქციები სინამდვილის მოვლენებია, ხოლო ორგანოები – საგანთა და ცოცხალ არსთა სახეობანი. ამ ორგანული, უკვდავი მთელის (τὸ ἅλον) ყველა ნაწილი გონივრული და ჰარმონიული კავშირით ერწყმის და ეთანხმება ერთიმეორეს, ყველაფერი ურთიერთგანპირობებულია და გაწონასწორებული: «ყოველთვის უნდა იაზრებდე სამყაროს, – წერს მარკუს ავრელიუსი, – როგორც ერთ არსს- ერთარსებას და ერთი სულით მოსილს; ყოველთვის უნდა გახსოვდეს, როგორ დაიყვანება ყველაფერი მის ერთ შეგრძნებამდე, როგორ მოიქცევა ყოფად ყოველი მისი ერთ სწრაფვად ქცეული ნებით, როგორ იქცევა ყველაფერი ის, რაც არის, თანამიზეზად იმისა, რაც უნდა იქმნას და, დასასრულ, როგორია კავშირი და თანაფარდობა საგანთა შორის» (IV, 40).

«ერთი და იგივე ცხოველური სულია განწვალული უგონო არსთა შორის, ერთი და იგივე გონიერი სულია განწვალული გონიერ არსთა შორისაც, ისევე როგორც ერთია მიწა მიწიერთათვის, ერთია ნათელი, რომლითაც ვჭვრეტთ და ერთია ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ ჭვრეტის ნიჭსა და სუნთქვის უნარს ზიარებულნი» (IX,8).

ეს ერთიანი, არსთა უსასრულო სიმრავლეში განწვალული სამყაროს სული, რომელიც ისე განწონის ყველას და ყველაფერს, «როგორც სიმხურვალე – ცეცხლში გავარვარებული რკინის ნაჭერს», ან «როგორც თაფლი – ფიჭას» (მენონი), სტოელთა მსოფლგაგებით, იგივეა, რაც ჰერაკლიტესეული ლოგოსი, სამყაროს შინაგანი სიმართლე, მისი გონება, ანუ ღმერთი. მაშასადამე, სტოელთა ღმერთი ტრანსცენდენტური კი არ არის სამყაროს მიმართ, არამედ – იმანენტური. ასე რომ, სტოიციკური ფიზიკა, ამავე დროს, რელიგიაცაა და პანთეისტური თეოლოგიაც, რომელიც სინამდვილის ყველა ასპექტში ღვთაებრივი ძალმოსილების ცხოველმყოფელ გამოვლინებას ხედავს. ღმერთია ყველაფერში და ღმერთშია ყველაფერი, სამყაროს ფორმა და მატერია, ერთი და მრავალი, მთელი და ნაწილი, დასაწყისი, საშუალო და დასასრული:

«ყველაფერი ერთმანეთს ეწვნის, ყველაფერს წმინდა კავშირი ჰკრავს, და არა არის რა, შეიძლება ითქვას, რაიმე უცხო და უთვისტომო საგანთა და მოვლენათა ხომლში. რადგან ყველაფერს ერთი და იგივე წესრიგი აწესრიგებს და ყველაფერი ერთსა და იმავე სამყაროს ამკობს. და მართლაც, ერთია ყოვლისმომცველი სამყარო, ერთია ყოვლისგანმწონი ღმერთი^[73], ერთია არსი, ერთია კანონი, ერთია სული და გონება

ყველა სულდგმულის და ერთია ჭეშმარიტება, რაკი ერთია ყველა ერთგვაროვანი და ერთსა და იმავე გონებასთან წილნაყარი არსის სრულყოფილება» (VII,9).

ღმერთი სამყაროს სულია, ხოლო სამყარო ღმერთის სხეული, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ღმერთია კოსმოსის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური საწყისიც, მისი თესლი (σπέρμα), რომელშიც პოტენციალურად მოცემულია მთელი სამყარო და რომელიც თავისი უცვლელი ნებით წინასწარ განსაზღვრავს, წინასწარ განაპირობებს მთელი კოსმიური ევოლუციის პროცესს. აქედან – სტოელთა პროვიდენცია (πρόνοια) – სამყაროს უმაღლესი რაციონალური კანონი, რომელიც წარმართავს და მართავს ყველაფერს. მაგრამ მთელი ეს კოსმიური ევოლუციის პროცესი სხვა არა არის რა, თუ არა მიზეზ-შედეგობრიობის უსასრულო ჯაჭვი, სადაც ერთი მოვლენა მეორეს განაპირობებს, მეორე – მესამეს და ა.შ.^[74] ყოველი ქმნადობის ამ აუცილებელ, მწყობრსა და უწყვეტ მიზეზობრივ კავშირს სტოელნი უწოდებენ ბედისწერას (εἰμαρμένη). ამრიგად, ბედისწერა ღვთაებრივი პროვიდენციის გარეგნული გამოვლენაა მხოლოდ და მხოლოდ... მაგრამ თუ ყველაფერს ღვთაებრივი პროვიდენცია განაგებს და განაპირობებს, რითიღა აიხსნება ბოროტის არსებობა სამყაროში? სტოიციტური თეოდიცეა მარტივად წყვეტს საკითხს: ის, რაც ჩვენ ბოროტებად გვეჩვენება კაცური ბუნების ვიწრო თვალსაზრისით, სამყაროს სიდიადისა და ღვთაებრივი ლოგოსისათვის სრულიადაც არ არის ბოროტება. სტოელები ამ შემთხვევაშიც ჰერაკლიტეს ემყარებიან: «ღმერთისთვის ყველაფერი კეთილია, მშვენიერი და სამართლიანი; კაცნი კი ერთს სამართლიანად მიიჩნევენ, მეორეს – არასამართლიანად» (Diels, fragm. 102).

სამყარო ატომთა მექანიკური აგრეგატი, ელემენტთა შემთხვევითი კონგლომერატი კი არაა, როგორც ეპიკურელთათვის, არამედ მწყობრი სისტემა, ჰარმონიული მთელი – კოსმოსი. ამ ვრცელსა და უსასრულო სამყაროში არის მეორე, უფრო პატარა და სასრული სამყარო – კაცობრიობა, რომელიც ცალკეულ ინდივიდუუმთაგან შედგება. ადამიანი – უმაღლესი არსება ყველა სხვა არსთა შორის, თავისი კონსტიტუციით, თავისი ფსიქო-ფიზიკური წყობით იმეორებს სამყაროს მოდელს. კაცის სული სხვა არა არის რა, თუ არა კოსმიური სულის ნაწილი, ღვთაებრივი გონების ემანაცია, კეთილი დემონი, ანუ ღმერთი, მისსავ სხეულში დამკვიდრებული^[75], რომელიც წარმართავს მთელს მის არსებას და რომლის მეშვეობითაც ის უახლოვდება, ემსგავსება და ერწყმის კიდევ ღვთაებრივი ლოგოსს უკვდავსა და უხრწნელ ბუნებას: «თაყვანი ეცი უსრულქმნილესს მთელს სამყაროში, – ამბობს მარკუს ავრელიუსი, – ყოვლისმპყრობელს და ყოვლისგამრიგს. თაყვანი ეცი

უსრულქმნილეს თვითონ შენშიაც: ის პირველს ენათესავება, რადგან იგია მთელი შენი არსების მპყრობელიც და შენი გამრიგეც» (V, 21).

ამიტომაც, რომ მარკუს ავრელიუსი, ისევე როგორც ყველა სხვა ბერძენი თუ რომაელი სტოიკოსი, უმაღლეს ზნეობრივ პრინციპად, ბედნიერებისაკენ სწრაფვის უმაღლეს მიზნად გონების, ანუ, რაც იგივეა, **ბუნების თანახმად** ცხოვრებას სახავს. ცხოვრობდე ბუნების თანახმად, ნიშნავს დაუნდობლად თრგუნავდე შენში ხორციელ ვნებებსა და მდაბალ ინსტინქტებს, დაუცხრომლად იღვწოდე კაცთა სასიკეთოდ, გონების ხმას უთანხმებდე ყველა შენს ქცევას და, ამრიგად ხელს უწყობდე შენი უმაღლესი – გონივრული ბუნების თვითდადგინებას და თვითმყოფობას: «ყოველი არსის ბუნება თავისი თავით კმაყოფილია, როცა წრფელსა და ჭეშმარიტ გზას მისდევს. გონიერი არსების ბუნება კი ჭეშმარიტების გზას ადგას მაშინ, როცა არ იზიარებს წარმოდგენათა მცდარობას და ბუნდოვანებას, როცა თავისი სწრაფვის საგნად მხოლოდ საზოგადო სიკეთეს სახავს, როცა მიელტვის ან გაურბის მხოლოდ იმას, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და როცა უდრტვინველად იღებს ყველაფერს, რასაც საერთო ბუნება არგუნებს წილად» (VIII, 7).

ცხოვრობდე ბუნების თანახმად, ნიშნავს შეგნებულად, შენივე ნებით მორჩილებდე ღვთიური განგების უცვლელსა და აბსოლუტურ ძალმოსილებას, უდრტვინველად იღებდე როგორც სამყაროული ყოვლისქმნადობის ნებისმიერ შედეგს, ისე შენს წილხვდომილსა თუ თავსმოწევნადს და, ამრიგად, როგორც უფლის თავისუფალი თანამდგომი და თანამშრომელი, დაუცადებლად ამკვიდრებდე სამყაროში გონიერების უზენაესი პრინციპის სუფევას:

«... იზრუნე საერთო ბუნების ყველა მიზნის ხორცშესხმისთვის, როგორც შენი საკუთარი ხორცის, საკუთარი სხეულის სიმრთელისთვის ზრუნავ. ნებსით მიიღე ყველაფერი, რაც წილად გვხვდება, თუნდაც მიუღებლად მიგაჩნდეს იგი, რადგან სწორედ მას მივყავართ მიზნისაკენ, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სამყაროს სიმრთელე, ზევსის ძლევამოსილი სვლა და ზეიმი»... (V, 8).

მარკუს ავრელიუსის მთელი სიცოცხლე, მისი პირადი ცხოვრება თავად იყო «ბუნების თანახმად ცხოვრების» დიადი სტოიციკური პრინციპისადმი ერთგულების ნიმუში:

«მე ყოველთვის ბუნების გზას მივსდევ და ამ გზით ვივლი მანამ, სანამ არ დავეცემი და ჩემს სულს და სუნთქვას არ ჩავაბარებ მას, ვისითაც ვსუნთქავ და ვსულდგმულობ მარადღე; სანამ არ მივებარები მიწას, რომელმაც დასაბამი მისცა მამის თესლს, დედის სისხლსა და ძიძის რძეს; მიწას, რომელიც ამდენი წელია უშურველად მაჭმევს და მასმევს და რომელსაც ასე უმოწყალოდ ვქელავ და ვყვლეფ» (V, 4).

ბუნების თანახმად ცხოვრება ადამიანის ინდივიდუალური ბუნების ყოველმხრივი განვითარებისა და სრულქმნილების მიღწევის ერთადერთი საწინდარია. სრულყოფილებას, რომელსაც თავისი ბუნებრივი მონაცემების, ბუნებრივი შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარების გზით აღწევს კაცი, სტოელთა ენაზე სიქველე (ἀρετή; virtus) ჰქვია. ამრიგად, ბუნების თანახმად ცხოვრება იგივეა, რაც სიქველეში ცხოვრება. პლატონი სიქველეს უმაღლესი სიკეთის მიღწევის, მასთან თანაზიარების საშუალებად თვლიდა, სტოელთა სიქველე თვითმკმარია: სიქველის ჯილდო, სიქველის მიზანი თვით სიქველეა (virtutis praemium ipsa virtus):

«თუ შენ ჰქმენ სიკეთე, ხოლო შენმა მოყვასმა მოისთვლა ნაყოფი მისი, რაღას დაეძებ, რეგვენთა მსგავსად, რაღაც მესამეს, რასაც კეთილმოქმედის სახელსა თუ სიკეთის ჯილდოს უხმობენ კაცნი» (VII, 73).

მაგრამ, როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს, ჩვენ ტყუილუბრალოდ როდი ვაიგივებთ ერთიმეორესთან სიქველესა და სიკეთეს. თუ ძენონამდე სიკეთე უპირატესად ინტელექტის **ობიექტთან**, უზენაეს რეალობასთან იყო იდენტიფიცირებული, სტოიციზმი მიუბრუნდა მორალურ **სუბიექტს** და ჭეშმარიტ სიკეთედ მისივე სიქველე გამოაცხადა... ზემოთ უკვე ითქვა, როგორ უყურებდნენ, ან რითი ხსნიდნენ სტოელები ფიზიკური ბოროტების არსებობას სამყაროში, სხვაგვარად აფასებენ ისინი მორალურ ბოროტებას, რომელსაც **ბიწთან** (κακία; vitium) აიგივებენ. ზნეობრივი ბოროტება არ ეწინააღმდეგება უნივერსალური ევოლუციის საერთო მიზანდასახულობას და, ამდენად, არამართო გარდუვალია და აუცილებელი, არამედ საჭიროც, რადგან, ქრისტიანს თქმისა არ იყოს, უმისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა ჭეშმარიტი სიკეთე:

«ჩვენ ყველანი ერთი საერთო მიზნის ხორცშესხმას ვემსახურებით; ერთნი – ცოდნით და მიზნის შეცნობით, მეორენი – მის შეუცნობლად. ალბათ, ამიტომ ამბობს ჰერაკლიტე, რომ თვით მძინარენიც მუშაკობენ და ხელს უწყობენ სამყაროულ ყოვლისქმნადობას. მაგრამ ყველა თავისებურად მუშაკობს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ ქმნადობაში, ასე გასინჯე, მკრეხელსაც და მასაც, ვინც ცდილობს წინააღმდეგეს ქმნადს და არად აქციოს იგი. სამყაროს ასეთი კაცნიც სჭირდება. მაშასადამე, შენ თვითონ უნდა გადასწყვიტო, ვის მხარეს დადგე, ვის მიაკუთვნო თავი. სულერთია, ყოვლისგამრიგე მაინც ისე გამოგიყენებს, როგორც თვითონ მიიჩნევს უმჯობესად და თავის თანამოქმედად და თანამონაწილედ გაქცევს. მაგრამ, დაე, შენი მოწყალება ნუ ემგვანება კომედიის იმ სუსტსა და სულელურ ლექსს, რომელსაც იხსენიებს ქრისტიანე» (VI, 42).

მაშასადამე, კაცმა თვითონ, თავისივე თავისუფალი ნებით უნდა ირჩიოს, რა გზას დაადგეს: სიკეთისას თუ ბოროტებისას. მაგრამ აქ ისმის კითხვა: როგორ ეთანხმება ერთმანეთს, ერთის მხრივ, სტოიციკური ფატალიზმი – უნივერსალური აუცილებლობის ობიექტური კანონი და, მეორეს მხრივ, პიროვნების სუბიექტური ნების თავისუფლება? რადგან თუ ყველაფერი ღვთიური განგების – სამყაროს უცვლელი კანონის თანახმად ხდება, განგებისა, რომლის გარდავლენა, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, არავის ძალუძს, და თუ კაცი – უნივერსალური მთელის ნაწილი, ყველა სხვა ნაწილის მსგავსად, ამავე აუცილებლობას ექვემდებარება, რჩება კია მას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა? სტოელთა მიხედვით, – რჩება: «ნებაყოფლობითი მორჩილება ბედისწერის მიმართ» («praebere se fato») – პასუხობს სენეკა, თუმცა ამგვარი პასუხი თავისუფლების ჩრდილს უფრო უტოვებს კაცს, ვიდრე ნამდვილ თავისუფლებას (უფრო გვიან ნეტარი ავგუსტინე იტყვის «Servitus Dei est summa libertas»- «უფლის მონობა – აი, უმაღლესი თავისუფლება»). სტოელთა თვალსაზრისით, სანამ აუცილებლობა მიუწვდომელია ჩვენი გონებისათვის, ის ყოველთვის მაიძულებელი ფაქტორის როლში გვევლინება და მონურ მორჩილებას მოითხოვს ჩვენგან. მაგრამ საკმარისია კაცმა ბოლომდე შეიცნოს, ბოლომდე გაიცხადოს კოსმიური ბედისწერის გარდუვალობა, რომ მისი ნება მთლიანად შეერწყას ყოვლისგამრიგე განგების ნებას და ის მონიდან ღმერთივით თავისუფალ არსებად იქცეს. მაღლად მხედისთვის თავისუფლება იგივეა, რაც აუცილებლობა. სწორედ ეს მაღალი მრწამსია სტოელთა იდეალური ბრძენმომღვრის შინაგანი სიმშვიდის, აუმღვრელობისა და სიხარულის წყარო, რადგან, მეტერლინკის თქმისა არ იყოს, «მთელი განსხვავება სიხარულსა და ტანჯვას შორის სხვა არა არის რა, თუ არა სხვაობა, ერთის მხრივ, ნათელ თანხმობასა და, მეორეს მხრივ, პირქუშ მორჩილებას შორის» («სიბრძნე და ბედი», II); ამავე მრწამსითაა შთაგონებული «ფიქრების» შემდეგი სტრიქონები:

«სამყაროო! ყველაფერი, რაც ჰარმონიულად გეთვისება შენ, არც ჩემთვისაა დისჰარმონიული; ყველაფერი, რაც დროულია შენთვის, არც ჩემთვის დგება ძალზე ადრე, ან ძალზე გვიან. ბუნებაო! ყველაფერი, რაც შენს ალოთა ცვლაში მწიფს, ჩემდა სახმარად მწიფს; ყველაფერი შენს საშოში იღებს დასაბამს, შენში ჰგის, შენ გიბრუნდება, პიესის გამირი ამბობს: «ჰოი, კეკროპსის საყვარელო დედაქალაქო!» ნუთუ შენ არ იტყვი: «ო, საყვარელო ქალაქო ზევსის!» (IV, 23).

მაგრამ თუ სამყარო ორგანული მთელი, ჰარმონიული სისტემა კი არ არის, არამედ ატომთა მექანიკური კომბინაციების უბრალო ჯამი? და თუ ყველაფერს სტოელთა რაციონალისტური აუცილებლობა კი არ განაპირობებს, არამედ ეპიკურელთა

შემთხვევითობის ბრმა კოსმიური ძალა? როგორც უკვე ითქვა, მარკუს ავრელიუსისათვის უცხოა ყოველგვარი დოგმატიზმი; ამიტომ, რომ მის წინაშე ხშირად დგება ასეთი ალტერნატივა: «სამყარო ან მწყობრი სისტემაა, ან აღრეულობა და ქაოსი»... (IV, 27). «ან ყველაფერი ერთსა და იმავე სხეულში ხდება და, მამასადამე, ნაწილი არ უნდა დრტვინავდეს იმის გამო, რაც ხდება მთელში, ანდა არსებობენ მხოლოდ ატომები და სხვა არაფერი, გარდა ქაოსისა და განქარებისა»... (IX, 39).

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მარკუს ავრელიუსისათვის სამყაროს ორივე მოდელი ერთმანეთის ტოლფასი, ერთმანეთის ექვივალენტური იყოს:

«ან შერევა, შეზავება და განქარება, ან ერთობა, წესრიგი და ბედისწერა. თუ დავუშვებთ პირველს, მაშინ რაღამ დამაბას და დამაკაოს ამ მწვირესა და ამ ქაოსში? რაღას უნდა შევადგინო ჩემი სიცოცხლე, თუ არა ზრუნვას მოწევნადი «მიწად ქვევისათვის?» ან რიღასთვის უნდა ვიშფოთო? რადგან გარდუვალ განქარებას ვერ გავექცევი, რაც უნდა ვქნა ანდა ვეცადო. ხოლო თუ დავუშვებთ მეორეს, მაშინ, მტკიცედ მდგომი, თაყვანს ვცემ და ვესავ შემოქმედს» (VI, 10).

მაგრამ მაშინაც კი, როცა ვეთანხმებით ეპიკურელებს და მათთან ერთად ვაღიარებთ, რომ ჩვენ ჩვენდა უნებურად ვართ ჩათრეულნი შემთხვევითობის ბრმა კოსმიური ძალის უაზრო და უსაზმნო თამაშში, – მორალური ჭეშმარიტება, სიკეთისა და სამართლიანობის დამკვიდრების დიდი კანონი კვლავინდებურად ინარჩუნებს თავის აზრს და ღირებულებას, რაგან ის ისევე დამოუკიდებელია სამყაროს ნებისმიერი ინტერპრეტაციისაგან, ისევე თვითმყოფია და თავისთავადი, როგორც ჩვენი გონიერება – ამ ინტერპრეტაციის ავტორი:

«ან საბედისწერო აუცილებლობა და ურყევი წესრიგი, ან მრავალმოწყალე განგება, ანდა შემთხვევითობის სათარეშო, უაზრო და უსაზმნო ქაოსი. თუ საბედისწერო აუცილებლობა, – რა აზრი აქვს მასთან შენს ჭიდილს? თუ მრავალმოწყალე განგება, – მოიქეც ისე, რომ ღვთაებრივი შეწევნის ღირსი ჰყო თავი. ხოლო თუ შემთხვევითობის თავაწყვეტილი თარეში, – კმაყოფილი იყავ იმითაც, რომ ამ ქაოსსა და საგანთა ამ უაზროდ მბრუნავ მორევში შენ ერთი მაინც ინარჩუნებ გარკვეულ აზრს და წარმმართველ საწყისს. მაგრამ თუ ეს ქაოტური მორევი მაინც ჩაგითრევს, დაე, მან ჩაითრიოს შენი სხეული, სასიცოცხლო ძალა და მისთანანი, რადგან გონებას ის ვერ ჩაითრევს» (XII, 14).

ადამიანის, როგორც «გონიერი და ამ ქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი არსის» გონება კი ისეთივე იმპერატივია მისთვის, როგორც კოსმიური

ლოგოსი თუ პროვიდენცია – მთელი სამყაროსთვის. გონება ათავისუფლებს მას ეგოიზმის ვიწრო არტახებისგან და საზოგადოების, მთელი კაცობრიობის მიმართ უანგარო სამსახურს უწესებს ცხოვრებისა და მოქმედების უმაღლეს კანონად: «... შენი სამეუფო და კანონმდებელი გონების რჩევით, მხოლოდ კაცთა სასიკეთოდ უნდა იღვწოდე» (IV, 12), ამ ნათელი ალტრუისტული მიზნით შთაგონებული კაცი თითქოს ასე ესიტყვება საკუთარ თავს: «მე გავწყვეტ ჩემი პიროვნების ვიწრო არტახებს; მე აღვიქვამ უნივერსალურ ღმერთს, რომლის ერთი უმნიშვნელო ნაწილი ვარ მხოლოდდამხოლოდ, და ვიმოქმედებ ამ აღქმის თანახმად; მას მე კი არ ვუყვარვარ, არამედ მთელი; ამიტომ მეც ჩემი თავი კი არ მეყვარება, არამედ მთელი; მას ერთი კაცი კი არ შეუქმნია, არამედ ერთი და იგივე სოციალური ინსტინქტებით დაკავშირებულ და ერთსა და იმავე გონებასთან წილნაყარ კაცთა ერთობლიობა; ამიტომ მეც ჩემს თავს კი არ ვემსახურები, არამედ საზოგადოებას; ვემსახურები არა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისა თუ სახელის მოხვეჭის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თანამშრომლობისთვის ვართ შექმნილნი, «როგორც ხელები, ფეხები, ქუთუთონი, ზედა და ქვედა ყბები».^[76] ასეთი კაცი, მარკუს ავრელიუსის თქმით, «ვაზს მოგვაგონებს, რომელიც უშურველად გვთავაზობს სავსე მტევნებს და არაფერს მოთხოვს ნაცვლად, კმაყოფილი მარტოდენ იმით, რომ ბოლომდე მოგვცა თავისი სიტკბო. ასე რბის ცხენი, ასე ეძებს კვალს მეძებარი, ასე აგროვებს ფუტკარი თავლს. ამიტომ კაციც, კეთილი საქმის მოქმედი კაციც, საქვეყნოდ კი არ გაჰყვირის – აი, რა ვქმენო, არამედ უხმაუროდ გადადის მეორე საქმეზე, მსგავსად ვაზისა, რომელიც ყოველი ახალი სთვლისთვის ხელახლა ამწიფებს მტევნებს» (V,6).

თუმცა ამ ოპტიმისტურსა და სიცოცხლის დამამკვიდრებელ ტენდენციას არც თუ ისე იშვიათად ენაცვლება საყოველთაო სასოწარკვეთილებისა და პესიმიზმის ჭეშმარიტად ეკლესიასტური მოტივი. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ «ფიქრები» რომაული კულტურისა და ცივილიზაციის საერთო დეკადანსის ეპოქის პირმშოა, და რა გასაკვირია, თუ ამ ეპოქის ადამიანი უფრო ხშირად საკუთარ სისუსტეზე ფიქრობს, ვიდრე თავის სიდიადეზე:

«გახსოვდეს ყოვლად არსი, რომლის ესოდენ უმნიშვნელო ნაწილი ხარ შენ; მარადისობა, რომლისგანაც მხოლოდ ერთი წამი გხვდა წილად, მოკლე და მსწრაფლწარმავალი წამი; ბედისწერა, რომელშიაც შენც წილი გიძევს, მაგრამ რაოდენ უბადრუკი წილი!» (V, 24).

«გახსოვდეს ისიც, რომ ყველა სულდგმული მხოლოდ აწმყოთი სულდგმულობს, ამ ერთი უბადრუკი წამით. დანარჩენი კი ან წარსულს ეკუთვნის უკვე, ან მომავლის ბურუსითაა მოცული. უბადრუკია თვითეთულის სიცოცხლე, უბადრუკია მიწის

კუთხე, სადაც ის ცხოვრობს, უბადრუკია თვით ყველაზე ხანგრძლივი სიკვდილშემდგომი დიდებაც კი, რადგან მისი ხანგრძლივობა ადამიანთა რამდენიმე მსწრაფლწარმავალი თაობის სიცოცხლით ამოიწურება მხოლოდ, თაობისა, რომელსაც თავისი თავიც ვერ შეუცვნია, არამცთუ ასი ან ათასი წლის წინ მიცვლილი» (III, 10).

«აზია, ევროპა – მხოლოდ ორი წერტილია სამყაროში; მთელი ოკეანე – წვეთია სამყაროში; ათონის მთა – ქვიშის მარცვალა სამყაროში. მთელი აწმყო – წამია მარადისობაში. ყველაფერი უბადრუკია, ცვლადი, ხრწნადი და მსწრაფლწარმავალი» (VI, 36).

ყველაფერი უხანოა, უფასური და ეფემერული («... მე არ ვიცი, ამ წყვდიადსა და ამ მწვირეში, მატერიის, დროის, მოძრაობისა და თვით მოძრავ საგანთა ამ მუდმივ დინებაში, რა მიმაჩნდეს მუხლმოდრეკის ღირსად, რას ვცე თაყვანი», V, 10), ყოველი გრძნობად-კონკრეტული მხოლოდ წამით ეთიშება არარსებობას, რათა ამ წამის წარხდომისთანავე ხელახლა დაინთქას არყოფნის წიაღში («... დროის რა უბადრუკი მონაკვეთი ძევს მათ დასაბამს და დასასრულს შორის, რაოდენ უსასრულოა საუკუნეთა ის უფსკრული, რომელიც წინ უძღვის მათ დასაბამს და ისიც, რომელიც მოსდევს მათ დასასრულს»; – IX, 32); ჩვენ გარს გვარტყია უსასრულობა და მარადისობა. ჩვენ ვართ მარად უკვდავი მზის სხივნი და ზვარაკნი მარადიული ღამისა, რომელიც მალე შთანთქავს ამ სხივებს, მაგრამ როცა იმაზე ვფიქრობთ, რომ სწორედ ჩვენი, ისევე როგორც ყველა სხვა მოკვდავი ბუნების ცვალებადობა და წარმავლობა განაპირობებს სამყაროს უცვლელობას და უკვდავებას, – ჩვენი გარემომცველი უსასრულობა კი აღარ გვთრგუნავს, გვტანჯავს და გვსრესს, არამედ თავისი შეუმღვრეველი სიმშვიდისა და ძალმოსილების თანამოზიარებლად გვაქცევს და გვანუგეშებს:

«ყოვლისმპყრობელი ბუნება მალე სახეს უცვლის ყველაფერს, რასაც შენ ჰვრეტ; მისი არსისგან შექმნის სხვა საგნებს, მათგან კიდევ – სხვათ, და ასე შემდეგ, რათა მარადი სიჭაბუკე ახლდეს სამყაროს» (VII, 25).

«მკვდარი მხოლოდ ამ ქვეყნიდან გადის, არა სამყაროდან, ის იქ რჩება, რათა სახე იცვალოს და დაიშალოს შემადგენელ სტიქიონებად, რომელთაგანაც ითხზვი შენც და მთელი სამყაროც. სტიქიონებიც იცვლებიან, მაგრამ არ დრტვინვენ» (VIII, 18).

მამასადამე, არა დრტვინვა, მრისხანება ანდა გოდება, არამედ ჩვენი მოვალეობის, ადგილის და როლის შეგნება, თანხმობა და მორჩილება ბედისწერის კოსმიური კანონის მიმართ: «კაცი, რომელიც დრტვინავს ან უკმაყოფილებას გამოსთქვამს

ქმნადის გამო, შენს წარმოდგენაში უნდა ჰგავდეს სამსხვერპლო ბურვაკს, რომელიც ხელიდან გასხლტომას ლამობს და გულისწამლებად ჭყვირის მსხვერპლშეწირვის წინ. იგივე ითქმის იმ კაცის მიმართ, რომელიც, სარეცელზე გამოტოლი, თავის სიმარტოვესა და სიჩუმეში გულამოხვინჩვით დასტირის ჩვენს უბედობას. იფიქრე იმისათვის, რომ მხოლოდ გონიერ არსს ხელეწიფება ნებაყოფლობით ჰმორჩილებდეს ქმნადს და მოწევნადს; ლიტონი მორჩილება კი თანაბრად გარდუვალია ყველა არსათვის» (X, 28).

მაგრამ მორჩილებაც არის და მორჩილებაც. თავის ზემოთ უკვე ციტირებულ წიგნში მორის მეტერლინკი წერს: «მორჩილება მისაღები და მოსაწონია მხოლოდ სიცოცხლის ზოგად, გარდუვალ კანონთა მიმართ. იქ კი, სადაც შესაძლებელია ბრძოლა, – მორჩილება უმეცრების, უმწეობისა და ცუდად შენიღბული მცონარების როლში გვევლინება» («სიბრძნე და ბედი», LXV). ასეთია მარკუს ავრელიუსის მრწამსიც. სტოიციზმი, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლისა და მოქმედების ფილოსოფიაა. აქ მას ორგანულად ერწყმის ჩვენთვის ეგზომ ნაცნობი და მშობლიური მოტივი: «მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან»...

«ხშირად უსამართლობას სჩადის არა მარტო მოქმედი, არამედ უქმად მყოფიც (IX, 5).

«სიცოცხლე მოკლეა, ამიტომ სიმართლისა და კეთილგონიერების სამსახურს უნდა მოვახმაროთ აწმყო» (IV, 26); «ფასეულია მხოლოდ ერთი რამ: ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სამსახურს შეალიო შენი სიცოცხლე და შემწყნარებელი იყო ცრუმეტყველთა და უსამართლობის მოქმედთა მიმართ» (VI, 47).

«დაე ყოველი შენი სწრაფვა თუ მოქმედება საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას ისახავდეს მიზნად, რადგან ესაა ერთადერთი რამ, რაც შენს ბუნებას ესატყვისება» (IX,31); «...თუ ამას ვიქმ, ბედნიერი იქნება ჩემი ცხოვრების გზა, რადგან შეუძლებელია ბედნიერი არ იყოს მოქალაქე, რომელიც მთელი სიცოცხლე თანამოქალაქეთა სასიკეთოდ იღვწის და რომელიც სიხარულით იღებს ყველაფერს, რასაც მშობლიური ქალაქი არგუნებს წილად» (X, 6).

და როცა ჩვენ ერთმანეთს ვუდარებთ მარკუს ავრელიუსის «შინაგან და გარეგან ბედს» (მორის მეტერლინკის გამოთქმა) პარადოქსად აღარ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ეს მრავალტანჯული კაცი ბედნიერი იყო; ბედნიერი იყო მაშინ, როცა ფიქრობდა, რომ მისი ჰუმანური კანონები ოდნავ მაინც უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს ჩაგრულთა და მიუსაფართ, როცა ტრიუმფით ბრუნდებოდა რომში და თავისი თანამოქალაქეების სიხარულით გაბრწყინვებულ თვალებში კითხულობდა, რომ მისი სამშობლო კვლავ

თავისუფალია, და მაშინაც, როცა ახალ ჭეშმარიტებას პოულობდა თავისი თავისა და მთელი კაცობრიობისათვის.

ბაჩანა ბრეგვაძე

მარკუს ავრელიუსის ქმნილება თარგმნილია დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის თითქმის ყველა კულტურული ხალხის ენაზე. ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე არსებობს «ფიქრების» ათობით სხვადასხვა თარგმანი. ევროპაში ამ წიგნის პოპულარობაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: მარტო ინგლისში, XVII ს-ში «ფიქრები» 26-ჯერ გამოიცა, XVIII ს. – 58-ჯერ, XIX ს. – 81-ჯერ, ხოლო XX საუკუნის მარტო პირველ რვა წელიწადში (1908 წლამდე) – 30-ჯერ.

თარგმნისას ხელთ მქონდა «ფიქრების» შემდეგი გამოცემები:

1. Marc-Aurèle, Pensées, texte établi et traduit par A. I. Trannoy, preface d'Aimé Puech, Paris, 1925.

2. The Communicate with Himself of Marcus Aurelius Antoninus, a revised text and a translation into English by C.R. Heines, M. A. F. S. A., London, 1953 (IV გამოცემა). გარდა პარალელური ფრანგული და ინგლისური თარგმანებისა, რომლებიც თან ახლავს ორსავე ტექსტს, ვეერდნობი ს. როგოვინის რუსულ, ა. პიერონისა და ა.პ. ლემერსიეს ფრანგულსა და ა. მაუერსბერგერის გერმანულ თარგმანებს.

ფიქრები

წიგნი პირველი

1. პაპის ჩემის – ვერუსის^[77] წყალობით ვეზიარე ზნეთა სიწმინდეს, სიმშვიდეს და აუმღვრეველობას.
2. მამის^[78] დიდებისა და მისი კეთილი ხსოვნის წყალობით – სიმამაცეს და თავმოდრეკილობას.
3. დედის^[79] წყალობით – ღვთისმოსავობას, გულუხვობას და თავმოზღუდულობას არა მარტო ბოროტის ქმნის, არამედ ბოროტის ზრახვისგანაც; აგრეთვე უბრალოებას და სიძულვილს ყოველგვარი ფუფუნების მიმართ.
4. დედის პაპას^[80] ვუმადლი იმას, რომ სახალხო სკოლებში კი არ ვფლანგავდი დროს^[81], არამედ შინ მწვრთნიდნენ კეთილი მოძღვარნი და, ამრიგად, გულისხმავყავ, რომ მსგავსი სიკეთისათვის არაფერს უნდა ზოგავდეს კაცი.
5. გამზრდელს^[82] – იმას, რომ არც მწვანეთა მხარე მჭერია, არც ცისფრებისა^[83], არც თრაკიელი თუ გალიელი გლადიატორების^[84] ქომაგი ვყოფილვარ ოდესმე; რომ დვაწლისმძლე^[85] ვარ და მცირედის მკმარი; რომ სხვას არ ვაკეთებინებ იმას, რისიც თავად მმართველს კეთება, არც ერთდროულად ვეჭიდები მრავალ საქმეს და გულგრილი ვარ შესმენისადმი.
6. დიოგნეტემ^[86] ჩამინერგა ზიზღი წვრილმანებისადმი, აგრეთვე ურწმუნოება იმის მიმართ, რასაც სასწაულთმეტყველნი თუ მსახვრალნი ჩმახვენ სახვრის, ეშმათა განსხმისა და მსგავსთა შესახებ. მასვე ვუმადლი იმას, რომ არ ვასუქებდი მწყრებს^[87], სხვა ცუდმაშვრალთა მსგავსად; რომ მოთმინებიდან არ გამოვყავარ პირუთვნელ სიტყვას; რომ შევიყვარე ფილოსოფია და ვუსმენდი ჯერეთ ბაკხიუსს^[88], შემდეგ კი – ტანდასისს^[89] და მარციანუსს^[90]; რომ ადრე დავიწყე დიალოგების თხზვა და ადრევე^[91] აღმეძრა სწრაფვა საველე სარეცლის, ნადირის ტყავისა და ცხოვრების ელინური წესის სხვა ატრიბუტთა მიმართ.
7. რუსტიკუსმა^[92] დამანახა, რაზომ მმართველთა წრფელ-მეყო ჩემი ზნე და მეზრუნა მისი სიწმინდისათვის. მისი მეოხებაა მიზეზი იმისა, რომ არ გავიმსჭვალე

სოფისტიკის სულით, არ ვთხზავდი ლიტონ თეორიებს თუ შეგონებებს, არ ვცდილობდი მეთამაშა საზოგადო მოღვაწისა და სახალხო კეთილსმყოფლის როლი, არად ვაგდებდი რიტორიკას, პოეტიკას^[93], მჭევრმეტყველებას და ტოგამოსხმული^[94] არ ვსეირნობდი შინ; მისი მეოხებაა მიზეზი იმისა, რომ დღეს ისეთსავე უბრალო წერილებს ვწერ, როგორც მან მისწერა ერთხელ დედაჩემს სინუესიდან^[95]; რომ მზადა ვარ მაშინვე დავეზავო ჩემს შეურაცხმყოფელთ, როგორც კი შერიგების სურვილს შევატყობ მათაც; რომ ვცდილობ ღრმად ჩავსწვდე ყველაფერს, რასაც ვკითხულობ, და არ ვკმაყოფილდები თვალის მარტოოდენ ზერელე გადავლებით, რომ ადვილად არ ვერწმუნები ყბედთ, და, რომ, ბოლოს, გავეცანი «მოგონებებს ეპიქტეტეზე»^[96], რომელიც თავისი ბიბლიოთეკიდან მათხოვა მან.

8. აპოლონიუსმა^[97] ჩამინერგა თავისუფლების სიყვარული, მისი წყალობითაა, რომ არად ვაგდებ რამლის ყრას, არაფერს ვუწევ ანგარიშს, გარდა გონების ხმისა და არასოდეს არ ვდალატობ საკუთარ თავს – არც ტკივილის შემოტევის, არც შვილის დაკარგვის, არც სასტიკი სწეულებისას. ეს იყო კაცი, რომლის ბობოქარი ბუნებისათვის უცხო არ გახლდათ უსათუთესი ღმობიერება; ეს იყო კაცი, რომელსაც შეეძლო განსაცვიფრებელი მოთმინებით განემარტა შენტვის ყოველი, თუმცა, საკუთარ სიქველეთა შორის, ვფიქრობ, ყველაზე უმდაბლესად რაცხდა ცოდნის გადმოცემის თავის ჭეშმარიტად უბაღლო უნარს; და, ბოლოს, ეს იყო კაცი, რომელმაც მასწავლა, როგორ მიმელო მეგობრებისაგან ეგრეთწოდებული «სამსახური» ისე, რომ არც მათ მუდმივ მოვალედ ვქცეულიყავი და არც უმაღურივით ურცხვად გამეწბილებინა ისინი.

9. სექსტუსს^[98] უნდა ვუმაღლოდე იმას, რომ პირველმა მიჩვენა კეთილმოსურნეობის, პატრიარქალური ოჯახის მამობისა და ჭეშმარიტი სიღარბისლის იდეალი; მიჩვენა, როგორ მეცხოვრა ბუნებრივი ცხოვრებით^[99], როგორ გავფრთხილებოდი მეგობართა გრძნობებს, როგორ ამეტანა ცნობასუსტნი და უგუნურნი, როგორ შევწყობოდი ყველას და ყველაფერს. მისი პირდაპირობა ყოველგვარ პირმოთნეობაზე მეტად ხიბლავდა ადამიანებს, რომელნიც, ამასთან, უღრმესი კრძალვით ემსჯვალვოდნენ მას. ის მასწავლიდა, გულდასმით, მეთოდური თანმიმდევრობით მეკვლია და მწყობრ სისტემად ჩამომეყალიბებინა ცხოვრებისათვის აუცილებელი პრინციპები, მასწავლიდა, როგორ დამეოკებინა რისხვა, გინა რომელიც გნებავთ სხვა ვნება, როგორ დამეხსნა თავი ვნებათა ტყვეობისაგან, მაგრამ ისე კი, რომ არასდროს შემომღეოდა სიყვარული მოყვასთა მიმართ, როგორ დამენახა სხვათა სიკეთე და მექო ისინი,

მაგრამ ზომიერად, და, ბოლოს, როგორ გამერჩია ჭეშმარიტი სიბრძნე მოჩვენებითისაგან.

10. ალექსანდრე გრამატიკოსმა^[100] მასწავლა, არასდროს დამეგმო, არც განმეჭიქებინა ის, ვისაც ჩემთან საუბარში ბარბარიზმი წასცდებოდა, ან სხვა უმართებულო თუ უგვანი სიტყვა, მსგავს შემთხვევებში მე, მისი მიბადვით, ვცდილობ ვიხმარო მართებული გამოთქმა პასუხის, თანამოწმობის, საკვლევი საგნის (და არა სიტყვათხმარების) გამოწვლილვით განხილვისა თუ არაპირდაპირი შეგონების რომელიც გნებავთ სხვა, ასევე მართებული ფორმის სახით.

11. ფრონტონმა^[101] დამანახა, რაოდენი სიმდაბლის, მზაკვრობისა და პირმოთნეობის დასაბამია ტირანია და რაოდენ გულმხეცნი არიან ჩვენი პატრიციები.

12. ალექსანდრე პლატონიკოსს^[102] უნდა ვუმადლოდე იმას, რომ სხვებთან საუბრისას თუ მიწერ-მოწერისას, იშვიათად, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობის კარნახით თუ ვიმიზეზებ მოუცლელობას და, ამრიგად, «გადაუდებელ საქმეთა» საბაბით არ ვღალატობ ჩემს მოვალეობას მოყვასთა მიმართ.

13. კატულუსს^[103] – იმას, რომ უყურადღებოდ არ ვტოვებ მეგობრის დრტვინვას, თუნდაც უსაფუძვლოს, და ვცდილობ უწინდებურად კეთილი ურთიერთობა დავამყარო მასთან; რომ ისევე გულმხურვალე მადლიერებით ვემსჭვალვი ჩემს მოძღვართ, როგორც, გადმოცემით, დომიციუსი^[104] და ათენოდოტე^[105] ემსჭვალვოდნენ მათ, და რომ ჭეშმარიტი სიყვარულით მიყვარს შვილები.

14. ჩემმა ძმამ – სევერუსმა^[106] ჩამინერგა ოჯახის, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სიყვარული. მისი შემწეობით გავიცანი თრაზეა^[107], ჰელვიდიუსი^[108], კატონი^[109], დიონი^[110], ბრუტუსი^[111], და გულისხმაყვავ, როგორი უნდა ყოფილიყო საყოველთაო თანასწორობასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, რომელიც მოქალაქეთა თავისუფლებას მიიჩნევდა თავის უმაღლეს მიზნად. მასვე უნდა ვუმადლოდე იმას, რომ არასოდეს არ ვღალატობ ფილოსოფიას; რომ ქველმოქმედი ვართ და საბოძვარულევი; რომ მიყვარს ჩემი მეგობრები და მწამს, ასევე ვუყვარვარ მათაც. როცა ვისმე ჰგმობდა, ის არ მალავდა ამას, ასე რომ, მის მეგობრებს არ უხდებოდათ თავი ემტვრიათ იმაზე, ნეტა რა სურს, ან რა არ სურსო მას: ეს ისედაც ცხადი იყო ყველასთვის.

15. მაქსიმუსის^[112] წყალობით ვეზიარე თავდაოკების, გონება-განუბნეველობისა და სნებათა თუ ჭირთა თმენის უნარს, აგრეთვე მისი თაფლმწოლვარე ზნის სიქველეთ და სადღეისო საქმის დღესვე კეთების ჩვევას. რაც უნდა ეთქვა, არავის ეპარებოდა ექვი იმაში, რომ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა, და რაც უნდა ექნა, ყველას სწამდა, რომ არა ბოროტის ზრახვით იქმოდა ამას. მისი წყალობითაა, რომ არაფერს ძალუმს ამამღვრიოს ან განმაცვიფროს^[113]; რომ ჩემთვის ისევე უცხოა სულსწრაფობაც და მცონარებაც, როგორც კრთომა, ქედმოდრეკილობა, მრისხანება თუ მექველობა, და, რომ, ბოლოს, სულგრძელი ვარ, შემწყნარებელი, ქველის საქმეთა მოქმედი და ყალბის მოძულე. ეს იყო კაცი, რომელსაც ერჩია დღეს ყოფილიყო წრფელი, ვიდრე ხვალ ან ზეგ. ვერვინ იტყოდა მასზე, რა ქედმაღლურად დამყურებსო ზემოდან, მაგრამ ვერც ვერვინ დააყენებდა თავს მასზე მაღლა.

16. მამობილის^[114] წყალობით ვეზიარე თვინიერებას. ის მასწავლიდა, არასდროს მეღალატნა ხანგრძლივი ბჭობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისათვის, არად ჩამეგდო ფუჭი დიდება, მყვარებოდა შრომა და ყურადღებით მოვკიდებოდი ყველაფერს, რასაც ოდნავი სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო ერისათვის; მასწავლიდა, როგორ მიმეგო თვითეულისთვის მისი კუთვნილი, როგორ გამერჩია, სად მღმობელი ვყოფილიყავ, სად – უღმობელი, როგორ მომეკვეთა მამათმავლობის ბილწება და როგორ დავდებოდი მტლად ქვეყნის ინტერესებს. ის არ მოითხოვდა მეგობრებისაგან დღემუდამ პურისმტეობა გაეწიათ მისთვის, ანდა მიწყვი თან ხლებოდნენ მას მგზავრობისას. ხოლო როდესაც რომელიმე მათგანი საკუთარ საქმეთა მოსაგვარებლად დაეთხოვებოდა ხოლმე, იმპერატორი მუდამ ძველებურის ალერსით ხვდებოდა უკან შემოქცეულს. სათათბიროებში ის მოითხოვდა გამოწვლილვით განეხილათ ყოველი საქმე და არ ჩქარობდა ნაუცბათევად შეწმასნილი გადაწყვეტილებით დაესრულებინა მისი გარჩევა. ცდილობდა ბოლომდე შეენარჩუნებინა ერთხელ შეძენილი მეგობრები, გარნა თუ არასდროს ჰბეზრდებოდნენ ისინი, არც უსაზომო სიყვარულით ემსჭვალვოდა მათ. თვითკმარი იყო ყველაფერში და სულნათელი^[115]. განსაცვიფრებელი შორსმჭვრეტელობით ჭვრეტდა მერმისს და ითვალისწინებდა მყოფადის ყველაზე უმნიშვნელო მოვლენებსაც კი, თუმცა არასდროს იკვებნიდა ამით. სძაგდა მამებლობა^[116] და პირმოთნეობა. ერთგულად იცავდა ქვეყნის ინტერესებს, მომჭირნედ განაგებდა სახელმწიფო ხაზინას და არ შიშობდა, ვაითუ სიძუნწეში ჩამომართვანო ეს. მისთვის თანაბრად უცხო იყო ცრუმორწმუნეობაც და პირში თნეაც; ამიტომ არ ელაქუცებოდა, არც თავს უყადრებდა ბრბოს. მიწყვი მხნესა და გონებაფხიზელს თავდავიწყებით უყვარდა მშვენიერება და სძულდა გატკეპნილი გზით სიარული.

რაც შეეხება სასალუქოდ სახმარ საგნებს, რომლებიც აგრე გვიმოკოზენ და გვიმსუბუქებენ ცხოვრებას, – და რომლებიც ბედმა არ დაიშურა მისთვის, – ის ცდილობდა უბრალოდ, ყოველგვარი ყალბი თავმომწონეობის გარეშე აელო თავისი წილი მისგან, რაც ებადა, და მტკივნეულად არ განიცდიდა იმის არქონას, რაც არ გააჩნდა. ვერვინ იტყოდა მასზე, სოფისტიკო, მასხარა^[117] და პედანტი, რადგან მისი შორსმჭვრეტელობა, სრულქმნილება, თნებაშეუვალობა და როგორც სხვების, ისე საკუთარ საქმეთა მოგვარების ჭეშმარიტად უებრო უნარი არვის აძლევდა ამის თქმის საბაბს. ეგეც არ იყოს, ის უსაზღვრო პატივისცემით ემსჭვალვოდა ჭეშმარიტ ფილოსოფოსთ, ხოლო რაც შეეხება დანარჩენთ, მართალია, არარაობად შერაცხვის ღირსად არ მიაჩნდა ისინი, მაგრამ არც თავს ატყუებინებდა მათ. ბუნებით ლაღს უყვარდა ხუმრობაც, მაგრამ არა წრეგადასული. ჯეროვანი ყურადღებით უვლიდა და უფრთხილდებოდა საკუთარ სხეულს, მაგრამ არა როგორც სოფლისა და სოფლიურ სიამეთა მოყვარე, არამედ როგორც სიფაქიზისა და სიჯანსაღის ტრფიალი. ასე, საკუთარ თავზე ზრუნვის წყალობით, მან, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია იმას, რომ იშვიათად თუ მიმართავდა მკურნალს, ან შინაგან თუ გარეგან წამლებს. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ქედმოდრეკილობა ბრძენთა მიმართ: ის თავყვანს სცემდა ყველას, ვინც შესძლო სრულქმნილებისათვის მიეღწია მჭევრმეტყველებასა, კანონთა, გინა ადათ-წესების ცოდნასა თუ სიბრძნის რომელიც გნებავთ სხვა დარგში: და არა მარტო თავყვანს სცემდა, ცდილობდა კიდევ თვითთულისთვის უშურველად მიეგო კუთვნილი. მტკიცედ იმარხავდა მამა-პაპათა ანდერძს, თუმცა ბრმად როდი მისდევდა მათ. სძულდა დაუდგრომლობა და ფუჭი ფუსფუსი; ამიტომ შეეძლო ხანდაზმით დარჩენილიყო ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იგივე საქმით გართული. თავის ტკივილის სასტიკი შემოტევების შემდეგ, ის, თითქოს ფრჩხილიც არ სტკენიაო, განახლებულის ძალით ჰკიდებდა ხელს მისთვის ჩვეულსა და საყვარელ საქმეს. ცოტა ჰქონდა საიდუმლო და დაფარული, და რაც ჰქონდა, ისიც სახელმწიფო საიდუმლოება გახლდათ – არა პირადი. არასდროს გადადიოდა ზომიერებისა^[118] და კეთილგონიერების ზღვარს, არც სახალხო სანახაობათა გამართვის, არც სრა-სასახლეთა შენების, არც საბომვრის გაცემისას, როგორც შეჭვერის კაცს, რომელსაც კეთილის ქმნისას მხოლოდ ის აინტერესებს, რისი ქმნაც ხამს, და არა კეთილი სახელი, ეგ მუდმივი თანამდევი კეთილმოქმედთა. ყოველდღიური ბანით არ ანებივრებდა ტანს^[119] არ იტაცებდა სრათა შენება, არ იწუნებდა ღარიბულ სუფრას, არც უბრალო სამოსს და ნაკლებად დაგიდევდათ, სახიერი მონები მსახურებდნენ თუ უსახურნი^[120]... არა იყო რა მასში უხეში, უხამსი და თავაშვებული, მოკლედ, ისეთი, რაზეც შეიძლებოდა «მეტისმეტიაო» ეთქვა კაცს. პირიქით, ყველა ნაბიჯი წინასწარ მოზომილი ჰქონდა, გულდასმით გამოთვლილი

და გაანგარიშებული. მის მიმართ თამამად შეიძლება გადავმეორებინა სიტყვები, რომლებითაც ბერძნები ახასიათებდნენ სოკრატეს: მას თანაბრად შეეძლო როგორც განრინება, ისე გემება მისი, რისი განრინებაც ასე უმძიმთ ადამიანებს და, პირიქით, რის გემოსხილვასაც ასე ხარბად მიელტვიან ისინი, ხოლო თმენა და გამძლეობა ერთ შემთხვევაში, ზომიერება და თავმოზღუდულობა – მეორეში, ნიშნებია ჭეშმარიტად სრულქმნილი და ურყევი სულისა. ასეთი იყო ის მაქსიმუსის ავადმყოფობის დროს.

17. ღმერთებს უნდა ვუმაღლოდე იმას, რომ კეთილი წინაპრები მყვანან, კეთილი მშობლები, კეთილი და ^[121], კეთილი მოძღვარნი, კეთილი სახლელუნი, ნათესავნი და მეგობრები, ერთის სიტყვით, თითქმის ყველა თავისიანი, და რომ არასდროს შეურაცხმიყვია რომელიმე მათგანი, თუმცა, ჩემი ზნის პატრონს, ალბათ, არ გაუჭირდებოდა მოემდურებინა მოყვასი, თუკი, რა თქმა უნდა, შემთხვევაც შეუწყობდა ხელს. მაგრამ უკვდავთა გულმოწყალებამ თავიდან ამაცლა გარემოებათა ისეთი დამთხვევა, რომელსაც შეეძლო ვემხილებინე. მათი მეოხებაა მიზეზი იმისა, რომ დიდხანს არ ვიზრდებოდი პაპის ხარჭასთან, რომ უმანკოდ გავატარე ყმაწვილკაცობა და ნაადრევად კი არ დავკაცდი, პირიქით, ერთგვარად დავიგვიანე კიდევაც ამ მხრივ. მათივე წყალობაა ისიც, რომ ჩემი უშუალო წინამძღოლი იყო იმპერატორი და მამა, რომელსაც სურდა აღმოეფხვრა მემკვიდრის სულიდან ყოველგვარი მზვაობა და სანაცვლოდ უბრალოება და თავმდაბლობა ჩაენერგა მისთვის. ის მასწავლიდა, შეიძლება სასახლის კარზე ცხოვრობდეს კაცი, მაგრამ არ საჭიროებდესო სხეულის მცველთ, არც მდიდრულ სამოსს თუ მაშხალებს, ქანდაკებებს და სხვა მისთანათ, რადგან სასახლის მკვიდრსაც ხელეწიფების თურმე მდაბიორივით უბრალოდ იცხოვროს, მაგრამ ისე კი, რომ ამ უბრალოებას არ უმსხვერპლოს ჰეგემონის მოვალეობანი, რომელთაც ხალხი და სახელმწიფო აკისრებს მას. მათვე უნდა ვუმაღლოდე იმასაც, რომ მყავდა ძმა ^[122], ვისი ზნეობრივი სრულყოფილება მიწვივ მისაბაძი იყო ჩემთვის და ვისი სიყვარული და პატივისცემა ჩემდა მომართ ასერიგად მხიბლავდა მე; რომ ჩემს შვილებს ჯანსაღი სული უდგათ ჯანსაღ სხეულში; რომ ბევრს ვერაფერს მივაღწიე რეტორიკასა, პოეტიკასა და ცოდნის ზოგიერთ სხვა დარგში, რომელთათვისაც, წარმატების შემთხვევაში, ვინ იცის, იქნებ კიდევაც გამესაკუთრებინა თავი; რომ უშურველად ვსძღვნიდი ჩემს მოძღვართ ყველაფერს, რასაც, როგორც ჩანს, მიელტვოდნენ ისინი და მართოდენ ფუჭი დაპირებებით არ ვიყოლიებდი მათ: ნუ სულსწრაფობთ, მოესწრებით-მეთქი ჩემგან ავსებას, ჯერ ისევე ვარდდაუმჭკნარნი; რომ გავიცანი აპოლონიუსი, რუსტიკუსი და მაქსიმუსი, და რომ, ბოლოს, სრულად გავიცხადე ბუნებრივი ცხოვრების არსი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ღმერთებმა, თავის მხრივ, არ დაიშურეს არაფერი – არც წყალობა და ნიჭთა ნიჭება, არც შეწევნა და ზემთაგონება, რათა მე დაუბრკოლებლად

გავყოლოდი ბუნების გზას. და თუ არაერთგზის მქცევია მხარი, ამაში ბრალი მე მიმიძღვის მხოლოდ, რადგან არად მივიჩნევდი ხშირად მათ ნიშებს, თუმცა რის ნიშებს, უნდა მეთქვა: მათ მცნებებს-მეთქი. ღმერთების შეწევნითაა ისიც, რომ მიუხედავად ასეთი ცხოვრებისა, ჩემი სხეული დღემდე ერთგულად მემსახურება. რომ სიახლოვეს არ გავკარებივარ ბენედიკტას და თეოდოტეს^[123] და შემდეგშიც სწრაფად განვიკურნე ეროტიულ გულისთქმათაგან; რომ რუსტიკუსზე ხშირად შემომწყრალს არა მიკადრებია-რა მისთვის ისეთი, რაც, შესაძლოა, სახანებლად მქცეოდა შემდეგ; რომ დედაჩემმა, რომელსაც ეწერა სრულიად ახალგაზრდა მომკვდარიყო, ჩემს გვერდით გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები; რომ არ მახსოვს, გლახაკთა და უპოვართა გაკითხვის მსურველს, ოდესმე შემომღეოდეს გასაკითხი, ანდა თავად გამჭირვებოდეს ისე, რომ სხვას დავსესხებოდი უღონოქმნილი; რომ ასერიგად მორჩილი ცოლი^[124] მყავს, უბრალო და ვნებაუღევი; რომ ჩემს შვილებს არასდროს შემოჰკვლებიან კეთილი მოძღვარნი და მზრდელნი. და ბოლოს, ღმერთებს უნდა ვუმაღლოდე იმასაც, რომ ძილშიგან გამიმჟღავნეს, როგორ მომეკვეთა სისხლის ღებინება პირიდან, ხოლო კაეტას^[125] მყოფს, მისნის პირით მამცნეს თავბრუსხმის წამალი. რომ მას შემდეგ, რაც ფილოსოფიას გავუსაკუთრე თავი, გაქნილ სოფისტს არ ჩავუვარდი ხელში, არ გამიტაცა ისტორიული ტექსტებისა და სილოგიზმების ანალიზმა, არც ციური მოვლენებისა თუ ვარსკვლავთმრიცხველობის შესწავლამ. რადგან ყველაფერ ამას მხოლოდ ღმერთების შეწევნითა და ზედის წყალობით თუ ეწევა კაცი.

დაიწერა კვალების მხარეში, გრანუის პირას .

წიგნი მეორე

1. დილაადრიან ასე არქვი საკუთარ თავს: დღეს შევეყრები აბეზარს, უმაღურს, მზვაობარს, გულღრძოს, მოშურნეს, მზაკვარს. ყველა ამ ბიწით უმეცრებამ შემოსა ისინი, უმეცრებამ კეთილისა და ბოროტისა. მე კი, მას შემდეგ, რაც შევიცან ბუნება კეთილისა – ის მშვენიერია, ბუნება ბოროტისა – ის სასირცხვოა, და ბუნება თვით მცთომისა – ის ჩემი ნათესავია , მაგრამ არა სისხლით და ხორცით, არამედ სულსა და ღმრთეებასთან თანაზიარების წყალობით, – ჭემმარიტად აღარ ძალმიძს რაიმე

ვივწო რომელიმე მათგანისაგან, რადგან აღარვის ხელეწიფების სირცხვილულ-მყოს ამიერიდან; აღარ ძალმიძს შევრისხო ან მოვიძულო ჩემი მოყვასი, რადგან ჩვენ თანამშრომლობისა და თანამოღვაწეობისთვის ვართ შექმნილნი^[129], როგორც ხელები, ფეხები, ქუთუთონი, ზედა და ქვედა ყბები. ამიტომ ურთიერთ წინააღდგომა ბუნების წინააღმდეგ აღძვრასა ნიშნავს. მაგრამ ვინც გმობს და გაურბის მოყვასს, წინააღმდეგომიც იგია მისი.

2. რაც უნდა ვიყო, მაინც ეს ვარ მხოლოდ და მხოლოდ: ხრწნადი სხეული, სასიცოცხლო ძალის^[130] მკრთალი გამოვლენა და შინაგანი მძლოლი^[131]. შეეშვი წიგნებს, ნულარ გარე-მიიქცევი საქმეთაგან, დრო აღარ ითმენს. ისმინე ეს და, ვით მოკვდავმა, შეიზიზღე შენი სხეული – მტვერში აზელილი სისხლი და ძვლები, ნერვების, ძარღვებისა და არტერიების ხრწნადი ქსოვილი. განჭვრიტე აგრეთვე სასიცოცხლო ძალის ბუნება: ის მშვინვაა და ქროლვა ქარის, მაგრამ არა მიწყვი ერთგვაროვანი, არამედ წამითი-წამად ცვლადი ერთობა ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის. რაღა გმთება? მხოლოდ მესამე, მხოლოდ შინაგანი მძლოლი. იფიქრე მისთვის! შენ უკვე ბებერი ხარ^[132]. ნულარ დაუშვებ, რომ მას უწინდებურად თრგუნავდნენ და თოჯინასაებრ თავის ნებაზე ათამაშებდნენ პირადული მისწრაფებანი; ნულარ დაუშვებ, რომ ის კვლავ დრტვინავდეს აწმყოს გამო და თრთოდეს მომავლის შიშით შემკრთალი.

3. ღმერთებისეული, ღმერთების მიერ ყოფად მოქცეული^[133] ბედისწერიტაა^[134] სავსე. მაგრამ არც შემთხვევითი და შემთხვევისეული მოიქცევა ყოფად ბუნების ანდა მასთან კავშირის გარეშე, რასაც მართავს და წარმართავს ბედისწერა. ყველაფერი ამ წყაროდან იღებს დასაბამს; მასთანვეა წილნაყარი გარდუვალი და ისიც, რაც სიკეთედ ეფინება მთელს სამყაროს, რომლის ნაწილიც ხარ შენ. სამყაროს ყოველი ნაწილისთვის კი სიკეთე იქნება ის, რასაც არსებობას ანიჭებს საერთო ბუნება^[135] და რაც მისი თვითმყოფობის მწეა და მხსნელი. ხოლო სამყარო თავს იხსნის და ინახავს როგორც სტიქიონტა, ისე რთულ სხეულტა ცვალებადობის წყალობით. აი, აზრები, რომლებიც უნდა იკმარო და უცილობელ დოგმებად მიიჩნიო ამიერიდან. ხოლო რაც შეეხება წიგნებს, ტავი ანებე მათ ჩხრეკას და დაიოკე ცნობისწადილი, უკეთუ გსურს დრტვინვით კი არა, სიხარულიტ და ღმერთების მიმართ მადლობის წირვით შეეგებო კარს მომდგარ სიკვდილს.

4. გაიხსენე, რა ხანია, რაც სამერმისოდ სდებ სადღეისოს, რამდენგზის სთხოვე «მაცალეთო» ღმერთებს და რამდენგზის გაცალეს მათაც, მაგრამ ერთხელაც არ

ისარგებლე ამით. კმარა! დროა შეიცნო, ბოლოს და ბოლოს, რომელი სამყაროს ნაწილი ხარ შენ და სამყაროს რომელი გამრიგის ემანაცია; დროა შეიცნო, რომ შენი სიცოცხლე წამია მხოლოდ, და თუ ამ წამით არ ისარგებლებ, ის გაქრება, ისევე როგორც გაქრები შენ, და აღარასოდეს შემოიქცევა უკან.

5. დაუცადებლად იზრუნე მისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ისე, როგორც შეჭვერის რომაელს და მამრს – ჭეშმარიტი სიდინჯით და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებით და სიმართლით; ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი. შენ შესძლებ ამას, თუ ყოველ საქმეს აღასრულებ, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში: ყოველგვარი სიშლეგის, აზრის საუფლოს წინაშე ვნებისეული ძრწოლის, პირმოთნეობის, თვითმოყვარეობისა და ბედის მომდურაობისაგან თავდახსნილი და თავისუფალი. ხომ ხედავ, რა ცოტა რამ კმარა იმისთვის, რომ ნეტარებას და ღვთაებრივ არსებობას ეზიაროს კაცი. რადგან თვით ღმერთებიც, ჭეშმარიტად, სხვას არას მოითხოვენ მისგან, ვინც მტკიცედ იცავს და იმარხავს ამ ორიოდე მცნებას.

6. შეურაცხად-ჰყავ, შეურაცხად-ჰყავ^[136] შენი თავი, ო, სულო ჩემო! ცოტაც და შენ ვეღარ შესძლებ პატივი სცე შენსავე თავს. ისედაც მსწრაფლწარმავალი შენი სიცოცხლე სიკვდილად მიწურვილა უკვე, შენ კი არად აგდებ საკუთარ თავს და სხვათა სულებში დაეძებ შენს წილხვდომილ ბედნიერებას.

7. დე, ნუ გაგფანტავს, ნუ გაგაბნევს ის, რაც გარესკნელიდან შემოდის შენში. ეცადე თვითვე მოიპოვო მოცალეობა, რათა ეზიარო რაიმე კეთილს და თავი ანებო უმიზნოდ ხეტიალს. უნდა ერიდო მეორე მძიმე ცთომილებასაც; რადგან ჭეშმარიტად შლეგია ის, ვინც ნიადაგ ფუსფუსებს, იღწვის, რუდუნებით ქანცგაწყვეტილი, მაგრამ მაინც არ გააჩნია გარკვეული მიზანი, რომლისკენაც მიმართავდა ყველა სწრაფვას, ყველა გულისთქმას.

8. ძნელია ჰპოვო კაცი, ვინც უბედურად თვლიდეს თავის თავს მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღებას არ აქცევდა სხვის სულისკვეთებას. მაგრამ უთუოდ უბედური იქნება ის, ვინც თვალყურს არ ადევნებს საკუთარი სულის მოძრაობას.

9. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, როგორია სამყაროს ბუნება და როგორია ბუნება შენი, როგორ მიემართება ეს უკანასკნელი პირველს და რომელი მთელის რა ნაწილია იგი^[137] გახსოვდეს: არავის ძალუმს ხელი შეგიშალოს იმაში, რომ ყოველთვის მოქმედებდე და მსჯელობდე ბუნების თანახმად, ბუნებისა, რომლის ნაწილიც ხარ შენ.

10. სხვადასხვაგვარი შეცოდების შეფასებისას (რამდენადაც, საერთოდ, შესაძლებელია ასეთი შეფასება) თეოფრასტე^[138], როგორც შეშვენის ჭეშმარიტ ფილოსოფოსს, მართებულად შენიშნავს, რომ ჟინს აყოლილის ნებისმიერი შეცოდება უფრო მძიმეა^[139], ვიდრე რისხვით ცნობამიხიდილის. მართლაც, გონებისგან რომ გარე-მიდრკება, ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, გარკვეულ სიმწარეს განიცდის და იდუმალ იტანჯება კიდევ, მაშინ როდესაც ჟინს აყოლილი, რომელსაც არ ძალუძს წინააღმდეგს განცხრომის სურვილთ, თავის მოქმედებაში უფრო მეტ სიმდაბლესა და დიაცურ სისუსტეს იჩენს. ამიტომ, ასევე მართებულად და ჭეშმარიტი ფილოსოფოსის პირდაპირობით, თეოფრასტე დაასკვნის, რომ უფრო მეტი გმობის ღირსია განცხრომის სურვილთან წილნაყარი შეცოდება, ვიდრე სიმწარესთან წილნაყარი დანაშაული. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში, შემცოდე უსამართლობის მსხვერპლს უფრო ჰგავს, რომელსაც სწორედ ეს უსამართლობა აღუძრავს რისხვას, მეორეში კი, პირიქით, შემცოდე თვითონ ისწრაფვის უსამართლობისაკენ, საკუთარი ვნებების სათამაშოდ ქცეული, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედებისათვის აღძრავენ მას.

11. ყველაფერი აკეთე, ყველაფერზე იფიქრე და იმსჯელე ისე, თითქოს ყოველ წამს მოელოდე, რომ ეგ წამიც წარხდება და დასრულდება შენი სიცოცხლეც. თუ ღმერთები არსებობენ, რაღას შიშობ გამოაკლდე ცოცხალთა რიცხვს: როგორ გგონია, განა ღმერთები ბოროტს შეგამთხვევენ შენ? ხოლო თუ ღმერთები არ არსებობენ, ანდა თუ ჩვენ არ ვარსებობთ მათთვის, მაშინ მითხარი, რა აზრი აქვს ქვეყნად სიცოცხლეს, ქვეყნად, სადაც არ არიან ღმერთები, ან განგება და ბედისწერა? მაგრამ ღმერთები არსებობენ და გვმფარველობენ კიდევაც ჩვენ. მათ ჰყვებს ისე, რომ მთლიანად კაცზე ჰკიდია, დაინთქება თუ არა ის ჭეშმარიტ ბოროტებაში. ხოლო თუ ბოროტება სულ სხვა რამეა, მათ იმისთვისაც იზრუნეს, რომ თვითეულ ჩვენგანს შეეძლოს თავიდან აცილება მისი. მაგრამ ის, რაც უარესს არ ჰყოფს კაცს, განა შეიძლება უარესს ჰყოფდეს კაცის სიცოცხლეს? დედაბუნება არ დაუშვებდა ამას, არც უმეცრების (რაკი ყოვლისმცოდნეა) და არც იმის გამო, თითქოს ყოვლისმძღეს არ შეეძლო ამ სიმრუდის აცილება თავიდან, ანდა მისი წრფელყოფა მაინც. მას ასევე არ შეეძლო, უმწეობისა თუ უუნარობის გამო, დაეშვა ისეთი მძიმე შეცდომა, როგორიცაა სიკეთისა და ბოროტების განურჩევლად განაწილება კეთილთა და ავკაცთა შორის. ხოლო სიკვდილი და სიცოცხლე, სახელი და უსახელობა, ტანჯვა და შვება, მორჩეულობა და სიგლახაკე – ყველაფერი ეს თანაბრად მოდის კეთილთა და ბოროტთა წილად; ყველაფერი ეს არც საშვენია და არც სასირცხვო, მაშასადამე, – არც სიკეთე, არც ბოროტება.

12. რაოდენ სწრაფად ქრება ყოველი: თვითონ სხეულები – სამყაროში, მათი ხსოვნა – მარადისობაში. როგორია ბუნება მისი, რასაც გრძნობებით აღვიქვამთ ჩვენ, ან რაა ის, რაც განცხრომას გვიქადის, რაც სატანჯვლის შიშით გვაშინებს, ანდა რასაც განადიდებს ფუჭი მზვაობა? რაოდენ უბადრუკი, ზიზღის ღირსი, ბილწი, ხრწნადი და მსწრაფლმწარმავალია ყოველივე ეს. აი, საითკენ უნდა მიმართო აზროვნების უნარი! რას წარმოადგენენ ისინი, რომელთა შეხედულებანი და ხმები დასაბამს აძლევენ^[140] ქვეყნიურ დიდებას? რაა სიკვდილი? თუ ავიღებთ მას თავისთავად და ჩამოვამორებთ ყველაფერს, რაც საუკუნეებს შეუთხზავთ მის გამო, უმაღლე დარწმუნდები, რომ ის სხვა არა არის რა, თუ არა ბუნების ერთი ქმედებათაგანი^[141], ხოლო უგუნურებაა – გეშინოდეს ბუნების ქმედებისა, სიკვდილი კი არა მარტო ბუნების ქმედებაა, არამედ მისთვის სასარგებლო ქმედებაც. როგორ ან თავისი არსების რომელი ნაწილით ეახლება და ერწყმის კაცი ღმერთს? ან რა მოსდის ამ ნაწილს მისი განცალკევების შემდეგ?

13. არა არის რა ქვეყნად უფრო საწყალობელი, ვიდრე კაცი, რომელიც გარდიგარდმო ჩხრეკს ყველაფერს და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, «გულდასმით იკვლევს ქვესკნელის უკუნს»^[142] – ეგების ამ გზით გავიმჟღავნოო მოყვასის სულის საიდუმლო, მაგრამ რომელსაც ვერ შეუცვნია, რომ მისთვის სავსებით საკმარისია, თანაეზიაროს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს^[143] და პირნათლად ემსახუროს მას. ეგ სამსახური კი ვნებათა მძლავრობის, სიმლეგისა და ღვთაებრივ თუ კაცურ საქმეთა მიმართ უკმაყოფილებისაგან მის დაცვას გულისხმობს. მართლაც, ღმერთთა საქმეებს თავყანს ვცემთ მათი სრულქმნილების გამო, კაცთა საქმენი კი გვხიბლავენ თანანათესაობის ძალით. მაგრამ ეს უკანასკნელნი ზოგჯერ სიბრალულს იწვევენ ჩვენში: კერძოდ მაშინ, როცა მათში ცნაურდება უმეცრება კეთილისა და ბოროტისა – სიმახინჯე არა ნაკლები, ვიდრე ხინჯი, რომელიც თეთრისა და შავის გარჩევის უნარს გვიხშობს.

14. თუნდაც ღრმად გწამდეს, სამი ათას წელს ვიცოცხლებო და კიდევ ოცდაათი ათასს, სულერთია, მაშინაც კი უნდა გახსოვდეს, რომ არავინ არ ჰკარგავს სხვა სიცოცხლეს, გარდა იმისა, რომლითაც ცოცხლობს და არავინ არ ცოცხლობს სხვა სიცოცხლით, გარდა იმისა, რომელსაც ჰკარგავს. ამიტომ ყველაზე უფრო დღეგრძელი სიცოცხლე არაფრით არ განსხვავდება ყველაზე უფრო დღემოკლისაგან. მართლაც, აწმყო ხომ ერთია ყველასთვის, მაშასადამე, ერთია დანაკარგიც; წუთიერია ყველაფერი ამ საწუთროში. არავინ არ კარგავს არც წარსულს და არც მომავალს, რადგან ვის ძალუმს წაგვართვას ის, რაც არ გაგვაჩნია?^[144] ყოველთვის გახსოვდეს

შემდეგი ორი ჭეშმარიტება: ჯერ ერთი, დასაბამითვე ყველაფერი ერთი და იგივეა, ყველაფერი ერთი და იგივე – წრიული გზით მიმოიქცევა და ამიტომ სულერთია, რამდენ ხანს უჭვრეტ ამ ერთსა და იმავე სპექტაკლს – ასი, ორასი თუ უსასრულოდ მრავალი წლის განმავლობაში. მეორეც, უდღემოკლესი, ბოლოს და ბოლოს, იმასვე ჰკარგავს, რასაც ყველაზე უფრო დღეგრძელი. აწმყო – აი, ყველაფერი, რაც შეიძლება დაჰკარგო, რადგან მხოლოდ აწმყოს ჰვლობ შენ, ხოლო არავინ არ კარგავს მას, რასაც არა ფლობს.

15. ყველაფერს შეხედულება განაპირობებს. ამას ცხადჰყოფს კინიკოსი მონიმი^[145]. მაგრამ ცხადია ისიც, რომ მისი სიტყვებით სარგებლობას შესძლებს მხოლოდ ის, ვინც გონების ღრმადმხედველი თვალთ ჰკვრეტს მათს ჭეშმარიტ არსს.

16. ყველაზე მეტ სირცხვილს კაცის სული იმოსავს, ჯერ-ერთი, მაშინ, როცა გმობს კოსმიურ წესრიგს და, ამრიგად, რამდენადაც ხელეწიფება, თითქოს სისხლისმწოველ ტკიპად ეკვრის სამყაროს სხეულს. რადგან სინამდვილის რომელიც გნებავთ მოვლენის წინააღმდეგ აღძვრა ყოვლისმპყრობელი დედაბუნების წინააღდგომას ნიშნავს, დედაბუნებისა, რომელიც მოიცავს და თავის თავში აერთიანებს ყველას და ყველაფერს. მეორეც, მაშინ, როცა გაურბის მოყვასს, ანდა, რისხვით ცნობამიხდილთა მსგავსად, ცდილობს რაიმე ავნოს მას. მესამეც, მაშინ, როცა არ ძალუძს დაიურვოს განცხრომის სურვილი, ანდა დაითმინოს სალმობა. მეოთხეც, მაშინ, როცა პირმოთნეობს, მრუდედ ვალს და ყალბად მეტყველებს. მეხუთეც, მაშინ, როცა უმიზნოდ მოქმედებს და ალაღბედზე აკეთებს ყველაფერს, თუმცა მართებდა, მიზნისთვის შეეწონა და შეეთანხმებინა თვით ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი. ხოლო ყოველი გონიერი არსება გონებისა და ძველთუძველესი ქალაქის^[146] კანონისა თუ ადათ-წესებისადმი მორჩილებას მიიჩნევს თავის ჭეშმარიტ მიზნად.

17. კაცის სიცოცხლე – წამია მხოლოდ; მისი არსი^[147] – მარად მედინი; შეგრძნება – ბუნდოვანი; აღნაგობა სხეულისა – ხრწნადი; სული – ცთომილივით მოხეტიალე; ბედი – იდუმალი; დიდება – ფუჭი. ერთის სიტყვით, ყველაფერი სხეულისეული ნაკადს წააგავს, სულისეული – სიზმარს, კვამლს, ნისლს. ცხოვრება ბრძოლაა^[148] და ხეტიალი უცხო მხარეში; სიკვდილშემდგომი დიდება – დავიწყება. მაშ, რაღას მივყვით, რა გვიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ. სიბრძნის მოყვარე კი ისაა, ვინც ხრწნილებისგან იცავს და უმწიკვლოდ ამყოფებს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს, რათა ეს უკანასკნელი მარტო სძლევდეს განცხრომის ყველა სურვილსა და ყველა სალმობას, რათა მისთვის უცხო იყოს

ყოველგვარი სიშლეგე, სიცრუე და პირმოთნეობა, რათა არას დაგიდევდეს, რასა იქმს ან რას არა იქმს მისი მოყვასი, რათა ყველაფერს, რაც ხდება ან წილად ხვდება მას, უმზერდეს, როგორც იმავე საწყისისგან წარმომდგარს, რომლისგანაც თავად მოიქცა ყოფად, და, რაც ყველაზე მთავარია, რათა უდრტვინველად უცდიდეს სიკვდილს, როგორც უბრალო შლას და რღვევას იმ სტრიქონთა, რომელთაგანაც იგება და ითხზვის ყველა ცოცხალი არსი. მაგრამ თუ თვით სტრიქონთათვის არა არის რა საშიში მათს მუდმივ ურთიერთგადასვლაში, რაღა შენ შესცქერი შიშით ყოვლის ცვლასა და რღვევას? ყველაფერი ეს სავსებით ბუნებრივად ხდება, ხოლო მას, რაც ბუნებრივად ხდება, არ შეიძლება წილი ედოს ბოროტებაში.

დაიწერა კარნუნტუმს

წიგნი მესამე

1. უნდა გულისხმა-ყო არა მარტო ის, რომ სიცოცხლე დღითი-დღე კლებულობს და სულ უფრო და უფრო მცირე ნამუსრევი რჩება მისი, არამედ ისიც, რომ კაცთაგან ყველაზე დღეგრძელი სიცოცხლისთვის დაბადებულნიც კი ვერ შესძლებს იმის გაცხადებას, შეინარჩუნებს თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მისი გონება ბუნებრივ მოვლენათა წვდომისა და ღვთაებრივ თუ კაცურ საქმეთა ჭვრეტისათვის საკმარის ძალას და სიციხოვლეს. რადგან თუ კაცი თანდათანობით გამოთაყვანდება, ეს ჯერ კიდევ არ დაეტყობა მის სუნთქვას, კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, წარმოსახვას, სწრაფვას და სხვა მისთანათ. მაგრამ, რაც შეეხება თვითმართვისა და თვითწარმართვის , საკუთარ მოვალეობათა შეგნების, სინამდვილის მოვლენებში გარკვევის, ყოფნა-არყოფნის დილემის გამოწვლილვით განხილვისა და იმ კითხვებზე პასუხის გაცემის უნარს, რომლებიც აზრის რთულსა და დახვეწილ ქმედითობას მოითხოვენ, – ყველაფერი ეს სამუდამოდ ჩაქრება და დაიშრიტება გონების დაჩლუნგებასთან ერთად. მაშასადამე, უნდა ვიჩქაროთ, არა მარტო იმიტომ,

რომ ყოველი წამი გვიახლოვებს სიკვდილს, არამედ იმიტომაც, რომ სიცოცხლეშივე ვკარგავთ საგანთა შეცნობისა და მათზე დაკვირვების უნარს.

2. ყურადღების ღირსია ისიც, რომ თვით ბუნების ქმნილებათა თანამდევით მოვლენებზე^[151] კი არ არიან მოკლებულნი გარკვეულ მადლს და მიმზიდველობას. ასე მაგალითად, კარგად დაბრაწული პური ალაგ-ალაგ სკდება ხოლმე, და თუმცა ეს ნასკდომები ერთგვარად ეწინააღმდეგებიან კიდევ ხაბაზის ხელობის მიზანს, ისინი მაინც განსაკუთრებული ძალით გვიღვიძებენ მადას და ნერწყვს გვგვრიან ჩვენ. ზუსტად ასევე სკდება მწიფობაში შესული ლეღვი, ხოლო მეტისმეტად მწიფე ზეთისხილში – სწორედ ღვინის დასაწყისია, სრულიად თავისებურ სიტკბოებას რომ ანიჭებს ნაყოფს. თავდახრილი თავთავები, ლომის კუმტი შუბლი, ტახის ეშვებზე გადმონადენი დუჟი და ა.შ. და ა.შ. – ყველაფერი ეს თავისთავად არც თუ ისე საამოდ სახილველი რამ გახლავთ. მაგრამ თუ მათ შევხედავთ, როგორც ბუნების ქმნილებათა თანამდევ ფენომენტ, დავრწმუნდებით, რომ ისინი მათი მშვენიერების შემადგენელი ნაწილნი არიან და, ამდენად, ამოდ სახილველნიც. ასე რომ, დახვეწილი გრძნობელობითა და სინამდვილის მოვლენებში წვდომის უნარით დაჯილდოებული კაცი თვით ბუნებისეული ქმნილებების თანამდევ ფენომენტთა სიმრავლეშიც კი იშვიათად თუ ჰპოვებს რასმე უხამსს და უადგილოს. ხახადაბჩენილი ცოცხალი მხეცების ხილვა მას არანაკლებ სიამოვნებას მოჰგვრის, ვიდრე მათივე ხატების ჭკრეტა, რომელთაც ბუნების ბაძვით ჰქმნიან მხატვარნი თუ მოქანდაკენი. ხოლო გონების ღრმადმხედველი თვალთ ის შესძლებს იხილოს როგორც დედაბრისა თუ ბერიკაცის ფარული მშვენიერება, ისე მომხიბლავი სინორჩე ჩვილის. და კიდევ ბევრი, ბევრზე-ბევრი რამ არის ისეთი, რაც საცნაურია არა ყველასთვის, არამედ მხოლოდ მისთვის, ვინც ჭეშმარიტად გაუშინაურდა ბუნებას და მისეულ ქმნილებებს.

3. ჰიპოკრატე^[152], ამდენ სნეულებათა მკურნალი, ბოლოს თვითონაც დასნეულდა და მოკვდა. ქალდეველებმა მრავალთ უწინასწარმეტყველეს სიკვდილი და ბოლოს სიკვდილის წერა გახდნენ თვითონაც. ალექსანდრე, პომპეუსი და გაიუს ცეზარი, ამდენ ქალაქთა შემმუსვრელნი და ბრძოლებში ურიცხვ მხედართა თუ ფეხოსანთა მომსვრელნი, ბოლოს თავადაც გამოესალმნენ სიცოცხლეს. ჰერაკლიტე, რომელიც ამტკიცებდა სამყაროს ხანძარი შთანთქავსო^[153], წყალმანკით მოკვდა, მიუხედავად იმისა, რომ ძროხის ნეხვს იცხებდა ტანზე^[154]. დემოკრიტე რწყილებმა გამოხრეს^[155]; სოკრატეც ერთგვარი რწყილების მსხვერპლი გახდა. მაგრამ რას ნიშნავს ეს? შენ ახვედი ხომალდზე, გადასცურე ზღვა, მიაღწიე ნავთსაყუდელს: დროა ჩამოხდე. თუ შენ სხვა სიცოცხლე გელის, რაკი ღმერთები ყველგან არიან, ისინი იქნებიან იქაც.

ხოლო თუ იქ უგრძობლობაა მხოლოდ და მხოლოდ, სხვა არაფერი, შენ აღარ მოგიწევს კვლავ დაითმინო საღმობა და სიხარული, აღარ მოგიწევს კვლავინდებურად ემსახურო უბადრუკ გარსს^[156] – ათასწილ უარესს შენი არსების იმ ნაწილზე, რომელიც ტყვედა ჰყავს მას. რადგან ეს უკანასკნელი სულია და ღვთაება, გარსი კი – ტალახი და მტვერი.

4. ნუ შეაღვე სხვებზე ფიქრს შენი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს, თუკი რაიმე საყოველთაოდ სასარგებლოს არ ეხება საქმე. რადგან, როცა იმაზე ფიქრობ, ვინ რას აკეთებს ან რატომ აკეთებს, ვინ რას ამბობს, რას იზრახავს ანდა აპირებს, შენ გავიწყდება მეორე რამ, გავიწყდება, რომ ყოველივე ეს საკუთარ სულზე ზრუნვისაგან გარე-მიგაქცევს^[157]. ამრიგად, შენი ცნებებისა და წარმოდგენების წყებიდან უნდა გამორიცხო ყოველივე ფუჭი და უმიზნო, განსაკუთრებით კი ის, რასაც გინერგავს ცნობისწადილი ანდა სიავე. უნდა შეეჩვიო მხოლოდ კეთილზე ფიქრს, რათა, ანაზღად რომ გკითხონ: რაზე ფიქრობო ამ წუთას, შეგეძლოს გულახდილად მიუგო მყისვე, რაზე ფიქრობ, ან რა გაქვს გულში; რადგან შენი ნაფიქრალი უშუალოდ ცხადყოფს, რომ შენში ყველაფერი უბრალოა, კეთილი და საზოგადოებრივი არსების^[158] ღირსი, არსებისა, რომელსაც სძაგს ყოველგვარი განცხრომა და შვება, ყოველგვარი ცილობა, შური, ლალვა და მეჭველობა, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რისი ოდენ ხსენებაც კი შეგარცხვენდა, თუ აღიარებდი, რომ შენს სულშია მისი სამყოფლო. ხოლო ასეთი კაცი, რომელიც ნიადაგ იმისთვის ზრუნავს, არაფერში ჩამოვრჩეო უკეთესთ, უკვდავთა ქურუმია და მათი ნებისყოფელი. ის მთელის არსებით თაყვანს სცემს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს^[159], რომელიც ვნებათა ტყვეობისგან ათავისუფლებს, ყოველგვარი საღმობისთვის მოუწყვლადს ხდის, მზვაობისგან განარინებს, ბოროტისგან გარე-მიაქცევს და მხნეობას ჰმატებს იმ უსწორო შერკინებაში, სადაც მან მარტომ უნდა სძლიოს ყველა გულისთქმას; დემონს, რომელიც სიმართლით მოსავს და შეაგონებს, სულით და გულით მიესალმოს ყველაფერს, რაც ხდება ან წილად ხვდება მას, ხოლო რაც შეეხება სხვათა სიტყვას, საქმეს თუ ზრახვას, მხოლოდ მაშინ იფიქროს მათზე, როცა რაიმე დიადი და საყოველთაოდ სასარგებლო საქმე მოითხოვს ამას. ის მხოლოდ პირადი ზრუნვის საგანს მიიჩნევს თავის ჭეშმარიტ საქმედ და გამუდმებით ფიქრობს სამყაროს მთლიანობის შემადგენელ იმ ერთ ნაწილზე, რომელიც მას ხვდა წილად; ამასთან, ცდილობს პირნათლად აღასრულოს თავისი საქმე, ხოლო რაც შეეხება თავის წილხვდომილს, ღრმად სწამს მისი კეთილობა; რადგან თვითეულის წილხვდომილი მისი ბუნების თანაფარდია და სასარგებლოც მისთვის^[160]. მას ისიც ახსოვს, რომ ყოველი გონიერი არსება ერთმანეთს ენათესავება, რომ კაცის ბუნებისგან

განუყრელია ყველა თავისი მსგავსისთვის ზრუნვა, და რომ თუ ქებას ჩვენდა მომართ რამე ფასი აქვს, – არა ყველასას, არამედ მხოლოდ მისას, ვინც ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობს; მასზე კი, ვინც სხვაგვარ ცხოვრებას მისდევს, გამუდმებით ფიქრობს, როგორია ის შინ თუ გარეთ, დღისით თუ ღამით, ან ვის მტრობს და ვისთან მეგობრობს. ამიტომაც არად აგდებს მის ქებას, ვინც თვითონვე უკმაყოფილოა თავისი თავით.

5. ნურც შენი ნების წინააღმდეგ აღიმგრი მოქმედებად, ნურც სხვათაგან განკერძოებით, ნურც ცნობასუსტს ემსგავსები, ნურც ვნების ამყოლს; ნუ შეამკობ შენს სათქმელს ფერად-ფერადი სამკაულებით, ნუ გაგიტაცებს მრავალსიტყვაობა, ნურც საქმემრავლობა. დაე, შენს სულში დამკვიდრებული დემონი წრფელის გზით წარმართავდეს ღირსეულ არსებას – ჭეშმარიტ რომაელს და მამრს, მამულისთვის თავდადებულს, ერის მთავარს, ღვაწლის მძლეს და მუდამ მზად მყოფს, იმ კაცის მსგავსად, რომელიც მხოლოდ ნიშანს უცდის, რათა ნებისთ დაუტევოს საწუთრო და ყოველგვარი ფიცისა თუ თავმდებობის გარეშე^[161] ჰყოს ნება მისი, ვინც მას მოუხმობს. ხოლო უკვდავთა ნებისყოფლის ნათელშემოსილი სული არ საჭიროებს არც თანამდგომს, არც იმ სიმშვიდეს, რომელსაც მხოლოდ სხვათა მეოხებით თუ ვეზიარებით.

დღეს იყავ წრფელი, ხვალ შეიძლება გვიანი იქნეს^[162].

6. უკეთუ კაცის სიცოცხლეში შენ პოულობ რასმე უკეთესს, ვიდრე სიმართლეს, გულწრფელობას, თავდაჭერილობას და სიმამაცეს, მოკლედ, სულის თვითკმარობას და თვითკმაყოფილებას, რომელსაც ძალუმს წრფელი გზით წარმართოს შენი ქმედითობა, ან კიდევ კმაყოფილებას საკუთარი ხვედრით, რომლის ავკარგიანობა ჩვენს არჩევანზე არაა დამოკიდებული, ვიმეორებ, უკეთუ შენ პოულობ რასმე უკეთესს, მაშინ მიიქეც მთელის არსებით მაგ უკეთესის განცდად. ხოლო თუ შენთვის არა არის რა უკეთესი, ვიდრე საკუთარ სულში დამკვიდრებული დემონი, რომელიც თავისი ნებისაებრ წარმართავს შენს მისწრაფებებს, აწესრიგებს შენს წარმოდგენებს, გარე-მიგაქცევს ვნებისეულ ცთუნებათაგან (როგორც იტყოდა ხოლმე სოკრატე^[163]), და რომელიც მხოლოდ ღმერთებს ჰმორჩილებს და კაცთა სასიკეთოდ იღვწის, – თუ მის გვერდით უბადრუკად და უფასურად გიჩანს ყოველი, ნულარ დაეძებ ნურაფერს ისეთს, რაც, რაკი ერთხელ მოგხიზლავს და მოგალორებს, აღარასოდეს მოგცემს გასაქანს, მთელის არსებით ემსახურო ერთადერთ შენს კუთვნილ სიკეთეს. რადგან, ხომ შეუწყნარებელია მართლაც, გონებისა თუ მოქალაქეობისეულ სიკეთეს^[164] გვერდში ამოუყენო რაიმე უცხოგვარი, როგორც მაგალითად, ბრბოის მოწონების

ყოფინი, ძალაუფლება, მორჩმულება თუ სოფლიურ სიამეთა ტრფიალი. გახსოვდეს, ყოველივე ეს, თუკი შენ სულ მცირე მნიშვნელობას მაინც მიანიჭებ მას, მსწრაფლ დაგეუფლება და წარგიტაცებს სიმდაბლისაკენ. ამიტომ, გირჩევ, გულწრფელად და თავისუფლად ირჩიო უკეთესი^[165] და მისდიო მას. – მაგრამ უკეთესი – ეს სასარგებლოა! – კეთილი და პატიოსანი; თუ ის სასარგებლოა შენთვის, როგორც გონიერი არსებისათვის, გაუფრთხილდი მას, ხოლო თუ ის სასარგებლოა შენთვის, როგორც პირუტყვისათვის, გაიცხადე ეგ, მაგრამ ნუ იამაყებ ამით. მთავარია, ფრთხილად და წინდახედულად იკვლიო საკვლევი.

7. ნურასოდეს ნუ მიიჩნევ შენი თავისთვის სასარგებლოდ იმას, რაც ოდესმე დაგარღვევინებს აღქმას, დაგავიწყებს სირცხვილს, შეგაძულებს ვისმე, ან გაიძულებს იეჭვიანო, ჰგმო შენი მსგავსი, იპირფერო და ისურვო რამე ისეთი, რასაც კედლებსა თუ კრეტსაბმელებს მიღმა მალავენ კაცნი. რადგან ის, ვინც საკუთარი სული და მისი სიქველისადმი საღმრთო სამსახური არჩია ყველაფერს, არ მალავს თავის ნამდვილ სახეს, არ იკეთებს ტრაგიკულ ნიღაბს, არ გმინავს, არ საჭიროებს არც კაცთაგან განმარტობას, არც ხალხმრავლობას, და, რაც მთავარია, ცხოვრობს ისე, რომ არც რას მიელტვის და არც ილტვის რისგანმე. მისთვის სულერთია, რამდენ ხანს დაჰყოფს მისი სული სხეულის გარსში, და როდესაც სიცოცხლესთან განშორების საათი დაჰკრავს, ისევე უდრტვინველად შეხვდება სიკვდილს, ისევე ღირსეულად აღასრულებს თავის უკანასკნელ ვალს, როგორც აღასრულებდა ყველა სხვა საქმეს, რომელიც არ შეზღავდა მის სახელსა და ღირსებას. რადგან მთელი სიცოცხლის მანძილზე ის მხოლოდ იმისთვის იღვწის, რომ მისი სული არ დაეცეს და დამდაბლდეს უფრო მეტად, ვიდრე ეს შეჰფერის გონიერსა და ამ ქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილ არსებას.

8. განწმენდილი და ნათელს ზიარებული კაცის სულში შენ ვერ ჰპოვებ ვერც ბაყლს და მწიკვლს, ვერც ფარულ ხრწნილებას. მისი სიცოცხლე არ დასრულდება მისსავე სიკვდილთან ერთად, და მის მიმართაც ვერვინ შესძლებს იმის თქმას, რასაც ტრაგიკოს მსახიობზე იტყვიან ხოლმე: ისე დაუტევა სცენა, რომ ვერ შესძლო ბოლომდე მიეყვანა, ბოლომდე შეესრულებინაო როლი. არა არის რა მასში მონური, მოჩვენებითი, ძალისძალად თავსმოხვეული ან მოკვეთილი, არათავისთავადი და ნათლის მოშიში^[166].

9. თაყვანი ეცი წარმოდგენის შექმნის შენს უნარს^[167]. რადგან მხოლოდ ეგ უნარი გიცავს იმისგან, რომ შენს შინაგან მძლოლში არასოდეს აღიდრას ბუნებისათვის უცხო და გონიერი არსებისთვის უღირსი აზრი. ეგევე უნარი გიწესებს იმას, რომ

აუჩქარებლად გამოგქონდეს დასკვნა^[168], კეთილმოსურნეობით ემსჭვალვოდე კაცთ და ჰმორჩილებდე ღმერთებს.

10. მოიკვეთე ყველაფერი და მისდევ მხოლოდ ამ ორიოდე წესს. გახსოვდეს ისიც, რომ ყველა სულდგმული მხოლოდ აწმყოთი სულდგმულობს, ამ ერთი უბადრუკი წამით. დანარჩენი კი ან წარსულს ეკუთვნის უკვე, ან მომავლის ბურუსითაა მოცემული^[169]. უბადრუკია თვითეულის სიცოცხლე^[170], უბადრუკია მიწის კუთხე, სადაც ის ცხოვრობს^[171], უბადრუკია თვით ყველაზე ხანგრძლივი სიკვდილშემდგომი დიდებაც კი^[172], რადგან მისი ხანგრძლივობა ადამიანთა რამდენიმე მსწრაფლწარმავალი თაობის სიცოცხლით ამოიწურება მხოლოდ, თაობისა, რომელსაც თავისი თავიც ვერ შეუცვნია, არამცთუ ასი ან ათასი წლის წინ მიცვლილი.

11. დაე, ზემოთქმულს დაემატოს შემდეგი: ყოველთვის უნდა აღწერდე ან განმარტავდე შენს მიერ აღქმულ თვითეულ საგანს, რათა უსაბურვლოდ, ნაწილებად განწვალული სახით ჰვრეტდე მის ჰემმარიტ რაობას^[173] და, ამრიგად, მართებულ სახელს უწოდებდე არა მარტო მას, არამედ ყველა იმ სტიქიონსაც, რომელთაგანაც შედგება და რომლებდაც განწვალდება დაშლისა და დარღვევის შემდეგ. რადგან არაფერი ისე არ ამაღლებს ჩვენს სულს, როგორც ნივთთა თუ მოვლენათა თანმიმდევრული, ჰემმარიტი წვდომისა და მათი იმგვარად ჰვრეტის უნარი, რაც მეყვსეულად საცნაურყოფს, რა სარგებლობა მოაქვს თვითეულ მათგანს სამყაროს ამა თუ იმ ნაწილისათვის, ან რითაა ის ფასეული როგორც მთელი სამყაროსთვის, ისე კაცისთვის – უზეშთაესი ქალაქის ამ მოქალაქისთვის^[174], ქალაქისა, რომლისადმი მიმართებაში ყველა სხვა ქალაქი ერთ კერძო სახლად ესახება მალად მხედს, – საცნაურყოფს, რას წარმოადგენს, რისგან შედგება და რამდენ ხანს ჰგეის ამ ქვეყნად ის, რისი ხატიც რჩება ჩვენს ხსოვნას, ან რომელი სათნოება უნდა შევუწონოთ მას – თვინიერება, სიმამაცე, სიწრფელე, უბრალოება, თვითმკმარობა თუ სხვა მისთანა. ამიტომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ასე შეაგონე შენსავე თავს: აი, ეს ღმერთისგან იღებს დასაბამს, ეს – ყოვლის თანაკავშირის, გარემოებათა თანამთხვევის, შემთხვევათა ასეთივე თანათხზვისა და ბედისწერისგან, ეს კიდევ – ჩემი თანამდგომის, თვისტომისა და თანამოქალაქისაგან, რომელსაც, ალბათ, არც კი ესმის, რას მოითხოვს მისგან ბუნება. მაგრამ მე? – მე ხომ მესმის, რასაც მოითხოვს და ამიტომაც ვემსჭვალვი მას კეთილმოსურნეობით და სიმართლისგებით, თანახმად ურთიერთობის ბუნებრივი კანონისა; და თანაც ვცდილობ დავადგინო ეგრეთ წოდებულ საშუალო საგანთა^[175] ფარდობითი ღირებულება.

12. თუ შენ მხოლოდ გონების ხმას უწევ ანგარიშს და ცდილობ მთელი გულმოდგინებით, ძალისხმევით და სიყვარულით აკეთო დღეს საკეთებელი, თუ შენ ისე უბიწოდ და მყუდროებით ამყოფებ საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს, თითქოს უკვე მოწვევნილი იყოს მასთან განშორების ჟამი, თუ, ამასთან, არც რას მიელტვი და არც ილტვი რისგანმე, თუ კმასაყოფელად გიჩანს მოღვაწეობა ბუნების წესისაებრ და თუ, ბოლოს, ჭეშმარიტად გმირული თავდადებით, სიტყვით და საქმით ემსახურები სიმართლეს, შეგიძლია ბედნიერად მიგაჩნდეს თავი. და არ დადის მიწაზე კაცი, რომელსაც შეეძლოს ხელი შეგიშალოს ამაში.

13. მიჰბაძე დასტაქართ, რომელთაც, ყოველი შემთხვევისათვის, მუდამ ხელთა აქვთ საჭირო იარაღი, და მათსავით მუდამ მზად იქონიე პრინციპები ღვთაებრივ თუ კაცურ საქმეთა შესამეცნებლად, რათა შენი თვით ყველაზე უმნიშვნელო მცდელობისა თუ მოქმედების დროსაც კი ითვალისწინებდე ამ ორი სხვადასხვა გვარის^[176] ურთიერთკავშირსა და თანაფარდობას; რადგან ღვთაებრივის გაუთვალისწინებლად ვერასოდეს აღასრულებ, როგორც ჯერ არს, რაიმე კაცურს და პირუკუ.

14. დროა დასცხრე და თავი ანებო უმიზნოდ წრიალს. არა-და, ვერც საკუთარი მოგონებებისა^[177] თუ ძველ ბერძენთა და რომაელთა ანალების წაკითხვას ეღირსები, ვერც იმ ქმნილებათა ნაწყვეტებისას^[178], რომელნიც სიბერის დღისთვის შემოინახე. მაშ, ისწრაფე მიზნისაკენ, მოიკვეთე ფუჭი იმედები და, სანამ დროა, თვითონვე აღიმსთვე შენივე თავის შველად, თუ ოდნავ მაინც უფრთხილდები კაცური კაცის სახელს.

15. კაცთათვის დაფარული რჩება, რამდენ სხვადასხვა მნიშვნელობას იმარხავენ ისეთი სიტყვები, როგორიცაა პარვა, თესვა, მოსყიდვა, მოცალეობა და გამოწვლილვით განხილვა მისი, რისი ქმნაც ხამს, რადგან მათი მრავალმნიშვნელოვნების გაცხადება ხორციელ თვალს კი არა, ხედვის სულ სხვა ორგანოს ხელეწიფების მხოლოდ.

16. სხეული, სული, გონება. სხეულისეულია შეგრძნებანი, სულისეული – ვნებანი, გონებისეული – პრინციპები. შეგრძნებისა და აღქმის უნარი პირუტყვთაც შესწევთ, ვნებები მხეცებსა და ანდროგინონებში^[179], ფალარისსა^[180] თუ ნერონშიც ბობოქრობენ, ხოლო გონების კარნახით ღვთისმგმობნი, სამშობლოს მოღალატენი და ათასგვარ ბილწებათა ფარულად მოქმედნიც მოქმედებენ ხოლმე. მაგრამ თუ ეს

მართლაც ასეა, თუ ყველაფერი ეს საერთოა ყველა ზემორე ჩამოთვლილთათვის, მაშინ კეთილ კაცად შეიძლება იწოდებოდეს ის, და მხოლოდ ის, ვინც სიხარულით და მადლობის გრძნობით იღებს თავის კუთვნილსა და თავის წილხვდომილს^[181], ვინც მყუდროებით ამყოფებს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს და სურვილთა სიმრავლით არ ამღვრევს მას, რათა ეს უკანასკნელი მუდამ სავსობდეს სიმშვიდისა და სიხარულის წმინდა სავსებით, ჰმორჩილებდეს ღმერთებს და სიტყვით თუ საქმით ჰმსახურებდეს სიმართლეს და ჭეშმარიტებას. და თუ არავინ არ ირწმუნებს, რომ ის მართლაც ასე უბრალოდ, მშვიდად და აუმღვრევლად ცხოვრობს, რა ვუყოთ მერე; კეთილს მიტომაც ჰქვია კეთილი, რომ არც არამრწმენისაგან იწყენს რაიმეს და არც არასდროს გადაუხვევს სიცოცხლის მიზნად მიმყვანებელ გზას, მიზნად, რომელსაც წმინდად და უდრტვინველად უნდა მიემთხვეს ბედის მორჩილი და თავისი ხვედრით კმაყოფილი სული.

წიგნი მეოთხე

1. როდესაც ჩვენი შინაგანი მოძღვარი ბუნების გზას მისდევს, მაშინ მის მიმართებას გარემო პირობებისადმი ასე გამოვხატავთ ჩვენ: ის ყოველთვის ადვილად ეგუება შესაძლებელსა და მოცემულს. რადგან მას სასურველად უჩანს არა რომელიმე გარკვეული საგანი, არამედ უმთავრესსა და უპირატესს მიელტვის მხოლოდ, თუმცაღა ფარდობითი და პირობადებული ლტოლვით^[182]. ხოლო ამ ლტოლვისას ის თავისი მოქმედების საგნად აქცევს ყოველივე დამაბრკოლებელს^[183] და, ამრიგად, ცეცხლს ემსგავსება, რომელიც მსწრაფლ ედება და ეუფლება შიგ ჩავარდნილ საგნებს. მაგრამ ცეცხლიც არის და ცეცხლიც: მბჟუტავი ლამპარი ალბათ ჩაქრებოდა, მოტყინარე კოცონი კი მეყვსეულად გარე-ეგზნება, მეყვსეულად ნთქავს მასში მოხვედრილს და, ამის წყალობით, უფრო მაღლა მიიწევს ცისკენ.

2. ყველაფერს უნდა აკეთებდე და ყოველთვის უნდა იქცეოდე მხოლოდ ხელოვნების მკაცრი წესების თანახმად.

3. კაცნი განმარტოებას ეძებენ და სოფლის მყუდროებისკენ, ზღვათა ნაპირებისა და მთებისაკენ ეშურებიან. შენც ამას ნატრობ და მიელტვი ყველაზე მეტად. მაგრამ ეს მხოლოდ უმეცრების და უმწეობის ნიშანია, სხვა არაფრის, რადგან შენ შეგიძლია

ყოველ წამს განმარტოვდე შენსავე თავში. ხოლო ყველაზე მყუდრო და უშფოთველი სადგური, სადაც კაცს შეუძლია განმარტოვდეს, – სულია მისი. უპირველეს ყოვლისა კი ეს ითქმის კაცზე, ვისი სულიც იმარხავს ყველა იმ სიქველეს, რომელთა ჭკრეტით მას შეუძლია მეყვსეულად ეზიაროს სიმშვიდეს და თავისუფლებას. ხოლო თავისუფლებათ რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ არა სხვა რამეს, არამედ სულის ზნესრულობას და ზნეკეთილობას. მაშ, მალიმალ მიაშურე მაგ მყუდრო სადგურს და ამრიგად განაახლე შენივე თავი^[184]. დაე, დადგენილ იქნან მოკლე და სხარტი პრინციპები^[185], რომელთა არსში წვდომა მეყვსეულად გაგიქარვებს სევდას და უშფოთველად მიგაქცევს მიწიერი არსებობის თმენად, რომელსაც კვლავ და კვლავ უბრუნდები. მართლაც-და, რა გაშფოთებს? კაცთა სიბილწე და ბიწიერება? მაშინ დაუფიქრდი პრინციპს, რომელიც ამტკიცებს, რომ გონიერი არსებანი ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი, რომ თმენა სამართლიანობის ნაწილია, და რომ კაცნი თავისდა უნებურად სცოდავენ^[186]. გაიხსენე, რამდენ ურთიერთ მოსისხლე მტერს და ქვეგანმხედველს, რამდენ ურთიერთ მოქიშპესა და მოძულეს სძინავს საუკუნო ძილით, აწ მიწაქმნილს და ფერფლად ქცეულს^[187]. გაიხსენე და დამშვიდდი, ბოლოს და ბოლოს. ან, შესაძლოა, საკუთარი ხვედრი გაშფოთებს, რომელიც მთელის სისავსისგან გერგო წილად? მაშინ გაიხსენე დილემა: ან განგება, ან ატომები^[188]; გაიხსენე მტკიცება, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ ვასაბუთებთ, რომ სამყარო ქალაქს წააგავს^[189]. ანდა, იქნებ, ნივთიერი საგნები გამღვრევენ? დაუკვირდი იმას, რომ თავის თავში განმარტოებული და საკუთარი ძალმოსილების მეცნაური სული არ ერევა ნელიად თუ შმაგად მბრუნავ სასიცოცხლო ძალას^[190]. გაიხსენე ყველაფერი, რაც საღმობისა თუ შვებისათვის უსწავლებიათ შენთვის და რის სიმართლეშიც არასდროს შეგპარვია ეჭვი. თუ, სულაც, დიდების სურვილი გიტაცებს? გულისხმაყავ, რაოდენ მსწრაფლწარმავალი და მსწრაფლდავიწყებადია ყოველი, მარადისობის რა უსასრულო უფსკრული ძევს როგორც შენს წინ, ისე შენს უკან, რაოდენ ფუჭია სახელის ძიება და რაოდენ უმტკიცნო და ცნობასუსტნი არიან შენი მეხოტბენი; რა ვიწროა წრე, რომელიც გარემომოსწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას, რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციციქნა შავი წერტილი და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს? ანდა რამდენნი იქნებიან და რანი იქნებიან ისინი, ვინც დიდებით შემოსავენ შენს სახელსა და საქმეს?^[191] დასასრულ, მოიგონე საკუთარ სავანეში განმარტოების ნეტარება, და, რაც მთავარია, აქეთ-იქით ნუკი აწყდები და ეწამები, არამედ თავისუფალი იყავ და უმზირე საგნებს, როგორც შეშვენის მამრს, მამაკაცს, მოქალაქეს, მოკვდავს. მარადლე სახმარ პრინციპთაგან განსაკუთრებით დაიხსომე ორი: ჯერ ერთი, საგნები არ ეხებიან სულს და მშვიდად ჰკიან გარეშე მისა: დრტვინვის მიზეზი მხოლოდ შინაგან რწმენაშია და მრწამსში;

მეორეც, ყველაფერი, რასაც შენ ჰკრეტ, ცვალებადია და მსწრაფლწარმავალი. გამუდმებით იფიქრე იმისთვის, რამდენი ცვლილების მოწამე ხარ უკვე. სამყარო ცვალებადობაა, სიცოცხლე – რწმენა.

4. თუ სულიერი საწყისი საერთოა კაცთათვის, მაშინ ერთი იქნება გონებაც, რომლის ძალითაც გონიერ არსებებად ვიწოდებით ჩვენ. თუ ეს ასეა, მაშინ ერთი იქნება გონიც, რომელიც გვიწესებს, რისი ქმნა გვმართებს და რისი არა. თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ საერთოა კანონიც^[192] და, მაშასადამე, ჩვენ თანამოქალაქენი ვართ. ხოლო, როგორც მოქალაქენი, ამა თუ იმ სამოქალაქო წყობილებას ვეზიარებით, და სამყარო ქალაქს წააგავს. მართლაც, ვინ გვიჩვენებს სხვა საერთო წესრიგს, რომელთანაც წილნაყარი იყოს კაცთა მთელი მოდგმა? სწორედ აქედან, ამ ქალაქიდან წარმოსდგება ჩვენი სულიერი საწყისიც, გონებაცა და კანონიც. თუ არ აქედან, მაშ საიდან, ესეც მითხარი? რადგან ყველაფერი, რაც მიწიერია ჩემში, რომელიღაც მიწის ნაწილაკია, ნოტიო – სხვა სტიქიონისა, ხოლო სიცოცხლის მშვივნა, თავის მხრივ, საკუთარი წყაროდან იღებს დასაბამს; სწორედ ასევე, ცხელს და ცეცხლისებრს თავისი სათავე მოემდებნება და ა.შ., რადგან არაფერი არ იქმნება არარაისგან და არაფერი არ იქცევა არარად. ამიტომ სულიერი საწყისიც საიდანღაც უნდა იღებდეს დასაბამს.

5. სიკვდილი ისეთივე მისტერიაა ბუნებისა, როგორც დაბადება. ერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სტიქიონთა შეერთება, მეორეში – მათივე შლა და რღვევა. საერთოდ კი, არც ერთში და არც მეორეში არა არის რა ისეთი, რაც შებლაღავდა კაცის ღირსებას^[193], რადგან არცერთი არ იმარხავს რაიმე ისეთს, რაც არ შეჰფერის გონიერი არსების სახელს, ანდა მისი აღნაგობის არსს.

6. ასეთია ბუნების წესი: ამგვარი კაცი ასე უნდა იქცეოდეს უთუოდ^[194]. ამის არმსურველს, ალბათ, არც ის სურს, რომ ლეღვი წვნიანი იყოს^[195]. გახსოვდეს, მალე აღარცერთი – არც შენ და არც ის აღარ იქნებით, ხოლო სულ მალე ამის შემდეგ აღარ იქნება თქვენი ხსენებაც.

7. მოიკვეთე წარმოდგენა და მოიკვეთ დრტვინვას იმის გამო, რომ ბოროტი გიყვეს. მოიკვეთე დრტვინვა ბოროტის გამო და მოიკვეთ თვითონ ბოროტსაც^[196].

8. ის, რაც უარესს არ ჰყოფს კაცს, არ შეიძლება უარესს ჰყოფდეს კაცის სიცოცხლეს^[197] ანდა ვნებდეს მისი არსების შინაგან თუ გარეგან მხარეს.

9. სარგებლობა აიძულებს ბუნებას ასე მოიქცეს.

10. ყველაფერი, რაც ხდება, სამართლიანობის თანახმად ხდება, და თუ კარგად დაუკვირდები, შენ ნახავ, რომ ეს ასეა ყველგან და ყოველთვის., ყველაფერი, რაც ხდება, ვამბობ, არა მარტო გარკვეული წესრიგის მიხედვით, არამედ სამართლიანობის თანახმადაც ხდება, თითქოს არსთა გამრიგე ძალამ თვითეულს ღირსებისაებრ მიაგო მისაგებელი^[198]. მაშ, განაგრძე შენს მიერ დაწყებული დაკვირვება, და ყველაფერი, რასაც აკეთებ, აკეთე იმ მიზნით, რათა მისწვდე და ეზიარო სიკეთეს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. მისდევ ამ მიზანს ყველა შენი მცდელობისა თუ მოქმედებისას.

12. ყოველთვის მზად უნდა იყო ორი რამისთვის: ჯერ-ერთი, შენი სამეუფო და კანონმდებელი გონების რჩევით, მხოლოდ კაცთა სასიკეთოდ უნდა იღწვოდე, და, მეორე, უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახებს ან დაგიმტკიცებს შენი შეხედულების მცდარობას^[199]. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაზი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც მაგალითად, სამართლიანობის, საზოგადო სიკეთისა თუ სხვა მათი მსგავსისთვის ზრუნვა, და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან დიდებას გიქადის შენ.

13. მე გეკითხები: გაქვს თუ არა გონება? – მაქვს. – მაშინ რატომ არ ხმარობ მას? რადგან თუ ის მას ხმარდება, რისი ქმნაც მართებს, სხვა რაღა გასურს, კაცო, ამ ქვეყნად?

14. შენ არსებობდი, როგორც მთელის ერთი ნაწილი; ადრე თუ გვიან, შენ დაინთქმები შენივე მშობლის წიაღში, ან, უფრო უკეთ, სახეცვლილების შედეგად, შენ შთაინთქმები მისი თესლისებრი გონების^[200] მიერ.

15. საკურთხეველზე გუნდრუკის უთვალავი მარცვალი ძევს. ზოგი უფრო ადრე ცვივა სამსხვერპლო ცეცხლში, ზოგი კი უფრო გვიან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას!

16. უკეთუ მტკიცედ დაიმარხავ არსებით პრინციპებს და მთელის არსებით მიიქცევი გონების სამსახურად, ათი დღის შემდეგ ღმერთი ეგონები მას, ვისაც დღეს მხეცი ჰგონიხარ^[201] შენ და ყაპუზუნა.

17. ისე ნუკი ცხოვრობ, თითქოს ათი ათასი წლის სიცოცხლე გედოს კიდევ წინ. უკვე ახლოა აღსასრული. სანამ პირში სული გიდგას, ეცადე, როგორც შეგიძლია, კეთილი გახდე და უკეთესი.

18. რამდენ დროს იგებს ის, ვინც არას დაგიდევს, რას ამბობს, რას აკეთებს ან რას ფიქრობს მისი მოყვასი^[202], და მხოლოდ საკუთარ ნათქვამს, ნაქმარს და ნაფიქრალს უწევს ანგარიშს, რადგან სამართლიანობასა და ღვთისმოსაობას სახავს ყველა თავისი მოქმედების მიზნად. აგათონი^[203] იტყოდა: სხვათა ბიწს ნუკი ჩხრეკ და ეძებ, არამედ წრფელი გზით ისწრაფე წინ და ნურასოდეს გადაუხვევ მას.

19. დაე ის, ვინც სიკვდილშემდგომი დიდებისათვის ოცნებობს, ნუ დაივიწყებს, რომ მისი მხსოვნელნი მალე მასვე მიჰყვებიან უკან, მერე იგივე ბედი ეწევათ მათ მემკვიდრეთაც და ა.შ., სანამ სრულიად არ ჩაქრება ერთი მსწრაფლწარმავალი თაობიდან მეორეზე გადაცემული მისი ოდნავ მბჟუტავი ხსოვნა. მაგრამ დავუშვათ, რომ უკვდავნი არიან შენი მხსოვნელნი და უხრწნელია ხსოვნა. მერედა, შენ რა? მე უკვე არას ვამბობ მკვდრისათვის, რადგან მკვდარი რას აქნევს ხსოვნას? მაგრამ ან ცოცხალს რას აძლევს დიდება, გარკვეული სარფისა და სარგებლის გარდა? მაშ, დროულად აიღე ხელი ამ ფუჭი ნიჭის ძიებაზე, ნიჭისა, რომელსაც კაცთა მითქმა-მოთქმა განიჭებს მხოლოდ^[204].

20. ყოველივე მშვენიერი, რაც უნდა ერქვას მას, თავისთავადაა მშვენიერი, თავისთავადაა სრულქმნილი: ქება არ შედის მასში შემადგენლი ნაწილის სახით. ამიტომ ქება მას არც აკლებს და არც ჰმატებს რასმე. მე აქ ვგულისხმობ იმასაც, რასაც მშვენიერს უწოდებენ ჩვეულებრივ, მაგალითად, ნივთიერ საგნებსა თუ ხელოვნებისეულ ქმნილებებს. მაგრამ თუ მათთვის ზედმეტია ქება, მაშინ რას ვიტყვით ჩვენ, როცა ჭეშმარიტად მშვენიერს, ვთქვათ, კანონს, ჭეშმარიტებას, კეთილმოსურნეობასა თუ უმანკოებას ეხება საქმე? რომელს ჰმოსავს უფრო მეტი მშვენიებით ქება, ანდა რომელს ბღალავს ძაგება? განა სმარაგდი არ სმარაგდობს მაშინაც კი, როცა არავინ არ აქებს მას? და განა იგივე არ ითქმის ოქროს, სპილოს ძვლის, პორფირის, ლირის, მახვილის, ყვავილის თუ მცენარის მიმართ?^[205]

21. თუ სულელები მარადის ჰგიან, მაშ, როგორ იტევს მათ ჰაერი უკუნისიდან?^[206] მაგრამ როგორღა იტევს მიწა ამდენი საუკუნის მკვდრებს? მსგავსად იმისა, როგორც გვამები, მიწაში ერთხანს წოლის შემდეგ, იცვლებიან და იხრწნებიან, რათა ადგილი გაუთავისუფლონ ახალ გვამებს, ჩვენი ზესკნელს შეფარებული სულნიც ერთხანს

უცვლელად ჰგიან ჰაერში, მერე კი ისინიც იცვლებიან, იფანტებიან, იწვიან, უკუ უბრუნდებიან მთელის თესლისებრ გონებას და, ამრიგად, ადგილს უთმობენ ახლად მოვლენილთ^[207]. აი, რა შეგვიძლია მივუგოთ მას, ვინც ამტკიცებს, რომ სულები მარადის ჰგიან. ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო გვამების რიცხვს, არამედ იმ ცოცხალ არსებათა სიმრავლესაც, რომელთაც ყოველდღიურად ვნთქავთ ჩვენ და, ჩვენთან ერთად, სხვა ცხოველებიც: რა ოდენობით შთაინთქმებიან, ანდა როგორ ეტევიან მათსავე შთანთქმელთა სტომაქში? მაგრამ მაინც ეტევიან, რადგან სისხლში გადადიან ისინი, ისევე როგორც სულები ჰაერად იქცევიან და ცეცხლად.

რა გაგვიცხადებს ჭეშმარიტებას ამ საკითხში? ნივთიერ და ფორმალურ საწყისთა^[208] გარჩევა-განსხვავება.

22. აქეთ-იქით ნუკი აწყდები, არამედ სამართლიანობას შეუწონე ყოველი სწრაფვა და ყოველი წარმოდგენისას შეინარჩუნე გონებისმიერი ხედვის სიცხადე.

23. სამყაროო! ყველაფერი, რაც ჰარმონიულად გეთვისება შენ, არც ჩემთვისაა დისჰარმონიული; ყველაფერი, რაც დროულია შენთვის, არც ჩემთვის დგება ძალზე ადრე, ან ძალზე გვიან. ბუნებაო! ყველაფერი, რაც შენს ალოთა ცვლაში მწიფს, ჩემდა სახმარად მწიფს; ყველაფერი შენს საშოში იღებს დასაბამს, შენში ჰგიეს, შენ გიბრუნდება^[209]. პიესის გმირი ამბობს: «ჰოი, კეკროპსის^[210] საყვარელო დედაქალაქო!»^[211] ნუთუ შენ არ იტყვი: «ო, საყვარელო ქალაქო ზევსის!»

24. თუ გსურს ეზიარო სულის სიმშვიდეს, – ამბობს ფილოსოფოსი, – მცირედით მოიზღუდე თავი»^[212]. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ეთქვა არა «მცირედით», არამედ აუცილებლად და იმით, რასაც გვიწესებს (და როგორც გვიწესებს) თავისი ბუნებით მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი არსის გონება. რადგან, თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ ვეზიარებით არა მარტო იმ სულიერ კმაყოფილებას, რასაც გვანიჭებს კეთილი ქცევა, არამედ ქმედითობის ზომიერებით მონიჭებულ სიხარულსაც. მართლაც, უმეტესი ნაწილი მისი, რასაც ჩვენ ვამბობთ ან ვაკეთებთ, სულაც არაა აუცილებელი, და ის, ვინც შესძლებს მოიკვეთოს ყოველივე ზედმეტი, სხვებზე ადრე მოიპოვებს მეტ სულიერ სიმშვიდეს და მოცალეობას. ამიტომ ყველა შენი ცალკეული მოქმედებისას ასე ჰკითხე შენსავე თავს: აუცილებელია თუ არა იგი? მაგრამ უნდა მოიკვეთო არა მარტო უსარგებლო ქმედებანი, არამედ ფუჭი წარმოდგენებიც, რადგან სწორედ მათ მოჰყვება ცუდმაშვრალობა.

25. სცადე მაინც, შესძლებ თუ არა კეთილი კაცის ცხოვრებით ცხოვრებას, კაცისა, რომელიც კმაყოფილია საკუთარი ხვედრით და რომლის ბედნიერებისთვისაც სასვებით საკმარისია საკუთარი მართლმოდგაწეობა და სიკეთე.

26. გაიაზრე ზემორე თქმული? მაშ, დაუფიქრდი ქვემორესაც: სულს ნუკი იმღვრევ და ირყევი, არამედ შეიმოსე უბრალოება^[213]. სცოდავს ვინმე? თავისი თავის წინაშე სცოდავს^[214]. შეგემთხვა რამე? კეთილი და პატიოსანი; ყველაფერი, რაც შეგემთხვა, იმთავითვე შენს შესამთხვევად იყო შექმნილი და შენსავე სვესთან თანათხზული ყოვლისგამრიგე მთელის განგებით. რამდენ რასმე იმარხავს ეს ორიოდე სიტყვა: სიცოცხლე მოკლეა, ამიტომ სიმართლისა და კეთილგონიერების სამსახურს უნდა მოვახმართ აწმყო^[215]. იყავ ზომიერი მოცალეობის ჟამს.

27. სამყარო ან მწყობრი სისტემაა, ან აღრეულობა და ქაოსი^[216]. მაგრამ ამასაც დაუკვირდი: ნუთუ მხოლოდ შენში შეიძლება არსებობდეს გარკვეული ჰარმონია, სამყარო კი დისჰარმონიით იყოს აღვსილი? და ეს მაშინ, როცა ყველაფერი განწვალულია და გათავისთავადებული, მაგრამ ამასთან, მუდმივი ურთიერთმოქმედებით შეკრულიც.

28. სხვადასხვაგვარნი არიან ზნენი: ზნე – პირქუში, ზნე – დიაცური, ტლანქი, მხეცური, პირუტყვული, ბალღური, უნდილი, ყალბი, ბრიყვული, ჩარჩული, ტირანული.

29. თუ სამყაროსთვის უცხოა ის, ვინც არ იცის, რა ჰგის მასში, არანაკლებ უცხოა ისიც, ვისთვისაც დაფარულია, რა ხდება მის წიაღში. მოლალატეა, ვინც გაურბის მოქალაქეობის პრინციპს^[217], ბრმაა, ვინც ხუჭავს გონების თვალს, გლახაკია, ვინც სხვისაგან ითხოვს შეწევნას და ვერ პოულობს თავისსავე თავში იმას, რაც ესოდენ საჭიროა სიცოცხლისათვის. სამყაროსგან განდგომილია ის, ვინც გარე-მიიქცევა საერთო ბუნების გონებისაგან და ვინც გულისწყრომით ემსჭვალვის ყველაფერს, რაც ხდება ან წილად ხვდება მას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს იმავე ბუნებისგან იღებს დასაბამს, რომლისგანაც იშვა თავადაც. ქალაქისაგან მოკვეთილია ის, ვინც გონიერ არსებათა სულისაგან აცალკევებს და აკიდევანებს საკუთარ სულს, იმ სულისაგან, რომელიც საერთოა ყველა არსისთვის.

30. ვინ უქიტონოდ ფილოსოფოსობს^[218], ვინ – უწიგნოდ, ვინ – ნახევრად შიშველი. «ლუკმა-პური არ გამაჩნია, – ამბობს ის, – მაგრამ მაინც გონების ერთგული ვარ». მეცნიერება არც მე მაჭმევს პურს, მაგრამ მაინც არ ვღალატობ მას.

31. გიყვარდეს ის უბრალო ხელობა, რომელიც შენ შეგისწავლია და კმასაყოფელად გიჩნდეს იგი. სიცოცხლის დარჩენილი დღენი გაატარე ისე, როგორც შეჭვერის მთელის არსებით ღმერთების ნებას მინდობილ კაცს, რომელსაც არ სურს ტირანი ერქვას ვისიმე მიმართ, ანდა – ვისიმე მონა.

32. მოიხილე გონების თვალთ თუნდაც ვესპასიანეს დრო, და შენ იხილავ მასვე, რასაც დღეს ხედავ: კაცნი ქორწილობენ, მონაგარს ზრდიან, ავადმყოფობენ, იხოცებიან, იბრძვიან, დღესასწაულობენ, ვაჭრობენ, ხნავენ და თესავენ, პირმოთნეობენ, მზვაობენ, იჭვიანობენ, ბოროტმზრახველობენ, სხვის სიკვდილს ნატრობენ, დრტვინვენ, მიჯნურობენ, უნჯს იუნჯებენ, კონსულობასა თუ ტახტზე მორჭმით ჯდომას მიელტვიან. სად არიან დღეს ისინი? აღარ არიან. მოიხილე შემდგომ ამისა ტრაიანეს დრო: იქაც იგივე; ის სიცოცხლევ იავარ-იქმნა. მიიქეც შემდეგ სხვა ეპოქებისა თუ მთელი ხალხების ეპიტაფიების ჭვრეტად და გულისხმაყავ, ამო ბრძოლით ღონემიხდილი რამდენი კაცი დაეცა და დაიშალა შემადგენელ სტიქიონებად. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად მოიგონე მაინც ისინი, ვისაც პირადად იცნობდი შენ; მოიგონე ცუდმაშვრალნი, რომელნიც არად აგდებდნენ, არარად რაცხდნენ და არაკმასაყოფელად მიიჩნევდნენ იმას, რაც ყველაზე მეტად შეჭვეროდა მათ კაცურ ბუნებას. გახსოვდეს ისიც, რომ გულმოდგინება, რომელსაც ამა თუ იმ საქმის მიმართ ვიჩენთ, მისი მნიშვნელოვნების თანაფარდი უნდა იყოს და თანაზომადი. ამრიგად, თუ შენ უფრო მეტ ყურადღებას არ მიაქცევ თვითეულ წვრილმანს, ვიდრე ეს შეშვენის გონიერ კაცს, აღარ მოგიწევს დაითმინო სასოწარკვეთილების სიმწარე.

33. ოდესღაც საყოველღიუროდ სახმარი სიტყვები დღეს გაუგებარნი არიან ვრცელი განმარტებების გარეშე. იგივე ითქმის ოდესღაც საქვეყნოდ სახელგანთქმული კაცთა, როგორც მაგალითად, კამილუსის^[219], ცეზონის^[220], ვოლუზუსისა^[221] თუ ლეონატუსის^[222] სახელთა მიმართ. მალე იგივე ბედი ეწევათ სციპიონსა და კატონს, შემდეგ ავგუსტუსს, და ბოლოს, ჰადრიანესა და ანტონინუსზეც მიდგება ჯერი. ყველაფერი მწრაფლწარმავალია, ყველაფერი მითს ემსგავსება ძალიან მალე, მერე კი, ასევე მალე, დავიწყებას ეძლევა მითიც. და ეს მაშინ, როცა საქმე ეხება ოდესღაც დიდების შარავანდედით მოსილთ; ხოლო რაც შეეხება დანარჩენთ, საკმარისია სული

განუტევონ და სახსენებელიც აღარსადაა მათი. მაშინ რაღაა სამარადისო ხსოვნა? ამოება ამოთა და არარაობა. მაშ, რაღას უნდა მიველტვოდეთ, რაღას უნდა მოვახმართ ჩვენი სიცოცხლე? აზროვნების სიწმინდესა და სიწრფელეს, საზოგადო საქმის სამსახურს, უტყუარ სიტყვას და სულის ისეთ განწყობილებას, რომელიც სიხარულით იღებს ყველაფერს, როგორც გარდუვალს, როგორც საცნაურს და საერთო საწყისისა და წყაროსაგან წარმოდინებულს.

34. შენის ნებით მიენდე კლოთოს^[223], და, დაე, მან მოგივლინოს თავს გარდასავლად ის, რაც თვითონ ეპრიანება.

35. რაოდენ დღემოკლეა ყოველი: ისიც, ვისაც ახსოვს და მისი ხსოვნის საგანიც.

36. გამუდმებით იფიქრე იმაზე, რომ ყველაფერი, რაც იბადება, ცვლილების ძალით იბადება ამ ქვეყნად, და შეაჩვიე თავი იმ აზრს, რომ დედაბუნებას არა უყვარს რა ისე, როგორც არსებულის ცვლა და მისივე მსგავსის ახლად შექმნა-შენება. მართლაც, ყოველი არსებული, გარკვეული აზრით, თესლია მისი, რაიც მისგან აღმოცენდება, შენ კი თესლად თვლი მხოლოდ ხნულში თუ მდებდრის საშოში ჩათესილს, და, ამრიგად, სიბრიყვეში მყაყდები.

37. ცალი ფეხი სამარეში გიდგას უკვე, შენ კი ჯერაც არ შეგიმოსავს უბრალოება და სულის სიმშვიდე, არც შემწყნარებლობა და იმის რწმენა, რომ გარეშე საგნებს არ შეუძლიათ რაიმე გავნონ; ჯერაც ვერ შეგიცვნიას, რომ სიბრძნე მხოლოდ სიკეთეშია და მართალი სამართლის ქმნაში.

38. ჩაიხედე კაცთა სულელებში და გულისხმაყავ, რას გაურბიან ბრძენნი, ან რას მიელტვიან.

39. ის, რასაც ბოროტს უწოდებ შენ, სხვის სულში როდი ჰგის, ანდა შენი ხორციელი გარსის ცვლასა და სახეცვალებადობაში. მაშ სად? შენსავე უნარში, რომლის წყალობითაც ყალიბდება შენი წარმოდგენა ბოროტებაზე. მაშ, დე, დადუმდეს ეგ უნარი და ყველაფერი რიგზე იქნება^[224]; დაე, ის მშვიდად ეგოს მაშინაც კი, როცა მისი უახლოესი მეზობელი, მისი გარემომცველი სხეული ასო-ასო იჭრება, იწვის ან იმლება ხრწნილება-ქმნილი; დაე, თვით სჯიდეს, თვით იცხადებდეს, რომ ის, რაც განურჩევლად შეიძლება შეემთხვეს კეთილსაც და აკვაცსაც, არ იმარხავს არც სიკეთეს, არც ბოროტებას^[225]. და მართლაც, ის, რაც თანაბრად მოდის როგორც

ბუნების წესის მიმდევრის, ისე არა ამ წესისაებრ მცხოვრების მიმართ, არ შეიძლება ეთანხმებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ბუნებას.

40. ყოველთვის უნდა იაზრებდე სამყაროს, როგორც ერთ არსს – ერთარსებას და ერთი სულით მოსილს: ყოველთვის უნდა გახსოვდეს, როგორც დაიყვანება ყველაფერი მის ერთ შეგრძნებამდე. როგორ მოიქცევა ყოფად ყოველი მისი ერთ სწრაფვად ქცეული ნებით, როგორ იქცევა ყველაფერი ის, რაც არის, თანამიზეზად იმისა, რაც უნდა იქმნას, და, დასასრულ, როგორია კავშირი და თანაფარდობა საგანთა შორის.

41. რა ხარ? ერთი საწყალობელი სული, რომელიც ცხედარს დაათრევს ქვეყნად, – როგორც იტყოდა ეპიქტეტე^[226].

42. არა არის რა ავი იმაში, რომ განიცდი ცვალებადობას, ისევე როგორც არა არის რა კეთილი იმაში, რომ არსებობ სწორედ იმ ცვალებადობის შედეგად.

43. დრო მდინარეა ქმნადისა და შმაგი ნაკადი^[227]. წარმოგვიჩნდება თუ არა რამე, მეყვსეულად წარიტაცებს დროის დინება; უჩინარქმნილს მეორე მოსდევს, მაგრამ მალე ისიც მიეფარება თვალს.

44. ყველაფერი, რაც ხდება, ისევე ჩვეულებრივ ხდება, როგორც ვარდი იშლება გაზაფხულზე, ანდა ყურძენი მწიფს შემოდგომით. იგივე ითქმის სნების, სიკვდილის, ცილისწამების, გამცემლობის და ყოველივე იმის მიმართაც, რაც ესოდენ ახარებს ან ამწუხრებს ბრიყვთ.

45. მომდევნო ყოველთვის წინამორბედს ენათესავება. აქ საქმე გვაქვს არა ცალკეული რიცხვების მწკრივთან, რომელთაც მხოლოდ რაოდენობა ჰკრავს და აერთებს, არამედ ლოგიკურ ერთობლიობასა და თანამიმდევრობასთან. და როგორც ყოველი არსებული ჰარმონიული კავშირით ეუღლება ერთიმეორეს, ისე ყოველივე ქმნადშიც ცნაურდება არა უბრალო მონაცვლეობა, არამედ ღვიძლი ნათესაობა და განსაცვიფრებელი შინაგანი სიახლოვე^[228].

46. ყოველთვის გახსოვდეს ჰერაკლიტეს სიტყვები: «მიწისთვის სიკვდილია წყლად ქცევა, წყლისთვის – ჰაერად, ჰაერისთვის – ცეცხლად და პირუკუ»^[229]. გახსოვდეს კაცი, რომელმაც დაივიწყა, საით მიყვავართ გზას; გახსოვდეს ისიც, რომ კაცნი ხშირად ანგარიშს არ უწევენ ყოვლისგამრიგე გონების ხმას, ურომლისოდაც

წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, და რომ მათ უცხოდ უჩანთ ისიც კი, რასაც ყოველდღე აწყდებიან ცხოვრების გზაზე. და ბოლოს, ნუ დაივიწყებ იმასაც, რომ კაცს არ შეშვენის სიზმარში მყოფივით იქცეოდეს და სჯიდეს (რამეთუ ჩვენ გვეჩვენება, თითქოს სიზმარშიც ვმოქმედებთ და ვმსჯელობთ), ან პატარა ბალებების მსგავსად, რომლებიც ბრმად ჰბადავენ ხოლმე უფროსებს.

47. ერთ ღმერთთაგანს რომ ებრძანებინა შენთვის: ხვალ მოკვდები, ან ხვალ თუ არა, ზეგ მაინცო, შენ, ალბათ არ არჩევდი ზეგ მომკვდარიყავ მაინცდამაინც და არა ხვალ, თუ, რა თქმა უნდა, მხდალი არ ხარ და გულდედალი; რადგან, თავად განსაჯე, რაოდენ უბადრუკია სხვაობა! მაშ, ნუ ნაღვლობ, როდის მოკვდები: ხვალ თუ მირიადი ხვალის შემდეგ^[230].

48. გამუდმებით იფიქრე იმაზე, რამდენი მკურნალი აღარ არის უკვე, სნეულის სასათუმალთან დღედაღამ შუბლშექმუხვებით მჯდარი, სხვათა სიკვდილის – თითქოს რაღაც არნახულის – წინასწარ მაცნე რამდენი ასტროლოგი, სიკვდილისა თუ უკვდავების მიზეზთა მჩხრეკი რამდენი ფილოსოფოსი, ლაშქართმმუსვრელი რამდენი მეომარი, და, დასასრულ, რამდენი ტირანი, რომელნიც ისეთი გაუგონარი გულგრილობით წყვეტდნენ ქვეშევრდომთა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, თითქოს უკვდავნი ყოფილიყვნენ თავად; რამდენი ქალაქი აღიგავა პირისაგან მიწისა; რამდენი ჰელიკე, პომპეი, ჰერკულანუმი^[231] და სხვა მრავალი. გაიხსენე ისინიც, ვისაც პირადად იცნობდი შენ: ერთმა ვის მიაგო უკანასკნელი პატივი, მეორემ – ვის, ბოლოს კი თვითონაც მიებარნენ მიწას; და ყველაფერი ეს – სულ რაღაც ორიოდ წამში. ამიტომ ყოველთვის უნდა უცქერდე ყოველივე კაცურს, როგორც მალეხრწნადს და მსწრაფლწარმავალს: ის, რაც გუშინ ჩანასახი იყო მხოლოდ, ხვალ უკვე მუმიია და მტვერი. მაშ, შენი დღემოკლე სიცოცხლის მანძილზე ნურასოდეს გადაუხვევ ბუნების გზას. მერე კი ისევე უდრტვინველად განვედ სიცოცხლით, როგორც მწიფე ზეთისხილი ვარდება ხიდან: დედამიწისა და მშობელი ხის მიმართ ლოცვა-კურთხევით და გულმხურვალე მადლობის წირვით.

49. იყავი, როგორც კლდოვანი კონცხი, რომელსაც ღრიალით აწყდებიან ტალღები, ის კი მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარება. «ეს რა შემემთხვა მე უბედურსო», – ნუ იტყვი ამას, არამედ სთქვი: «ბედნიერი ვარ, ბედნიერ ვარ იმიტომ, რომ თუმცა ესა და ეს შემემთხვა, მაგრამ მაინც არ ვეძლევი სასოწარკვეთას, ქედს არ ვუხრი აწმყოს და არ ვუფრთხი მერმისს». მართლაც, ეს შეიძლება ყველას შემთხვეოდა, მაგრამ ყველა როდი შეინარჩუნებდა სულის

სიმხნევს. მაშ, რატომაა ერთი უფრო უბედურება, ვიდრე მეორე – ბედნიერება? განა შენ კაცისთვის უბედურებად მიიჩნევ იმას, რაც საკუთარი მიზნის მიღწევაში ხელს არ უშლის კაცურ ბუნებას? ან, იქნებ გგონია, რომ ეს ხელისშემშლელი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რაც არ ეწინააღმდეგება კაცური ბუნების ზრახვებს? მაგრამ რას იზრახავს იგი? შენ იცი ეს. განა ის, რაც შენ შეგემთხვა, ხელს გიშლის იმაში, რომ სამართლიანი იყო, სულგრძელი, ზომიერი, გონიერი, წინდახედული, წრფელი, თავმდაბალი და თავისუფალი, მოკლედ, ყველა იმ სიქველით მოსილი, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს და თავის ჭეშმარიტ სახეს ანიჭებს კაცურ ბუნებას? მაშ, ამას იქით, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, რომელსაც ძალუმს ტკივილი მოგაყენოს, ასე შეაგონე შენსავე თავს: «ეს შემთხვევა კი არ არის ჩემი უბედურების წყარო, პირიქით, მისი ღირსეულად დათმენის უნარია ბედნიერება».

50. არის ერთი უბრალო, მაგრამ ქმედითი წამალი მისთვის, ვისაც სურს შეიზიზღოს სიკვდილი: დაე, გაიხსენოს ისინი, ხარბად რომ ებღაუჭებოდნენ სიცოცხლეს და არ ეთმობოდათ იგი. რითი აღემეტნენ იმას, ვინც უდროოდ გამოესალმა ამ წუთისოფელს? განისვენებენ თუ არა სადღაც კადიკიანე, ფაბიუსი, იულიანუსი, ლეპიდუსი^[232] და მათი მსგავსნი, რომელთაც ამდენი ხალხი წაიმძღვარეს წინ და ბოლოს თვითონაც მათ მიჰყვნენ უკან? განსხვავება დროში საერთოდ უმნიშვნელოა და, ეგეც არ იყოს, გულისხმაყავ, რა პირობებში, რა კაცთა შორის ან რაოდენ უბადრუკ გარსში მოგიწევს ამ დროის გატარება. მაშ, ნურაფრად მიიჩნევ ამას. უკუიხედე! – იქ უსასრულო უფსკრულია მარადისობის; წინ? – მეორე უსასრულობა. თავად განსაჯე, ამ უსასრულობის გვერდით, რა განასხვავებს ერთმანეთისაგან მას, ვინც სამი დღე იცოცხლა მხოლოდ და სამი სიცოცხლის მომჭმელ^[233] ბერიკაცს?!

51. ყოველთვის უმოკლესი გზით იარე; უმოკლესი გზა კი ბუნებრივი ცხოვრების გზაა. მაშ, გონების ხმას შეუწონე ყველა შენი სიტყვა თუ საქმე; გწამდეს, მხოლოდ ეს დაგიხსნის სასოწარკვეთილებისაგან, ფუჭი ბრძოლისგან, პირმოთნეობისა და პატივმოყვარეობისაგან.

წიგნი მეხუთე

1. თუ შენ დილით გეზარება ადრე ადგომა, მაშინ ასე შეაგონე შენსავე თავს: მე ვდგები, რათა აღვასრულო ჩემი კაცური საქმე! მაშ, რატომ ვდრტვინავ იმის გამო, რომ ხელს ვკიდებ საქმეს, რომლის აღსასრულებლადაც მე შემქმნა და ამ ქვეყნად წარმომგზავნა განგებამ? ნუთუ ჩემი დანიშნულება თბილ საწოლში ნებივრობაა მხოლოდ? – მაგრამ ეს უფრო სასიამოვნოა! – მაშ, შენ მხოლოდ სიამოვნებისა და განცხრომისთვის ხარ შექმნილი? მაშ, შენ უმოქმედობისა და არა მოქმედებისათვის მოხველ ამ ქვეყნად? შეხედე მცენარეებს, ჭილყვაებს, ჭიანჭველებს და ბაბაჭუებს, რომლებიც ასეთი გულმოდგინებით ასრულებენ თავიანთ საქმეს და საკუთარი რუდუნებით, შეძლებისდაგვარად, სრულყოფენ სამყაროს მშვენიებას. შენ კი არ გასურს მოიხადო შენი კაცური ვალი და არ ისწრაფვი მისკენ, რაც ასერიგად ეთანხმება შენს ბუნებას. – კი მაგრამ, დასვენებაც ხომ საჭიროა? – რა თქმა უნდა; მაგრამ ბუნებამ დასვენებასაც თავისი ზღვარი დაუწესა, ისევე როგორც ჭამას და სმას. მიუხედავად ამისა, შენ ყოველთვის გადადიხარ ზომიერების ზღვარს, მაშინ როდესაც მოქმედებისას შესაძლებელ ზღვარსაც ვერ აღწევ, და ეს იმიტომ, რომ არაფრად მიგაჩნია შენივე თავი. ასე რომ არა, შენ გეყვარებოდა შენი ბუნებაც და ისიც, რასაც გიწესებს იგი. სხვანი, საკუთარი ხელობის სიყვარულით გულშემძრულნი, მთელის არსებით ეძლევიან საყვარელ საქმეს და ხშირად ივიწყებენ განზანას, სმასა და ჭამას. შენ კი უფრო ნაკლებ აფასებ საკუთარ ბუნებას, ვიდრე ოქრომჭედელი – ოქრომჭედლობას, მროკავი – როკვას, ანგარი – ვერცხლს და პატივმოყვარე – დიდებას. ისინი, საკუთარ ვნებებს აყოლილნი, უმალ ძილსა და სმა-ჭამაზე იტყვიან უარს, ვიდრე იმისკენ სწრაფვაზე, რაც ასერიგად ხიბლავს და ატყვევებს მათ. ნუთუ საქვეყნო საქმის სამსახური შენს თვალში უფრო უმნიშვნელო ჩანს და ნაკლები გულმოდგინების ღირსი?

2. რაოდენ ადვილია მოიკვეთო ყოველგვარი ფუჭი თუ შენი ბუნებისთვის უღირსი წარმოდგენა და, ამრიგად, ეზიარო სულის სრულ სიმშვიდეს და ნეტარებას.

3. გწამდეს, შენ ღირსი ხარ იმისა, რომ ყოველთვის მსჯელობდე და მოქმედებდე ბუნების თანახმად. ნუ შეგაკრთობს კაცთა ყვედრება და მითქმა-მოთქმა. თუ ფიქრობ, რომ კეთილია ესა თუ ის მოქმედება, გინა მსჯელობა, ნუ მიიჩნევ ნურცერთ მათგანს შენთვის უღირსად. გახსოვდეს, ყველას საკუთარი მძლოლი წარმართავს და ყველა თავის გულისთქმას მისდევს. მაშ, ნურაფრად მიიჩნევ ამას და პირდაპირ ისწრაფე წინ, თვითონ შენი საკუთარი და საერთო ბუნების გზით, რადგან ერთია გზა ორივესი [234].

4. მე ყოველთვის ბუნების გზას მივსდევ და ამ გზით ვივლი მანამ, სანამ არ დავეცემა და ჩემს სულს და სუნთქვას არ ჩავაბარებ მას, ვისითაც ვსუნთქავ და ვსულდგმულობ მარადღე; სანამ არ მივებარები მიწას, რომელმაც დასაბამი მისცა მამის თესლს, დედის სისხლსა და ძიძის რძეს; მიწას, რომელიც ამდენი წელია უშურველად მაჭმევს და მასმევს, და რომელსაც ასე უმოწყალოდ ვქელავ და ვყვლეფ.

5. შენ ვერავის გააკვირვებ გამჭრიახობით; რა ვუყოთ მერე? მაგრამ არის ბევრი რამ ისეთი, რომელთა მიმართ შენ ვერ იტყვი: მე არა ვარო ამისათვის დაბადებული. მაშ, შეიმოსე ყველა ის სიქველე, რომელთაც სხვისი შეწევნით კი არა, მხოლოდ შენი მცდელობით თუ ეზიარები: გულწრფელობა, სიღარბაისლე, ღვაწლისმძლეობა, განცხრომათა მოძულებობა, ბედის მორჩილება, ზომიერება, კეთილმოსურნეობა, თავისუფლება, უბრალოება, სიტყვაძვირობა, დიდსულოვნება. ნუთუ ვერა გრძნობ, რამდენ რასმე შეგეძლო მისწვდომოდი, რამდენ ისეთ რასმე, რის ვერმიწვდომასაც ვერასოდეს გაამართლებ საკუთარი ბუნების სისუსტით და უუნარობით. შენ კი დღემდე ერთ ადგილს ტკეპნი შენივე ნებით. ან, იქნებ, მართლაც ბუნებით თანდაყოლილი უმწეობაა დრტვინვის, სიხარბის, პირმოთნეობის, შენი უბადრუკი სხეულის გამობის, მისი სიშლეგის თმენის, მზვაობისა თუ სულის სხვა მსგავსი ბორგვისათვის შენი აღმძვრელი? არა, ღმერთმანი, არა და არა! შენ უკვე დიდი ხანია შეგეძლო ყოველივე ამისაგან დაგეხსნა თავი. ხოლო თუ აღიარებ, რომ მართლაც ცნობასუსტი ხარ და მძიმედმხედველი, მაშინ ისიც აღიარე, რომ ამ ნაკლს მხოლოდ ხანგრძლივი წვრთით და რუდუნებით თუ მოიკვეთს კაცი და არა მასზე ხელის ჩაქნევით.

6. ერთი, სიკეთეს რომ უზამს კაცს, სამაგიეროს მოითხოვს მისგან^[235]. მეორე არ მოითხოვს, მაგრამ სულის სიღრმეში თავის მუდმივ მოვალედ თვლის მას და არასოდეს არ ივიწყებს საკუთარ ქველმოქმედებას. და ბოლოს, მესამე, გარკვეული აზრით, ჩალადაც არ აგდებს მისეულ სიქველეს; ამ მხრივ ის ვაზს მოგვაგონებს, რომელიც უშურველად გვთავაზობს სავსე მტევნებს და არაფერს მოითხოვს ნაცვლად, კმაყოფილი მარტოდენ იმით, რომ ბოლომდე მოგვცა თავისი სიტკბო^[236]. ასე რბის ცხენი, ასე ეძებს კვალს მეძებარი, ასე აგროვებს ფუტკარი თაფლს. ამიტომ კაციც, კეთილი საქმის მოქმედი კაციც, საქვეყნოდ კი არ გაჰყვირის – აი, რა ვქმენო, არამედ უხმაროდ გადადის მეორე საქმეზე, მსგავსად ვაზისა, რომელიც ყოველი ახალი სთვლისათვის ხელახლა ამწიფებს მტევნებს. – მაშასადამე, ჩვენ უნდა ვბაძავდეთ მათ, ვინც სიკეთის ქმნისას, გარკვეულის აზრით, განუსჯელად მოქმედებენ და ანგარიშს არ უწევენ მას, რაცა ჰქმნეს? – დიახ. – კი მაგრამ, სიკეთე ხომ ისაა სწორედ, რაც განსჯასა და ანგარიშის გაწევას მოითხოვს? რადგან, როგორც ამბობენ,

მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილ არსებას ჰმართებს იცოდეს, რომ საზოგადო სიკეთისთვის მოქმედებს, და – ვფიცავ ზევს! – სურდეს კიდევ, რომ მისმა მოყვასმაც იცოდეს ეს. – მართალს ბრძანებ; მაგრამ შენ არ გესმის თქმულის ფარული არსი და ამიტომაც ემსგავსები ერთ-ერთ მათგანს, ვინც ზემორე მოვიხსენიე. რადგან ისინიც შეცდომაში შეჰყავს განსჯის მოჩვენებით სისწორეს. ხოლო თუ გსურს გაიაზრო ზემორე თქმული, ნუ შიშობ, თითქოს ეს დაგავიწყებს შენს მოვალეობას მოყვასთა მიმართ.

7. ათენელთა ლოცვა: «წვიმად გარდმოვედ, წვიმად გარდმოვედ, ო, დიდო ზევს, ათენელთა ყანებსა და მდელოებს ზედა!» ან საერთოდ არ უნდა ილოცო, ან თუ ილოცავ, ისე უბრალოდ, როგორც ლოცულობდნენ ეს თავისუფალი მოქალაქენი.

8. ორი წინადადების აზრი: «ასკლეპიოსი^[237] ამა და ამ კაცს სამკურნალოდ ცხენზე ჯდომას, ცივ შხაპსა და ფეხშიშველა სიარულს უწერს» და «მთელის ბუნება ამა და ამ კაცს ბედად სნეულებას, საპყრობასა და სახიჩრობას უწერს», – სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. მართლაც, პირველ შემთხვევაში «უწერს» ნიშნავს: ის უნიშნავს ამა და ამ კაცს ამას და ამას, როგორც მისი ჯანმრთელობის საწინდარს; მეორეში კი შემდეგ: ყველაფერს, რაც ამა და ამ კაცს ხვდება წილად, მთელის ბუნება მოუვლენს მას, როგორც მისსავე სვესთან წილნაყარს. ჩვენ იმასაც ვამბობთ, რომ ესა და ეს «გვერგო» წილად, ისევე როგორც გალავნებსა თუ პირამიდებში დატანებულ, ოთხკუთხად დათლილ ქვებზე კირითხურონი იტყვიან ხოლმე – რა კარგად «მოერგნენო» ერთიმეორეს, როცა ისინი გარკვეულ ჰარმონიულ მთელად ერწყმიან ერთმანეთს. მართლაც, ერთიანი ჰარმონია განწონის ყოველს, და როგორც სამყაროს, ამ დიად სხეულს, ყველა ცალკეული სხეულის ერთობლიობა აგებს, ისე ბედისწერაც, ეს უმაღლესი მიზეზი, ყველა ცალკეულ მიზეზთა ერთობლიობისგან ითხზვის. მე მგონია, ჩემი სიტყვები თვით ყველაზე უმეცართათვისაც გასაგებია, რადგან ისინიც იტყვიან ხოლმე: ესა და ეს ბედმა მოუვლინაო მას. ესე იგი, ამა და ამ კაცს ეს უწერია, ეს ხვდება წილად. მაშ, მივიღოთ ჩვენი წილხვდომილი, როგორც წამალი, რომელსაც ასკლეპიოსი უწერს ავადმყოფს. რადგან თუმცა ყველა წამალი თანაბრად როდი მოგვწონს, მაგრამ განკურნების მოსურნენი, მაინც ხალისით ვღებულობთ მათ. იზრუნე საერთო ბუნების ყველა მიზნის ხორცშესხმისათვის, როგორც შენი საკუთარი ხორცის, საკუთარი სხეულის სიმრთელისთვის ზრუნავ. ნებსით მიიღე ყველაფერი, რაც წილად გხვდება, თუნდაც მიუღებლად მიგაჩნდეს იგი, რადგან სწორედ მას მივყავართ მიზნისაკენ, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სამყაროს სიმრთელე, ზევსის ძლევა მოსილი სვლა და ზეიმი. გწამდეს, საერთო ბუნება არას წარმოგიგზავნიდა ისეთს, რაც შეუსაბამო იქნებოდა საყოველთაო სიკეთისათვის.

რადგან არცერთი კერძო ბუნება არ იმარხავს რაიმე ისეთს, რაც არ შეესაბამება ამ ბუნების მტვირთველ არსებას. მაშ, გიყვარდეს ყველაფერი, რაც წილად გხვდება: ორი რამის გამო გიყვარდეს: ჯერ ერთი, შენი წილხვდომილი იმთავითვე შენთვის იყო გამიზნული, შენთვის შექმნილი და შენსავე სვესთან თანათხზული დასაბამიერ მიზეზთა ძალით^[238]. მეორეც, სწორედ იგია ერთ-ერთი მიზეზი არსთა გამრიგის ძალმოსილების, სრულქმნილების და – ვფიცავ ზევსს! – თვითონ მისი წარუდინებლობისა. რადგან შენ შებღალავ მთელს, თუ ოდნავ მაინც დაარღვევ თანხმობას და თანაკავშირს როგორც მისი ნაწილების, ისე მისი მიზეზებისას. შენ კი სწორედ ამას სჩადიხან, როცა დრტვინავ რისამე გამო და, ამრიგად, თითქოს არყოფნაში აბრუნებ მყოფს.

9. მერე რა, თუ ჭეშმარიტ საწყისთა მიხედვით მოქმედებისას ყოველთვის ვერ აღწევ სასურველ მიზანს? ნურც სასოს წარიკვეთ, ნურც მხნეობას დაჰკარგავ და დაეცემი. შენ დამარცხდი, ხელი მოგეცარა? რა ვუყოთ მერე? ხელახლა მიუბრუნდი ხელის მოცარვის მიზეზს და კმაყოფილება ჰპოვე იმაში, რომ შენი ქცევით არა ბღალავ კაცური კაცის სახელს. გიყვარდეს ისიც, რასაც კვლავ და კვლავ უბრუნდები, რადგან ფილოსოფიას ისე როდი უბრუნდებიან, ისე როდი მიმართავენ, როგორც ყრმა მიმართავს ლალას, არამედ როგორც თვალმტკივანი – ღრუბელს^[239] ან კვერცხს^[240], სხვანი კიდეც – სამკურნალო ძალამოს თუ ცხელ შხაპს. ასე უფრო ადვილია დაემორჩილო გონების ნებას და სულის სიმშვიდე ჰპოვო ამაში. ნუ დაივიწყებ, რომ ფილოსოფია მასვე მიელტვის, რასაც მიელტვის შენი ბუნება. შენ კი სასურველად გიჩანს ის, რაც ასერიგად ეწინააღმდეგება ბუნებას. მაგრამ რა უფრო მიმზიდველია? განა განცხრომა, სინამდვილეში, არ გვაცთუნებს და გვალორებს ჩვენ? თავად განსაჯე, რამდენად უფრო მომხიბლავია დიდსულოვნება, თავისუფლება, უბრალოება, კეთილმოსურნეობა, ღვთისმოსავობა. განა რამე შეედრება ღვთაებრივ სიბრძნეს, თუ გულისხმავყოფთ, რაოდენი სიწმინდე და სიწრფელე ახლავს საგანთა არსში წვდომისა და შემეცნების ამ ჭეშმარიტად უბადლო უნარს?

10. საგნებს ისეთი განუჭვრეტელი უკუნი ჰბურავს, რომ ბევრი ჭეშმარიტი ფილოსოფოსი სავსებით შეუცნობლად მიიჩნევს მათ. და თვით სტოელთათვისაც კი ძნელად შესაცნობი ჩანან ისინი. არცერთი ჩვენი მტკიცება არ არის რაღაც უცვლელი და ურყევი. მართლაც, სად ჰპოვებ კაცს, ერთხელაც რომ არ შეეცვალოს თავისი აზრი?^[241] მიიქეც შენი გარემომცველი საგნების ჭვრეტად და გულისხმავ, რაოდენ უდღეურნი და მსწრაფლწარმავალნი არიან ისინი, რა ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ მემრუშის, მეძავისა თუ მეკობრის ხელში^[242]. მოიხილე შემდგომ ამისა,

თანამედროვეთა ზნენი: რაოდენ ძნელი ასატანია მათგან ყველაზე ზნესრულიც კი, თუმცა სხვის ატანაზე რა უნდა ვთქვათ, როცა საკუთარ თავს ძლივს იტანს ბევრი მათგანი. და მე არ ვიცი, ამ წყვილიადასა და ამ მწვირეში, მატერიის, დროის, მოძრაობისა და თვით მოძრავ საგანთა ამ მუდმივ დინებაში, რა მიმჩნდეს მუხლმოდრეკის ღირსად, რას ვცე თაყვანი. ამიტომ უდრტვინველად დაველოდოთ ჩვენს ბუნებრივ აღსასრულს, ხოლო თუ ის დაიგვიანებს, ამ ორი აზრით ვინუგემოთ თავი: ჯერ-ერთი, შეუძლებელია მე შემემთხვეს რამე ისეთი, რაც შეუსაბამო იქნებოდა საერთო ბუნებისათვის და, მეორეც მე შემიძლია ყოველთვის ჩემი ღმერთისა და ჩემი დემონის მორჩილი ვიყო და მათი ნებისყოფელი; რადგან ვის ძალუმს მაიძულოს ვეურჩო მათ?

11. რას ვახმარ ამჟამად ჩემს სულს? აი, რა უნდა ჰკითხო ხოლმე შენსავე თავს, და მერე იკვლიო, რა მოსდის შენი არსების იმ ნაწილს, რომელსაც წარმმართველს უწოდებენ მართებულად. ვისი სული მაქვს მე ახლა? ჩვილის, ჭაბუკის, სუსტი დიაცის, ტირანის, პირუტყვის თუ მქსინვარე მხეცის?

12. როგორია ბუნება მისი, რაც სიკეთედ ესახება ბრბოს? აი, რა გაგიცხადებს ამას: კაცი, რომელიც სიკეთეზე ფიქრისას მხოლოდ ჭეშმარიტი სიკეთის, ვთქვათ, სიბრძნის, ზომიერების, სამართლიანობისა თუ სიმამაცისათვის ფიქრობს, არ დაუშვებს, რომ მისი ფიქრების სიწმინდე აამღვრიონ პოეტის სიტყვებით: «ამდენ სიკეთით სავსე»..., რადგან მათში სულ სხვა სიკეთე იგულისხმება. ხოლო თუ სიკეთის წარმოდგენისას კაცს იგივე უდგას თვალწინ, რაც სიკეთედ ესახება ბრბოს, მაშინ ის არამარტო აუმღვრევლად მოისმენს, არამედ ხალისით გაიზიარებს კიდევ კომიკოსი პოეტის სიტყვებს, როგორც ფრიად მოსწრებულად ნათქვამთ. კაცთა უმრავლესობა ნათლად ხედავს ამ განსხვავებას, ურომლისოდაც, პირველ შემთხვევაში, ეს სიტყვები უთუოდ დაჰკარგავდნენ უხამსობის ელფერს, მაშინ როდესაც მეორეში, სადაც სიკეთედ მიჩნეულია მორჭმულება, ფუფუნება თუ ფუჭი დიდება, ასერიგად მოგვწონს ისინი და მათი მახვილგონივრულობით ვტკბებით. მაშ, გადადგი შემდეგი ნაბიჯი და ასე ჰკითხე შენსავე თავს: ნუთუ მართლა სიკეთედ უნდა მიგვაჩნდეს ის, რის მიმართაც შეგვეძლო გვეთქვა: «ამდენ სიკეთით სავსე სახლის პატრონსაც უჭირს, მხოლოდ იმიტომ, რომ ველარსად მოუშარდია»^[243].

13. ჩემი არსება ნივთიერ და მიზეზობრივ საწყისთაგან არის შემდგარი^[244]. არც ერთი და არც მეორე არ გარდავა არყოფნაში, ისევე როგორც არცერთი არ წარმომდგარა არყოფნისაგან. ამიტომ ჩემი არსების თვითეული ნაწილი ცვლილების შედეგად სამყაროს რომელიღაც ნაწილად იქცევა, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელახალი

ცვლილების ძალით, – სამყაროს რომელიღაც სხვა ნაწილად, და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ. რადგან მეც, თუ ვარსებობ, ცვლილების ძალით ვარსებობ ქვეყნად, ცვლილების ძალით არსებობდა ჩემი მშობელიც, და ასე შემდეგ, ისევ და ისევ დაუსრულებლივ. ყველაფერი ეს ძალაში რჩება მაშინაც კი, თუ სამყარო თანაბარზომიერი პერიოდების კანონს ექვემდებარება^[245].

14. გონება და გონების ქმედითობა, აი, ორი უნარი, რომელთაც სავსებით აკმაყოფილებს საკუთარი თავი და საკუთარი საქმენი. მათი სწრაფვა მხოლოდ მათი ბუნებრივი საწყისისგან იღებს დასაბამს და მათს გზასაც პირდაპირ მიჰყავს ისინი დასახული მიზნისაკენ. ამიტომაც ეწოდება ყველა მათეულ ქმედებას «წრფელი»^[246], რაც მიგვანიშნებს გზის სიწრფელესაც.

15. ნუ მიიჩნევ კაცისად ნურაფერს ისეთს, რაც არ ეხება კაცს, როგორც კაცს. რადგან არაფერ ამგვარს არ საჭიროებს კაცი, არაფერ ამგვარს არ მოითხოვს კაცის ბუნება ან სრულყოფა ამ ბუნებისა; არაფერი ამდაგვარი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კაცის ჭეშმარიტ მიზნად და, მაშასადამე, არც მიღწევად ამ მიზნისა, ანუ სიკეთედ. ასე რომ არა, განა კაცისთვის ბუნებრივი იქნებოდა გულგრილობა და ზიზღი ყოველივე ამის მიმართ? განა საქები იქნებოდა ის, ვინც ცდილობს არარად უჩნდეს ყოველივე ეს? განა ქველად მივიჩნევდით მას, ვინც ნებსით იზღუდავს თავს ყოველივე ამისაგან? მაშინ როდესაც, სინამდვილეში, კაცი მით უფრო უკეთესია, რაც უფრო ნაკლებ მიელტვის, ან რაც უფრო მეტად ეკრძაღვის ყოველივე ამას.

16. როგორცაა შენი წარმოდგენების სიმრავლე, ისეთი იქნება შენი სულიერი ცხოვრებაც, რადგან წარმოდგენები სიღრმემდე განწონიან სულს. მაშ, დაე, განიწონოს შენი სული შემდეგნაირი წარმოდგენებით: იქ, სადაც შეიძლება იცხოვრო, შეიძლება კარგადაც იცხოვრო; სასახლის კარზე შეიძლება იცხოვრო, მაშასადამე, იქ შეიძლება კარგადაც იცხოვრო. და შემდეგ: ყოველი არსი მიილტვის იმისკენ, რისთვისაც ის შექმნა ბუნებამ, ხოლო მისი ლტოლვის საგანი მისი მიზანია, რაღა თქმა უნდა; მისწვდე მიზანს, ნიშნავს ეზიარო სიკეთეს, გონიერი არსების სიკეთე კი თანაცხოვრებისა და თანაარსებობის წესი გახლავთ. ხოლო ის, რომ ჩვენ თანაარსებობისთვის ვართ შექმნილნი, დამტკიცებას აღარ მოითხოვს. განა ცხადი არ არის, რომ უმდაბლესი არსებანი უმაღლესათათვის არსებობენ, უმაღლესნი კი – ერთმანეთისთვის?^[247] სულიერი არსებანი უსულოებზე მაღლა დგანან, ხოლო სულიერთა შორის უმაღლესი ადგილი უჭირავთ გონიერთ.

17. შლეგია ის, ვინც მიელტვის შეუძლებელს. შეუძლებელი კი ისაა, რომ ავკაცნი ავკაცურად არ იქცეოდნენ.

18. არ შეიძლება კაცს შეემთხვეს რამე ისეთი, რისი დათმენის ძალიც არ შესწევს^[248]. მსგავსი რამ სხვებსაც შემთხვევიათ, მაგრამ ისინი, არ ვიცი, იმიტომ, რომ ვერ ხვდებოდნენ, რა შეემთხვათ თუ იმიტომ, რომ სურდათ საკუთარი დიდსულოვნებით მოეწონებინათ თავი, უშიშრად და უდრტვინველად შეხვედრიან ფათერაკს. ვაი სირცხვილო! ნუთუ უმეცრებას და პატივმოყვარეობას უფრო მეტი უნდა შეეძლოს, ვიდრე ჭეშმარიტ სიბრძნეს?^[249]

19. თვითონ საგნები ოდნავადაც არ ეხებიან სულს. სული მათთვის სავსებით მიუწვდომელია და მიუდგომელი^[250]. მათ არ ძალუბთ მისი შეცვლა, არც მისი აღძვრა, რადგან სული თვითონვეა თავისი თავის მცვლელიც და მძვრელიც. ამიტომ ბჭობის რა სახესაც მიიჩნევს ის თავის ღირსად, ისეთნი იქნებიან მისთვის გარემომცველი საგნების^[251].

20. ყველა არსთაგან, გარკვეულის თვალსაზრისით, კაცია ჩვენთვის ყველაზე ახლო მდგომი, რადგან ჩვენ გვმართებს კეთილს ვუყოფდეთ და უდრტვინველად ვითმენდეთ მას^[252], მაგრამ როდესაც რომელიმე კაცთაგანი გზას მილობავს მოქმედებისას, მაშინ ის არანაკლებ შორიელი ხდება ჩემთვის, ვიდრე მზე, ქარი ანდა ნადირი. ყოველივე ამან შეიძლება შეაფერხოს ჩემი მოქმედება, მაგრამ არა ჩემი ნება, ჩემი სწრაფვა, ჩემი სურვილი, რამდენადაც მე შემიძლია წინდახედულად ვმოქმედებდე და ჩემს ნებას თავს ვახვევდე საგნებს. და მართლაც, ჩემი გონების ქმედითობა სახესა და სახელს უცვლის ყველაფერს, რაც აბრკოლებს ჩემს სწრაფვას დასახული მიზნისაკენ: ის, რაც ხელს მიშლის მოქმედებისას, შეიძლება ჩემი ხელისშემწყობი გახდეს, ხოლო ის, რაც გზას მილობავს, – ჩემი გზამკვლევი^[253].

21. თაყვანი ეცი უსრულქმნილეს მთელს სამყაროში, ყოვლისმპყრობელს და ყოვლისგამრიგეს. თაყვანი ეცი უსრულქმნილეს თვითონ შენშიც: ის პირველს ენათესავება, რადგან იგია მთელი შენი არსების მპყრობელიც და შენი გამრიგეც^[254].

22. ის, რაც არ ვნებს ქალაქს, არც მოქალაქეს ვნებს. ყოველთვის, როცა გგონია, რომ რაიმე გევნო, ასეთი წესი მოიხმარე ვნების საზომად: «თუ ეს არ ვნებს ქალაქს, მაშასადამე, არც მე შეიძლება მვნებდეს»^[255], ხოლო თუ ქალაქს ევნო რაიმე, ნუკი შერისხავ ვნების მიზეზს, არამედ მიუთითე ან შეაგონე.

23. ხშირად იფიქრე, რაოდენ მსწრაფლწარმავალია, რაოდენ სწრაფად ქრება ყოველი: ისიც, რაც უკვე არსებობს და ისიც, რაც ახლა მოიქცევა ყოფად. რადგან არსი მდინარეს ჰგავს, მარადის მედინს. ქმედებანი განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს, მიზეზნი ათასგვარ სახეცვლილებას განიცდიან და გეგონება, არა არის რა ქვეყნად უცვლელი და წარუვალი; ხოლო ჩვენს გვერდით წარსულისა და მომავლის უსასრულო უფსკრულია, ყოვლის შთანმთქმელი. განა შლეგი არაა ის, ვინც მზვაობს, წუხს ანდა დრტვინავს ამ მალეხრწნად საგანთა გამო, თითქოს საქმე ეხებოდეს უხრწნელსა და მარადის მყოფს.

24. გახსოვდეს ყოვლადი არსი^[256], რომლის ესოდენ უმნიშვნელო ნაწილი ხარ შენ; მარადისობა, რომლისგანაც მხოლოდ ერთი წამი გხვდა წილად, მოკლე და მსწრაფლწარმავალი წამი; ბედისწერა, რომელშიაც შენც წილი გიძევეს, მაგრამ რაოდენ უბადრუკი წილი!

25. ვინმე სცოდავს ჩემდა მომართ? შეეშვი, სცოდოს; ეს მისი საქმეა; მას თავისი მრწამსი აქვს და მოქმედების თავისი წესი; მე კი ისეთი ვარ, როგორც სურს ვიყო საერთო ბუნებას და ისე ვიქცევი, როგორც სურს ვიქცეოდე ჩემსავე ბუნებას.

26. დაე, შენი სულის წარმმართველი და უზენაესი ნაწილი ყოველთვის განზე იდგეს შენი სხეულის მცონარების თუ სიშლეგისაგან. დაე, ნუკი შეერთვის სხეულს, არამედ მტკიცედ მოიზღუდოს თავი, და, ამრიგად, ხორცილა დაუტოვოს ასპარეზად ვნებათა ღელვას. ხოლო თუ იმ სიმპათიის წყალობით, რომელიც ასე მჭიდროდ ჰკრავს და აერთებს სულსა და ხორცს, ვნებანი მაინც მიაღწევენ აზრთა საუფლოს, ნუ ეცდები წინააღმდეგე მათს ამ ბუნებრივ აღზევებას. ოღონდ აზრს იმის შესახებ, კეთილია ეს თუ ბოროტი, დაე, შენი წარმმართველი საწყისი ნულარაფერს დასძენს თავის მხრივ.

27. ნურასოდეს მოსწყდები ღმერთებს, ღმერთებს კი არ სწყდება ის, ვინც დღემუდამ საკუთარ სულს უშლის და უშიშვლებს მათ; სულს კმაყოფილს თავისი ხვედრით და იმ დიდი დემონის მორჩილს, რომელიც ზევსმა მიუბოძა მძლოლად და მცველად. და ეს დემონი, ზევსის ნაწილი, გონებაა და აზრი თვითეული ჩვენთაგანისა.

28. ნუთუ შენ შერისხავ მას, ვისაც თხის სუნი ასდის, ან ვისაც პირი უყარს? რა ქნას? ასეთი პირი აქვს და ასეთი ილღიები; ამიტომაა, ასე საძაგლად რომ ყარს. – კი მაგრამ, – მეტყვიან, – კაცს გონება იმისთვის მიეცა, რომ თავისი ნაკლი შეიცნოს. – კეთილი და პატიოსანი; მაგრამ შენც ხომ კაცი ხარ და, მაშასადამე, გონებაც გაქვს. დაე, შენმა ფხიზელმა გონებამ გამოაღვიძოს მისი მთვლემარე გონი; მიუთითე, შეაგონე. თუ მოგისმენს, განიკურნება, და საჭირო აღარ იქნება რისხვა^[257].

29. შენ შეგიძლია ისე იცხოვრო აქაც, როგორც აპირებ ცხოვრებას აქედან წასვლის შემდეგ. ხოლო თუ შენ არ გაძლევენ ამის შეძლებას, განვედ სიცოცხლით^[258], მაგრამ განვედ როგორც კაცი, რომელიც არ ხედავს ამაში მაინცდამაინც დიდ ბოროტებას. «კვამლი დგას სახლში და მე გავდივარ»^[259]. ისე კი, სანამ აქედან რაიმე ძალა არ მერეკება, მე თავისუფალი ვარ და ვერვინ დამიშლის იმის ქმნას, რისი ქმნაც მსურს. ჩემი სურვილი კი სავსებით ეთანხმება გონიერი და ამ ქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი არსის ბუნებას.

30. სამყაროს სული თანაარსებობას ამკვიდრებს ყველგან. ამიტომ უმდაბლესი არსებანი მან უმაღლესთათვის შექმნა, ეს უკანასკნელნი კი – ერთმანეთისთვის. ხედავ, როგორი ურთიერთობა, როგორი ქვეწყობა და თანაწყობა დაამყარა მან არსთა შორის; როგორ მიაგო, ღირსებისამებრ, თვითეულს მისი მისაგებელი, და ბოლოს, როგორ აქცია თანამოაზრეებად უმაღლესი არსნი?

31. როგორ იქცეოდი დღემდე ღმერთების, მშობლების, ძმების, მეუღლის, შვილების, დედამძუძის და მამამძუძის, მოძღვართა, მოყვასთა, სახლეულთა, მსახურთა მიმართ? შეგიძლია თუ არა, თქვა: «არ მახსოვს, ვინმე შეურაცხმეყოს სიტყვით ან საქმით»^[260]. გაიხსენე, რამდენი რამ გადაგხდენია, რამდენი რამ დაგიტმენია, გაიხსენე, რადგან უკვე იხურება შენი ცხოვრების მატთანე და გადის შენი სამსახურის ყავლი. გაიხსენე, რამდენი მშვენიერი რამ გინახავს, რამდენი ვნება დაგიგმია ზიზღით და რამდენ განსაცდელს შეხვედრიხარ წარბმეუხრელად, რამდენჯერ არად შეგირაცხავს ფუჭი დიდება და რამდენი მაღლი გიქმნია უმაღურთათვის.

32. რატომ უნდა შეეძლოს უმეცარსა და უგუნურ სულს მრავლისმცოდნე და გაბრძნობილი სულის ამღვრევა? მაგრამ ვინაა მრავლისმცოდნე და გაბრძნობილი? ის, ვინც იცის დასაბამი და დასასრული და გონების, ყოველი არსის განმწონი და თანაბარზომიერი პერიოდების წიად ყოვლისგამრიგე გონების ძალმოსილება.

33. სულ მალე მიწად იქცევი და მტვრად. შენგან დარჩება მხოლოდ სახელი, ან ისიც არა. ჰმ, სახელი! რაა სახელი? უღონო ხმა და უსულო ექო. ყველაფერი, რაც კი რამედ ფასობს ამ ქვეყნად, ფუჭია, ხრწნადი და წარმავალი; ყველაფერი ეს ავად წაკიდებულ ნაგაზებსა ჰგავს ან მოუსვენარ ყრმებს, ხან რომ ერთად იმღერენ და იცინიან, ხან კი ტირილს იწყებენ უცებ. სად არის რწმენა და სიწმინდე, ან სიმართლე და სამართალი? ყველამ ერთად მიაშურა «ვრცელი მიწიდან ოლიმპოს მწვერვალს»^[261]. მაშ, რა გაკავებს ამ ჯურღმულში? გრძნობადი საგნები ცვლადნი არიან და უმტკიცონი,

თვითონ გრძნობანი – ბუნდოვანნი და ადვილად საცთუნებელნი, სასიცოცხლო ძალა – სისხლის ორთქლი და ოხშივარი, დიდება... რას აქნევ დიდებას ამ ხრწნადობის სამკვიდრებელში? მაშ, რა ვქნათ? უდრტვინველად დაველოდოთ აღსასრულს ან სახეცვლა-გარდაცვალებას^[262]. მაგრამ სანამ ეგ წამი არ დაგვდგომია? ვაქოთ და ვადიდოთ უკვდავნი, კეთილი ვუყოთ მოკვდავთ, უდრტვინველად დავითმინოთ მათი სიახლოვე, მაგრამ ნურც ძალზე დავიახლოვებთ მათ^[263]. ნუ დაივიწყებ, რომ ის, რასაც შენი არსება, შენი ხორცი და სული იმარხავს, შენ არ გეკუთვნის და, მაშასადამე, არც გექვემდებარება.

34. შენ შეგიძლია ყოველთვის ბედნიერი იყო, რადგან შეგიძლია ჭეშმარიტი გზა ირჩიო და ამ გზით წარმართო შენი მოქმედება და მრწამსი. ორი რამ აქვს საერთო ღმერთის და კაცის, ისევე როგორც ყველა გონიერი არსების სულს: ჯერ-ერთი, არაფერი უცხოვარი მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს, და, მეორეც, მას შეუძლია თავის ჭეშმარიტ სიკეთედ აზროვნებისა და მოქმედების სიწრფელე ირჩიოს და ამით დაუდოს ზღვარი საკუთარ სწრაფვას.

35. თუ ეს ჩემი ბიწი არ არის, არც ჩემი ბიწის შედეგი და, ამასთან, არც ქალაქს ვნებს, რაღად უნდა ვმფოთავდე მის გამო? მაგრამ რა შეიძლება ვნებდეს ქალაქს?

36. ნუ აჰყვები გრძნობათა თამაშს. დაეხმარე გაჭირვებულთ, ისე, როგორც შეგიძლია და როგორც ისინი იმსახურებენ; დაეხმარე, თუნდაც მათ გაჭირვებას ეგრეთწოდებულ საშუალ საგანთა უქონლობა იწვევდეს მხოლოდ. მაგრამ ნუ მიიჩნევ ბოროტებად ამ უქონლობას, რადგან ბოროტება მისი ბოროტებად მიჩნევაა თვითონ. მიჰბაძე ბერიკაცს, რომელიც წასვლისას ბზრიალას სთხოვს თავის გაზრდილს, თუმცაღა იცის, რომ ეს ბზრიალაა მხოლოდდამხოლოდ; ისე აქაც. მაგრამ როცა შენ ქადაგებ ტრიბუნიდან^[264]... – საწყალო კაცო, ნუთუ დაგავწყდა, რას ნიშნავს ეს? – კი მაგრამ, ხალხს რომ დაავიწყდა? – მერედა, შენ მხოლოდ ამიტომ ჰბაძავ რეგვენთ? სადაც არ უნდა მოვხვდე, მე შემიძლია ბედნიერი ვიყო. ხოლო ბედნიერია ის, ვინც კეთილი ხვედრი განუმზადა საკუთარ თავს. კეთილი ხვედრი კი კეთილმდრეკილებას სულისა, კეთილი სწრაფვა, კეთილი საქმე.

წიგნი მეექვსე

1. ყოვლადი არსი მორჩილია და მომყოლი ^[265]. მისი გამრიგე გონება კი არ იმარხავს რაიმე მიზეზს, რომელსაც შეეძლოს ბოროტის ქმნად აღძრას იგი, რადგან მისთვის სავსებით უცხოა ყოველგვარი ბოროტება; ამიტომ არც ვის ბოროტს უყოფს და არც ვნებს ვისმე. ხოლო სამყაროში ყველაფერი მისი ნება-სურვილით ხდება, მისი ნებით მოიქცევა ყოფად ყოველი.
2. დაე, შენთვის სულერთი იყოს ყველაფერი, რასაც ითმენ ან განიცდი მოვალეობის აღსრულებისას: სიცხე თუ სიცივე, ძილი თუ ღვიძილი, გმოზა თუ ქება, სიცოცხლე თუ სიკვდილი, რადგან სიკვდილი სიცოცხლის ერთი მიზანია ^[266], და თუ გსურს მშვიდად შეეგებო მას, საკმარისია კეთილად მოიგვარო დღეს მოსაგვარებელი საქმენი.
3. ჩასწვდი საგანთა სიღრმეს. დაე, შენს თვალს ნუ გამოეპარება ნურც მათი თავისებურება, ნურც მათი ღირსება.
4. ყველაფერი მალეხრწნადია და მალეცვლადი; ყველაფერი ან აორთქლდება, თუ არსი ერთია მართლაც, ან განქარდება ^[267].
5. ყოვლისგამრიგე გონება კარგად იცნობს როგორც თავის თავს, ისე თავისი მოქმედების საგანს და სამოქმედოდ სახმარ მასალას.
6. აი, მოძალადის დასჯის უკეთესი წესი: ნუ ემსგავსები მას. 7. დაე, ქვეყნისთვის სასარგებლო ერთი საქმიდან მეორეზე გადასვლა იყოს შენი სიხარულისა და სიმშვიდის წყარო ^[268]; დაე, ამასთან, მუდამ გახსოვდეს ღმერთი.
8. ჩვენი წარმმართველი საწყისი ის საწყისია, რომელიც თვითონვე აღვიძებს, თვითონვე აღძრავს, თვითონვე იქცევს თავის თავს იმად, რადაც სურს იქცეს, და რომელსაც ძალუმს ისეთად უჩნდეს ყველაფერი, როგორც სურს უჩნდეს.
9. ყველაფერი, რაც ხდება საერთო ბუნების თანახმად ხდება და არა რომელიმე სხვა, ვთქვათ, მისი გარემომცველი ან მის მიერ გარემოცული თუ მისგან დამოუკიდებელი ბუნების თანახმად.

10. ან შერევა, შეზავება და განქარება, ან ერთობა, წესრიგი და ბედისწერა^[269]. თუ დავუშვებთ პირველს, მაშინ რაღამ დამაბას და დამაკაოს ამ მწვირესა და ამ ქაოსში? რაღას უნდა შევადგო ჩემი სიცოცხლე, თუ არა ზრუნვას მოწევნადი «მიწად ქცევისთვის»?^[270] ან რიღასთვის უნდა ვიშფოთო? რადგან გარდუვალ განქარებას ვერ გავექცევი, რაც უნდა ვქნა ანდა ვეცადო. ხოლო თუ დავუშვებთ მეორეს, მაშინ, მტკიცედ მდგომი, თაყვანს ვცემ და ვესავ შემოქმედს.

11. როცა გარემოებათა დამორგუნველი ძალი გაშფოთებს, მეყვსეულად შეეფარე შენსავე თავს, და, თუ აუცილებლობა არ გაიძულებს, ნუ დაარღვევ შენი სულიერი ცხოვრების მშვიდსა და თანაბარ რიტმს. რადგან რაც უფრო ხშირად მიუბრუნდები ჰარმონიას, მით უფრო მკვიდრ წილს დაიდებ მასში.

12. შენ რომ ერთდროულად დედაც გყავდეს და დედინაცვალიც, ალბათ, პატივისცემას არ მოაკლებდი ამ უკანასკნელს, მაგრამ მაინც დედისკენ გაგიწევდა გული ყოველთვის. ფილოსოფია და სასახლის კარზე ცხოვრება – აი, შენი დედა და დედინაცვალი. მაშ, მაღიმალ მიუბრუნდი პირველს და სულის სიმშვიდე ეძიე მასში; რადგან მისი წყალობით უფრო ადვილად ასატანი გეჩვენება კარზე ცხოვრება და შენც უფრო ადვილად აგიტანენ კარისკაცები.

13. ხორცსა და აპოხტს ასე უყურე: აი, ეს თევზის გვამია, – ეს – ფრინველის, ეს კიდეც – გოჭის; ზუსტად ასევე, ფალერნი^[271] – ყურძნის წვენია მხოლოდ, პორფირი – ცხვრის მატყლი, ლოფორთქინას სისხლით ნაღები, თანაყოფა – სასქესო ორგანოთა ხახუნი, თესლის ნთხევისა და გარკვეული სპაზმების თანხლებით. მსგავსი წარმოდგენები, საგანთა სიღრმის წვდომისა და მათი განწონის წყალობით, შეგამღებინებენ შეიცნო ნივთთა და მოვლენათა ჭეშმარიტი არსი. ასე უნდა იქცეოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მაშინაც კი, როცა ესა თუ ის საგანი ნდობისა და მოწონების ღირსად გვიჩანს, ჩვენ გვმართებს მთლიანად გავაშიშვლოთ იგი, განვჭვრიტოთ მისი მალეხრწნადობა და ჩამოვაცილოთ მისი ფუჭი მზვავობის წყარო – ცრუ და ყალბი შარავანდედი. რადგან მზვავობა მაცთურ სოფისტს ჰგავს, რომელიც სწორედ მაშინ გვაცთუნებს (და მით უფრო მეტად გვაცთუნებს), როცა გგონია, რომ შენს მეტი ვერვინ შესძლებს იმის კეთებას, რასაც აკეთებ. გაიხსენე, რა უთქვამს კრატესს ქსენოკრატეს მიმართ^[272].

14. საგანთა უმრავლესობა, რომელიც სასურველად უჩანს ბრბოს, უსულო თუ მცენარეულ სამყაროს მიეკუთვნება, როგორც მაგალითად, ქვები, ხეები, ლეღვი, ვაზი

ან ზეთისხილი. ბრბოისგან მცირედ გამორჩეულნი სულდგმულ არსებათა სიმრავლეს არჩევენ, როგორც მაგალითად, ცხვრის ფარას თუ ცხენების რემას. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარნი – გონიერი, თუმცა არა ყოვლად სულთან წილნაყარი, მაგრამ მაინც ქმედითი, ხელოსნობის თუ რაიმე სხვა ნიჭით დაჯილდოებული სულით მოსილი არსებების, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მონების სიმრავლეს. ხოლო კაცი, რომელიც აღმერთებს და თაყვანსა სცემს ყოვლად გონიერსა და მოქალაქეობრივ სულს, სხვას არაფერს ისახავს მიზნად, თუ არა სიყვარულს და ერთგულებას სამოქალაქო სიკეთის მიმართ; და არა მარტო თვითონ ისახავს, თავის მოყვასსაც ეხმარება ამავე მიზნის დასახვასა და მისკენ სწრაფვაში.

15. არსთაგან ზოგი ყოფნას მიელტვის, ზოგი – არყოფნას, ხოლო ყოფად მოქცეული ნაწილობრივ არყოფნაში გადადის მყისვე. სახეცვლილების მარადმედინი ნაკადი გამუდმებით აახლებს სამყაროს, ისევე როგორც დროის უწყვეტი დინება მარადიულ სიჭაბუკეს ანიჭებს უმხცესსა და უსასრულო მარადისობას. ამ მარადიული დინების წიად, ამ მარადმედინ საგანთა შორის, რომელთა წამით შეეყენებაც არ შეგვიძლია, რას უნდა ვთვლიდეთ სიყვარულის ღირსად, რას ვცეთ თაყვანი? ეს იმას ჰგავს, კაცმა სურვილით სავსე მზერა გააყოლოს გაფრენილ გავაზს, რომელიც მყისვე გვეკარგება თვალთაგან. მითხარი, რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა სისხლის ორთქლად ქცევა და ჰაერის სუნთქვა? განა რაიმე განასხვავებს ჰაერის ყოველწამიერ ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას უკანასკნელი ამოსუნთქვისგან, რომელსაც საბოლოოდ უბრუნებ მას, ვინც გუშინ თუ გუშინწინ – შენი დაბადებისას – გიბოძა სუნთქვის უნარი და სული ჩაგიდგა მყიფე სხეულში?

16. ფასეულია არა ჰაერის ჩასუნთქვა, მცენარეთა მსგავსად, ან ამოსუნთქვა, ცხოველთა მსგავსად, არა შთაბეჭდილებათა შენახვისა თუ ვნებათა სათამაშოდ ქცევის უნარი, არა ჯოგად ცხოვრება, არა საჭმლის ღეჭვა: რალა ღეჭვა და რალა საჭმლის ნარჩენების გამოყოფა. მაშ რა? მოწონების გამოხატვა ტაშის ცემით? არა. მაშასადამე, არც მოწონების ყიჟინი, რადგან მოწონების ნიშნად ბრბო ბლავის მხოლოდ. ამრიგად, შენ ზურგი აქციე ფუჭ სახელსა და დიდებას; რალას მიიჩნევ ფასეულად? ჩემის აზრით, კაცის ბუნების შესატყვის მოქმედებას თუ მოქმედების დროზე შეწყვეტას, ანუ ცოდნის და ხელოვნების ყველა დარგის ქვემარტ მიზანს, რადგან ყოველი ხელოვნება იმას მიელტვის, რომ თვითეული მისი ქმნილება შეესატყვისებოდეს საგანს, რომლისთვისაც ის მას ქმნის. ასეთია მეღვინისა და მევენახის, ცხენების მხედნავისა და ძაღლების მგეშავის მიზანი. ხოლო რას მიელტვის სწავლა და აღზრდა? სწორედ ესაა ფასეული. და თუ ამ მხრივ ყველაფერი თავის

რიგზეა, უფასურად და უბადრუკად გეჩვენება სხვა დანარჩენი. მაგრამ შენ ვერ ელევი ბევრ სხვა რამესაც? მაშინ სამუდამოდ დაემშვიდობე თავისუფლებას, თვითკმარობას და აუძღვრეველობას. რადგან თვით აუცილებლობა გაიძულებს შურით, ეჭვის თვალითა და უნდობლობით უმზერდე ყველას, ვისაც ძალუძს შენთვის ეგზომ ძვირფასი საგნები წარგტაცოს, და ბოროტს იზრახავდე მის მიმართ, ვინც მათ ფლობს. მოკლედ, თვითეული ამ საგნის დაკარგვას ძალუძს სულის სიმშვიდე წაუღოს კაცს და ღმერთების გმობად აღძრას იგი^[273]. და პირიქით, თუ შენ პატივს სცემ და აფასებ საკუთარ სულს, ყოველთვის შესძლებ კმაყოფილი იყო შენივე თავით, კეთილმოსურნეობით ემსჭვალვოდე კაცთ და თავყანს სცემდე ღმერთებს, ესე იგი, აქებდე და აღიდებდე ყველაფერს, რასაც ისინი წარმოგიგზავნიან ან გიბოძებენ.

17. ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, ასე წრიულად ბრუნავენ სტიქიონები^[274]. სათნოების მოძრაობა კი, როგორც უფრო ღვთაებრივი, არ მისდევს არცერთ ამ მიმართულებას: ის მიიწევს წინ პირდაპირი, თუმცაღა ძნელად სავალი და ძნელად საცნაური გზით^[275].

18. რას სჩადიან კაცნი? ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან თანამედროვეთა განდიდებას, თვითონ კი სულ იმის ცდაში არიან, როგორ მოიხვეჭონ დიდება შთამომავალთა თვალში, რომელნიც არასდროს არ უნახავთ და ვერც ნახავენ. ეს დაახლოებით იგივეა, რაც დრტვინვა იმის გამო, რატომ ჯერ კიდევ წინაპრები არ გვაქებდნენ და გვადიდებდნენო ჩვენ.

19. თუ რაიმე შენს ძალ-ღონეს აღემატება, ნუ იტყვი, რომ ის საერთოდ აღემატება კაცის ძალ-ღონეს. მაგრამ ის, რაც კაცისათვის მისაწვდომია, ის, რაც ხელეწიფება კაცს, შენც ხელეწიფება, გწამდეს.

20. ხდება ხოლმე, რომ გიმნასიონის არენაზე ასპარეზობისას ვინმე გაგკვარავს ფრჩხილით ან თვალს ჩაგვილურჯებს თავის დარტყმით. მაგრამ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ ამას, წყენას არ ვიმჩნევთ და არ ვუყურებთ მას, როგორც ბოროტ მზრახველს. მართალია, შემდგომ უკვე გავურბივართ მასთან შეხვედრას, მაგრამ არა როგორც მტერთან, ვერაგსა და დაუნდობელთან: ჩვენ უბრალოდ, თავს ვარიდებთ მას. ასე უნდა ვიქცეოდეთ ცხოვრებაშიც. მაშ, მოდი, ბევრი რამ დიდსულოვნად მივუტევოთ, დიდსულოვნად შევუნდოთ მას, ვინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენთან ერთად ასპარეზობს ცხოვრების ასპარეზზე. რადგან, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება თავი ვარიდოთ მასთან შეხვედრას და, ამრიგად, – მის მიმართ იჭვსაც და სიძულვილსაც.

21. თუ ვინმე შესძლებს დამიმტკიცოს, რომ მე არასწორად ვფიქრობ ანდა ვმოქმედებ, სიამოვნებით შევიცვლი აზრსაც და მოქმედების წესსაც. რადგან მე დავებებ ჭეშმარიტებას, რომლისგანაც არავის არასდროს არა ვნებია რა. პირიქით, ვნებული ისაა, ვინც, თავისი სიკერპის გამო, ცთომილებასა და უმეცრებაში მყაყდება.

22. მე ჩემს ვალს ვიხდი მხოლოდ. დანარჩენი მე არ მეხება: ყველაფერი ეს ან რაღაც უსულოა, ან უგონო, ან შეცთომილი და გზასაცდენილი.

23. უგონო არსთა და, საერთოდ, საგანთა და ნივთთა მიმართ სულგრძელი იყავ და დიდსულოვანი; ისეთი, როგორც უნდა იყოს გონიერი უგონოთა მიმართ. კაცთა, როგორც გონიერ არსთა მიმართ კი – ისეთი, როგორც სწორია სწორთან. ხოლო, ამასთან, მუდამ გახსოვდეს ღმერთი, და ნუ დაეძებ, რამდენ ხანს გასტანს ამგვარი ყოფა: საკმარისია სამი ასეთი საათიც.

24. სიკვდილმა ერთმანეთს გაუსწორა ალექსანდრე მაკედონელი და მისი მეჯორე^[276]; რადგან ერთიც და მეორეც ან სამყაროს თესლისებრმა გონებამ შთანთქა, ან ატომებად დაირღვა და დაიშალა ორივე.

25. გულისხმაცავ, რამდენი რამ ხდება ყოველ წამს თვითეული ჩვენგანის არსებაში, როგორც სულში, ისე სხეულში, და შენ აღარ გაგიკვირდება, როგორაა, რომ გაცილებით მეტი რამ ხდება, ან, უფრო უკეთ, ერთურთს თანხვდება იმ ყოვლისმომცველ და ყოვლად არსში, რომელსაც სამყაროს ვუწოდებთ ჩვენ.

26. ვინმემ რომ გკითხოს, როგორ იწერებაო სახელი «ანტონინუს», ნუთუ პასუხად ყვირილითა და ასო-ასო დამარცვლით წარმოსთქვამ ამ სახელს? და მერე, თუ ამის გამო შემოგწყრა, ნუთუ შენც წყრომით მიუგებ რასმე? განა, პირიქით, მშვიდად, გაბმით და ერთმანეთზე მიყოლებით არ წარმოსთქვამ თვითეულ ასოს? ნუ დაივიწყებ, რომ ყოველგვარ მოვალეობასაც ცალკეული მომენტების თანმიმდევრობა და ჰარმონიული მთლიანობა განაპირობებს. და თუ გასურს პირნათლად მოიხადო შენი ვალი, ნუკი დაარღვევ ამ მთლიანობას და წყრომით ნუკი მიუგებ წყრომას, არამედ გულმშვიდად და თანმიმდევრულად აღასრულე ყოველი საქმე.

27. ხომ სისასტიკეა, კაცთ უკრძალავდე იმისკენ სწრაფვას, რაც მათ სასურველად და სასარგებლოდ უჩანთ. შენ კი უკრძალავ, როცა დრტვინავ იმის გამო, რომ ისინი სცდებიან. რადგან მათ მხოლოდ ის იზიდავს, რაც სასურველად და სასარგებლოდ უჩანთ. – მაგრამ თუ ისინი მართლა სცოდავენ, თუ ისინი მართლა სცდებიან? – მაშინ მიუთითე ან შეაგონე, მაგრამ მშვიდად და უდრტვინველად^[277].

28. სიკვდილი ბოლოს უღებს ყოველგვარ აღქმას, ყოველგვარ ვნებას, რომელიც თავისი ნების სათამაშოდ გვაქცევს, აზრის ცთომას და მსახურებას სხეულის მიმართ.

29. განა სირცხვილი არ იქნება, რომ ამ ცხოვრებას, რომელსაც შენი ხორცი უძლებს, სულმა ვერ უძლოს?

30. ნუ მისდევ ცეზართა კვალს, ნუ იმსჭვალვი მათი სულით: რადგან ასედაც ხდება. ეცადე შეინარჩუნო უბრალოება, სიკეთე, სიწმინდე, სიდარბაისლე, სიმართლის სიყვარული, ღვთისმოსაობა, კეთილმოსურნეობა, კაცთმოყვარეობა, ღვაწლისმძლეობა. იბრძოლე, რათა იყო ისეთი, როგორც სურდა ყოფილიყავ ფილოსოფიას. თაყვანი ეცი ღმერთებს, იზრუნე კაცთა მიმართ. სიცოცხლე მოკლეა! ამქვეყნიური არსებობის ერთადერთი ნაყოფი კი სულის კეთილმდრეკილებაა და საქვეყნო საქმის სიყვარულით შთაგონებული მოღვაწეობა. ნუ შეარცხვენ ანტონინუსის ^[278] აღზრდილის სახელს. დაე, შენთვის მარად მისაბამი იყოს მისი გულმოდგინება და გონების ხმის კარნახით ქცევა, მისი სულის უცვლელი სიმშვიდე და სიწმინდე, მისი შუბლის სისპეტაკე და მშობლური სიტკბო, მისი ზიზღი ფუჭი დიდების მიმართ და მისი ცნობისმოყვარეობა. ის მუდამჯამ იმას ცდილობდა, არაფერი დაეტოვებინა უყურადღებოდ, ყველაფერი შეეცნო და გულდასმით აეწონდაეწონა; უდრტვინველად ითმენდა დაუმსახურებულ ყვედრებას და ყვედრებითვე არ პასუხობდა მასზე; მიწყვი დინჯი და წინდახედული, გულგრილი იყო შესმენისადმი; გულდასმით სწავლობდა კაცთა ზნესა და ქცევას; მისთვის სავსებით უცხო იყო ყოვლის გმობა, შიში, ეჭვი და სოფისტური მანქანება; მცირედით კმაყოფილდებოდა ყოველთვის, როცა საცხოვრისზე, სარეცელზე, ტანსაცმელს, ტრაპეზსა თუ ფარეშებზე მიდგებოდა საქმე; შრომისმოყვარე იყო, სულგრძელი და მრავლისმთმენი; ცხოვრების უბრალო წესის წყალობით, შეეძლო ფეხმოუცვლელად მჯდარიყო ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იგივე საქმით გართული, და მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ საათებში დაეკმაყოფილებინა ბუნებრივი მოთხოვნილებანი; რაოდენ ერთგული და სანდო იყო მეგობართათვის; როგორი მოთმინებით უსმენდა ყველას, ვინც მისი აზრის წინააღმდეგ იმაღლებდა ხმას, და როგორ ხარობდა, როცა უკეთეს გზას უჩვენებდა ვინმე; ღვთისმორწმუნე იყო, მაგრამ არა ცრუმრწმენი; ვინძლო, ისევე სუფთა და მშვიდი სინიდისით შეხვდე აღსასრულს, როგორც ის შეხვდა.

31. გამოფხიზლდი და გონს მოეგე! ხოლო რა გამოფხიზლდები და გულისხმაცოფ, რომ სიზმრები გტანჯავდნენ მხოლოდ, ხელმეორედ გამოფხიზლდი და უმზირე ამქვეყნიურ ამაოებას, როგორც წელან სიზმარეულ ჩვენებებს უმზერდი.

32. მე შევდგები სულისა და სხეულისაგან. სხეულისთვის ყველაფერი სულერთია, რადგან ის მოკლებულია გარჩევისა და განსხვავების უნარს. სულისთვის კი სულერთია ყველაფერი, გარდა მისი საკუთარი მოქმედებისა, რომელსაც თვითონვე განსაზღვრავს და განაპირობებს. მაგრამ მოქმედებაც არის და მოქმედებაც: სული არჩევს და განასხვავებს მხოლოდ დღევანდელს, რადგან წარსული და მომავალი მისთვის სულერთია.

33. ხელისა და ფეხის შრომა არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებას, სანამ ხელი ხელისას აკეთებს და ფეხი – ფეხისას. სწორედ ასევე, კაცის შრომაც არ ეწინააღმდეგება მის ბუნებას, სანამ კაცი თავის კაცურ საქმეს ასრულებს. ხოლო ის, რაც არ ეწინააღმდეგება კაცის ბუნებას, არც ბოროტების წყაროა მისთვის.

34. რამდენი ტკბილი წამი ახსოვს ყაჩაღს, მემრუმეს, მამისმკვლელს, ტირანს!

35. შეგიმჩნევია თუ არა, რომ უბრალო ხელოსნები, თავიანთი უგემოვნო მუშტრების დაკვეთებს რომ ასრულებენ, მაინც არ დალატობენ საკუთარი ხელობის სულს. ვაი სირცხვილო! ნუთუ დურგალი ან ექიმბაში უფრო უნდა აფასებდნენ საკუთარი ხელობის სულს, ვიდრე კაცი თავის სულს თუ თავის გონებას, რომელიც ღმერთებს ამსგავსებს და ანათესავებს?

36. აზია, ევროპა – მხოლოდ ორი წერტილია სამყაროში; მთელი ოკეანე – წვეთია სამყაროში; ათონის მთა – ქვიშის მარცვალია სამყაროში; მთელი აწმყო – წამია მარადისობაში. ყველაფერი უბადრუკია, ცვლადი, ხრწნადი და მსწრაფლწარმავალი. ყველაფერი ზეგარდმო ეზიარება არსებობას, ყველაფერი ერთი საერთო საწყისისა თუ ყოვლის თანაკავშირისა და თანამიმდევრობისაგან იღებს დასაბამს. ასე რომ, ყოველი ავისმოქმედი, ლომის ხახა თუ გველის შხამი, ეკალი თუ ჭაობი, უშუალო დამატებაა ზეგარდმო გარდმოსული სიკეთის და მშვენიერების^[279]. მაშ, ნუკი ფიქრობ, თითქოს ყოველივე ეს უცხო იყოს მისთვის, რასაც აღმერთებ, არამედ მიიქეც ყოვლის წყაროს და დასაბამის მთელი სავსების ჭვრეტად.

37. ვინც იხილა აწმყო, მან იხილა ყველაფერი: ისიც, რაც იყო მირიადი საუკუნის უკან და ისიც, რაც იქნება უკუნისამდე. რადგან ყველაფერი ერთგვაროვანია და ერთსახოვანი^[280].

38. ხშირად იფიქრე ყველა იმ საგნის ურთიერთკავშირისათვის, რომლებითაც სავსობს სამყარო, და მათი ურთიერთმიმართებისთვის, რადგან ყველა ისინი თითქოს

სიყვარულით ესკვნიან და ეწვნიან ერთურთს; ამიტომაც მეგობრობენ ერთიმეორეს. ეს აიხსნება მოწესრიგებული მოძრაობით, ერთსულოვნებითა და არსის ერთობით.

39. შეეგუე ყველაფერს, რაც ბედმა გარგუნა წილად. გიყვარდეს კაცნი, რომელთა შორისაც გიწევს ცხოვრება, მაგრამ – გულწრფელი სიყვარულით.

40. არცერთ იარაღს, ხელსაწყოს, ჭურჭელს არ ეკიდება ჟანგი, როცა იმისთვის იყენებენ, რისთვისაც შექმნეს, თუნდაც მათი შემოქმედი შორს იყოს მათგან. ხოლო რაც შეეხება ბუნების მიერ შექმნილ საგნებს, მათი შემქმნელი ძალა ნიადაგ მათში და მათთანა ჰკიეს. მაშ, თაყვანი ეცი ამ ძალას და გწამდეს, რომ თუ მისი მორჩილი იქნები, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც შენ გსურს. სწორედ ასევე, ყველაფერი, რაც საერთო ბუნების საუფლოს ეკუთვნის, ისე მიდის და მიემართება, როგორც მის უფალს სურს.

41. თუ შენ კეთილად ან ბოროტად მიიჩნევ იმას, რაც შენს ნებაზე არაა დამოკიდებული, ყოველთვის, როცა ბოროტს გადაყრები ანდა მოსწყდები კეთილს, იძულებული იქნები უკვდავნი ჰგმო და მოკვდავნი მოიძულო, მიუხედავად იმისა, მართლა ისინი არიან ბოროტის მოწვევისა და კეთილისაგან მოწყვეტის ჭეშმარიტი მიზეზი თუ არა. ჩვენ ბევრ რამეში ვცოდავთ მხოლოდ იმიტომ, რომ გულგრილად ვერ ვუყურებთ ვერცერთს ამ ორთაგან. და, პირიქით, თუ ჩვენ კეთილად ან ბოროტად მივიჩნევთ მხოლოდ მას, რაც ჩვენსავე ნებაზე ჰკიდია, არავითარი საბაზი აღარ გვექნება მკრეხელობისა და კაცთმოძულეობისათვის^[281].

42. ჩვენ ყველანი ერთი საერთო მიზნის ხორცშესხმას ვემსახურებით, ერთნი – ცოდნით და მიზნის შეცნობით, მეორენი – მის შეუცნობლად. ალბათ, ამიტომ ამბობს ჰერაკლიტე, რომ თვით მძინარენიც მუშაკობენ და ხელს უწყობენ სამყაროულ ყოვლისქმნადობას^[282]. მაგრამ ყველა თავისებურად მუშაკობს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ ქმნადობაში, ასე გასინჯე, მკრეხელსაც და მასაც, ვინც ცდილობს წინააღმდეგს ქმნადს და არად აქციოს იგი. სამყაროს ასეთი კაცნიც სჭირდება. მაშასადამე, შენ თვითონ უნდა გადასწყვიტო, ვის მხარეს დადგე, ვის მიაკუთვნო თავი. სულერთია, ყოვლისგამრიგე მაინც ისე გამოგიყენებს, როგორც თვითონ მიიჩნევს უმჯობესად და თავის თანამოქმედად და თანამონაწილედ გაქცევს. მაგრამ, დაე, შენი მონაწილეობა ნუ ემგვანება კომედიის იმ სუსტსა და სულელურ ლექსს, რომელსაც იხსენიებს ქრისიპე^[283].

43. განა მზე წვიმის მაგივრობის გაწევას ცდილობს, ან ასკლეპიოსი – კარპოფორასას^[284]? და განა ვარსკვლავები, მათი ურთიერთგანსხვავების მიუხედავად, ერთსულოვნად არ ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს?

44. უკეთუ ღმერთებმა რამე განიზრახეს ჩემდა ან ჩემ თავს მოწევნადის მიმართ, კეთილი განიზრახეს ალბათ; რადგან, ჯერ ერთი, წარმოდგენელია ღმერთი, რომელიც არაფერს არ იზრახავს საერთოდ, და, მეორეც, რატომ უნდა განიზრახათ ბოროტი? რას არგებდა ეს ან თვითონ მათ, ან მათი ზრუნვის უპირველეს საგანს – სამყაროს? ხოლო თუ მათ არაფერი განუზრახავთ ჩემდა მომართ, საერთო ბუნების მიმართ მაინც ხომ უნდა განიზრახათ რაღაც; ამ შემთხვევაშიც, მე მმართვეს სიხარულით მივიღო ჩემი წილხვდომილი, როგორც არსთა საერთო ბუნებიდან გამომდინარე. მაგრამ თუ ღმერთებს არაფერი განუზრახავთ საერთოდ (რისი ოდენ გაფიქრებაც კი მკრეხელობაა)? მაშინ ისლა დაგვრჩენია, ხელი ავიღოთ მსხვერპლშეწირვაზე, ლოცვაზე, ფიცზე, მოკლედ ყველა იმ საწესო სამსახურზე, რასაც ასეთის სასოებით ვასრულებთ, ღმერთების არსებობასა და ღვთაებრივ და კაცურ ბუნებათა ნათესაობაში დარწმუნებულნი. ეგეც არ იყოს, თუ ღმერთებს არაფერი არ განუზრახავთ, შემძლია თუ არა თვითონვე განვიზრახო რამე ჩემივე თავის მიმართ, თვითონვე განვიხილო, რა არის სასარგებლო ჩემთვის? ხოლო თვითეულისთვის სასარგებლოა ის, რაც ეთანხმება მის ბუნებას და მის სულიერ წყობას. ჩემი ბუნება კი გონიერი და ამქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი არსის ბუნებაა. მე ჩემი სამშობლო მაქვს და ჩემი ქალაქი: როგორც ანტონინუსს – რომი, როგორც კაცს – სამყარო^[285], და არ არსებობს ჩემთვის, ორი ქალაქის მოქალაქისთვის, სხვა სიკეთე, გარდა იმისა, რასაც სარგებლობა მოაქვს ორივე ამ ქალაქისათვის.

45. თვითეულის წილხვდომილი საერთო ბუნებისთვისაც სასარგებლოა. მარტო ამის აღნიშვნაც კმარა. მაგრამ გამოწვლილვით განმხილველი იმასაც ნახავს, რომ ის, რაც სასარგებლოა ერთი კაცისთვის, სხვებისთვისაც სასარგებლოა. ხოლო სიტყვა, «სასარგებლო» აქ უნდა ვიხმართო მისი უზოგადესი მნიშვნელობით და ეგრეთწოდებულ საშუალ საგნებზედაც^[286] განვაგრძოთ იგი.

46. ამფითეატრებსა თუ სხვა მსგავს ადგილებში წარმოდგენებზე ხშირად დასწრება, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მოგებურდეს და გული გაგიწყალოს სანახაობათა ერთფეროვნებამ. ასეა ცხოვრებაშიც: გარეშემო, მალლა თუ დაბლა ყველაფერი ერთი და იგივე წყაროსაგან იღებს დასაბამს; მაგრამ როდემდე?!

47. გამუდმებით იფიქრე იმაზე, თუ რამდენი კაცი მიიზარა მიწამ, რამდენი სხვადასხვა ხელობისა და სხვადასხვა ტომის კაცი, სანამ არ მიაღგები ფილისტიონს, ფებოსსა და ორიგანიონს^[287]; მიიქეც შემდეგ სხვა ტომთა ბედის ჭკრეტად. ჩვენც მოგვიწევს გადავსახლდეთ იქ, სადაც გადასახლდა ამდენი ენამჭევრი რიტორი, ამდენი დიდი ფილოსოფოსი, ჰერაკლიტე, პითაგორა, სოკრატე, ძველი დროის ამდენი გმირი, მათ შემდეგ – ამდენი სტრატეგი და ტირანი, ბოლოს, ევდოქსე, ჰიპარქე^[288], არქიმედე და სხვანი და სხვანი, ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი, დიდსულოვანნი, შრომისმოყვარენი, მრავლისმოქმედნი, თავდაჯერებულნი და, ასე გასინჯეთ, კაცთა ცხოვრების ამოებისა და მსწრაფლწარმავლობის თვით ისეთი მამხილებელნი, როგორიც იყვნენ მენიპე^[289] და მისი მსგავსნი. ნუ დაივიწყებ, რომ ყველა ისინი დიდხანია მიწაში წვანან. მაგრამ რა არის საშინელი მათთვის ამაში? ან კიდევ მათთვის, ვისაც სახელიც არ დარჩენია? ფასეულია მხოლოდ ერთი რამ: ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სამსახურს შეაღიო შენი სიცოცხლე და შემწყნარებელი იყო ცრუმეტყველთა და უსამართლობის მოქმედთა მიმართ.

48. თუ გსურს სიხარული მოუპოვო შენსავე თავს, გაიხსენე შენი ახლობლების სიქველენი: ერთი საქმის სიყვარულით გამოირჩევა, მეორე – თავდმბლობით, მესამე – სიუხვით, მეოთხე კიდევ – სხვა რაღაცით. რადგან არაფერი არ გვანიჭებს ისეთ სიხარულს, როგორც სათნოება-სიქველის სახე, რომელიც ჩვენი ახლობლების სულში ბრწყინავს და რომლის თავის თავში დასრულებული სრულქმნილება ყველაზე უმაღლ გვეცემა თვალში. ამიტომ ხშირად იფიქრე მათი სიქველისათვის.

49. განა შენ დრტვინავ იმის გამო, რომ ამდენ და ამდენ ლიტრას^[290] იწონი და არა სამასს? მაშ, ნუ დრტვინავ ნურც იმის გამო, რომ ამდენ და ამდენ წელს ცოცხლობ მხოლოდ და არა მეტს. დასჯერდი შენთვის ბოძებული დროის მონაკვეთს, ისევე როგორც მატერიის შენთვის ბოძებულ მასას სჯერდები.

50. ეცადე დაარწმუნო ისინი. იმოქმედე თვით მათი ნების წინააღმდეგაც, თუკი სამართლიანობის სული მოითხოვს ამას. ხოლო თუ ისინი ძალას იხმარენ, რათა ხელი შეუშალონ შენს მცდელობას, ნუ აიძვრევი, შეინარჩუნე სულის სიმშვიდე და ახალი სათნოების გამოსამქდავნებლად გამოიყენე ეგ დაბრკოლება^[291]. გახსოვდეს ისიც, რომ შენი მცდელობა იმთავითვე ფარდობითი იყო, და რომ არას მიელტვოდი-რა შეუძლებელს. მაშ, რას? დაახლოებით ასეთსავე მიზანს? მაგრამ შენ თითქმის მიაღწიე მას, რადგან ცდა ბედის მონახევრეა და წარმატების საწინდარი.

51. პატივმოყვარე თავის სიკეთეს სხვათა მოქმედებაში ხედავს, განცხრომის ტრფიალი – თავის შეგრძნებებში, ბრძენი – საკუთარ მოღვაწეობაში.
52. შენ შეგიძლია არ შეიქმნა წარმოდგენა ამის შესახებ და, ამრიგად, ფუჭი წრიალისგან დაიხსნა სული. რადგან საგნები თავისთავად არ მონაწილეობენ ჩვენი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.
53. ეცადე, ყურადღებით უსმინო სხვებს და შეძლებისდაგვარად ჩასწვდე თანამოსაუბრის სულს.
54. ის, რაც არ რგებს სკას, არც ფუტკარს რგებს.
55. როცა მეზღვაურები აგინებენ მესაჭეს, ანდა სნეულნი – მკურნალს, იმიტომ აგინებენ, რომ აიძულონ ისინი, უკეთ იმოქმედონ – ერთმა თავისი თანამგზავრების, მეორემ კი ავადმყოფთა გადასარჩენად.
56. რამდენმა კაცმა, რომელთან ერთადაც მოველ ამ ქვეყნად, უკვე დაუტევა იგი.
57. ზაფრიანს მწარე ეჩვენება თაფლი; ცოფიანს წყლის ეშინია, ხოლო ბავშვებს ბურთი მოსწონთ ყველაზე მეტად. რატომ ვმრისხანებ? იქნებ გგონია, რომ ცთომა ნაკლებ აწუხებს კაცს, ვიდრე ზაფრა – ზაფრიანს, ანდა ცოფი – ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილს?
58. არავის ძალუძს ხელი შეგიშალოს იმაში, რომ მთელი სიცოცხლე გაატარო შენი ბუნების სულის თანახმად; არ შეიძლება შენ შეგემთხვეს რამე ისეთი, რაც არ ეთანხმება საერთო ბუნების სულს.
59. რანი არიან ისინი, ვისაც გვსურს თავი მოვაწონოთ, და მერე რისი გულისთვის? რა გზით?! რაოდენ სწრაფად ნთქავს ყველაფერს მარადისობა და რამდენი შთანთქა მან უკვე!

წიგნი მეშვიდე

1. რა არის ბიწი? ის, რაც არაერთხელ გიხილავს შენ. მაშ, რაც უნდა შეგემთხვეს, ყოველთვის მზად იყავ ამის სათქმელად: ეს ხომ ისაა, რაც არაერთხელ მიხილავს. საერთოდ, სამყაროში, ზესკნელიდან ქვესკნელამდე, ყველაფერი ერთი და იგივეა, ერთი და იგივე შინაარსი ავსებს ძველი, საშუალო თუ ახალი დროის მატრიანეებს; იგივე ითქმის დღეს ჩვენი ქალაქებისა და სახლების მიმართ. არა არის რა ქვეყნად ახალი. ყველაფერი ჩვეულებრივია და მსწრაფლწარმავალი.
2. საწყისები საკუთარი სიცოცხლით ცოცხლობენ^[292] და არაფერს ძალუმს მათი შემუსვრა, გარდა მათივე შესატყვისი წარმოდგენების დაშრეტისა; მაგრამ შენ შეგიძლია ხელახალი სიცოცხლისთვის გამოიწვიო ისინი; შენ შეგიძლია ისე წარმოიდგინო ესა თუ ის საგანი, როგორც ჯერ არს. ხოლო თუ ეს შეგიძლია, რაღა გამდვრევს, ან რა გაშფოთებს? ის, რაც შენს სულს გარეშეა, სავსებით უცხოა მისთვის. შეიცან ეს და ეზიარები მართალს. შენ შეგიძლია კვლავ აღსდგე; უმზირე საგნებს ისე, როგორც ოდესღაც უმზირდი; აღდგომაც ესაა სწორედ.
3. ამოა ზრუნვა გარეგნული ბრწყინვალეებისთვის, სასცენო სანახაობანი, ფარებისა და ჯოგების ფლობა, გლადიატორთა შერკინებანი, ლეკვების ძიძგილი მიგდებული ძვლის დასაუფლებლად, აქვარიუმში ჩაფშვნილი ნამცეცები, ჭიანჭველების დაუცხრომელი ფუსფუსი, თავზარდაცემული თავგების წრიალი, მკედით მოზიდული თოჯინების მოძრაობა, – ყველაფერი ეს ერთი და იგივე რიგის მოვლენებია და ერთმანეთს წააგავს სავსებით. უმზირე ყოველივე ამას კეთილმოსურნე და მზვაობის ღიბრით დაუბინდავი თვალთ, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ყოველი კაცის ფასი მისი მისწრაფების საგნის ფასით განიზომება.
4. საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვებს, მოქმედებისას – ქმნადს. პირველ შემთხვევაში გონების თვალთ უნდა მისდით სიტყვების აზრს, მეორეში – დასახულ აზრს.
5. გასწვდება თუ არა ჩემი გონება ამას და ამას? თუ გასწვდება, მე მოვიხმარ მას ამ საქმისთვის, როგორც საერთო ბუნების მიერ ბოძებულ იარაღს. თუ ვერ გასწვდება, ან დავუთმობ ამ საქმეს მას, ვინც შესძლებს ჩემზე უკეთ აღასრულოს იგი (თუკი მისი მოგვარება უშუალოდ მე არ მევალება), ანდა, შეძლებისდაგვარად, თვითონვე აღვასრულებ მას, მოვუხმობ რა დახმარებისთვის რომელსამე მოყვასს, ვინც, ჩემი წარმმართველი საწყისის წინამძღოლობით, შესძლებს საყოველთაო სიკეთის განმტკიცებას. რადგან ჩემი მოქმედება, – სულერთია, მარტო ვმოქმედებ თუ სხვასთან

ერთად, – მიზნად უნდა ისახავდეს მხოლოდ იმას, რასაც მოითხოვს საზოგადო სიკეთე და კეთილდღეობა^[293].

6. ოდესღაც ხოტბის საგანყოფილი რამდენი კაცი დავიწყებას მიეცა უკვე! ანდა რამდენი მათი მეხოტბე მიიბარა მიწამ^[294]!

7. ნუ გრცხვენია, სხვას მიმართო დახმარებისთვის. შენ შენი ვალი გაქვს მოსახდელი, როგორც ჯარისკაცს გალავნის გარემოცვისა და იერიშისას. რატომ უნდა უარყო დახმარება, თუკი, ვთქვათ, კოჭლობის გამო, მარტო ვერ შესძლებ აცოცებას შვეულ კედელზე, მაშინ როდესაც სხვისი შეწევნით შენ შესძლებ ამას.

8. ნუ გაშფოთებს მერმისზე ფიქრი^[295]! რადგან, თუ საჭირო იქნა, შენ მიაღწევ მას, იმავე გონების დახმარებით, რომელსაც ხმარობ და იყენებ ამჟამად.

9. ყველაფერი ერთმანეთს ეწვნის, ყველაფერს წმიდა კავშირი ჰკრავს, და არა არის რა, შეიძლება ითქვას, რაიმე უცხო და უთვისტომო საგანთა და მოვლენათა ხომლში. რადგან ყველაფერს ერთი და იგივე წესრიგი აწესრიგებს და ყველაფერი ერთსა და იმავე სამყაროს ამკობს. და მართლაც, ერთია ყოვლისმომცველი სამყარო, ერთია ყოვლისგანმწონი ღმერთი, ერთია არსი, ერთია კანონი, ერთია სული და გონება ყველა სულდგმულის^[296] და ერთია ჭეშმარიტება, რაკი ერთია ყველა ერთგვაროვანი და ერთსა და იმავე გონებასთან წილნაყარი არსის სრულყოფილება.

10. ყოველივე ნივთიერი ელვის სისწრაფით უჩინარდება ყოვლად არსში, ასევე სწრაფად ნთქავს ყველა მიზეზს სამყაროს გონება და არანაკლები სისწრაფით ასამარებს ყოველივე ამის ხსოვნას მარადისობა^[297].

11. ყოველი გონიერი არსებისათვის ერთი და იგივეა მოქმედება როგორც ბუნების, ისე გონების თანახმად^[298].

12. დღეს იყავ წრფელი, ხვალ შეიძლება გვიანი იქნეს.

13. ისევე როგორც ცალკეულ ასოთა ერთობლიობა ერთ მთლიან სხეულს ქმნის, ერთმანეთისაგან განცალკევებული გონიერი არსებანიც ერთ მთლიან არსად ერთდებიან, რადგან ისინი თანამშრომლობისა და თანამოდვაწეობისთვის არიან შექმნილნი. ეს აზრი მით უფრო ღრმად აღიბეჭდება შენს სულში, რაც უფრო ხშირად შეაგონებ თავს: მე ვარ ერთი ასო მთელისა, რომელსაც გონიერ არსთა ერთობლიობა

ქმნის. ხოლო თუ შენ იტყვი «ასო» კი არა, მხოლოდ «ნაწილი» ვარო მთელისა^[299], ამით იმასაც იტყვი, რომ ჯერ კიდევ არ შეგიძლია სულით და გულით გიყვარდეს კაცნი, და რომ ჯერ კიდევ არ განიჭებს სიხარულს და კმაყოფილებას კეთილის-ყოფა მათთვის. რადგან, ამ შემთხვევაში, კეთილმყოფელობას შენ უყურებ როგორც საკუთარ მოვალეობას და არა როგორც შენსავ სიკეთეს^[300].

14. დაე, მან, ვისაც ძალუმს გარეშე საგანთაგან ივნოს, კიდევაც ივნოს ის, რაც თვითონ სურს. ვნებული, თავისი სურვილისამებრ, თვითონვე აღიძვრის ვნების მიზეზის გამოვად. მე კი, თუ არ ვირწმუნებ, რომ ის, რაც შემემთხვა, ბოროტებაა, ჭეშმარიტად არ დავითმენ ვნებას. მაგრამ ჩემზეა დამოკიდებული, არ ვირწმუნო ეს^[301].

15. ვინც რა უნდა თქვას ანდა აკეთოს, მე მაინც კეთილი კაცის სახელი უნდა მერქვას. ასე ოქრო, სმარაგდი ან პორფირი, რომ შესძლებოდათ, იტყოდნენ ალბათ: მიუხედავად იმისა, ვინ რას ამბობს ანდა აკეთებს, მე ჩემი სახელით უნდა ვიწოდებოდე და ჩემივე ფერით ვმშვენობდე.

16. ჩვენი წარმმართველი საწყისი არასდროს თვითონვე არ იმღვრევს, არასდროს თვითონვე არ უნერგავს თავის თავს შიშსა თუ ძრწოლას. ხოლო თუ ვისმე ძალუმს შეაკრთოს ან შეჭირვებულყოს იგი, დაე, მანვე ყოს ეს, რადგან ის თვითონ არ ჩაიგდება თავს ამ ყოფაში. დაე, სხეულმა, უკეთუ ძალუმს, თვითონვე აიცილოს თავიდან ტანჯვა, ანდა თუ ვერ აიცილა, თვითონვე განაცხადოს ამის შესახებ., ხოლო სული, რომელიც თვითონ იცნობს შიშსა და ტკივილს და თვითონვე იქმნის წარმოდგენას მათზე, არასდროს არ განიცდის ამის მსგავს რასმე, რადგან ვერავინ აიძულებს, გამოწვლილვით განიხილოს ყოველივე ეს. ამრიგად, ჩვენს წარმმართველ საწყისს თავისთავად არ სჭირდება არაფერი, თუკი თვითონვე არ მიიჩნევს საჭიროდ რასმე. ამიტომ ის მშვიდია და თავდახსნილი, სანამ თვითონვე არ აიძვრევს ან დაიბამს თავს.

17. რა არის ბედნიერება^[302]? კეთილი დემონი თუ კეთილი შინაგანი მძღოლი. რა ხელი გაქვს შენ ჩემს სულთან, ო, წარმოდგენავ? განვედ ჩემგან, ღვთის გულისათვის, განვედ ისე, როგორც მოსულხარ. რას გაქნევ, ძველი ჩვევისამერ, უწვევარ სტუმრად მოსულს? მე არ გრისხავ, მაგრამ გამეცა, განვედ!

18. შენ გაშინებს ცვალებადობა? მაგრამ რა იქნებოდა სამყარო ცვალებადობის გარეშე? რა არის უფრო ძვირფასი ან არსებითი საერთო ბუნებისათვის^[303]? განა ოდესმე შესძლებდი ჩასვლას აბაზანაში, ხე რომ უცვლელი იყოს სავსებით? განა ოდესმე

გაძლებოდა პურით, შეუძლებელი რომ იყოს მისი დაფქვა, გამოცხობა და მონელება? განა, საერთოდ, იქნებოდა რამე შესარგი, რომ არ ყოფილიყო ცვალებადობა? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ცვალებადობა, რომელსაც შენ განიცდი, ზედმიწევნით ჰგავს ზემორე ხსენებულთ, და რომ ის მათსავით აუცილებელია საერთო ბუნებისათვის?

19. ყოვლადი არსი შმაგი მდინარესავით მიაქანებს საგნებს. ისინი საერთო ბუნებასთან თანშეზრდილნი არიან და მისი თანამოქმედნი ^[304], მსგავსად ჩვენი ასობისა მათს ურთიერთმიმართებაში.

რამდენი ქრისიპე, რამდენი სოკრატე, რამდენი ეპიქტეტე შთანთქა უკვე მარადისობამ! დაე, ეს აზრი აღიდრას შენში ყოველი კაცისა და ყოველი საგნის მიმართ.

20. მე ერთი რამ მაშფოთებს მხოლოდ: როგორ მოვიქცე, რომ არ ვყო ის, რაც კაცის ბუნებას არ სურს, და არ ვყო ისე, როგორც მას არ სურს.

21. მალე შენ დაივიწყებ ყველას და ყველანი, თავის მხრივ, დაგივიწყებენ შენ.

22. კაცს მისი ავისმოსურნენიც უნდა უყვარდეს ^[305]. შენ შესძლებ ამას, თუ გულისხმავოფ, რომ შენ და მათ ბევრი რამე განათესავებთ, რომ ისინი თავისდა უნებურად და უმეცრების გამო სცოდავენ ^[306], რომ ყველანი სიკვდილის შვილნი ხართ ^[307], და რომ, ბოლოს, არცერთ მათგანს არა უვნია რა შენთვის, რადგან ვერცერთს ვერ დასდებ ბრალად, უარესყო ჩემი წარმმართველი საწყისი, რომელიც მარადის უცვლელად ჰგის.

23. საერთო ბუნება ისე იყენებს ყოვლად არსს, როგორც ცვილს: აი, მან გამოძერწა ცხენი, დაშალა ის და მისი მასალისაგან გამოძერწა ხე, მერე კაცი და ასე შემდეგ ^[308]. ხოლო ყოველი ამ არსთაგანი ორიოდე წამს არსებობს მხოლოდ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზარდახშისთვის სულერთია, დაშლიან მას თუ ააწყობენ.

24. რისხვით შეშლილი სახე სავსებით არაბუნებრივი რამ არის. როცა ასეთი გამომეტყველება ხშირად მეორდება, ის პირწმინდად შლის და არღვევს კაცური სახის მომხიბვლელობას, რომელსაც ველარავინ აღადგენს უკვე. მაშ, გულისხმავა, ამ მაგალითის მიხედვით, რომ რისხვა არ შემვენის კაცის ბუნებას. რადგან, თუ საკუთარ ცთომათა შეცნობის უნარს დავკარგავთ, რისთვისღა უნდა ვიცოცხლოთ ქვეყნად?

25. ყოვლისმპყრობელი ბუნება მალე სახეს უცვლის ყველაფერს, რასაც შენ ჭკრეტ; მისი არსისგან შექმნის სხვა საგნებს, მათგან კიდევ – სხვათ, და ასე შემდეგ, რათა მარადი სიჭაბუკე ახლდეს სამყაროს.

26. თუ ვინმემ შენდა მომართ სცოდა, მსწრაფლ გულისხმაცავ, როგორ ესმოდა მას სიკეთე ან ბოროტება, როდესაც სცოდა. რადგან, რა გულისხმაცავ, სიბრალული აღგებურის მის მიმართ, და არა რისხვა ან განცვიფრება. მართლაც, თუ შენი წარმოდგენა სიკეთეზე მისას ემთხვევა ან ეთანხმება, შენ გმართებს შეუნდო მას. ხოლო თუ თქვენ სხვადასხვაგვარად გესმით სიკეთე და ბოროტება, უფრო ადვილად შეიწყნარებ მას, ვინც შენს მიმართ სცოდა.

27. იმის დასაკუთრებას ნუკი ცდილობ, რაც არ გეკუთვნის, არამედ კუთვნილთაგან ამოარჩიე უკეთესი და გულისხმაცავ, რას არ იღონებდი მის დასაუფლებლად, უკვე რომ არ ფლობდე მას. მაგრამ, ამასთან, სიფრთხილე გმართებს, რათა კუთვნილთა მიმართ სიყვარულით გულშემრულმა ყველაფერს არ არჩიო ისინი და, ამრიგად არ დაჰკარგო სულის სიმშვიდე, თუ ვინცობაა, დაჰკარგავ მათ.

28. განმარტოვდი შენსავე თავში^[309]. შენი წარმმართველი საწყისი თავისი ბუნებით თვითმკმარია და საკუთარი მართლმოქმედებითა და მისგან გამომდინარე აუმღვრევლობით კმაყოფილი.

29. მოიკვეთე წარმოდგენა. დაიურვე ვნება, მოდრიკე და აწმყოთი მოიზღუდე თავი. შეიცან შენი წილხვდომილი, შეიცან სხვისიც. დაშალე და ნივთიერ და მიზეზობრივ საწყისებად დაჰყავ საგნები. იფიქრე აღსასრულისთვის. შეეშვი, დაე, მანვე სცოდოს, ვინაცა სცოდა^[310].

30. ეცადე, აზრით ჩასწვდე სიტყვების არსს. დაე, შენი სული დაინთქას მოქმედსა და ქმნადში.

31. შეიმკე სული უბრალეობით, უბიწოებით და მის მიმართ განურჩევლობით, რაც სიქველესა და ბიწს შორის ძევს. გიყვარდეს კაცთა მოდგმა. მისდიე ღმერთს^[311]... მისი აზრით^[312], «ყველაფერი კანონის თანახმად ხდება, რაკი არსებობენ მხოლოდ სტიქიონები». საკმარისია გავიხსენოთ, რომ ყველაფერი კანონის თანახმად ხდება; ეგეც ცოტაა...

32. სიკვდილისათვის: ან განზნევა და განქარება, თუ არსებობენ მხოლოდ ატომები, ან დაქრობა და გარდაცვალება, თუ არსებობს მხოლოდ ერთობა^[313].

33. ტკივილისათვის: თუ ის დაუთმენელია, მაშასადამე, მალე მოგვიღებს ბოლოს, ხოლო თუ ის დიდხანს გრძელდება, მაშასადამე, შეიძლება მისი დათმენა^[314]. თავის თავში განმარტოებული სული ბოლომდე ინარჩუნებს სიმშვიდეს, ჩვენი წარმმართველი საწყისი კი არ განიცდის რაიმე ვნებას. ხოლო რაც შეეხება ტკივილით განწონილ ასოებს, დაე, თუ ძალუძთ, თვითონვე განაცხადონ ამის შესახებ.

34. დიდებისათვის: დაუკვირდი პატივმოყვარეთა აზრებს და გულისხმაცავ, როგორ აზროვნებენ ისინი, ან რას მიელტვიან და რას გაურბიან. და კიდევ ერთი: ზღვის პირას ქვიშის ერთი ფენა მეორეს შლის და ფარავს. ასეა ცხოვრებაშიც: მომდევნო ძალზე სწრაფად ჩრდილავს მის წინამორბედს.

35. პლატონიდან: – «როგორ გგონია, განა მაღალსა და თავისი მზერით ყველა დროის, ყოველი არსის მომცველ სულს დიდ რამედ ეჩვენება კაცის სიცოცხლე? – ძნელი წარმოსადგენია, – თქვა მან. – მაშასადამე, ეგ სული არც სიკვდილს მიიჩნევს მაინცდამაინც დიდ ბოროტებად. – რაღა თქმა უნდა»^[315].

36. ანტისტენედან^[316]; «კეთილს იქმოდე და აკვაცის სახელი გერქვას, – არის ამაში რაღაც მეფური»^[317].

37. ვაი სირცხვილო! სულის მონა-მორჩილი სახე ისეთ იერსა და გამომეტყველებას იღებს, როგორც მის უფალს სურს, სულს კი თავად არ ძალუძს სათანადო იერისა და გამომეტყველების მიღება.

38. «ეჰ, რა აზრი აქვს მრისხანებას საგანთა მიმართ? იქნებ გგონია, ყურს გიგდებენ უსმი საგნები»^[318].

39. «სათნო ეყავ უკვდავ ღმერთებს და გვეყავ ჩვენაც»^[319].

40. «კაცთა სიცოცხლეს ყანასავით იმკის უფალი; ერთი თავთავი სავსე არის, მეორე – ფშუტე»^[320].

41. «თუმც დამივიწყეს მე ღმერთებმა, მეც და ჩემი ორი ასულიც, მაგრამ ამაშიც მე მათ მაღლს და წყალობას ვხედავ»^[321].

42. «ჩემთან ვალს სიმართლე, ჩემთან არს სიკეთე»^[322].

43. შორს გოდება და გლოვის ზარი.

44. პლატონიდან: «რაც შემეხება მე, აი, რას ვეტყოდი, და მართალსაც ვეტყოდი ამ კაცს: შენ სცდები, ჩემო მეგობარო, როდესაც ფიქრობ, რომ ის, ვინც ოდნავ მაინც ამართლებს კაცური კაცის სახელს, მხოლოდ იმის გარკვევას უნდა ცდილობდეს, თუ რამდენ ხანს იცოცხლებს კიდევ ან როდის მოკვდება, და არა იმისას, თუ როგორ მოქმედებს ყველა ცალკეულ შემთხვევაში – მართლად, როგორც შეშვენის კეთილს, თუ მრუდედ, როგორც სჩვევია უკეთურს!»^[323].

45. პლატონიდან: «მართალს მოგახსენებთ, ათენელნო: თუ კაცმა თვითონ დაივალა რაიმე საქმე, იმიტომ რომ ყველაზე შესაფერად მიაჩნდა თავისთვის, ანდა არქონტის დავალებით მოჰკიდა ხელი მას, კეთილ ინებოს და, ყოველგვარი განსაცდლისა თუ სიკვდილის შიშის მიუხედავად, ბოლომდე მიიყვანოს იგი. რადგან კაცი სიკვდილს კი არა, სირცხვილს უნდა უფრთხოდეს მხოლოდ»^[324].

46. პლატონიდან: «მაგრამ ფრთხილად, ჩემო ძვირფასო: ერთმანეთში არ აგერიოს სიკეთე და კეთილშობილება, ერთის მხრივ, და საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლის ხსნა, მეორეს მხრივ, რადგან ჭეშმარიტი კაცი იმას კი არ უნდა ცდილობდეს, როგორ გაიგრძელოს სიცოცხლე და ხარბად ებლაუჭებოდეს მას, არამედ ღვთაების გულმოწყალებას მინდობილი, ჭეშმარიტად მიიჩნევდეს დიაცთა სიტყვებს – ბედისწერას ვერსად წავუვალოთ, – და ერთ რასმე მიელტვოდეს მხოლოდ: სიქველის სამსახურს მოახმაროს სიცოცხლე»^[325].

47. დაუკვირდი ვარსკვლავთა მოძრაობას, როგორც მათი სრბოლის მონაწილე, და გამუდმებით იფიქრე სტიქიონთა ერთმანეთში გადასვლისათვის. რადგან მსგავსი წარმოდგენები მიწიერი არსებობის მწვირისაგან წმენდენ კაცის სულს.

48. მშვენიერია პლატონის სიტყვები: «მას, ვინც თავისი კვლევის საგნად კაცს სახავს, მართებს თითქოსდა მაღალი მთის მწვერვალიდან მოიხილოს ყოველივე მიწიერი: ბრბოთა სიმრავლე, რაზმთა წყობანი, მინდვრის სამუშაონი, ქორწინებანი, განქორწინებანი, დაბადებანი, გარდაცვალებანი, მოყაყანე სამსჯავრონი, უდაბნონი, ბარბაროსთა სხვადასხვა ტომნი, დღეობანი, გლოვის მგოსანთა გალობანი,

თავყრილობანი, ერთმანეთში უთავბოლოდ ალუფხულ საგანთა ნაზავნი თუ დაპირისპირებულთა ჰარმონიული მთლიანობანი»^[326].

49. თუ მიიქცევი წარსულის ჭვრეტად და მოიხილავ, რამდენი სამეფო დაეცა და აღიგავა მიწის პირისაგნ, შენ შესძლებ წინასწარ განჭვრიტო მერმისიცი. მართლაც, ის წარსულის ზუსტი ასლი იქნება მხოლოდ, რადგან ვერაფერი ვერ დაარღვევს ჟამთასვლისა და ბედის ტრიალის დღევანდელ რიტმს. ამიტომ სულერთია, რამდენ ხანს უჭვრეტ კაცთა ცხოვრების ამაოებას, ორმოცი თუ ათი ათასი წლის განმავლობაში: რას ნახავ ახალს და ჯერ არნახულს?

50. «მიწის ნაყოფი

მიწასავე მიუბრუნდება,

ცის ნაშობი კი

კვლავ შეერთვის ცათა სიწმინდეს»^[327].

ესე იგი, ან ერთმანეთს გადანასკვეულ ატომთა დაშლა, ან, იგივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უგრძნობელ სტიქიონთა განქარება.

51. და კიდევ:

«ზვარაკის ზორვით, ზედაშის ღვრით და გრძნეულებით»^[328]

გვსურს ავიცილოთ გარდუვალი, გავექცეთ სიკვდილს».

«მაგრამ როდესაც ცათა სუნთქვა – ქარიშხალი – გვიპირებს შთანთქმას,

მხნეობა გვმართებს, არა დრტვინვა ანდა ტირილი»^[329].

52. ბევრია შენზე უკეთესი მორკინალი, მაგრამ, დაე, ნუვინ იქნება შენზე თავმდაბალი, შენზე ერთგული საზოგადო სიკეთისადმი, შენზე მორჩილი ბედისწერისადმი და მოყვასთა ცთომის მიმართ – შენზე უფრო დიდსულოვანი.

53. იქ, სადაც შეიძლება გონების თანახმად ვმოქმედებდეთ, გონებისა, რომელიც საერთოა ღმერთთა და კაცთათვის, ჭეშმარიტად არა არის რა საშიში. რადგან სადაც შეიძლება მივსწვდეთ და ვეზიაროთ სიკეთეს წრფელი გზით წარმართული და ჩვენი ბუნების შესატყვისი მოქმედებით, იქ არ უნდა გვეშინოდეს რაიმე ვნების.

54. შენ შეგიძლია ყველგან და ყოველთვის საკუთარი ხვედრით კმაყოფილი და მახლობელთა მართლაც გამკითხე იყო; შენ შეგიძლია ყველგან და ყოველთვის გულდასმით იკვლევდე საკუთარ წარმოდგენებს, რათა მათში არ შეიჭრას რაიმე მღვრიე და ბუნდოვანი»^[330].

55. სხვის სულებს ნუკი ქექავ და ჩხრეკ, არამედ იქით მიმართე მზერა, საითაც მიჰყავხარ ბუნებას – საერთო ბუნებას იმით, რაც წილად გხვდება, საკუთარ ბუნებას კი იმით, რისი ქმნაც გმართებს. ხოლო თვითეულს იმის ქმნა მართებს, რაც მის სულიერ წყობას ეთანხმება და ესატყვისება. მაგრამ ყველა უგონო არსებანი, საკუთარი წყობისა და აღნაგობის ძალით, გონიერთათვის არიან შექმნილნი (ისევე როგორც, ყველა სხვა შემთხვევაში, უმდაბლესნი – უმაღლესთათვის)^[331], გონიერნი კი – ერთმანეთისთვის. ამიტომ კაცის სულიერი წყობის უპირველესი ნიშანი მისი მოქალაქეობრიობაა. მეორე – გულგრილობა ყველა იმ ვნების მიმართ, რომელნიც თავის ნებაზე ათამაშებენ სხეულს. ვინაიდან გონივრული და სულიერი ქმედითობის თავისებურება მისი თვითმოზღუდულობა და შეგრძნებათა და სწრაფვათა წინაშე ქედმოუხრელობა გახლავს, რადგან ეს უკანასკნელნი ცხოველურ მოძრაობათა სახეებია^[332], სულიერს კი სურს პირველობდეს და კი არ ჰმონებდეს, პირიქით, თვითონ იმონებდეს მათ. და მართლაც მისი ბუნება ისეთია, რომ თვითონ უნდა იყენებდეს ყველა დანარჩენს. და ბოლოს, კაცის სულიერი წყობის მესამე ნიშანი მისი წინდახედულობაა და უმცთარობა. ამ საწყისთა ერთგული სული წრფელი გზით ვალს და თან მიაქვს თვისი.

56. წარმოიდგინე, თითქოს უკვე მოკვდი, თითქოს მხოლოდ დღევანდელ დღემდე ცხოვრობდი, და სიცოცხლის დარჩენილი დღენი მაინც გაატარე ბუნების თანახმად.

57. გიყვარდეს მხოლოდ შენი წილხვდომილი და შენსავე სვესთან თანათხზული. რადგან რას შეიყვარებ უფრო ჰარმონიულს, ანდა შენთვის უფრო უკეთესს?

58. რაც უნდა შეგემთხვეს, ყოველთვის თვალწინ გედგნენ ისინი, ვისაც მსგავსი რამ შემთხვევითა თუ ოდესღაც და ვინც დრტვინავდნენ და მრისხანებდნენ ამის გამო, ანდა ჰკვირობდნენ ამას. სად არიან დღეს ისინი? აღარ არიან. მაშ, რატომ გსურს ჰბამავდე მათ? არ გირჩევნია სულისთვის უცხო ყველა ეს ბორგვა მათ გამომწვევთ და მათ დამთმენტ დაუთმო მთლიანად. თვითონ კი ეცადო, რადაც უნდა დაგიჯდეს, მხოლოდ ის აიღო მათგან, რაც სიკეთისკენ მიგაქცევს შენ? სიკეთე კი დიდია, გწამდეს, და ეს იქნება შენი სამოქმედო მასალა. ოღონდ გონებაფხიზელი და გულწრფელი იყავ ყველაფერში, რასაც აკეთებ. გახსოვდეს ეს მრჩობლი შეგონება: მოქმედების მასალა ჩვენთვის განურჩეველია, მაგრამ არა თვით მოქმედება^[333].

59. მიიქეც შენივე სულის ჰვრეტად. შენშია წყარო სიკეთისა, რომელიც მარად იჩუხჩუხებს, თუ არ შეეშვება მისი სათავის ჩხრეკას.

60. სხეულიც მოქნილი უნდა იყოს – და არა მოშვებული – როგორც მოძრაობის, ისე უძრაობის დროსაც. თუ გონება თავის ბეჭედს ასვამს სახეს, რომელიც ამის წყალობით ჭკვიანურ იერსა და კეთილშობილურ გამომეტყველებას იძენს, რატომ არ უნდა მოვითხოვდეთ იგივეს მთელი სხეულისგანაც? მაგრამ აქაც ზომიერება და თავდაჭერილობა გვმართებს.

61. ცხოვრების ხელოვნება უფრო ბრძოლის ხელოვნებას წააგავს, ვიდრე როკვისას, რადგან მუდმივ მზადყოფნასა და სიმტკიცეს მოითხოვს ყოველივე მოულოდნელისა და გაუთვალისწინებლის მიმართ.

62. ნურასოდეს დაივიწყებ, რანი არიან ისინი, ვის მომხრობასაც ცდილობ და როგორია მათი წარმმართველი საწყისი. რადგან შენ, ალბათ, აღარ დაჰგმობ მათ უნებურ შეცოდებებს და აღარც მათ მომხრობას ეცდები, თუ მცდელი თვალით ჩახედავ მათი წარმოდგენებისა და მისწრაფებების წყაროს.

63. «ყოველი სული – ამბობს ის, – თავისდა უნებურად სწყდება სიმართლეს»^[334]. მაგრამ ასევე – სამართლიანობას, თავდაჭერილობას, კეთილმოსურნეობას და სხვა სიქველეთ. ნურასოდეს დაივიწყებ ამ მართალ სიტყვებს, რადგან მათი არდავიწყების წყალობით უფრო დიდსულოვანი იქნები კაცთა მიმართ.

64. ყოველთვის, როცა ტკივილი გტანჯავს, გულისხმაყავ, რომ მასში არა არის რა სასირცხვო, და რომ ის უარესს არ ჰყოფს შენი არსების წარმმართველ საწყისს, ვინაიდან ვერაფერს აკლებს ვერც მის გონიერებას და ვერც მის მოქალაქეობრივ არსს. ხოლო ტკივილის უსასტიკესი შემოტევისას, დე, მწედ და წამლად მოგვევლინონ ეპიკურეს სიტყვები: «არ არსებობს დაუთმენელი ან მარადიული ტკივილი»^[335], თუ გაიხსენებ, რომ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს, და თუ შენი უსასოება უსასრულოდ არ მიიჩნევს ზღვრულსა და სასრულს». გაიხსენე ისიც, რომ ათასი მტკივნეული რამ, როგორც მაგალითად, უძილობა, შუადღის ხვატი თუ უმადობა, შენდა შეუცნობლად გაწუხებს ხოლმე. ამიტომ, როცა მსგავსი რამისგან გელმის, ასე არქვი საკუთარ თავს: მან მძლია, მე კი ვერ ვძლიე ტკივილს.

65. ეცადე არაკაცთა მიმართაც კი არ განიცდიდე იმას, რასაც არაკაცნი განიცდიან კაცურ კაცთა მიმართ.

66. ვინ იცის, იყო თუ არა სოკრატე ტელაუგეზე^[336] უფრო ზნესრული. რადგან ამის ნათელსაყოფად საკმარისი არაა ვიცოდეთ, რომ სოკრატე უფრო სახელოვნად მოკვდა, რომ ის მეტის წარმატებით ეპაექრებოდა სოფისტებს, რომ, უფრო ამტანს, შეეძლო

მთელი ღამე ფეხშიშველა მდგარიყო ყინულზე, რომ მან მეტი დიდსულოვნება გამოიჩინა მაშინ, როცა უბრძანეს შეეპყრო სალმინელი, მაგრამ არ შეასრულა ბრძანება^[337], და რომ ის ამაყად თავაწეული მიაბიჯებდა ქუჩებში... არა, უნდა ვიცოდეთ ისიც, როგორი სული ჰქონდა სოკრატეს, აკმაყოფილებდა თუ არა მას სამართლიანობა მოკვდავთა და ღვთისმოსაობა უკვდავთა მიმართ, დრტვინავდა თუ არა კაცთა ბიწიერების გამო, ემსახურებოდა თუ არა უმეცრებას, უმზერდა თუ არა როგორც უცხოს და დაუთმენელს საკუთარ ხვედრს, რომელიც საერთო ბუნებამ არგუნა წილად, და, დასასრულ, უმონებდა თუ არა სულს ხორციელ ვნებებს?

67. ბუნებას არც ისე მჭიდროდ შეურწყმიხარ შენსაც სხეულთან, რომ არ შეგეძლოს გაემიჯნო მას და თვითონ აკეთო შენივე საქმე, რადგან დიახაც შესაძლოა ღმრთისდარი^[338] იყო, მაგრამ ყველასთვის უცნობი დარჩე. ყოველთვის გახსოვდეს ისიც, რომ ნეტარებისთვის ძალზე ცოტა რამაა საჭირო. და თუ უსასოქმნილს გგონია, რომ ვერასოდეს ეზიარები დიალექტიკისა და ფიზიკის სიღრმეს, იმას მაინც ნუ იფიქრებ ნურასდროს, რომ არ შეგიძლია თავისუფალი იყო, ქველმოქმედი და უფლის მორჩილი.

68. იცხოვრე მშვიდად და უდრტვინველად, თუნდაც ყველა შენი მოყვასი ცილს გწამებდეს და გაყივნებდეს, ხოლო სისხლის მხვრეპი მხეცები ხარბად გლეჯდნენ შენს ხორციელ გარსს. რადგან, ყოველივე ამის მიუხედავად, სულს დიახაც ხელეწიფება ინარჩუნებდეს სრულ სიმშვიდეს, ყოველივე გარემომცველის მართებულად განსჯისა და მის თავზე მოწეულის თავისდა სასარგებლოდ გამოყენების უნარს. როგორც განმსჯელი, ის თითქოს ასე ესიტყვება მასზე მოწეულს: აი, თურმე როგორი ყოფილხარ სინამდვილეში, თუმცა წარმოსახვას სხვაგვარად ესახებოდი. როგორც მოსარგებლე კი ასე მიმართავს მასვე: მე შენ გემებდი, რადგან აწმყო ჩემთვის მხოლოდ მასალაა სულიერი თუ სამოქალაქო სათნოების საზრდელად, საერთოდ კი – კაცებრივი თუ ღვთაებრივი ხელოვნების დასაუფლებლად. ეს იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, უშუალო კავშირშია ღმერთთან თუ კაცთან და უჩვეულო და ხელმიუწვდომი კი არაა, არამედ ჩვეული და ხელმისაწვდომი.

69. ზნესრულობა იმაში გამოიხატება, რომ ყოველ დღეს ატარებდე ისე, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში: ამაო შფოთის, უმოქმედობისა და პირმოთნეობისაგან თავისუფალი^[339].

70. უკვდავი ღმერთები არ დრტვინავენ იმის გამო, რომ ამდენი საუკუნის მანძილზე ითმენენ ამდენ ავ არსებათა სიმრავლეს^[340]. მეტიც, არა მარტო ითმენენ, ზრუნავენ კიდევ მათზე. შენი აღსასრული უკვე ახლოა, შენ კი ვერ ითმენ მათ სიავეს, თავად ერთი ამ ავთაგანი.

71. სასაცილოა, გაურბოდე სხვათა ბიწიერებას, რაც შეუძლებელია, და არ გაურბოდე შენსავ საკუთარს, რაც შესაძლოა.

72. სულიერი და სამოქალაქო სათნოება, მართებულად მიიჩნევს თავისთვის უღირსად იმას, რასაც არასულიერად და არასაზოგადოდ თვლის.

73. თუ შენ ჰქმენ სიკეთე, ხოლო შენმა მოყვასმა მოისთვლა ნაყოფი მისი, რაღას დაეძებ, რეგვენთა მსგავსად, რაღაც მესამეს, რასაც კეთილმოქმედის სახელს თუ სიკეთის ჯილდოს უხმობენ კაცნი.

74. არავინ არ იღლება სიკეთის ხვეჭით. სიკეთეს კი ბუნებრივი მოქმედების გზით იხვეჭს კაცი. მაშ, ნუ დაგღლის სიკეთის ხვეჭა, მაგრამ ნურც გაცემა მისი.

75. საერთო ბუნებამ თავისი ნებით შექმნა სამყარო. ყველაფერი, რაც დღეს ხდება, ან ამ შესაქმნის შედეგად ხდება, ან ყველაზე ფასეულიც კი – სამყაროს გამრიგე გონების უზენაესი ტრფობის საგანიც – უაზროა და უფასური. ყოველთვის, როცა რამე გაშფოთებს, გაიხსენე ეს და დამშვიდდები^[341].

წიგნი მერვე

1. მარტო ის აზრი, რომ აღარ ძალგიძს მთელი შენი სიცოცხლე თუ სიცოცხლის ნაწილი – სიჭაბუკიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდელ დღემდე – ჭეშმარიტი ფილოსოფოსის სიცოცხლედ აქციო, და რომ შენთვისაც და სხვებისთვისაც ნათელია, როგორ განეშორე სიბრძნის სიყვარულს, სავსებით საკმარისია, რათა შეიზიზლო ფუჭი პატივმოყვარეობა. შენ ისერიგად შებღალე შენივე თავი, რომ გაგიჭირდება ჭეშმარიტი

ფილოსოფოსის სახელის მოხვეჭა: თვით შენი მდგომარეობა და ცხოვრების წესი ეწინააღმდეგება ამას. მაგრამ თუ ჭეშმარიტად შეიცან საქმის არსი, ნულარ დაეძებ, რას ფიქრობენ შენზე. იკმარე ისიც, თუ შესძლებ ისე გაატარო სიცოცხლის დარჩენილი დღენი, როგორც მოითხოვს შენი ბუნება. მაშ, გულისხმაყავ, რას მოითხოვს ის შენგან და შეეშვი ყველა სხვა დანარჩენს. გაიხსენე, რა არ გიცდია, რას არ გამოსდევნებინარ, მაგრამ ვერსად გიპოვია სულის სიმშვიდე, ვერც სილოგიზმების ჩხრეკაში, ვერც დიდების ძიებასა თუ განცხრომაში, ვერსად. მაშ, რა გვაზიარებს ბედნიერებას? მხოლოდ და მხოლოდ აღსრულება იმისა, რასაც მოითხოვს კაცის ბუნება. მაგრამ როგორ აღვასრულებთ მას? მისდით პრინციპებს, რომლებიც განაპირობებენ კაცთა სწრაფვას და ქცევას. რა პრინციპებს გულისხმობ შენ? პრინციპებს, რომლებიც ასე განსაზღვრავენ კეთილს და ბოროტს: კაცისთვის კეთილია მხოლოდ ის, რაც სამართლიანობით, ზომიერებით, სიმამაცით, თავისუფლებითა და სხვა სიქველით მოსავს მის სულს, ბოროტი კი ის, რაც თავისი არსით უპირისპირდება პირველს.

2. ყოველი შენი მოქმედებისას ასე ჰკითხე შენსავე თავს: რას ნიშნავს ის ჩემთვის, ან სანანებლად ხომ არ მექცევა შემდეგ? ცოტაც და მე აღარ ვიქნები და ყველაფერი დამთავრდება. თუ ჩემი დღევანდელი მოქმედება გონიერი და ამ ქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი არსების ღირსია, არსებისა [342], რომელიც იმავე კანონს ემორჩილება, რასაც ჰმორჩილებს ღმერთიც, სხვა რას უნდა ვნატრობდე ქვეყნად?

3. რანი არიან ალექსანდრე, გაიუსი ან პომპეუსი დიოგენეს, ჰერაკლიტესა თუ სოკრატეს გვერდით? ეს უკანასკნელნი ნათლად ჭვრეტდნენ საგანთა სიღრმეს, მიზეზთა არსს, მატერიის რაობას და მათი სული მათვე ეკუთვნოდა სავსებით. რაც შეეხება პირველთ, ვინ მოსთვლის, რამდენი რამ სამუდამოდ დაფარული დარჩა მათთვის; გულისთქმათა მონები იყვნენ, მეფენი კი ეგონათ თავი.

4. შენ შეიძლება შეუძლებელი შესძლო, მაგრამ ვერ შესძლებ მათ მოქცევას სიკეთისაკენ [343].

5. უპირველეს ყოვლისა, ნურაფრით ნუ აიძვრევ სულს, რადგან ყველაფერი, რაც ხდება, საერთო ბუნების თანახმად ხდება, და რადგან მალე, მტვრადქცეული, სამარადისოდ შეერთვი არარაობას, როგორც ჰადრიანე ან ავგუსტუსი. და მერე, დამაბე მზერა სულისა და აგრე უმზირე შენივე ზრუნვის საგანს. გახსოვდეს, რომ მოვალე ხარ კეთილი კაცის სახელი გერქვას, გახსოვდეს, რას მოითხოვს შენგან კაცის ბუნება და რასაც იტყვი, სთქვი ისე, როგორც თვითონ მიიჩნევ უმჯობესად და

მართებულად. მაგრამ, ამასთან, განირიდე ბოროტმოსურნეობა, მზვაობა და პირმოთნეობა.

6. საერთო ბუნება თავისი მოქმედებით ადგილსა და სახეს უცვლის ყოველსავე არსებულს, იღებს აქ, გადააქვს იქ. ყველაფერი ციკლურად იცვლება, ამიტომ არ უნდა გვეშინოდეს რაიმე ახლის^[344]; ყველაფერი ერთფეროვანია, მაგრამ ერთია ხვედრიც ყველასი.

7. ყოველი არსის ბუნება თავისი თავით კმაყოფილია, როცა წრფელსა და ჭეშმარიტ გზას მისდევს. გონიერი არსების ბუნება კი ჭეშმარიტების გზას ადგას მაშინ, როცა არ იზიარებს წარმოდგენათა მცდარობას თუ ბუნდოვანებას, როცა თავისი სწრაფვის საგნად მხოლოდ საზოგადო სიკეთეს სახავს, როცა მიელტვის ან გაურბის^[345] მხოლოდ მას, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და როცა უდრტვინველად იღებს ყველაფერს, რასაც საერთო ბუნება არგუნებს წილად. და მართლაც, ის ხომ საერთო ბუნების ნაწილია, ისევე როგორც ფოთლის ბუნება ნაწილია ხის ბუნებისა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფოთლის ბუნება ნაწილია უგრძნობელი, უგონო და უღონო ბუნებისა, მაშინ როდესაც კაცის ბუნება ყოვლისშემძლე, გონიერ და მართლად გამრიგე ბუნებასთანაა წილნაყარი, ბუნებასთან, რომელიც თანაბარზომიერად და თვითეულს მისი ღირსების თანახმად უზომავს და უწილადებს დროს, მატერიას, მიზეზს, სასიცოცხლო ძალასა და თავს გადასავალს. მაგრამ ამ თანაბარზომიერებას შენ შენიშნავ მხოლოდ მაშინ, თუ ერთმანეთს შეუდარებ არა ცალკეულ წილხვდომილთ, არამედ ერთი არსების წილხვდომილთა ერთობლიობას – მეორისას.

8. შენ არ შეგიძლია დაჯდე და იკითხო. მაგრამ ხომ შეგიძლია დაიცხო მზვაობა; ხომ შეგიძლია დაიოკო განცხრომის სურვილი და დაითმინო საღმობა; ხომ შეგიძლია შეიზიზლო ფუჭი დიდება; ხომ შეგიძლია შეიწყნარო უგულონი და უმადურნი, და არა მარტო შეიწყნარო, იზრუნო კიდევ მათთვის.

9. დე, ამას იქით ნულარავინ მოისმენს შენს დრტვინვას ნურც სასახლის კარის ცხოვრების, ნურც თვით შენი საკუთარი ცხოვრების გამო.

10. ის, ვინც ნანობს, თავის თავს ჰყვედრის იმის გამო, რომ საკუთარი დაუდევრობის წყალობით ხელიდან გაუშვა თავისთვის სასარგებლო რამ. ხოლო სასარგებლო კეთილიც უნდა იყოს უთუოდ და, მაშასადამე, ზნეკეთილი და ზნესრული კაცის სწრაფვის საგანიც. მაგრამ ზნესრული კაცი არ ინანებს იმას, რომ ხელიდან გაუშვა განცხრომის შესაძლებლობა. მაშასადამე, განცხრომა არც კეთილია, არც სასარგებლო.

11. რას წარმოადგენს აი, ეს ნივთი თავისთავად? როგორია მისი ბუნება? როგორია ის, როგორც ფორმა და მატერია? როგორია, როგორც მიზეზი? რა როლს ასრულებს სამყაროში და რამდენ ხანს ჰგეის უცვლელად?

12. როცა ძილისგან გამორკვევა გიჭირს, გაიხსენე, რომ, სულიერი წყობისა და კაცური ბუნების თანახმად, შენი დანიშნულება საქვეყნო საქმის სამსახურია^[346], მაშინ როდესაც ძილი საერთო მოთხოვნილებაა როგორც უგონო, ისე გონიერ არსებათათვის. ხოლო ის, რაც ეთანხმება თვითეული არსის ბუნებას, ყველაზე მეტად შეჭვდერის, ყველაზე მეტად ესატყვისება და, მამასადამე, ყველაზე მეტადაც იზიდავს მას.

13. ყოველთვის, როცა შეგიძლია, ფიზიკის, ეთიკისა და დიალექტიკის საწყისებს შეუწონე ყოველი შენი წარმოდგენა.

14. ვისაც არ უნდა შეგაჯახოს შემთხვევამ, მეყვსეულად ასე ჰკითხე შენსავე თავს: რა პრინციპებს მისდევს ეს კაცი კეთილისა და ბოროტის შეფასებისას? რადგან თუ ის თავისებური თვალთახედვით უყურებს შვებას თუ სალმობას, ან როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზს, სახელსა თუ უსახელობას, სიცოცხლეს თუ სიკვდილს, მე აღარ ვიუცხოებ, არც გავიოცებ, რასაც უნდა იქმოდეს იგი. ეგეც არ იყოს, უნდა მახსოვდეს, რომ ის იძულებულია ასე იქმოდეს იმას, რასაც იქმს.

15. გახსოვდეს: თუ სირცხვილს ჭამს ის, ვინც ჰკვირობს, რომ ლედვის ხე ლედვს ისხამს, არანაკლებ სირცხვილს ჭამს ისიც, ვინც ჰკვირობს, რომ სამყარო იძლევა იმას, რასაც უნდა იძლეოდეს იგი. განა უცნაური არ იქნება, რომ ექიმი უცხოობდეს ციებ-ციხელებას, ანდა მესაჭე – პირქარს?

16. გახსოვდეს, რომ შეხედულების შეცვლა და მიყოლა მისი, რაც ჭეშმარიტ გზაზე გაყენებს, ოდნავადაც არ ზღუდავს შენს თავისუფლებას. რადგან ეს იგივე შენი საქმეა და მოქმედება, წარმართული შენი გონების და შენივე ნების თანახმად.

17. თუ ეს მხოლოდ შენზე ჰკიდია, მაშინ რაღად სჩადიხარ ამას? ხოლო თუ სხვაზე, ვისღა ჰყვედრი: ატომებს? ღმერთებს? სიშლეგა ერთიც და მეორეც. ნურავის ჰყვედრი. თუ შეგიძლია, წრფელჰყავ მრუდი საქმის მოქმედი, თუ არა – მრუდი საქმე მაინც; ხოლო თუ ესეც არ შეგიძლია, რა აზრი აქვს ამაო დრტვინვას? ამაოდ შრომა არ შეშვენის კაცს.

18. მკვდარი მხოლოდ ამ ქვეყნიდან გადის, არა სამყაროდან. ის იქ რჩება, რათა სახე იცვალოს და დაიშალოს შემადგენელ სტიქიონებად, რომელთაგანაც ითხზვი შენც და მთელი სამყაროც. სტიქიონებიც იცვლებიან, მაგრამ არ დრტვინვენ.

19. ყველაფერი რაღაცისთვის არსებობს ქვეყნად, როგორც მაგალითად, ცხენი ან ვაზი. რა გიკვირს? თვითონ მზეთა-მზე გეტყვის: მეც რაღაცისთვის ვარსებობო, სხვა ღმერთთა დარად [347]. მაგრამ რისთვის არსებობ შენ? განცხრომისათვის? კი მაგრამ, რით გაამართლებ ამას.

20. ბუნება არანაკლებ ყურადღებას უთმობს დასასრულს, ვიდრე დასაბამს ანდა მათ შორის. აგრეთა მობურთალიც. რა არის ბურთისთვის კეთილი იმაში, რომ მაღლა მიფრინავს, ან ავი იმაში, რომ დაბლა ეშვება? რა არის ბუშტისთვის კეთილი იმაში, რომ იბერება, ან ავი იმაში, რომ უცებ სკდება? იგივე ითქმის ლამპადისთვისაც [348].

21. მიიქეც ხრწნადი სხეულის ჭვრეტად და გულისხმავ, რას წარმოადგენს იგი, რას უშვრება მას სიბერე, სნეულება, სიძვა? რაოდენ დღემოკლეა მეხოტბეც და მისი ხოტბის საგანიც, მხსოვნელიცა და სახსოვარიც. გახსოვდეს ისიც, რომ მთელი ამ ამოების არენა სამყაროს ერთი ციციქნა კუთხეა, სადაც კაცნი აწამებენ ერთიმეორეს, და განა მარტო ერთიმეორეს, – საკუთარ თავსაც, და რომ მიწა სამყაროში დაკარგული წერტილია მხოლოდ და მხოლოდ.

22. დაე, შენი ყურედაღება ყოველთვის მიპყრობილი იყოს მოცემული საგნის, საწყისის, მოქმედებისა თუ სიტყვათა მნიშვნელობის მიმართ. სამართლიანად ეწამები, რადგან არჩევ ხვალ ეზიარო სიკეთეს და არა დღესვე.

23. ვიქმ რასმე? კაცთა სასიკეთოდ ვიქმ. ვითმენ რასმე? უდრტვინველად ვითმენ, მთელის არსებით მინდობილი ღმერთების ნებას და ყოვლის წყაროს, რომლისგანაც იღებს დასაბამს ყოველი ქმნადი.

24. როგორ გესახება განზანა? ზეთი, ოფლი, ჭუჭყი, მღვრიე წყალი და ირგვლივ ზიზღის მგვრელი ზინზლი. ასეთია თვითონ ცხოვრებაც, ასეთია თვითეული ნივთიც.

25. ლუცილამ დაიტირა ვერუსი და მერე თვითონაც მას მიჰყვა უკან; სეკუნდამ – მაქსიმუსი, მერე სეკუნდაც; ეპიტინხანემ – დიოტიმე, მერე ეპიტინხანეც; ანტონინუსმა – ფაუსტინა, მერე ანტონინუსიც; ცელერმა – ჰადრიანე, მერე

ცელერიც^[349], და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ. სად არიან დღეს ეს ბრძენნი, წინასწარმხედნი და მზვაობარნი? სად არიან ხარაქსი, დემეტრე პლატონიკოსი, ევდემონი^[350] და მათი მსგავსნი? აღარ არიან; ერთნი მყისვე დაივიწყეს, მეორენი მითებად იქცნენ, მესამენი კი გადაეგნენ მითებიდანაც. მაშ, გახსოვდეს, რომ სტიქიონთაგან თხზულ შენს უბადრუკ სხეულს განქარება უწერია, ხოლო სასიცოცხლო ძალას – ან დაშრეტა, ან სახეცვლა და გარდაცვალება.

26. კაცს სიხარულს ანიჭებს ის, რაც მისთვის ბუნებრივია და ნიშნეული. ხოლო კაცისთვის ნიშნეულია სიყვარული მოყვასთა და ზიზღი გულისთქმათა მიმართ, სარწმუნო წარმოდგენათა გამოწვლილვით განხილვა და საერთო ბუნებისა და მისეულ ქმნილებათა ჭკრეტა^[351].

27. არსებითა სამი რამ: როგორ უყურებ შენს ხორციელ გარსს, ღვთაებრივ მიზეზს – თვითეულის ხვედრისა თუ ბედისწერის წყაროს, და შენსავ მოყვასთ.

28. ტკივილი ბოროტებაა ან სხეულისთვის – ამ შემთხვევაში, დაე, სხეულმა თვითონვე განაცხადოს ეს^[352], – ანდა სულისთვის. მაგრამ ამ უკანასკნელს ხელეწიფება შეინარჩუნოს სიმშვიდე და არ მიიჩნიოს ტკივილი ჭეშმარიტ ბოროტებად. და მართლაც, ყოველი განსჯა, ყოველი სურვილი, ყოველი ნდომა თუ არნდომა ჩვენსავ სულშია, ხოლო სული მოუწყვლადია ბოროტებისთვის.

29. თუ გსურს მოიკვეთო მცდარი წარმოდგენა, ასე შეაგონე შენსავ თავს: მე შემიძლია ყოველგვარი ბოროტების, ყოველგვარი სურვილის და, საერთოდ, ყოველგვარი ვნებათაღელვისაგან დავიხსნა ჩემი სული; მე შემიძლია ცთომისაგან დაუბინდავი თვალით ვუმზირო ყველაფერს და მისი ღირსებისამებრ მოვიხმარო ყოველი ნივთი. ნუ დაივიწყებ, რომ ვინც დაგბადა, მანვე მოგცა ამის შეძლება.

30. სენატის წინაშე გამოსვლისა თუ კერძო პირთან საუბრის დროს ილაპარაკე ნათლად და გარკვევით; გიყვარდეს წრფელი სიტყვა.

31. ავგუსტუსის კარი, მისი მეუღლე, ასული, წინაპარენი, შთამომავალნი, დაჰ, აგრიპა^[353], თვისტომნი, სახლეულნი, მოყვასნი, არეუსი^[354], მეცენატი, მკურნალნი, ქურუმნი, მოკლედ, მთელი კარი გადაეგო. მოიხილე, შემდგომ ამისა, როგორ იავარიქმნენ სხვა კარნი, როგორ გადაეგნენ არამართო ცალკეული კაცნი, არამედ მთელი საგვარეულონიც, როგორც მაგალითად, პომპეუსებისა. შენ არაერთხელ

წაგიკითხავს ეპიტაფია: «უკანასკნელი თავის გვარში»... გაიხსენე, როგორც ეწამებოდნენ წინაპრები, რომ როგორმე მემკვიდრე დაეტოვებინათ ამ ქვეყნად, და მაინც ვიღაც უკანასკნელი უნდა იყოს, უკანასკნელის სიკვდილთან ერთად კი არსებობას წყვეტს მთელი გვარიც.

32. სიცოცხლეს ცალკეულ მოქმედებათაგან უნდა თხზავდე და კმაყოფილი იყო იმითაც, თუ თვითეული მათგანი ამართლებს თავის დანიშნულებას. მაგრამ ვის ძალუმს ხელი შეგიშალოს იმაში, რომ ყოველი შენი მოქმედება აღწევდეს მიზანს? – შენ გავიწყდება, რომ გარეშე საგნები აბრკოლებენ ჩვენს მოქმედებას. – არ არსებობს დაბრკოლება წრფელი, კეთილგონივრული და ზუსტად აწონ-დაწონილი მოქმედებისათვის. – მაგრამ ხომ შეიძლება სხვა რამემ შეგვიშალოს ხელი? – შეიძლება, მაგრამ თუ შენ უდრტვიწველად იტან ხელისშემშლელსა და დამაბრკოლებელს, თუ შენ შეგნებულად მიელტვი შესაძლებელს, ალბათ, იმასაც შესძლებ, რომ მოცემულ მოქმედებას სწრაფად შეუნაცვლო მეორე, რომელიც არ დაარღვევს ცალკეულ მოქმედებათაგან თხზული შენი ცხოვრების ჰარმონიულ მთლიანობას და მის თანაბარ რიტმს.

33. ნუ მზვაობ, როდესაც იძენ, ნუ ნანობ, როდესაც ჰკარგავ.

34. ხომ გინახავს მოჭრილი ხელი, ფეხი, ან სხეულს მოკვეთილი თავი? ასევე იკვეთს (რამდენადაც ხელეწიფება) თავის თავს იგი, ვინც არ იღებს ქმნადს და მოწვევადს, ვინც გაურბის მოყვასთ ან მათ წინააღმდეგობას ცდილობს. შენ თვითონ მოსწყდი იმ ბუნებრივ ერთიანობას, რომლის ნაწილადაც შეგქმნა ბუნებამ და რომლისგანაც ნებისთ მოიკვეთე შენივე თავი. მაგრამ საოცარი ის არის, რომ შენ შეგიძლია კვლავ შეერწყა ამ წარუვალ ერთიანობას. რადგან კაცი – სამყაროს ნაწილი, ერთადერთი არსია, რომელსაც, ყველა სხვა ნაწილისაგან განსხვავებით, ღმერთმა უბოძა იმის უნარი, რომ მთელისგან მოჭრილს და მოკვეთილს შეეძლოს ხელახლა შეეზარდოს და შეესისხლხორცოს მას^[355]. მაშ, თაყვანი ეცი უფლის ნიჭს, რომელიც გაძლევს იმის უნარს, რომ ან საერთოდ არ მოსწყდე მთელს, ანდა, თუ მოსწყდი, ხელახლა შეერწყა მას და, ამრიგად, კვლავ დაიკავო შენი ადგილი, როგორც მთელის ერთმა ნაწილმა.

35. გარდა იმისა, რომ გონიერი არსების ყველა უნარი საერთო ბუნებამ გვიბოძა ჩვენ, კიდევ ერთი რამ მივიღეთ მისგან: საერთო ბუნების მსგავსად, რომელიც ყოველსავე წინააღმდეგობს და ხელისშემშლელს თავის თანამდგომად თუ ხელისშემწყობად აქცევს და ზედისწერის კოსმიურ რკალში რთავს, როგორც საკუთარ ნაწილს, – გონიერ

არსსაც ხელეწიფება თავისი მოქმედების მასალად აქციოს ყოველივე წინააღმდეგობი და ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად გამოიყენოს იგი^[356].

36. ნუ აიძვრევ სულს მთელი შენი ცხოვრების წარმოდგენით. იმაზე ნუკი ფიქრობ, რამდენი ტანჯვა-წამების გადატანა მოგიწევს კიდეც^[357], არამედ, ყოველი შეჭირვებისას ასე ჰკითხე შენსავე თავს: რა არის მასში დაუთმენელი და დაუძლეველი? რადგან შენ შეგრცხვება აღიარო, რომ ის დაუთმენელია შენთვის. მერე გაიხსენე ისიც, რომ წარსული ან მომავალი კი არ გტანჯავს, არამედ მხოლოდ აწმყო; აწმყო კი ერთადერთ წამამდე დაიყვანება, თუ მას მისივე ხანგრძლივობით გარეშემოსწერ, და, ამრიგად, შერისხავ შენს სულს: რად ვერ იტანო წამიერ ტკივილს.

37. დასტირიან თუ არა დღესაც პანთეია და პერგამოსი ვერუსის საფლავს? ან ხაბრია და დიოტიმე – ჰადრიანესას^[358]? მხოლოდ ბრიყვი თუ დაიწყებს ამის მტკიცებას. მაგრამ კიდევაც რომ დასტიროდნენ, იგრძნობდნენ ამას მკვდრები? თუმცა, რომც ეგრძნოთ, როგორ გგონია, სიხარულით შეიძვროდნენ უძრავად მწოლნი? ანდა, კიდეც რომ შეძრულიყვნენ, განა უკვდავნი გახდებოდნენ მათზე მგლოვარნი? განა ბედისწერა მათ ჯერ სიბერეს არ მოუვლენდა, მერე კი – სიკვდილს? რას იზამდნენ მიცვალებულნი მათზე მგლოვართა სიკვდილის შემდეგ? ყველაფერი ეს ხრწნილებაა, მიწა და მტვერი.

38. თუ შენი მზერა მახვილია და ღრმად მხედი, – ამბობს ბრძენთა-ბრძენი^[359], მიიქეც შენივე სულიერი ცხოვრების ჭკრეტად.

39. გონიერი არსების სულში მე ვერ ვხედავ სამართლიანობის წინააღმდეგ მიმართულ სიქველეს, მაგრამ ვხედავ განცხრომის წინააღმდეგობს – ზომიერებას.

40. მოიკვეთე წარმოდგენა ყოველივე იმის შესახებ, რაც, გგონია, გტანჯავს და გვნებს, თუ გასურს ეზიარო სიმშვიდეს და აუძღვრევლობას. – ვინ, მე? – დიახ, შენ, როგორც სული. – მაგრამ მე ხომ სული არა ვარ! – იყავ! და, დაე, როგორც სული, ნურასოდეს ნუ აიძვრევ საკუთარ თავს. ხოლო თუ შენში სხვა რამ იძვრევა და იტანჯება, დაე, თვითონვე, გულისხმაყოს, თვითონვე გაიცხადოს ეს.

41. ის, რაც ხელს უშლის გრძნობად აღქმას და ისიც, რაც აბრკოლებს სასურვლისკენ სურვილთა სწრაფვას, – ბოროტებაა ცხოველური ბუნებისათვის. არის ამ ქვეყნად რაღაც ისეთიც, რაც ხელს უშლის მცენარეული ბუნების მოქმედებას და, მაშასადამე,

ბოროტებაა მისთვის. ზუსტად ასევე, დაბრკოლება, რომელსაც სულის ქმედითობა აწყდება ხოლმე, ბოროტებაა სულიერი ბუნებისათვის. მიუყენე ყველაფერი ეს შენსავე თავს. გტანჯავს ან შვებას განიჭებს რამე? ეს გრძნობადი აღქმის საქმეა. გაბრკოლებს რამე სასურველი საგნისკენ სწრაფვისას? თუ შენი სწრაფვა თვითნებურია, ყველაფერი, რაც გზას გიკრავს და გაბრკოლებს, ბოროტება იქნება შენთვის, როგორც გონიერი არსებისათვის. მაგრამ თუ შენ აღიარებ გარდუვალს და აუცილებელს, ველარაფერი შეგიკრავს გზას და, მაშასადამე, ვერც გავნებს რამე. ხოლო რაც შეეხება სულის ქმედითობას, მას ვერავინ აღუდგება წინ, თავისივე თავის გარდა, რადგან თანაბრად წინააღმდეგომელია როგორც ცეცხლისა და მახვილის, ისე ტირანისა და ცილისმწამებლისთვისაც. სფეროს, სანამ სფეროობს და სფერო ჰქვია, ვერავინ წაართმევს სიმრგვლეს^[360].

42. მე არ ვიმსახურებ იმას, რომ შეურაცხვეყო ჩემივე თავი, რადგან განზრახ არასდროს შეურაცხმიყვია ვინმე.

43. ყველას თავისი საბაზი აქვს სიხარულისთვის. მე ვხარობ, როცა ჩემი წარმმართველი საწყისი სიახლოვეს არ იკარებს ხრწნილებას, და როცა გულგრილობას კი არ იჩენს კაცთა და მათი ბედ-იღბლის მიმართ, არამედ კეთილმოსურნე თვალთ უმზერს, სიხარულით იღებს და ღირსებისამებრ იყენებს ყველაფერს.

44. სიცოცხლე მოკლეა; ამიტომ შენივე სულის სრულყოფას მოახმარე ყოველი დღე. სიკვდილშემდგომი დიდების მაძიებელნი ივიწყებენ, რომ მომავალი თაობები მათსავე თანამედროვეთ ემგვანებიან, რომლებთანაც ასე უმძიმთ ურთიერთობა, და რომ მოკვდავნი იქნებიან ისინიც. რას დაეძებ, რას იტყვიან ან იფიქრებენ შენს შემდეგ შენზე.

45. ამიღე და გადამაგდე, საითაც გნებავს. ჩემს სულში დამკვიდრებული დემონი იქაც შენი მადლიერი იქნება და თავისი თავით კმაყოფილი, თუ შესძლებს იმოქმედოს საკუთარი ბუნების თანახმად.

ღირს კი ეს იმად, რომ მის გამო გმინავდეს და თავს იმდაბლებდეს ჩემი სული – გათელილი, ვნებათაგან ქვედადრეკილი, შერყვნილი და შეძრწუნებული? რადგან რას ჰპოვებ ქვეყნად სულის სიმშვიდეზე უფრო უკეთესს?

46. არ შეიძლება კაცს შეემთხვეს რამე ისეთი, რაც მის თავს მოსაწევნად არაა შექმნილი. იგივე ითქმის ხარის, ვაზის და ქვის მიმართაც. და თუ ეს ასეა, რაღას დრტვინავ, ან რას მრისხანებ? საერთო ბუნება არას გახვევს თავს დაუთმენელს^[361].

47. როცა გარეგანი საგნები გამღვრევენ, გულისხმავ, რომ შენ გამღვრევეს არა ესა თუ ის საგანი, არამედ შენი შეხედულება მასზე. მაგრამ შენ შეგიძლია მოიკვეთო ეს უკანასკნელი. ხოლო თუ შენივე შინაგანი ხედვის მცთარობა გამღვრევეს, რა გიშლის ხელს წრფელჰყო იგი? ზუსტად ასევე, თუ იმიტომ იმღვრევი და იტანჯები, რომ არ შეგიძლია ქმნა მისი, რისი ქმნაც გმართებს, განა ძალისხმევა არ გიჯობს ამაო დრტვინვას? – მაგრამ თუ ჩემზე მძლავრი ძალა მიღობავს გზას? – მაშინ ნუ დრტვინავ, რადგან მიზეზი შენი როდი ხარ უმოქმედობის. – მაგრამ რას ვაქნევ სიცოცხლეს, თუ ვერ ვიქმ ამას? – მაშ, განვედ სიცოცხლით, მაგრამ ისევე უდრტვინველად, როგორც გადის ის, ვინც მიალწია სასურველ მიზანს და ვინც მაღლიერების გრძნობით აღვსილი ეთხოვება ყველას და ყველაფერს, თვით თავის წინააღმდეგობთაც.

48. გახსოვდეს, რომ შენი წარმმართველი საწყისი უძლეველი ხდება, როცა, თავისსავე თავში განმარტოებული, კმაყოფილდება მარტოოდენ იმით, რომ არა იქმს იმას, რაიც არა სურს, თუნდაც უგონოდ იქმოდეს მას, რასაცა იქმს. ხოლო თუ ის გონივრულად და წინდახედულად მსჯელობს რამეზე? მაშინ ჭეშმარიტად შეუმუსვრელ გოდოლს ემსგავსება, ვნებათაგან თავისუფალი^[362]. კაცისათვის არ არსებობს უფრო საიმედო თავშესაფარი, რადგან მხოლოდ იქ ისვენებს ყოველგვარი მძლავრობის და ძალადობისგან. უგუნურია, ვინც ვერ ხედავს ამ თავშესაფარს, ხოლო ვინც ხედავს, მაგრამ თავს კი არ აფარებს მას – უბედური.

49. ნურაფერს იტყვი, გარდა იმისა, რასაც შენივე შთაბეჭდილებანი გამცნობენ. შენ გაუწყებენ, რომ ესა და ეს შენს ძვირს ამბობს, მაგრამ ვინ გაუწყებს იმას, რომ ეს შენ გვნებს? მე ვხედავ, რომ ბავშვი ავადაა, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ მას საფრთხე ემუქრება. მაშ, ნურასოდეს გადახვალ პირველ შთაბეჭდილებათა ზღვარს და ნურაფერს დაუმატებ მათ შენის მხრივ, თუ გასურს განერიდო ბოროტს^[363], ანდა, თუ გნებავს, დაუმატე, მაგრამ როგორც შეშვენის კაცს, რომელმაც იცის რა ხდება, რა იქმნება სამყაროში.

50. კიტრი მწარეა? გადააგდე. გზაზე ეკლებია? მოერიდე. ესეცა კმარა; ნულარ კითხულობ: რისთვის არსებობს ყველაფერი ეს სამყაროში? რადგან შენი კითხვის პასუხად უთუოდ გამჭირდავად გაილიმებს ბუნების მისტერიას ზიარებული ყოველი

კაცი, ისევე როგორც გაილიმებდნენ მჭედელი ან მეჯადაგე, თუ შეამჩნევდნენ, რომ შენ გაკვირვებით უმზერ მათს სახელოსნოებში მიმოფანტულ რკინისა თუ ტყავის ნაჭრებს და ნარჩენებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხელოსნებს დიახაც მოეძებნებათ ნარჩენების გადასაყრელი ადგილი, მაშინ როდესაც საერთო ბუნებას არ გააჩნია არაფერი, საკუთარი თავის გარდა. მაგრამ ბუნების ხელოვნების ყველაზე დიდი საოცრებაც სწორედ ის არის, რომ, თავისივე თავით გარშემოწერილი, ის თავისსავე თავად აქცევს ყველაფერს, რაც ხრწნილებაქმნილი, დრომოჭმული და უსარგებლო ჩანდა მასში და რაღაც ახალს და სასარგებლოს ქმნის მისგან.

ასე რომ, ბუნება არ საჭიროებს არც გარეგან მასალას და არც ადგილს რასმე უსარგებლო ნარჩენების გადასაყრელად, რადგან მას სავსებით აკმაყოფილებს საკუთარი მატერია, საკუთარი სივრცე, საკუთარი ქმნადობა და ხელოვანება.

51. შორს უგერგილობა; შორს ენაბრგვნილობა; ნუ აჰყვები წარმოსახვის თამაშს; ნუ მიეცემი ნურც მეტისმეტ უსასოებას, ნურც სასოებას; დროდადრო მაინც მოიცალე საქმეთაგან.

შენ გკლავენ, ასო-ასო გგლეჯენ და გაგინებენ, მაგრამ განა ეს ხელს უშლის სულს შეინარჩუნოს სიწმინდე, სიბრძნე, ზომიერება და სამართლიანობა? ეს იმას ჰგავს, კამკამა წყაროს თავს წაადგეს ვინმე გულარძნილი და გინებით მოინდომოს მისი სიწმინდის წაბილწვა: წყარო მაინც არ მოიშლის წყარობას, ანკარა და ამოდ სასმელი. თუმცა, გინებით კი არა, მწვირითაც რომ ამოავსოს იგი, წყარო უმაღლვე წარიტაცებს, წარეცხს უწმინდურს და ხელახლა დაიწმინდება. როდისღა მოისმენ შენს სულში ამ მარადმედინი წყაროს ჩუხჩუხს ^[364] და არა შმორიანი ჭაობის სუნთქვას? როცა მალიმალ შეაფარებ თავს შენსავე სულს, ვნებათაგან თავისუფალს, კეთილმოსურნეს, მარტივს და მართალს.

52. ვინც არ იცის, რა არის სამყარო, არც თავისი ადგილსამყოფელი იცის, ვინც არ იცის, რისთვის იშვა, არც ის იცის, რა არის თვითონ, არც ის – რა მთელი სამყარო, და, პირიქით, ვინც ვერას გვეტყვის ამ ორთაგან ვერცერთ კითხვაზე, ვერც იმას გვეტყვის, რად იშვა თავად. რა ფასი აქვს შენს თვალში იმ კაცს, რომელიც ცდილობს თავი მოაწონოს მათ, ვისთვისაც დაფარულია, სად არიან და რანი არიან?

53. შენ გსურს თავი მოაწონო მას, ვინც საათში სამჯერ სწყევლის თავის თავსა და თავისი გაჩენის დღეს; შენ გსურს თავი მოაწონო მას, ვისაც არ მოსწონს თავისი თავი.

და, მართლაც, განა შეიძლება თავისი თავი მოსწონდეს მას, ვისაც სანანებლად ექცევა თითქმის ყველა თავისი ქცევა, სიტყვა თუ საქმე?

54. დროა არა მარტო შენი სუნთქვა შეუთანხმო გარემომცველი ჰაერის რხევას, არამედ შენი აზრებიც – ყოვლისმომცველ გონებას, რადგან გონების ძალმოსილება არანაკლებ გამსჭვალავს, არანაკლებ განწონის ყველას და ყველაფერს მისთვის, ვისაც მისი შესრუტვა ძალუმს, ვიდრე ჰაერის ძალა მისთვის, ვისაც სუნთქვის უნარი შესწევს.

55. ბიწი, საერთოდ, ვერ ვნებს სამყაროს^[365]; ერთი ნაწილის ბიწიერება კი – მეორე ნაწილს. რადგან, თუ ვნებს, ის ვნებს მხოლოდ მას, ვისაც ძალუმს თავი დაიხსნას ბიწისაგან, თუკი ისურვებს.

56. ჩემი ნებისთვის^[366] მოყვასის ნება ისევე განურჩეველია, როგორც მისი სასიცოცხლო ძალა ანდა სხეული. და თუმცა ჩვენ უპირატესად ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი, თვითეული ჩვენგანის წარმმართველ საწყისს მაინც საკუთარი საუფლო აქვს და სამფლობელო. ასე რომ არა, მოყვასის ბიწი ჩემი ბიწიც იქნებოდა ამავე დროს. მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად ინება, რათა სხვა კი არა, მევე ვიყო მიზეზი ჩემი ბედნიერების თუ უბედურების.

57. მზის მიმართ მზირალს ასე ჰგონია იღვრებო იგი, და, მართლაც იღვრება სამყაროში, როგორც ნათელი, მაგრამ ისე კი, რომ მის სავსებას არა აკლდება რა ამით. რადგან ეს ღვრა განფენაა მხოლოდ და მხოლოდ. ამიტომაც წარმოსდგება მისი სხივების (ακτινec) სახელი ზმნიდან «განფენა» (εκτείνεσθαι)^[367]. მაგრამ რა არის თვითონ სხივი? შენ ნახავ ამას, თუ დაუკვირდები, როგორ შემოდის მზის ნათელი ქუჭრუტანიდან ბნელ საკანში: სხივი სწორხაზოვნად კვეთს სიბნელეს, სანამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავს არ მიაყრდნობს პირველსავე მყარ სხეულს, რომელიც გზას უღობავს მის წინსვლას. აქ ის ჩერდება, ესაა და ეს; არც სხლტება და არც ძირს ეცემა. სულიც მზესავით უნდა იყოს: არა დაღვრა და დაწრეტა, არამედ სავსება და ნათლის ფენა. ხოლო როცა დაბრკოლებას აწყდება რასმე, ძალით კი არ უნდა ავიწროებდეს წინააღმდგომს ანდა თვითონ ეცემოდეს შეიწრებული, არამედ მზეებრ აშუქებდეს და ნათელს ჰფენდეს ყველაფერს, რასაც მისი მიღება ძალუმს. რადგან ის, რაც არ იღებს ნათელს, თვითონვე ართმევს თავის თავს მის მადლს.

58. სიკვდილის მოშიშს ან უგრძნობელობის ეშინია, ან სხვაგვარი შეგრძნებებისა. მაგრამ თუ შენ დაგეხმობა ყველა შეგრძნება, ვეღარ შეიგრძნობ ვერავითარ

ბოროტებასაც, ხოლო თუ შენ სხვაგვარად შეიგრძნობ რასმე, სხვა არსად იქცევი და, მაშასადამე, კვლავ იარსებებ.

59. კაცნი ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი; ამიტომ ან დაითმინე, ან შეაგონე.

60. სხვაა აღმა ნატყორცილი ისრის ფრენა და სხვა – აღმაფრენა სულის. ეს უკანასკნელი მაშინაც კი, როცა ფრთხილად გარეველება და გამოწვლილვით იკვლევს თავისი კვლევის საგანს, ისრისებრ პირდაპირ, გზის გაუმრუდებლად მიილტვის მიზნისკენ.

61. ეცადე ჩასწვდე თვითულის წარმართველ საწყისს, მაგრამ სხვასაც დართე ნება ჩასწვდეს შენს სულს.

წიგნი მეცხრე

1. უსამართლობის მოქმედი ღმერთს ჰგომობს და სცოდავს. და მართლაც, საერთო ბუნებამ გონიერი არსებანი იმიტომ შექმნა ერთმანეთისთვის, რომ კი არ ვნებდნენ, რგებდნენ ერთმანეთს, თვითულის მისი ღირსების თანახმად. ამიტომ კაცი, რომელიც არღვევს ბუნების ამ კანონს, უკვდავთაგან უმაღლესი ღვთაების მიმართ სცოდავს. და ისიც, ვინც ცრუობს, იმავე ღვთაების წინაშე სცოდავს. რადგან საერთო ბუნება იდეალურ არსთა ბუნებაა, იდეალური არსნი კი ინტიმური კავშირით უკავშირდებიან რეალურ არსთ. მეტიც, ამ ღვთაებასვე ეწოდება ჭეშმარიტებაც, რადგან იგია ყოველივე ჭეშმარიტის პირველმიზეზი. მაშასადამე, ის, ვინც შეგნებულად ცრუობს, სცოდავს, რადგან სიცრუე მკრეხელობაა. ხოლო ის, ვინც შეუგნებლად ცრუობს, აგრეთვე სცოდავს, რამდენადაც დისჰარმონია შეაქვს საერთო ბუნების მწყობრ სისტემასა და სამყაროს მარადიულ წესრიგში, როგორც სამყაროს ბუნების წინააღმდეგ მბრძოლს. რადგან კაცი, რომელიც თუნდაც თავისდა უნებურად მიელტვის იმას, რაც უპირისპირდება ჭეშმარიტს, სამყაროს ბუნების წინააღმდეგ იბრძვის; რადგან სიმართლის სიყვარული ბუნებით თანდაყოლილი გრძნობაა მისთვის, გრძნობა, რომლის უგულვებელყოფაც იწვევს იმას, რომ ის ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევს მართალს და მრუდს. სცოდავს ისიც, ვინც მიელტვის განცხრომას, როგორც სიკეთეს

და გაურბის ტანჯვას, როგორც ბოროტებას, რადგან ასეთი კაცი, როგორც წესი, წარამარა ჰგმობს საერთო ბუნებას: რატომ ასე უსწოროდ უნაწილებო სიკეთეს კეთილთ და ავკაცთ^[368]; ვინაიდან ავკაცთა ხვედრი უფრო ხშირად განცხრომაა და მორჩმულება – შვებისა და განცხრომის წყარო, კეთილთა ხვედრი კი – ტანჯვა და ტანჯვის მიზეზი. ეგეც არ იყოს, ტანჯვის მოშიშს, ალბათ, ისიც შეაკრთობს, რაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მოხდეს სამყაროში, ეს კი უკვე მკრეხელობაა. ხოლო განცხრომის ტრფიალი, ალბათ, არც უსამართლობის წინაშე დაიხვეს უკან, რაც აგრეთვე მკრეხელობას უდრის აშკარად. ამიტომ ვისაც სურს ბუნების თანამოაზრე და მიმდევარი ერქვას, ერთმანეთისგან არ უნდა ასხვავებდეს მოჩვენებით სიკეთეს და ბოროტებას, ისევე როგორც არ ასხვავებს მათ საერთო ბუნება, რადგან ეს უკანასკნელი განურჩევლად არ შეჰქმნიდა არც ერთსა და არც მეორეს, ერთმანეთისაგან რომ არჩევდეს მათ^[369]. მაშასადამე, უთუოდ სცოდავს ის, ვინც განურჩევლად არ იღებს ტანჯვას თუ შვებას, სიცოცხლეს თუ სიკვდილს, სახელსა თუ უსახელობას, მოკლედ, ყველაფერს, რასაც განურჩევლად ხმარობს ბუნება. ხოლო განურჩევლად ხმარობსო, როდესაც ვამბობ, იმის თქმა მინდა, რომ, გარკვეული თანმიმდევრობით, ყველაფერი ეს განურჩევლად მოდის ყოველივე ქმნადისა თუ ქმნილის წილად განგების დასაბამიერი ნებით. ამავე ნებამ აღძრა განგება ხორცი შეესხა პირველადი შთანაფიქრისთვის, რომლის ხატადაც შეჰქმნა კიდევ ეს უსასრულო და უთვალავი ფერით მოცემული სამყარო, სადაც დასდო მომავალ არსთა კანონები და დაამკვიდრა ყოველგვარი არსებობის, სახეცვალებადობისა და მონაცვლეობის ცხოველმყოფელი ძალნი.

2. მხოლოდ უზნესრულესი კაცი თუ შესძლებს ისე განემოროს ცოცხალთ, რომ სიყალბით, პირმოთნეობით, აზიზობითა და მზვაობით არ შეისვაროს სული. უზნესრულესს თუ არა, ზნესრულს მაინც ვუწოდებ კაცს, რომელმაც სიცოცხლეშივე შეიცნო ყველა ამ ბიწის სიყალბე და ზურგი აქცია მათ. შენ კი აპირებ სიბილწეში ჩამყაყდე? ნუთუ გამოცდილებამ არ გიჩვენა, რაოდენ საჭიროა გაექცე საფრთხეს? რადგან სულის შერყვნა არანაკლებ დამლუპველია, ვიდრე ჩვენი გარემომცველი ჰაერის მოწამვლა: ეს უკანასკნელი დალუპვას უქადის პირუტყვთ, რამდენადაც ისინი პირუტყვნი არიან, პირველი კი კაცთ – რამდენადაც კაცნი არიან.

3. ზიზლით ნუკი ემსჭვალვი სიკვდილს, არამედ უდრტვინველად მიიღე იგი, როგორც ერთი იმ მოვლენათაგანი, რომელნიც სასურველად უჩანს ბუნებას. რადგან სულისა და სხეულის გაყრა არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდთან დაკავშირებული ისეთი ბუნებრივი მოვლენებისგან, როგორიცაა სიყრმე და სიბერე, ზრდა და სიმწიფე, კბილებისა თუ წვერის ამოსვლა, ჭაღარის შერთვა,

განაყოფიერება, ორსულობა, მშობიარობა და ასე შემდეგ. ამიტომ ბრძენი კი არ უნდა ჰგმობდეს, კი არ უნდა უფრთხოდეს ან ზიზღით უყურებდეს სიკვდილს, არამედ უდრტვინველად უნდა იღებდეს მას, როგორც ბუნების ერთ-ერთ ქმედებას. და როგორც ელი, როდის გამოვა შენი პირმშო მეუღლის საშოდან, ისევე უნდა ელოდე, როდის დააღწევს თავს შენი სული ხორციელი გარსის ტყვეობას^[370]. ხოლო თუ უფრო უბრალო, მაგრამ ქმედითი წამალი გნებავს, რომელიც საბოლოოდ განგკურნავს შიშისაგან და შეგარიგებს სიკვდილს, გამოწვლილვით განიხილე ყველა საგანი, რომელთა დატევებაც მოგიწევს და იმ კაცთა ზნენი, რომელთაც საბოლოოდ უნდა განშორდე^[371]. და თუმცა კი არ უნდა ვგმობდე, არამედ ზრუნვას არ ვაკლებდე და უდრტვინველად ვითმენდე მათ, მაინც გახსოვდეს, რომ მათი სახით თანამოაზრეთ როდი შორდები. რადგან თუ რასმე შეუძლია დაგვაბას და დაგვაკაოს ამ ქვეყნად, ისევ და ისევ ერთსულოვნებას, რომელიც თანამოაზრეებს გვაერთებს. მაგრამ კაცთა დღევანდელი უთანხმოებისა და ურთიერთდაუნდობლობის შემყურეს რაღა დაგრჩენია, გარდა იმისა, რომ ამ სიტყვებით ჰხადო კაცთა მხსნელს: უფრო სწრაფად მოვედ, სიკვდილო, თორემ ლამის დავივიწყო ჩემივე თავი.

4. ის, ვინც სცოდავს, თავისი თავის წინაშე სცოდავს^[372]; უსამართლობის მოქმედიც თავისი თავის მიმართ იჩენს უსამართლობას, რადგან ბოროტყოფს თავისსავე თავს.

5. ხშირად უსამართლობას სჩადის არა მარტო მოქმედი, არამედ უქმად მყოფიც.

6. დღესდღეობით საკმარისია რწმენის სიწრფელე, მოქმედების უანგარობა და სულის კეთილგანწყობილება ყოველივე იმის მიმართ, რაც შეიძლება ღვთაებრივ მიზეზთა ძალით^[373] მოხდეს.

7. მოიკვეთე წარმოდგენა; დაიოკე სწრაფა; დაიურვე ვნება; მისდიე მხოლოდ შენს წარმმართველ საწყისს.

8. ერთი და იგივე ცხოველური სულია განწვალული უგონო არსთა შორის, ერთი და იგივე გონიერი სულია განწვალული გონიერ არსთა შორისაც, ისევე როგორც ერთია მიწა მიწიერთათვის, ერთია ნათელი, რომლითაც ვჭვრეტთ^[374] და ერთია ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ ჭვრეტის ნიჭსა და სუნთქვის უნარს ზიარებულნი.

9. რაიმე საერთოსთან წილნაყარი ყოველი არსი თავისი თანამონაწილისაკენ ილტვის. მიწიერს მიწა იზიდავს, თხიერი თხიერს ერთვის, ისევე როგორც ჰაეროვანი – ჰაეროვანს. ასე რომ, მათ გასათიშად საჭიროა რაღაც გამყოფი, საჭიროა რაიმე ძალა.

ცეცხლისებრი მალლა მიიწევს, სტიქიონური ცეცხლის წყალობით, მაგრამ, ამასთან, იმდაგვარი ძალით იზიდავს თანაწვისთვის ჩვენი კერიის ცეცხლს, რომ ცოტათ თუ ბევრად გამომშრალი ყოველი წვადი საგანი მეყვსეულად ეგზნება და იწვის მასში, რადგან მათს სიმშრალეში ძალზე ცოტა რამაა არაწვადი. ამიტომ გონიერ ბუნებასთან წილნაყარი ყოველი არსი ასეთივე, ან კიდევ უფრო მეტი ძალით მიილტვის თავისი თანამონაწილისკენ. რადგან რაც უფრო სრულმნილია არსი, მით უფრო მძაფრად ვლინდება მასში თავისსავე მსგავსთან შერწყმისა და მასთან ერთარსად ქცევის სურვილი. უგონო არსნი რომ უგონო არსნი არიან, ისინიც კი ხშირად ერთად ცხოვრობენ – ხროვებად თუ ჯოგებად, ერთად ზრდიან თავიანთ ნაშიერთ და, ასე გასინჯე, ჰყვარობენ კიდევ ერთიმეორეს. ეს იმიტომ, რომ მათაც აქვთ სული და, როგორც სულდგმულნი, უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ თანაცხოვრების წესის მიმართ, ვიდრე მცენარეები ან ქვეები. რაც შეეხება გონიერ არსთ, მათი თანაცხოვრების წესი უფრო რთულია: სახელმწიფონი და თანამეგობრობანი, ოჯახური ურთიერთობანი და სათათბირონი, ომები, საომარი კავშირნი და დაზავებანი. ხოლო უფრო სრულქმნილ არსთა ერთიანობის გათიშვა თვით უსასრულო სივრცეს არ ძალუძს, მათ შორის განფენილს: ასეთია ვარსკვლავთ ერთობა. ასე რომ უზენაესი სრულქმნილების წყურვილს და მისკენ სწრაფვას შეუძლია ერთსულოვნება დაბადოს თვით ერთმანეთს დაშორებულ არსთა შორისაც. მაგრამ რას ვხედავთ დღეს ამის ნაცვლად? მხოლოდ გონიერი არსებანი აღარ ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, მხოლოდ მათ შორის აღარ სუფევს ერთსულოვნება. მაგრამ როგორც არ უნდა გაურბოდნენ ისინი ამ ერთიანობას, მაინც ვერსად წაუვლენ მას, რადგან ბუნება უფრო ძლიერია მათზე. დაუკვირდი, და შენ ნახავ, რომ მართალს ვამბობ. მენდე, უფრო ადვილად ჰპოვებ მიწიერს რასმე, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს მიწასთან, ვიდრე კაცობრიობას სავსებით მოწყვეტილ კაცს.

10. ნაყოფს იძლევა კაციც, ღმერთიც, მთელი სამყაროც; ყველაფერი თავის დროზე იძლევა ნაყოფს. რა ვუყოთ, რომ ეს გამოთქმა, ჩვეულების ძალით, ვაზისა თუ ხეხილის მიმართ იხმარება მხოლოდ. გონებაც თავის ნაყოფს იძლევა, ერთდროულად ზოგადსა და კერძო ნაყოფს^[375], რომლისგანაც დასაბამს იღებს არა ერთი ისეთი რამ, როგორცაა თვითონ გონება^[376].

11. თუ შეგიძლია, წრფელჰყავ მრუდი საქმის მოქმედი, და თუ არა და, გაიხსენე, რომ შემწყნარებლობა სწორედ ამ შემთხვევისთვის მოგეცა შენ^[377]. რადგან ღმერთები იწყნარებენ, და არა მარტო იწყნარებენ, ასე გასინჯე, ბევრ რამეში, როგორც მაგალითად, სიმდიდრისა თუ სახელის მოხვეჭაში, ხელსაც კი უწყობენ მათ.

ასერიგად დიდსულოვანნი არიან უკვდავნი. მაგრამ შენც შეგიძლია დიდსულოვანი იყო; არადა, მითხარი: რა გიშლის ხელს?

12. დაითმინე ტანჯვა, არა როგორც ერთმა ვინმე საწყალობელმა, არა როგორც კაცთათვის თავის შებრალების ანდა მათი განცვიფრების მსურველმა, არამედ როგორც კაცმა, რომელსაც სურს ერთადერთი რამ: მოქალაქეობის პრინციპს შეუთანხმოს ყველა თავისი მოქმედება თუ უქმად ყოფნა.

13. დღეს მე განვერიდე ყოველგვარ საფრთხეს, ან, უფრო უკეთ, თვითონვე განვირიდე იგი, რადგან საფრთხე ჩემს გარეთ როდი იყო, არამედ თვითონ ჩემში, – ჩემსავ წარმოდგენაში^[378].

14. ყველაფერი ეს ჩვეულებრივია ცდის თვალსაზრისით, მსწრაფლწარმავალი – დროის თვალსაზრისით, ხრწნადი – მატერიის თვალსაზრისით, ყველაფერი დღესაც ისეთივეა, როგორც იყო მათ დროს, ვინც ჩვენ მივაბარეთ მიწას.

15. საგნები სულის ბჭის მიღმა ჰგვიან, თავიანთ თავში განმარტოებულნი, თავიანთი თავის ვერმეცნაურნი და უტყვნი. მაშ, ვინ გვეტყვის, ვინ გვაუწყებს მათზე რაიმეს? წარმმართველი საწყისი.

16. გონიერი და ამ ქვეყნად მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილი, არსის სიკეთე თუ ბოროტება მის მიერ განცდილ ვნებაში კი არ ძევის, არამედ მისსავ მოქმედებაში^[379], ისევე როგორც მისი სათნოებისა თუ ბიწის სამყოფლო მოქმედებაა და არა ვნება.

17. მაღლა ასროლილი ქვისთვის არა არის რა ავი იმაში, რომ დაბლა ვარდება, ისევე როგორც არა არის რა კეთილი იმაში, რომ მაღლა მიფრინავს^[380].

18. ჩასწვდი მათ წარმმართველ საწყისს და შენ ნახავ, რა მსაჯულთა მსჯავრი გაშინებს და რა მსჯავრს სდებენ ისინი თავიანთ თავს^[381].

19. ყველაფერი სახეცვლადია. და შენ თვითონაც გამუდმებულ სახეცვლადობას და თანდათანობით კვდომას განიცდი^[382]; შენც და სამყაროც.

20. შეეშვი, დაე, მანვე სცოდოს, ვინაცა სცოდა.

21. მოქმედებისა თუ მოძრაობის შეწყვეტა, წარმოსახვის უნარის დახშობა და, საერთოდ, სიკვდილი არ იმარხავს რაიმე ბოროტს. მიიქეც თუნდაც შენი სიცოცხლის სხვადასხვა ასაკის – ბავშვობის, ყრმობის, სიჭაბუკის, სიბერის ჭვრეტად; ერთი ასაკიდან მეორეში გადასვლა, გარკვეული აზრით, სიკვდილსა ნიშნავს. მაგრამ რა არის ამაში საშიში? გაიხსენე, შემდგომ ამისა, პაპის, დედისა თუ მამის გვერდით გატარებული წლები: რამდენი სხვადასხვაობა, რამდენი ცვალებადობა, რამდენი რამის დასასრული! გაიხსენე და ასე ჰკითხე შენსავე თავს: რა იყო ყოველივე ამაში საშიში? მამასადამე, არც მთელი შენი სიცოცხლის შეწყვეტა, აღსასრული თუ სახეცვლილება იქნება საშიში^[383].

22. მიუბრუნდი შენი არსების, საერთო ბუნებისა და შენი მოყვასის წარმმართველ საწყისთ. შენი არსებისას, რათა სამართლიანობა შთაუნერგო მას; საერთო ბუნებისას, რათა გაიხსენო, ვისი ნაწილი ხარ შენ; შენი მოყვასისას, რათა შეიცნო, რა ამოდრავებს მას – უმეცრება თუ ცოდნა, და გულისხმაყო, რომ ის შენი თვისტომია და ნათესავი.

23. ისევე როგორც შენ საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უმეშვეოდ თუ რისამე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთობას და შინააშლილობას იწვევს, ტომის იმ წევრის მსგავსად, რომელიც, თვითნებობით აღძრული, ანგარიშს არ უწევს თვისტომთა ერთსულოვან ნებას.

24. ბალღური ბუტიობანი და თამაშობანი, პატარა სულელები, რომლებიც ცხედრებს დაათრევენ ქვეყნად, – აი, ჭეშმარიტად «მკვდართა სამეფოს»^[384] ღირსი სურათი.

25. მიიქეც მიზეზობრივი საწყისის რაობის ჭვრეტად და განიხილე ის ნივთიერი საწყისისგან განცალკევებით; მერე განსაზღვრე დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება იარსებოს მსგავსმა რაობამ.

26. შენი ცხოვრება ტანჯვა იყო მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაკმაყოფილებდა შენი წარმმართველი საწყისის მოქმედება, რომლის გულისთვისაც ის შექმნა და ამ ქვეყნად წარმოგზავნა არსთა გამრიგემ; მაგრამ კმარა!

27. როდესაც კაცნი გგმობენ, ზიზღით გემსჭვალვიან ან გაგინებენ, მიიქეც მათი სულელების ჭვრეტად, ჩასწვდი მათ წარმმართველ საწყისს და გულისხმაყავ, რანი არიან შენი მგმობელნი. შენ ნახავ, რომ არ ღირს თავის წამებად ის, რასაც ისინი ფიქრობენ შენზე. და მაინც კეთილმოსურნეობა გმართებს მათ მიმართ, რადგან თქვენ ძმები

ხართ ბუნებით. განა თვით ღმერთები ყოველნაირად არ მფარველობენ მათ – სიზმარულ ჩვენებებში გამოცხადების, მანტიკისა თუ იმ ნიჭთა ნიჭების გზით, რომელთაც ასერიგად მიელტვიან ისინი?

28. უცვლელია და უქცეველი სამყაროს წრებრუნვა, ზემოდან ქვემოთ, უკუნითი უკუნისამდე, მსოფლიო სული ან გამუდმებით ისწრაფვის თვითეული საგნისა და მოვლენისაკენ, – თუ ასეა, მიიღე მისი სწრაფვის საგანი, ან მისი სწრაფვა ერთგზისი იყო და ერთჯერადი^[385], ხოლო ყველა სხვა დანარჩენი გარდუვალი თანამიმდევრობისა და თანაკავშირის ძალით ეზიარება არსებობას^[386]; ანდა, დასასრულ, არსებობენ მხოლოდ ატომები – განუყოფელი ნაწილაკები. მოკლედ, თუ არსებობს ღმერთი, ყველაფერი კეთილია და ღვთაებრივი, ხოლო თუ მხოლოდ შემთხვევითობა, დე, შენი ქცევა მაინც ნუ იქნება შემთხვევითი. მალე ყველანი მიწად ვიქცევით, მიწაც სხვა რამედ იქცევა ბოლოს, მერე, თავის მხრივ, ეს სხვა რამედ შეიცვლის სახეს და ასე შემდეგ დაუსრულებლივ. და ამ დაუსრულებელ სახეცვალებადობათა და ფერისცვალებათა ჭვრეტა, რომლებიც ისე სწრაფად სცვლიან ერთიმეორეს, როგორც ტალღები ზღვის მოქცევისას, ვის არ აღუძრავს ზიზღს ყოველივე ხრწნადისა და წარმავლის მიმართ?

29. ყოვლადი მიზეზი შმაგ ნაკადსა ჰგავს, რომელიც იტაცებს და თან მიაქანებს ყოველს. რაოდენ უბადრუკნი არიან ეს პოლიტიკოსნი, რომელთაც ფილოსოფოსებად მოაქვთ თავი. ცინგლიანები^[387]!.. რას მიელტვი, კაცო? ჰქმენ ის, რასაც დღეს მოითხოვს შენგან ბუნება. თუ შეგიძლია, მისდით მიზანს, და ნუ იყურები აქეთ-იქით, აბა, ვინ მიმზერსო მე^[388]. ნუ გაქვს პლატონის რესპუბლიკის ამ ქვეყნად დაარსების იმედი. კმაყოფილი იყავ იმითაც, თუ საქმე ერთი ნაბიჯით მაინც მიიწევს წინ, და ნუ მიიჩნევ ამ წინსვლას უმნიშვნელოდ და უფასურად. ვინ შესცვლის კაცთა აზროვნების წესს? არა და, რას უნდა მოველოდეთ ამგვარი ცვლილების გარეშე კირთების ქვეშ მგმინავი მონობისა და მლიქვნელური მორჩილების გარდა? ახლა, თუ გნებავს, შეგიძლია მომიყვანო ალექსანდრეს, ფილიპესა და დემეტრეს ფალერელის^[389] მაგალითები. მე ვეცდები მივსდიო მათ, თუ ვნახავ, რომ ისინი იცნობდნენ საერთო ბუნების ნებას და სიქველეში იწვრთიდნენ თავს. ხოლო თუ ისინი მხოლოდ თამაშობდნენ, ტრაგიკოს მსახიობთა მსგავსად, ვერავის მაიძულებს მივბამო მათ. ფილოსოფიის საქმე მარტივია და უბრალო; ნუ წამიყვან მზვაობართა გზით.

30. ზეგარდმო მოიხილე ბრბოთა ურიცხვი სიმრავლე, ღმრთისმსახურების უთვალავი სხვადასხვა წესი, ქარიშხალსა თუ მყუდრო ამინდში ყოველი მიმართულებით მცურავ

ხომალდთა ქარავნები, ყოველი ყოფად მოქცეულის, თანამყოფისა თუ არყოფნაში გარდასულის უსასრულო სხვადასხვაობა. იფიქრე იმ ცხოვრებისათვის, რომლითაც ცხოვრობდნენ წინაპრები, იმისთვისაც, რომლითაც იცხოვრებენ შთამომავალნი და, იმ ცხოვრებისთვისაც, რომლითაც ცხოვრობენ დღეს ბარბაროსთა ურიცხვი ტომნი. გულისხმაყავ, რამდენ კაცს საერთოდ არ სმენია შენი სახელი, რამდენი დაგივიწყებს სიკვდილისთანავე, რამდენი, დღეს ვითომდა შენი მაქებარი, ხვალ შენს მგმობლად იქცევა უკვე და რაოდენ უბადრუკია ხსოვნაც, დიდებაც, სხვა დანარჩენიც.

31. აუღვრევლობა ყოველივე იმის მიმართ, რაც გარეგანი მიზეზის ძალით ხდება; სამართლიანობა ყველა იმ მოქმედებისას, რომლის მიზეზიც ხარ შენ; მე მინდა ვთქვა: დაე, ყოველი შენი სწრაფვა თუ მოქმედება საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას ისახავდეს მიზნად, რადგან ესაა ერთადერთი რამ, რაც შენს ბუნებას ესატყვისება.

32. შენ შეგიძლია თავიდან მოიშორო ბევრი ისეთი რამ, რაც ეგზომ ხშირად გამღვრევს და რაც შენს წარმოდგენაში არსებობს მხოლოდ. და შენს წინაშე გაიშლება უსასრულო სივრცე, თუ აზრით მოიცავ მთელ სამყაროს და მოიაზრებ თავდაპირველად მარადისობას, მერე კი ცალკეულ არსთა გამუდმებულ ცვალებადობას, თუ გულისხმაყოფ, დროის რა უბადრუკი მონაკვეთი ძევს მათ დასაბამს და დასასრულს შორის, რაოდენ უსასრულოა საუკუნეთა ის უფსკრული, რომელიც წინ უძღვის მათ დასაბამს და ისიც, რომელიც მოსდევს მათ დასასრულს.

33. მალე ყველაფერი, რასაც შენ ჭკრეტ, მიწად იქცევა, და ასევე მალე მიწად იქცევიან ამ მიწადქცევის მჭკრეტნი. ის, ვინც მიხრწნილებამდე იცოცხლა, რას წაიღებს ამ ქვეყნიდან იმაზე მეტს, ვინც ჯერ კიდევ ყრმა მიიზარა მიწამ?

34. როგორია მათი წარმმართველი საწყისი, მათი ზრახვანი, მათი სიყვარულისა და მოწიწების საგანი? გააშიშვლე მათი სულელები და აგრე უმზირე მათ. როგორ სცდებიან, საბრალონი, როცა ფიქრობენ, რომ გვენებენ ძაგებით ან გვრგებენ ქებით.

35. რისამე დაკარგვა სხვა არა არის რა, თუ არა გაცვლა. ხოლო ცვლა ყველაზე მეტად უყვარს საერთო ბუნებას^[390], რომელიც კეთილის ხატად ქმნის ყველაფერს; ასე ყოფილა უკუნისიდან, ასე იქნება უკუნისამდე. მაშ, რაღად ამბობ, რომ ყველაფერი ბოროტი იყო დასაბამიდან და ბოროტი იქნება დასასრულამდე, რომ ამდენ ღმერთთა შორის ერთმაც ვერ შესძლო ამ უკუღმართობის წადმართყოფა, და რომ სამყარო წარუდინებელი ბოროტების ტყვეობისთვისაა განწირული?

36. ხრწნადია ყველა ნივთიერი საგანი და ნივთიერება: წყალი, მტვერი, ძვლები, ბალღამი. მარმარილო მტვრადქცეული მიწა მხოლოდ, ოქრო-ვერცხლი – მიწის

ნაღეჯი, ტანსაცმელი – ცხოველთა ბეწვი, პორფირი – სისხლი, და ასე შემდეგ. თვით წამითი-წამად ცვლადი სასიცოცხლო ძალაც ხრწნილებაა, სხვა არაფერი.

37. მორჩი მთელ ამ ამაოებას, მითქმა-მოთქმას და მანჭვა-გრეხას. რა გაშფოთებს? რა არის აქ უჩვეულო და უცნაური? რას გამოჰყავხარ გარეთ შენი სიმარტოვიდან? მიზეზობრივ საწყისს? – ჩასწვდი მის სიღრმეს. თუ მატერიას? – განჭვრიტე მისი არსი. რადგან ეს ორია ყველაფერი და მათ გარეშე არა არის რა ქვეყნად. მორჩი-მეთქი! დროა უფრო უბრალო გულით და უბიწო სულით მიიქცე ღმერთების მიმართ.

სულერთია, ას წელს უჭვრეტ ერთსა და იმავე სპექტაკლს თუ სამად სამ წელს.

38. ვინაცა სცოდა, იგივე იმკის შეცოდების ნაყოფს; მაგრამ იქნებ არც შეუცოდავს.

39. ან ყველაფერი ერთსა და იმავე სხეულში ხდება, ყველაფერი ერთი და იგივე სულიერი საწყისისგან იღებს დასაბამს, და, მაშასადამე, ნაწილი არ უნდა დრტვინავდეს იმის გამო, რაც ხდება მთელში, ანდა არსებობენ მხოლოდ ატომები და სხვა არაფერი, გარდა ქაოსისა და განქარებისა. მაშ, რა გაშფოთებს? ასე არქვი შენსავ წარმმართველ საწყისს: შენშია სიკვდილი და ხრწნილება, პირმოთნე ხარ, პირუტყვთა და ნადირთაგანი, შენი ადგილი ნახშირია, ჯოგში, ხროვაში.

40. ღმერთები ან უძლურნი არიან, ან ყოვლის მძლენი. თუ ისინი უძლურნი არიან, რაღას ლოცულობ ან რად ითხოვ მათგან წყალობას?

ხოლო თუ ყოვლისმძლენი, განა არ გიჯობს იმისთვის ევედრო მათ, რათა დაგიხსნან ყოველგვარი შიშის, გულითქმის თუ ვნებისაგან, ვიდრე გიბოდონ ან გამორონ ესა თუ ის? რადგან თუ ღმერთებს საერთოდ ძალუბთ კაცთა თანადგომა, ისინი შენი თანამდგომნი იქნებიან აქაც. ან, ვინ იცის, იქნებ ისიც თქვა, ღმერთებმა ჩემს ნებას მიანდესო ეს. კეთილი; მაგრამ თუ ასეა, განა არ გიჯობს კმასაყოფელად გიჩნდეს ის, რაც შენზე ჰკიდია, როგორც შეშვენის თავისუფალ კაცს, ვიდრე ისწრაფოდე იმისკენ, რაც შენს ნებაზე არაა დამოკიდებული, მონისა თუ მათხოვრის მსგავსად. ანდა ვინ გითხრა, თითქოს ღმერთების ნებისაგან დამოუკიდებელი იყოს ის, რაც, შენის აზრით, კაცთა ნებაზე ჰკიდია მხოლოდ? ილოცე და ნახავ. არის კაცი, რომელიც ლოცულობს: «როგორ დავეუფლო ამ ქალს?!» შენ კი ილოცე: «როგორ დავაღწიო თავი ამ ქალის ფლობის სურვილს?» ის: «როგორ მოვიცილო თავიდან ეს კაცი?!» შენ: «როგორ მოვიქცე, რომ არ დამჭირდეს თავიდან მოცილება მისი?!» ის: «ნუ მომასწრებ შვილის სიკვდილს!» შენ: «ნუ მომასწრებ იმას, რომ მეშინოდეს შვილის დაკარგვის!» ამგვარადვე მოაქციე ყველა ლოცვა და ნახე, რა გამოვა აქედან.

41. «ავადმყოფობისას – ამბობს ეპიკურე^[391], – მე თავს ვარიდებდი ხორციელ ტკივილებზე საუბარს, და ჩემს მნახველებს წუწუნით კი არ ვაბეზრებდი თავს, არამედ მშვიდად განვაგრძობდი ჩემს ჩვეულ საქმეს – საგანთა ბუნების კვლევას. მე ვცდილობდი გამერკვია, როგორ ინარჩუნებს სხეულის ტკივილით განმწონ ნებისმიერ მოძრაობასთან უშუალოდ დაკავშირებული სული სიმშვიდეს და აუმღვრევლობას, როგორ მიილტვის საკუთარი სიკეთისაკენ. რაც შეეხება ექიმებს, – დასძენს იგი, – მე არასდროს მიმიცია მათთვის მზავობის საბაზი – შეხედეთ, ჩვენი წყალობით დგასო ეს კაცი ფეხზე, და ჩემი ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა თავისი გზით». ასე უნდა იქცეოდე შენც ყოველგვარი სნეულებისა თუ შეჭირვების ჟამს; რაც არ უნდა შეგემთხვეს, ნურასოდეს უღალატებ ფილოსოფიას, ნუ იქცევი უმეცართა თანამოლაყბედ, რომელთაც არა იციან რა საგანთა ბუნების შესახებ (ამას გიწესებს ყოველი სკოლა). იზრუნე მხოლოდ დღევანდელი დღისა და იმ იარაღისთვის, რომლითაც სადღეისო საქმეს აკეთებ.

42. როცა ვისიმე უტიფრობა გამღვრევს, მეყვსეულად ასე ჰკითხე შენსავე თავს: განა შეიძლება, რომ უტიფარნი არ იყვნენ ქვეყნად? არ შეიძლება. მაშ, ნუ მოითხოვ შეუძლებელს. რადგან ეგ კაცი ერთი იმ უტიფართაგანია, რომელნიც აუცილებლად უნდა არსებობდნენ ქვეყნად. იგივე კითხვა მზად გქონდეს მუდამ ორგულის, უნდოს თუ რაიმე სხვა ბიწით შესვრილის მიმართ. რადგან თუ აღიარებ, რომ შეუძლებელია ამგვარ კაცთა არარსებობა, უფრო დიდსულოვნად შეუნდობ შეცოდებას თვითეულ მათგანს. სასარგებლოა იმაზე ფიქრიც, თუ რა სახის სიქველენი გვიბოძა ბუნებამ ამგვარ ბიწთა საპირისპიროდ. ასე, უმადურების გასაქარწყლებლად მან გვიბოძა თვინიერება, ისევე როგორც სხვა ბიწის ძლევად – სხვა რამ სიქველე. და მერე, შენ შეგიძლია სიკეთისკენ მოაქციო გზასაცდენილი: რადგან კაცი, რომელიც სცოდავს, მიზანს სცდება და უგზო-უკვლოდ დაეხეტება. მაგრამ რასა გვენებს იგი? მათ შორის, ვისი ბიწიერებაც ასერიგად გამღვრევს, ერთსაც ვერ ჰპოვებ ისეთს, ვინც თავისი მოქმედებით უარესჰყოფდეს შენს სულს; ხოლო სწორედ შენი სული იმარხავს იმას, რასაც შეუძლია ბოროტი გიყოს ან გავნოს. რა არის ავი ან არნახული იმაში, რომ უმეცარი უმეცრულად იქცევა? იქნებ შენსავ თავს უნდა სდებდე ბრალად იმას, რომ არ მოელოდი ამ კაცისგან ამნაირ ქცევას? განა გონება არ გაიძულებდა გულისხმაგეყო, რომ ამ კაცს დიახაც შეეძლო შეეცოდა? მაგრამ შენ დაივიწყე ეს და ახლა გიკვირს, რომ მან სცოდა. მეტიც, როცა ვისიმე ორგულობას ან უმადურობას ჰყვედრი, მეყვსეულად მიიქეც შენივე თავის ჰვრეტად: რადგან, ცხადია, შენ სცდებოდი, როცა ერთგულებას მოელოდი ორგულისაგან, ხოლო როცა წყალობას არ აკლებდი უმადურს, ალბათ, უანგაროდ კი არ სწყალობდი, არამედ საზღაურს მოითხოვდი მისგან. მაგრამ როცა კეთილს უყოფ ვისმე, სხვა რაღა გსურს, კაცო? ნუთუ შენთვის არ კმარა ისიც, რომ

მოიქეცი შენივე ბუნების თანახმად? შენ კი მიზღს^[392] ითხოვ. ეს იმას ჰგავს, თვალი ითხოვდეს ხედვის საზღაურს, ხოლო ფეხი – ჩვენი ზიდვისას. მაგრამ ამ ასოებს ბუნებამ გარკვეული მოვალეობა დააკისრა, რომლის მოხდითაც ისინი თავიანთ დანიშნულებას ამართლებენ მხოლოდ. ასეა ამ ქვეყნად სიკეთის ქმნისთვის შობილი კაციც: როცა ვისმე კეთილს უყოფს ან, უბრალოდ, ეხმარება მოყვასს, ის თავის ვალს იხდის და დანიშნულებას ასრულებს მხოლოდ.

წიგნი მეთე

1. როდისღა ეზიარები, სულო ჩემო, სიკეთეს და უბრალოებას? როდისღა იქნები მთლიანი და, შენს სიშიშვლეში, უფრო ცხადი, ვიდრე შენი გარემომცველი სხეული? როდისღა იგემებ მეგობრობის და სიყვარულის ჭეშმარიტ სიტკბოს? როდისღა აღივსები სიმშვიდით და დაიცლები ყოველგვარი სურვილის თუ სინანულისაგან? როდის აღარ ისურვებ რასმე – სულერთია, სულიერს თუ უსულოს, – მარტოოდენ განცხრომისათვის, არც დროს, ამ განცხრომის გასაგრძელებლად, არც სხვა ადგილს ანდა სხვა მხარეს, არც უფრო კეთილად შეზავებულ ჰავას თუ უფრო მეტი ერთსულოვნებით შეკრულ კაცთა შორის ცხოვრებას? როდისღა იგრძნობ კმაყოფილებას შენი დღევანდელი დღით და დღევანდელი ხვედრით^[393]? როდის ირწმუნებ, რომ ყველაფერი, რაც წილად გხვდება, კეთილია შენთვის, რომ ყველაფერი ღმერთებისგან იღებს დასაბამს, და რომ კეთილი იქნება ისიც, რაც სათნო უჩანს უკვდავთ და რასაც ისინი არგუნებენ სრულქმნილ, კეთილ, სამართლიანსა და მშვენებაშემოსილ არსს^[394], რომელიც ყოფად მოაქცევს, მოიცავს და იცავს ყველაფერს, რაც იშლება, რათა დასაბამი მისცეს ახალს, თავისსავე მსგავსს^[395]? როდის იქცევი უკვდავთა და მოკვდავთა ღირსეულ თანამოდასედ თუ თანამომმედ, რომელიც არც ვის ჰყვედრის რასმე და არც სხვებს აძლევს თავისი გმობის საბაბს?
2. გულისხმავ, რას მოითხოვს საკუთარი ბუნება შენგან, როგორც საერთო ბუნების ნებისმიყოფლისგან. მერე ჰქმენ ის, რასაც მოითხოვს და ჰყავ მისი ნება, თუ, რა თქმა უნდა, შენი, როგორც ცოცხალი არსის ბუნება უარესისკენ არ მიდრეკება ამით.

შემდგომ ამისა, გულისხმავა, რას მოითხოვს შენი, როგორც ცოცხალი არსის ბუნება შენგან და უყოყმანოდ დაჰმორჩილდი შენს ნება-სურვილს, თუ, რა თქმა უნდა, შენი, როგორც გონიერი არსის ბუნება უარესისკენ არ მიდრეკება ამით. მაგრამ გონიერი მოქალაქეობრივიცაა ამავე დროს. მისდით ამ წესს და თავი ანებე უმიზნო წრიალს.

3. ყოველი მოწევნადი იმგვარად მოიწევა, რომ შენ, ბუნებით, შეგიძლია ან არ შეგიძლია დაითმინო იგი. ამიტომ, თუ შენს თავს მოიწევა რამე ისეთი, რისი დათმენის ძალიც შეგწევს, დრტვინვას ნუკი მოჰყვები, არამედ დაითმინე იგი, როგორც ბუნებით ჭირთამთმენმა. ხოლო თუ შენს თავს მოიწევა რამე ისეთი, რისი დათმენის ძალიც არ შეგწევს, მაინც არ გმართებს დრტვინვა; რადგან ის, რაც შენ მოგაკვდინებს, თავის თავსაც მოაკვდინებს ამით [396]. მაგრამ გახსოვდეს, რომ შენ შეგიძლია დაითმინო ყველაფერი, რასაც დასათმენს და ასატანს გახდის შენივე რწმენა: ოღონდ ირწმუნე, რომ შენი სიკეთე მოითხოვს და შენივე მოვალეობა გიწესებს ამას.

4. თუ ვინმე სცდება, მამაშვილურად დაარიგე და დაანახე მისი შეცდომა [397]. ხოლო თუ ვერ დაანახებ, ან შენსავე თავს დააბრალებ ეგ, ან ნუ დააბრალებ ნურვის.

5. ყველაფერი, რაც შენ შეიძლება შეგემთხვეს, იმთავითვე შენს თავს მოსაწევნად იყო შექმნილი. მიზეზთა ერთობლიობამ დასაბამითვე დაუკავშირა ერთმანეთს შენი არსება და შენს თავს მოწევნადი [398].

6. იმისდა მიუხედავად, არსებობენ ატომები თუ არსებობს ბუნება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დადგენილ იქნეს, რომ მე ვარ ერთი ნაწილი მთელისა, რომელსაც მართავს და წარმართავს დედაბუნება [399]; მერე კი ის, რომ მე ნათესაური კავშირი მაერთებს ჩემი ბუნების მოზიარე სხვა ნაწილებთან. რადგან, თუ ეს მემახსოვრება, მაშინ, როგორც ერთი ნაწილი, უდრტვინველად მივიღებ ყველაფერს, რასაც წილად მარგუნებს მთელი, ვინაიდან შეუძლებელია ნაწილს ვნებდეს ის, რაც მთელისთვის სასარგებლოა [400]. მთელი კი არ იმარხავს არაფერს ისეთს, რაც სასარგებლო არაა მისთვის. ეს ითქმის ყველა ბუნების მიმართ, მაგრამ სამყაროს ბუნებას ის უპირატესობა გააჩნია, რომ არ არსებობს გარეშე მიზეზი, რომელსაც შეეძლოს მისივე მვნების ქმნად აღძრას იგი [401]. ამრიგად, რაკი მემახსოვრება, რომ ნაწილი ვარ ამგვარი მთელისა, სიხარულით მივიღებ ყოველსავე ქმნადს და მოწევნადს. ხოლო რა გულისხმავყოფ, რომ ნათესაური კავშირი მაერთებს ჩემი ბუნების მოზიარე სხვა ნაწილებთან, ვეცდები თავი შევიკავო ყოველივე იმის ქმნისაგან, რაც საერთო

სიკეთის დამკვიდრებას არ ისახავს მიზნად. მეტიც, მე მხარში ამოვუდგები ჩემსავე მსგავსთ, ყველა ჩემს სწრაფვას მე მივაქცევ საერთო სიკეთის მიმართ და, პირიქით, სიკეთის საპირისპიროსგან გარემივაქცევ მას. თუ ამას ვიქმ, ბედნიერი იქნება ჩემი ცხოვრების გზა. რადგან შეუძლებელია ბედნიერი არ იყოს მოქალაქე, რომელიც მთელი სიცოცხლე თანამოქალაქეთა სასიკეთოდ იღვწის და რომელიც სიხარულით იღებს ყველაფერს, რასაც მშობლიური ქალაქი არგუნებს წილად.

7. მთელის ნაწილებს, რომელთაც სამყარო გარემოიცავს, გარდუვალი სიკვდილი უწერიათ, ანუ, რაც იგივეა, სახეცვლილება. ხოლო თუ ეს ბოროტებაა, და თანაც გარდუვალი მათთვის, მთელის სრულქმნილება საეჭვო ხდება, რაკილა მისი ნაწილები ხრწნადი არიან და წამითი-წამად ცვლადნი. მაგრამ ბუნებამ თვითონვე დაუქვემდებარა საკუთარი ნაწილები ამ ბოროტებას, თვითონვე ჰყო ბოროტელვილნი და თვითონვე გასწირა ისინი გარდუვალი ბოროტის თმენად, თუ ყველაფერი ეს მისგან ფარულად მოხდა? მცდარია როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრება. ხოლო თუ ბუნებას შევეშვებით და საგანთა სახეცვალებადობას მათსავე ბუნებრივ თვისებად მივიჩნევთ, როგორ გგონია, განა სასაცილო არ იქნება ასეთი გაორება: ერთის მხრივ, ვამტკიცებდეთ, რომ საგანთა სახეცვლადობა მათივე ბუნებრივი თვისებაა, მეორეს მხრივ კი ვდრტვინავდეთ და განცვიფრებას ვეძლეოდეთ იმის გამო, რომ ეს ეწინააღმდეგება ბუნებას? მით უმეტეს, რომ თვითეული საგნის შლა და სახეცვლა სხვა არა არის რა, თუ არა იმ სტიქიონთა ერთმანეთისაგან განცალკევება, რომელთაგანაც შედგება იგი^[402]. და მართლაც, ორში ერთია: ან მისი შემადგენელი სტიქიონების განფანტვა-განქარება, ან მკვრივ ნაწილთა მიწად, ხოლო მშვინვიერთა ჰაერად ქცევა. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შთაინთქმება სამყაროს გამრიგე გონების მიერ^[403], მიუხედავად იმისა, თვითონ სამყაროს პერიოდულად ნთქავს ხანძარი თუ ის გამუდმებული ცვლადობისა და მონაცვლეობის წყალობით ინარჩუნებს მარადიულ სიახლეს და სიჭაბუკეს^[404]. მაშ, ნუ გგონია, თითქო მკვრივი და მშვინვიერი დაბადებითვე თან დაგყვა შენ. რადგან ერთსაც და მეორესაც გუშინ თუ გუშინწინ ეზიარე, პურის ჭამისა და ჰაერის სუნთქვის წყალობით. მაგრამ სახეს იცვლის მხოლოდ ის, რაც გარედან მიიღე და არა ის, რაც დედის საშოდან გამოგყვა შენ. დავუშვათ ისიც, რომ სწორედ გარედან მიღებული ქმნის მთელი შენი არსების განუმეორებელ თავისებურებას; ვფიქრობ, ესეც კი ვერ შეცვლის ზემორე თქმულის არსს.

8. თუ შენ ფიქრობ, რომ ღირსი ხარ ისეთი სახელებისა, როგორიცაა კეთილი, თავმდაბალი, წრფელი, გონიერი, თვინიერი, დიდსულოვანი, ეცადე არასდროს გახდე

მათი უღირსი. ხოლო თუ შენ დაჰკარგავ ამ სახელებს, მოიქეც ისე, რომ მსწრაფლ დაიბრუნო ისინი. ნუ დაივიწყებ, რომ «გონიერება» შენთვის ნიშნავს ყოველი საგნის გულდასმით და გამოწვლილვით განხილვას; «თვინიერება» – უდრტვინველად მიღებას მისას, რასაც გარგუნებს საერთო ბუნება; «დიდსულოვნება» კი – შენი წარმმართველი საწყისის მიერ სხეულის მცონარებისა და სიშლევის, პატივმოყვარეობის, სიკვდილის შიშისა და სხვა მისთანათა ძლევის. ამრიგად, თუ შენ თვითონვე სცნობ თავს ამ სახელთა ღირსად, მაგრამ ამასთან არ მოითხოვ, რომ სხვებიც ამავე სახელებით გიცნობდნენ, სულ სხვა კაცად იქცევი და სულ სხვაგვარი ცხოვრებით იცხოვრებ. რადგან იცხოვრო ისე, როგორც დღემდე ცხოვრობდი, იცოცხლო ამ შფოთით სავსე და ბიწით შესვრილი სიცოცხლით, ნიშნავს ემსგავსო კაცს უგრძნობელს, ჯაბანსა და სიცოცხლის მონას, ან კიდევ იმ ცოცხალ-მკვდარ მხეცთამბრძოლთ ^[405], რომელნიც, მთლად დაფლეთილნი და სისხლით მოთხვრილნი, მაინც ხარბად ებლაუჭებიან სიცოცხლეს და ითხოვენ ხვალამდე მაინც შეუნარჩუნონ იგი, თუმცა ხვალ, იმავე ადგილას, იგივე კლანჭებისა და კბილების მსხვერპლნი გახდებიან. მაშ, მოიხვეჭე ეს რამდენიმე სახელი და, თუ ძალგიძს, სამუდამოდ დაიმკვიდრე ისინი, როგორც უკვე ნეტართა კუნძულების ^[406] მკვიდრმა. ხოლო თუ გრძნობ, რომ ეცემი და ხელიდან გეცლება შენი საუნჯე, მხნეობა მოიკრიბე და მიაშურე რომელსამე განმარტოებულ სადგურს, სადაც შესძლებ კვლავ დაიუნჯო იგი, ანდა, სულაც, განვედ სიცოცხლით ^[407], მაგრამ არა წყრომით აღვსილი, არამედ მშვიდად და უდრტვინველად, და, ამრიგად, შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც აღასრულე კეთილი საქმე: ამგვარად განვედ! მაგრამ შენ ყველაზე უკეთ დაიმკვიდრებ ამ სახელებს და არასდროს დაჰკარგავ მათ, თუ გაიხსენებ, რომ არსებობენ ღმერთები და არსებობს მათი მაღალი ნება; ღმერთებს კი ნებავთ, რომ გონიერი არსებანი კი არ პირმოთნეობდნენ, არამედ გულწრფელად ცდილობდნენ ემსგავსნონ მათ; რომ ლეღვის ხე ასრულებდეს ლეღვის ხის დანიშნულებას, მაღლი – მაღლისას, ფუტკარი – ფუტკრისას, ხოლო კაცი – კაცურს, კაცისას.

9. ყოველდღიურობის უბადრუკი კომედია ^[408], ომი, შიში, მცონარება, მონობა თანდათანობით არად აქცევენ შენს სულში იმ წმიდათა-წმიდა პრინციპებს, რომელთაც ბუნების შესწავლით ეზიარე. ამიტომ ყველაფერს უნდა უჭვრეტდე და ყოველთვის მოქმედებდე ისე, რომ სადღეისო საქმეებსაც იგვარებდე და ჭვრეტისთვისაც გრჩებოდეს დრო, რათა შენს სულში ჩაუქრობლად ენთოს შინაგანი, მაგრამ არა ფარული კმაყოფილების შუქი. როდისღა ეზიარები უბრალოებას და სიწმინდეს ^[409]? როდის შეიცნობ თვითეულ საგანს? როდის გაიცხადებ, როგორია

მისი არსი, რა ადგილი უჭირავს სამყაროში, რამდენ ხანს უწერია არსებობა, რისგან შედგება, ვისი წილია და ვის ძალუს გვიბოძოს ან წაგვართვას იგი?

10. ობობა ამაყობს, როცა ბუზს აბამს ქსელში; ვის ბაჭიის დაჭერა ეამაყება, ვის – სარდინისა ბადით; ვის – გარეული ტახის ძლევა, ვის – დათვისა, ვის კიდეც – სარმატის^[410]. მაგრამ განა ყველანი ყაჩაღებად არ წარმოგვიდგებიან, თუ გამოწვლილვით განვიხილავთ მათ სამოქმედო საწყისთ?

11. მისდევ ჭვრეტითი შემეცნების გზას, თუ გასურს შეიცნო როგორ გადადის ყველაფერი ერთიმეორეში; ნურასოდეს გადაუხვევ მას და, ამრიგად, გაიწაფე თავი ამ მხრივ; რადგან არაფერი ასე არ ამალღებს ჩვენს სულს და არაფერი ასე არ აცალკევებს მას ჩვენივე სხეულისაგან. კაცი, რომელმაც იცის, რაოდენ მალე დახუჭავს თვალს და დაუტევებს ყოველსავე მიწიერს, მთელის არსებით ცდილობს სამართლიანობას შეუწონოს თვითეული თავისი მოქმედება, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი – საერთო ბუნებას. სხვებმა კი, დაე, რაც უნდათ, სთქვან, რაც უნდათ, ის იფიქრონ, როგორც უნდათ, ისე მოექცნენ მას; მისთვის სულერთია ყოველივე ეს; რადგან ის მხოლოდ იმას ცდილობს, როგორ შეუწონოს სამართლიანობას თავისი დღევანდელი მოქმედება და როგორ შეუვრდეს სიყვარულით თავის დღევანდელ ხვედრს. აი, მთელი მისი საქმე და საზრუნავი. მას ამომძრავებს ერთადერთი სურვილი: მისდიოს ჭეშმარიტ გზას, ბუნებრივი კანონის თანახმად, და, ამრიგად, მისდიოს ღმერთს, რომლის გზაც მართალია და ჭეშმარიტი.

12. რა საჭიროა თავის მტვრევა, როცა ისედაც შეგიძლია გულისხმავო, რისი ქმნა გმართებს. თუ გულისხმავა, მაშინ კეთილმოსურნეობით აღვსილმა ისწრაფე წინ და ნულარასოდეს შემოიქცევი უკან, თუ ვერა და, – შესდექ, რათა რჩევა სთხოვო კაცთაგან უკეთესთ. ხოლო თუ გზას შეგიკრავს რამე, გულდასმით აწონ-დაწონე ყოველი და მისდევ იმას, რასაც მართებულად მიიჩნევ. რადგან შესაძლებელთაგან უკეთესი მართებულისკენ სწრაფვაა, ხოლო უარესი – უარის თქმა მისკენ სწრაფვაზე. კაცს, რომელიც ყველაფერში გონების ხმას მისდევს, თანაბრად შვენის მოცალეობაც და საქმეთაგან მოუცლელეობაც, სილაღეც და სიდარბაისლეც.

13. ძილიდან გამორკვევისთანავე ასე ჰკითხე შენსავე თავს: მეხება თუ არა მე სხვისი კეთილი ქცევა ანდა მართალი საქმე? არა, არ მეხება. ან, იქნებ დაგავიწყდა რანი არიან კაცნი^[411], ასე ქედმაღლურად რომ აქებენ ან აძაგებენ სხვებს, როგორ იქცევიან ისინი სარეცელზე ნებივრობისა თუ ინახად სხდომის დროს, რას სჩადიან, რას მიელტვიან ან გაურბიან, რას გვპარავენ და გვართმევენ, არა ხელებით ან ფეხებით, არამედ მათი

არსების იმ უძვირფასესი ნაწილით, რომელსაც, თუ თვით ისურვებდა, დიახაც შეეძლო სული ჩაედგა ერთგულების, უმანკოების, ჭეშმარიტების, კანონისა და კეთილი დემონისათვის.

14. მაღლად მხედი და თავმოდრეკილი კაცი ასე მიმართავს ყოვლისმომცემსა და ყოვლის უკანვე წამლებ ბუნებას: მომეცი, რაც გსურს და წარმიღე, რაც გსურს^[412], ხოლო ამას ამბობს არა მზავობის გამო, არამედ როგორც ბუნების მორჩილი და მისი მლოცველი.

15. ცოტადა დაგრჩა. იცხოვრე როგორც მთის მწვერვალზე დაყუდებულმა. რადგან სულერთია, იქა ხარ თუ აქ, რაკი კაცი სამყაროში ყველგან ისეა, როგორც ქალაქში. დაე, მოყვასნი შენში ჭკრეტდნენ ჭეშმარიტ კაცს, ბუნების მორჩილს და მის მიმდევარს. თუ ვერ დაგიტმენენ, დე, მოგაკვდინონ, რადგან, ჭეშმარიტად, სიკვდილი სჯობს სხვაგვარ სიცოცხლეს.

16. ნუთუ არ კმარა იმაზე ყბედობა, თუ როგორი უნდა იყოს კაცური კაცი?^[413] დროა საქმედ აქციო სიტყვა.

17. გამუდმებით იფიქრე მარადისობისათვის მის მთლიანობაში, ისევე როგორც მატერიისათვის მის მთლიანობაში და იმისთვისაც, რომ მატერიასთან შედარებით ყოველი ცალკეული ნივთი ქრთილის ერთი მარცვალია მხოლოდ და მხოლოდ, ხოლო მარადისობასთან შედარებით – ბურღის ერთი ბრუნვი.

18. ყოველთვის, როცა გონების თვალთ მიიქცევი რაიმე საგნის ჭკრეტად, წარმოიდგინე ის, როგორც უკვე დაშლილი, სახეცვლილი, განქარებული, ხრწნილებაქმნილი ან სასიკვდილოდ განწირული, რადგან, ბუნებით, ყველაფერი მოკვდავია და წარმავალი.

19. ბილწნი! დახე, როგორ თქვლეფენ, ხვრეპენ, მრუშობენ, გაზებსა თუ განავალს გამოჰყოფენ, და ასე შემდეგ: ბილწნი! და მერე როგორ მზავობენ, მრისხანებენ ან რა ზიზღით დაგყურებენ მათი ბრიყვული სიმადლიდან შენ; ბილწნი! ცოტა ხნის წინათ კი მონური მორჩილებით ემსახურებოდნენ რამდენს, მერედა რა რის ფასად, და რად იქცევიან ცოტა ხნის შემდეგ!

20. თვითეული ჩვენგანისათვის სასარგებლოა ის, რასაც წილად გვარგუნებს საერთო ბუნება, და სასარგებლოა მაშინ, როცა გვარგუნებს^[414].

21. «უყვარს მიწას შხაპუნა მიწა; უყვარს იგი წმიდა ეთერსაც;»^[415] სამყაროს უყვარს იმისი ქმნა, რაც უნდა იქმნას. ამიტომაც ვეუბნები სამყაროს: მე ვიზიარებ შენს სიყვარულს. და განა ამავე აზრით არ ამბობენ, ამას და ამას უყვარსო არყოფიდან ყოფად მოქცევა?

22. შენ ან აქ ცხოვრობ კვლავინდებურად, რაც უკვე ჩვევად გექცა, ან შენივე სურვილის თანახმად, სხვა ცხოვრებისთვის უტევენ ამ ცხოვრებას, ან, ბოლოს, კვდები და შენი მსახურებაც მთავრდება; ამით ამოიწურება ყველაფერი. მაშ, მხნედ იყავ და მშვიდად.

23. შენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ მიწის ეს ნაგლეჯი არაფრით არ განსხვავება მეორისაგან, და რომ აქ ყველაფერი ისევეა, როგორც მთის მწვერვალზე. ზღვის ნაპირას ან სადმე სხვაგან^[416] და შენ შეიცნობ პლატონის სიტყვების სიმართლეს: «ის ცხოვრობს მთის წვერზე, პატარა ქოხში, რომელსაც ფარეხი ეკვრის ეზოდ, და წველის თავის ფარას»^[417].

24. რა არის ჩემთვის ჩემი წარმმართველი საწყისი? როგორ ვეპყრობი მას ამჟამად, ანდა რას ვახმარ დღეს მას? ცნობა ხომ არ მიხდია, შეჭირვებულს? განზე ხომ არ გამდგარა კაცთაგან, ან ხომ არ განშორებია მოყვასთ? ხომ არ შეზრდია და შერწყმია სხეულს იმდენად, რომ მისი ნების ამყოლად იქცეს?

25. მოღალატეა, ვინც გაურბის თავის მბრძანებელს. მბრძანებელი კი კანონია, ხოლო მოღალატე – მისი დამრღვევი. მაგრამ ვინც ძრწის, დრტვინავს ანდა მრისხანებს, – არ იღებს იმას, რაც იყო, არის ან უნდა მოხდეს, თანახმად კოსმიური წესრიგისა, რასაც აწესებს ყოვლისგამრიგე, ანუ კანონი, თავ-თავის მისაგებელს რომ მიაგებს ყველას და ყველაფერს. მაშასადამე, მოღალატეა ისიც, ვინც დრტვინავს, ძრწის ან მრისხანებს.

26. თესლი, რომელიც მდედრის საშოს ანაყოფიერებს, ამით ამთავრებს თავის საქმეს და წყვეტს მოქმედებას. მერე საქმეში ერევა სხვა მიზეზი და ასრულებს ჩანასახის განვითარებას. რითი დაიწყო და რად იქცა! ჩვილი ხარბად წოვს ძუძუს, შემდეგ კი უკვე სხვა მიზეზი იწყებს მოქმედებას და აყალიბებს შეგრძნებებს, მისწრაფებებს, მოკლედ, სიცოცხლეს, ძალმოსილებას და ცოცხალი ორგანიზმის სხვა თვისებებს, მერე რამდენს და რამდენნაირს! მიიქეც ამ მისტიური ქმნადობისა და ფარულად მოქმედ მიზეზთა ჭვრეტად, ისევე როგორც სხეულთა ქვედამზიდველ თუ ზეადმტაც ძალას უმზერ; მაგრამ არა ხორციელი თვალთ, არამედ ხედვის სულ სხვა ორგანოთი, რომელიც არანაკლებ ნათლად და გარკვევით ჭვრეტს.

27. ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად^[418]. მიიქეც მთელი დრამებისა თუ ცალკეული სცენების ჭვრეტად, რომელთაც პირადი ცდითა თუ მემატიაზეთა გადმოცემით იცნობ; წარმოიდგინე, მაგალითად, ჰადრიანეს, ანტონინუსის, ფილიპეს, ალექსანდრესა თუ კრეზუსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები.

28. კაცი, რომელიც დრტვინავს ან უკმაყოფილებას გამოსთქვამს ქმნადის გამო, შენს წარმოდგენაში უნდა ჰგავდეს სამსახვერპლო ბურვაკს, რომელიც ხელიდან გასხლტომას ლამობს და გულისწამლებად ჭყვირის მსხვერპლშეწირვის წინ. იგივე ითქმის იმ კაცის მიმართ, რომელიც, სარეცელზე გაშოტილი, თავის სიმარტოვესა და სიჩუმეში გულამოხვინჩვით დასტირის ჩვენს უბედობას. იფიქრე იმისათვის, რომ მხოლოდ გონიერ არსს ხელეწიფება ნებაყოფლობით ჰმორჩილებდეს ქმნადს და მოწვენადს; ლიტონი მორჩილება კი თანაბრად გარდუვალა ყველა არსათვის^[419].

29. გამოწვლილვით განიხილე ყველა შენი ცალკეული მოქმედება და ასე ჰკითხე შენსავე თავს: ნუთუ სიკვდილი საშიშია მხოლოდ იმიტომ, რომ გვიხსნის და გვათავისუფლებს მათგან?^[420]

30. როდესაც ვისიმე შეცდომა გამდვრევს, მეყვსეულად მიიქეც შენივე თავის ჭვრეტად და გულისხმაყავ, რომ შენც მასავით სცდები^[421]; სცდები, რადგან სიკეთედ მიიჩნევ მორჭმულებას, განცხრომას, ფუჭ დიდებას და სხვა მისთანათ. და მართლაც, რა შეიცნობ ამგვარ შეცდომას, შენ დაივიწყებ რისხვას, მით უმეტეს, თუ, ამასთან, გულისხმაყოფ, რომ ეგ კაცი ნებსით კი არა, იძულებით ცდება^[422]; რა ქნას? – მაგრამ ან მე რა ვქნაო? – იკითხავ შენ. – თუ შეგიძლია, იხსენ ის ამ იძულებისგან.

31. როდესაც შენ ხედავ სატირონს, წარმოიდგინე ერთი ვინმე სოკრატისკოსი, ვთქვათ, ევტიხე ანდა ჰიმენი; როდესაც ხედავ ევფრატეს, წარმოიდგინე ევტიხიონი ან სილვანუსი; როდესაც ალკიფრონს, – ტროპეოფოროსი, როდესაც სევერუსს, – ქსენოფონტე ანდა კრიტონი^[423], ხოლო როდესაც მიიქევეი შენივე თავის ჭვრეტად, წარმოიდგინე ერთი ვინმე ცეზართაგანი და ასე შემდეგ. მერე კი ასე ჰკითხე შენსავე თავს: სად არიან დღეს ისინი? არსად, ან არ ვიცით სად^[424]. რადგან ამგვარად უფრო მალე გაიცხადებ, რომ ყოველივე კაცური სხვა არა არის რა, თუ არა კვამლი და არარაობა; მით უმეტეს, თუ გაიხსენებ, რომ ერთხელ სახეცვლილი და გარდასული მარადისობის განმავლობაში აღარასოდეს შემოიქცევა ყოფად. მაშ, რა გაშფოთებს? რატომ არ ცდილობ ღირსეულად გაატარო შენი ხანმოკლე სიცოცხლე? რას გაურბი ან

ეკრძალები? რადგან რა არის ყოველივე ეს, თუ არა საწვრთელი და სავარჯიშო მასალა შენი გონებისათვის, რომელიც ნათელმხილველი და საგანთა სიღრმის მწვდომი მზერით უმზერს ცხოვრებას? მაშ, მტკიცედ დეგ და ნურასოდეს დაიხევე უკან, სანამ არ შეითვისებ ყველა ამ ჭეშმარიტებას, ისევე როგორც საღი სტომაქი ითვისებს და ინელებს საზრდელს, ისევე როგორც უშრეტი ცეცხლი სითბოდ და სინათლედ აქცევს ყოველივე წვადს.

32. ნურავის მისცემ იმის თქმის საბაბს, რომ შენ არაგულწრფელი ხარ და უკეთური. დაე, შენმა სიწრფელემ და სიქველემ დაამტკიცოს, რომ სცდება ის, ვინც ამას ამბობს. შენზე ჰკიდია ყოველივე ეს. მხოლოდ აღიარე, რომ სიკვდილი გიჯობს ორსავე ამ სიქველეზე ხელის აღებას. გონებაც ამასვე გირჩევს.

33. რისი თქმა იქნებოდა ან რისი ქმნა ყველაზე უფრო მართებული ამ შემთხვევაში? რაც უნდა იყოს, მაინც შეიძლება რისიმე თქმა ან ქმნა; მაშ, ნუ იმიზეზებ დაბრკოლებებს. შენ მანამ არ შესწყვეტ გმინვას, სანამ არ შეიცნობ, რომ ყველა მოცემულ შემთხვევაში შენთვის იგივეა მოქმედება კაცური ბუნებისა და სულიერთი წყობის თანახმად, რაც განცხრომის ტრფიალთათვის – ფუფუნება და შვება; რადგან მოქმედება საკუთარი ბუნების თანახმად სიხარულს უნდა განიჭებდეს შენ. მაგრამ შენ ხომ შეგიძლია ასე მოქმედებდე ყოველთვის, რასაც ვერ ვიტყვით ყველა სხვა საგნის მიმართ. ასე მაგალითად, ცილინდრს, წყალს, ცეცხლს თუ უსულო და უგონო ბუნების მქონე რომელსამე სხვა საგანს ყოველთვის როდი ძალუძს მისთვის ჩვეული მოძრაობით იძვროდეს: ბევრი რამაა ისეთი, რაც ხელს უშლის და აბრკოლებს ამას, სულს და გონებას კი, საკუთარი ბუნებისა და სურვილის თანახმად, ძალუძთ დასძლიონ ყოველგვარი დაბრკოლება. ნუ მოსწყვეტ თვალს გონების ამ ყოვლისმძლე უნარს, რომლის წყალობითაც ის სძლევს ყველაფერს, რაც ხელს უშლის მის სწრაფვას და ისევე თავისუფლად იძვრის, როგორც ცეცხლი მიიწევს მაღლა, როგორც ქვა ვარდება ქვემოთ ან ცილინდრი მიგორავს დახრილ სიბრტყეზე; ნუ მოსწყვეტ თვალს, და შენ აღარ მოუხმობ შველად სხვა მწეს და მეოხს. ხოლო ყველა სხვა დაბრკოლება ან სხეულის – ამ მძორის ძვრას აბრკოლებს მხოლოდ, ან (თუ წარმოსახვა არ მოგვადორებს და გონება ნებსით არ მოიდრეკს ქედს), საერთოდ, ვერ გვაფერხებს და ვერას გვვნებს^[425]. ასე რომ არა, ის ვინც დაბრკოლებას აწყდება, ავკაცად უნდა ქცეულიყო მყისვე. საკმარისია რომელიმე უგონო არსმა დაითმინოს რაიმე ბოროტი, რომ ბოროტად იქცეს თავადაც. გონიერი კი, პირიქით უკეთესი ხდება და მეტი პატივის ღირსი, როცა თავის ხელისშემწყობად აქცევს ხელისშემშლელსა და შემაფერხებელს. საერთოდ კი უნდა გახსოვდეს, რომ ის, რაც არ ვნებს ქალაქს, არც მოქალაქეს ვნებს^[426], ხოლო ქალაქისთვის უვნებელია ის, რაც კანონს არ ვნებს. მაგრამ

ჩვენი ეგრეთწოდებული უბედობანი ვერავითარ ვნებას ვერ აყენებენ კანონს; მაშასადამე, ვერც ქალაქს და ვერც მოქალაქეს.

34. ჭეშმარიტ საწყისთა მიმდევარი კაცისთვის ყველაზე უფრო მოკლე და ყველასათვის ცნობილი ტექსტიც კი საკმარისია ჭმუნვისა და შიშისაგან თავდასახსნელად; ავიღოთ მაგალითად:

«ქარი მიწაზე ფენს ყვითელ ფოთლებს...

მე მათ ვამსგავსე თაობანი კაცთა მოდგმისა...»^[427]

ფოთლებს ჰგვანან შენი ნაშიერნიც; ფოთლებს ჰგვანან ისინიც, ვინც ხმამაღლა გაქებენ და გადიდებენ, ან, პირიქით, აშკარად გგმობენ თუ ფარულად გაგინებენ შენ; ფოთლებს ჰგვანან შენი მხსოვნელნიც, ფოთლებს, «რომლებიც მოაქვს გაზაფხულს»^[428]; მერე შემოდგომის ქარი მიწაზე ფენს მათ, რათა მომავალ გაზაფხულზე ახალი მწვანით შეიმოსოს ტყე. მსწრაფლწარმავალია ყველაფერი, და ფოთოლცვენას ჰგავს წარმავლობა. შენ კი ყველაფერს ისე გაურბიხარ ანდა მიელტვი, როგორც წარუვალს და მარადის მყოფს. ცოტაც და სამუდამოდ დახუჭავ თვალს; ხოლო მას, ვინც შენ მიგაბარებს მიწას, თავის მხრივ, სხვა დაიტირებს მალე^[429].

35. საღი თვალი უნდა ხედავდეს ყველაფერს, რისი აღქმაც ხელეწიფება ხედვას, და არ უნდა ამბობდეს ასე: მე ვარჩევ მწვანე ფერს; რადგან ეს უკვე თვალის სწეულებას მოწმობს. ზუსტად ასევე, საღი სმენა და ყნოსვა მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი ბგერისა თუ სუნისა და სურნელის აღქმად, ხოლო საღი სტომაქი ისევე უნდა ინელეზდეს ყოველგვარ საჭმელს, როგორც წისქვილი ფქვავს საფქვავს. ამიტომ გონებასალი კაციც მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის, რადგან ის, ვინც ამბობს: «ჩემი შვილები არ უნდა მოკვდნენ»^[430] ან «მიუხედავად იმისა, თუ რას ვაკეთებ, ყველანი უნდა მაქებდნენ და მადიდებდნენო მე», იმ თვალსა ჰგავს, რომელსაც მწვანე ფერი მოსწონს მაინცდამაინც, ან კიდევ კბილს, რომელიც არჩევს რბილი ჭამადის ღეჭვას.

36. არავინაა ისერიგად სვებედნიერი, რომ მისმა სიკვდილმა კაცთაგან ერთიც კი არ შესძრას ბოროტი სიხარულით. მიცვალებული ბრძენი იყო და ქველი? მაინც მოიძებნება კაცი, რომელიც გულში იტყვის: «მადლობა ღმერთს, ძლივს არ მოვისვენეთ ამ მენტორისგან?! მართალია, თითქოს სამდურავი არ გვეთქმოდა მის მიმართ, მაგრამ გუმანით ვგრძნობდით, რომ ის იდუმალ გვგმობდაო ჩვენ». და თუ ამას იტყვიან ბრძენსა და ქველ კაცზე, თავად განსაჯე, როგორღა მოგიხსენიებენ შენ;

რამდენი რამ არის შენში ისეთი, რაც შენს სიკვდილს ანატრებილებს სხვებს. ნუ დაივიწყებ ამას აღსასრულის ჟამს და უფრო ადვილად დაუტევებ სიცოცხლეს; შენ იტყვი: «მე გავდივარ ამ ქვეყნით, სადაც თვით ჩემი მოყვასნიც კი, რომელთათვისაც ამდენი ვიშრომე, ვილოცე, ვიომე, მოუთმენლად მოელიან ჩემს სიკვდილს: ეგების უფრო თავისუფლად ვიგრძნოთო თავი. მაშ, რამ უნდა დამაკაოს ამ ქვეყნად?» მაგრამ ნუ დაჰგმობ მათ ამისთვის განშორების ჟამს, ნუ უღალატებ საკუთარ თავს და, როგორც ყოველთვის, კეთილმოსურნე, მღმობელი და მიმტევებელი იყავ ბოლომდე. თუმცა ნურც ნურვის აფიქრებიან, რომ შენ ძალით გაშორებენ მათ. ხომ გინახავს მშვიდი სიკვდილი, როცა სული უმტკივნეულოდ ეყრება სხეულს? დაე, ასეთი იყოს შენი განშორება კაცთაგან, რომლებთანაც თანაცხოვრებით დაგაკავშირა ბუნებამ და რომელთაც ბუნებავე გაშორებს ამჟამად. და მე ვემშვიდობები მათ, როგორც ჩემს მოძმეთ და ჩემს ნათესავთ, მაგრამ უმტკივნეულოდ და უდრტვინველად, რადგან სიკვდილიც ბუნების ერთი კანონია, დიდი კანონი.

37. წესად დარგე, შეძლებისდაგვარად, თვალყური ადევნო შენი მოყვასის ყველა ცალკეულ მოქმედებას, რაცა გაიცხადო, რას მიელტვის იგი. მაგრამ დაიწყე შენით და, უპირველეს ყოვლისა, მიიქეც შენივე სულის ჭკრეტად^[431].

38. ნუ დაივიწყებ, რომ შენშია შენი მძვრელი და წარმმართველი საწყისი, შენშია ნიჭი სიტყვისა, შენშია სიცოცხლე და, თუ გნებავს იცოდე, შენშია კაციც. ნურასოდეს გაუიგივებ ამ მაღალ საწყისთ მათ გარემომცველ გარსს და მის ასოებს^[432]. რადგან ეს უკანასკნელნი ხელსაწყო-იარაღებსა ჰგვანან, იმ განსხვავებით, რომ ისინი ბუნებამ გვიბოძა ჩვენ და მათი მამომრავებელი და შემაკავებელი მიზეზები რომ არა, ისინი უკეთ როდი მოგვემსახურებოდნენ, ვიდრე თითისტარი – მრთველს, კალამი – მწერალს ანდა მათრახი – მეეტლეს.

წიგნი მეთერთმეტე

1. აი, გონიერი სულის ნიშან-თვისებანი: ის თვითონვე ხედავს, თვითონვე ანაწევრებს და თვითონვე იქცევს თავის თავს იმად, რადაც სურს იქცეს^[433], თვითონვე იწევს მის მიერვე მოღებულ ნაყოფს^[434] (მაშინ როდესაც მცენარეული და ცხოველთა მიერ მოღებული ნაყოფით სხვები სარგებლობენ) და, დასასრულ, თვითონვე აღწევს დასახულ მიზანს, მიუხედავად იმისა, თუ როდის დასრულდება მისი სიცოცხლე^[435]. აქ ისე როდია საქმე, როგორც როკვისა თუ სასცენო და საცირკო წარმოდგენებისას, სადაც სულ მცირე ნაკლიც კი მთელ სპექტაკლს შლის და აფუჭებს: არა, სადაც უნდა მოუსწროს და როცა უნდა მოუსწროს სიკვდილმა, სული ბოლომდე ასრულებს თავის დანიშნულებას და პირნათლად იხდის თავის ვალს^[436]. ასე რომ, თამამად შეუძლია თქვას: მე ავიღეო ჩემი კუთვნილი. მეტიც, ის აზრით მოიცავს მთელს სამყაროს და მის გარემომცველ სიცარიელეს, იკვლევს მის ფორმას, იჭრება მარადისობის სიღრმეში, სწვდება სამყაროს პერიოდული აღორძინების^[437] საიდუმლოს და იცხადებს, რომ ჩვენი შთამომავალნი ვერ ნახავენ ვერაფერს ახალს, ისევე როგორც ჩვენს წინაპრებს არ უნახავთ არაფერი, გარდა იმისა, რასაც ჩვენ ვჭვრეტთ^[438]. რადგან ორმოც წელს მიღწეულმა კაცმა, რომელსაც გონების ნასახი მაინც გააჩნია, საყოველთაო ერთფეროვნებისა და ყოვლისერთობის გამო უკვე იხილა არა მარტო აწმყო, არამედ წარსულიც და მომავალიც. გონიერი სულისავე ნიშნებია სიყვარული მოყვასთა მიმართ, სიმართლე და თავმდაბლობა, თუმცა, კანონისა არ იყოს, ის არაფერს არ აყენებს თავისზე მაღლა^[439], ასე რომ, არ არის არავითარი განსხვავება გონიერ სულსა და სამართლიანობის სულს შორის.

2. შენ შეგიძლია შეიზიზღო მომხიბლავი სიმღერაც, როკვაც და პანკრატიონის^[440] ხელოვნებაც: დაშალე ჰარმონიული მოტივი შემადგენელ ნაწილებად და თვითეულ მათგანთან მიმართებით ასე ჰკითხე შენსავე თავს: ნუთუ ესაა ის, რაც მე მხიბლავს? შენ შეგრცხვება დადებითად უპასუხო შენსავე კითხვას^[441]. მერე ასევე ცალკეულ მოძრაობებად დაჰყავ როკვაც და, ბოლოს, პანკრატიონის ხელოვნებაც. მოკლედ, გახსოვდეს, რომ სიქველისა და მისი ქმედითობის გარდა ყველაფერი მსწრაფლ უნდა დაჰყო შემადგენელ ნაწილებად და ამ დანაწევრების წყალობით შეიზიზღო მთელი. მიუყენე ეს წესი მთელ ცხოვრებასაც.

3. ყველაფრის მიმართ მზადყოფი სული იმისთვისაც მზადაა, რომ როდესაც ჟამი დაჰკრავს, უდრტვინველად გაეყაროს სხეულს, მიუხედავად იმისა თუ რა ელის მას:

დაქრობა, განქარება თუ სხვა სიცოცხლე. მაგრამ ამ მზადყოფნას საფუძვლად უნდა ედოს შინაგანი განსჯა (და 279 არა ქრისტიანთათვის დამახასიათებელი ბრმა სიკერპე)^[442], რაც გონივრულ, წინდახედულსა და ყოველგვარი თეატრალური ტრაგიზმისგან თავისუფალ მოქმედებაში ვლინდება; მხოლოდ მაშინ იქცევა ის სხვებისთვისაც მისაბამ მაგალითად.

4. ვყავ რაიმე სასარგებლო თანამომხეთათვის? მევე მოვიგე^[443]. ნურასოდეს დაივიწყებ ამ ჭეშმარიტებას და ნუ დაიღლები მისი სამსახურით.

5. შენი ხელობა? – სიკეთის სამსახური. მაგრამ როგორ ემსახურები მას, თუ არ იცნობ საერთო ბუნებისა და კაცური ბუნების საწყისთ?

6. ტრაგედიის თავდაპირველი მიზანი იყო მოეგონებინა ჩვენთვის, რომ ასე ტრიალებს კაცთა ცხოვრების ჩარხი, რომ ასეთია ბუნების წესი და რომ ის, რაც სცენაზე გვართობს, არ უნდა გვამღვრევდეს უფრო ვრცელ და ფართო სცენაზე, რომელსაც ცხოვრება ჰქვია სახელად. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, განგების გარდუვალი კანონის ძალით ხდება, და რომ ამავე კანონს ჰმორჩილებს ისიც, ვინც კივის: «ვაგლახ, კითერონ!»^[444] თუმცაღა ტრაგედიათა ავტორები საჭირო და სასარგებლო აზრებსაც გვაწვდიან ხოლმე. ასე მაგალითად: «თუმცა დავიმიწყეს მე ღმერთებმა, მეც და

ჩემი ორი ასულიც,
მაგრამ ამაშიც მე მათ მაღლს და წყალობას ვხედავ».
და კიდევ:

«ეჰ, რა აზრი აქვს მრისხანებას საგანთა მიმართ?»...

ანდა:

«კაცთა სიცოცხლეს ყანასავით იმკის
უფალი»...^[445]

და ასე შემდეგ. ტრაგედიას მოჰყვა ძველი კომედია. უშუალო, დიდაქტიკური და თავისი პირდაპირობით კაცთა ბიწიერების მამხილებელი. ამიტომ იყო, დიოგენე ზოგ რასმე რომ დაესესხა მას. დაუკვირდი იმასაც, რაში მდგომარეობს ეგრეთწოდებული საშუალო კომედიის არსი და რა საჭირო იყო, ბოლოს, ახალი კომედიის^[446] შექმნა,

რომელიც თანდათან სინამდვილის ბრმა მიბაძვამდე, მიმოსამდე დაეშვა. ვინ უარყოფს იმას, რომ მათშიც არის ზოგი რამ ფასეული მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რას ისახავს მიზნად პოეტური და დრამატული ხელოვნების მთელი ეს მიმართულება?

7. ხომ ცხადია, რომ მთელს შენს სიცოცხლეში არ გქონია უფრო უკეთესი პირობები სიბრძნის მოსახვეჭად, ვიდრე ამჟამად გაქვს^[447].

8. ტოტს მოწყვეტილი ყლორტი მთელ ხესაც სწყდება. ზუსტად ასევე, კაცი, რომელიც მოსწყდა მოყვასს, მთელი კაცობრიობისგანაც მოწყვეტილია. მაგრამ ყლორტს სხვა წყვეტს, კაცი კი თვითონ სწყდება საკუთარ მოყვასს, როცა ჰგმობს მას და არ კი ესმის, რომ ამით კაცთა მოდგმასაც სწყდება^[448]. თუმცა კაცთა მამამთავარმა – ზევსმა ის უპირატესობა მოგვანიჭა, რომ, მოყვასთაგან მოკვეთილთ შეგვეძლოს ხელახლა შევერწყათ მათ და, ამრიგად, კვლავ დავიკავოთ ჩვენი ადგილი, როგორც მთელის ასო-ნაწილთა. მაგრამ თუ ასეთი თვითმოკვეთა ხშირად მეორდება, მოკვეთილისთვის თანდათან შეუძლებელი ხდება სხვა ასოებთან ხელახლა შერწყმა და მათთან შეზრდა-შესისხლხორცება^[449] ერთის სიტყვით, მეზღებმა რაც უნდა სთქვან და ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ არ შეიძლება იმ ორი ტოტის შედარება, რომელთაგან ერთი აღმოცენების დღიდანვე ხესთან ერთად იზრდება და სუნთქავს, მეორე კი, ხიდან მოტეხის შემდეგ, ხელახლა შეეზარდა მას: ისინი ერთსა და იმავე ხეზე იზრდებიან, მაგრამ სხვადასხვაგვარად და ნაყოფსაც სხვადასხვას გვაძლევენ.

9. ისინი, ვინც ხელს გიშლიან და ცდილობენ ჩაგიხერგონ გზა, რომლითაც გონების ხმას მისდევ, ვერ შესძლებენ გარემიგაქციონ სიკეთის და სიმართლის ქმნისგან; მაშ, დაე, ვერც ის შესძლონ, რომ გულისწყრომით შეგაცვლევინონ გულმოწყალება მათ მიმართ. თვალყური ადევნე საკუთარ თავს როგორც ერთი, ისე მეორე მიმართებითაც: არა მარტო შენს აზრზე დგომა რისამე განსჯა-განხილვისას ანდა მოქმედების სიმტკიცე, არამედ დიდსულოვნებაც მათ მიმართ, ვინც ცდილობს გზა ჩაგიხერგოს ან სხვაგვარად გავნოს რაიმე^[450]. რადგან გულისწყრომა მათ მიმართ არანაკლებ ავლენს სისუსტეს, ვიდრე უარის თქმა მოქმედებაზე ანდა შიშით ფარ-ხმლის დაყრა და უკუქცევა. ორსავ შემთხვევაში შენ ღალატობ შენს ვალსა და დანიშნულებას^[451]; მოღალატეა მხდლურად უკუქცეულიც და ისიც, ვინც უცხოობს თავის თანამებუნებეს, ძმას და ნათესავს.

10. არცერთი ბუნება არ დაუვარდება ხელოვნებას, რადგან ყოველი ხელოვნება ამა თუ იმ ბუნებას ჰბაძავს. თუ ეს ასეა შეუძლებელია თუნდაც ყველაზე დახვეწილი

ხელოვნება რითიმე აღემატოს ყველაზე სრულქმნილსა და ყოვლისმომცველ დედაბუნებას. ხოლო ყოველი ხელოვნება უფრო სრულქმნილთათვის ქმნის უფრო მდარეს; მაშასადამე, ასევე იქცევა საერთო ბუნებაც. მისგან იღებს დასაბამს სამართლიანობა, რომელიც შობს ყველა სხვა სიქველეს^[452]. ხოლო სამართლიანობა უგულვებელყოფილი იქნება, თუ ჩვენი მისწრაფებების საგნად ეგრეთწოდებულ საშუალ საგნებს^[453] მივიჩნევთ, თუ ადვილად მოვლორდებით, წინდაუხედავად მოვიქცევით ან უმტკიცობას გამოვიჩინთ სადმე.

11. საგნები, რომელთაც მიელტვი ან გაურბი და რომელნიც ასერიგად გამღვრევენ, თვითონ კი არ გეხვევიან თავს, პირიქით, შენ ეხვევი მათ თავზე. ნუ ამიღვრევ სულს მათზე ფიქრით და ნახავ, როგორ დაცხრებიან და დაგეხსნებიან ისინი, ხოლო შენ ველარავინ გიხილავს ვერც მათკენ სურვილით მიდრეკილს, ვერც მათგან ზიზღით უკუქცეულს.

12. სული უცვლელად ინარჩუნებს თავის სფეროსებრ ფორმას^[454], როცა გარეგანს ან შინაგანს კი არ მიელტვის რასმე, როცა აქეთ ან იქით კი არ იწევს, არამედ გამუდმებით ასხივებს ნათელს და მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე სამყაროს უსასრულობაში დამარბულ, ისე მისსავე შინაგან ჭემმარიტებას^[455].

13. შემიზიზღებს ვინმე? ეს მისი საქმეა^[456]. ჩემს საქმედ კი რისამე ზიზღის ღირსის ქმნისა თუ თქმისაგან თავის შეკავება მიჩანს. შემიძულეებს ვინმე? ესეც მისი საქმეა. მე მაინც კეთილმოსურნე და მიმტევებელი ვიქნები კაცთა მიმართ, რათა, ამრიგად, ვუჩვენო მათ, რარიგად სცდებიან^[457], მაგრამ არა მათი დამცირების ანდა დიდსულოვნების გამოჩენის მიზნით, არამედ უბრალოდ და გულწრფელად, როგორც იქცეოდა დიდი ფოკიონი^[458], თუ, რა თქმა უნდა, მისი ქცევა გულწრფელი იყო და არა პირფერული. ასეთი უნდა იყოს შენი ჭემმარიტი მრწამსი, რათა ღმერთები შენში ჭვრეტდნენ კაცს, რომლისთვისაც უცხოა დრტვინვა რისამე გამო ან მრისხანება. და მართლაც, რა შეიძლება ბოროტი იყოს შენთვის, თუკი საკუთარი ბუნების თანახმად იქცევი და უდრტვინველად იღებ ყველაფერს, რაც დროულია საერთო ბუნებისათვის, როგორც შეშვენის კაცს, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, რომ, შეძლებისდაგვარად, კეთილი უყოს მოყვასს.

14. ურთიერთ ზიზღით გამსჭვალულნი, ისინი ხოტბას ასხამენ ერთიმეორეს, ხოლო ერთმანეთზე ამაღლების მოსურნენი ფეხქვეშ ეგებიან ერთურთს.

15. რაოდენ სულმდაბალი და ყალბი უნდა იყოს ამის მოქმელი: მე გადავწყვიტე გულწრფელი ვიყო შენს მიმართ. რას სჩადი, კაცო? ეს სიტყვით კი არა, საქმით გამოჩნდება მხოლოდ. შენი გადაწყვეტილება შენსავე შუბლზე უნდა იყოს აღბეჭდილი, შენს გადაწყვეტილებას შენსავე თვალებში უნდა კითხულობდეს კაცი, ისევე, როგორც მიჯნური კითხულობს სატრფოს თვალებში მის სიხარულს თუ სევდას. წრფელი და ქველი კაცი ნელსაცხებლით ცხებულს უნდა ჰგავდეს, რომელიც, გინდა თუ არ გინდა, მოახლებისთანავე შემოგაფრქვევს საამო სურნელს. მოჩვენებითი გულწრფელობა კი დამალულ მახვილსა ჰგავს. არა არის რა მგლურ მეგობრობაზე უფრო ბილწი. ყველაზე მეტად ეკრძაღე მას. სათნოს, მართალსა და კეთილმოსურნე კაცს თვალებით იცნობ^[459]; შუბი ხალთაში არ დაიმალება.

16. სული შესძლებს ნეტართა სიცოცხლით იცოცხლოს, თუკი გულგრილი იქნება ეგრეთწოდებულ საშუალ საგანთა^[460] მიმართ, ხოლო გულგრილი იქნება მაშინ, როცა გულდასმით განიხილავს ამ საგნებს როგორც ცალ-ცალკე, ისე მთელთან მიმართებაში და გულისხმაცოფს, რომ ისინი ძალით კი არ გვეხვევიან თავს და, ამრიგად, გვაიძულებენ გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მათზე, არამედ მშვიდად ჰგვიან თავისთავის და ჩვენ თვითონ ვიქმნით წარმოდგენას მათ შესახებ^[461], თვითონვე ვიწერთ და ვიბეჭდავთ მათ ჩვენსავ სულში, თუმცა შეგვეძლო არ ჩაგვეწერა, ანდა, თუ ჩვენდა უნებურად ჩაიწერებოდნენ, მეყვსეულად ამოგვეშალა იქიდან^[462]. ეგეც არ იყოს, უნდა გახსოვდეს, რომ ჩვენს მცდელობას მალე მოედება ბოლო, რადგან მალე დასრულდება ჩვენი სიცოცხლეც. მაშ, რა არის აქ შენთვის ძნელი? თუ ეს ეთანხმება ბუნებას, სიხარულით მიიღე ის და კმაყოფილება ჰპოვე ამაში, ხოლო თუ არ ეთანხმება, ეძიე ის, რაც ეთანხმება შენსავ ბუნებას და ისწრაფე მისკენ, თუნდაც ეს უკანასკნელი დიდებას არ გიქადდეს შენ. რადგან ყველას აქვს იმის უფლება, რომ ეძებდეს და ისწრაფვოდეს საკუთარი სიკეთისაკენ.

17. საიდან იღებს დასაბამს თვითეული ნივთი, რისგან შედგება, რა ნაწილებად დაიშლება, რად იქცევა დაშლისა და სახეცვლის შემდეგ და რატომ არ დაითმენს, ყოველივე ამის მიუხედავად, რაიმე ბოროტს?

18. ჯერ ერთი: რა გაკავშირებს სხვებთან? რატომაა, რომ თქვენ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი? თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შენ მათი წინამძღოლობა გაკისრია, როგორც ბოტს – ფარისა ან კუროს – ჯოგის^[463]. მიიქეც შემდეგ უფრო მაღალ საწყისთა ჰვრეტად და ასე შეაგონე შენსავე თავს: თუ არ არსებობენ ატომები, მაშინ ყოვლისმპყრობელი ბუნება წარმართავს და მართავს ყველაფერს^[464]; მამასადამე,

ნაკლებ სრულქმნილი არსებანი უფრო სრულქმნილთათვის არსებობენ, ეს უკანასკნელნი კი – ერთმანეთისთვის^[465].

მეორე: როგორ იქცევინ ისინი ინახად სხდომისა თუ სარეცელზე ნებვირობისას? რაგვარი აუცილებლობანი ჰბოჭავენ მათ აზრს და, მიუხედავად ამისა, როგორ ზვაობენ ეს სულმდაბალნი?^[466]

მესამე: თუ ისინი გონების ხმას მისდევენ, ნუ აღიძვრი მათ წინააღმდეგ, ხოლო თუ ისინი ბოროტების გზას ადგანან, თავისდა უნებურად და უმეცრების გამო ადგანან მას^[467], რადგან ყოველი სული თავისდა უნებურად სწყდება როგორც ჭეშმარიტებას, ისე იმ სიქველესაც^[468], რომელიც თვითეულს მისი ღირსებისამებრ მიაგებს მისაგებელს. ამიტომაც, რომ აღშფოთებას ვერ მალავს ვერვინ, როცა მას უსამართლოს, უმაღურს, ძუნწსა და მოყვასის მიმართ ავისმზრახველს უწოდებენ.

მეოთხე: შენც ცოდვილი ხარ და მათი მსგავსი^[469]. რადგან თუ დღემდე თავს იკავებ შეცოდებისგან, ყოველ შემთხვევაში, მიდრეკილება მაინც გაქვს მისკენ, და მხოლოდ სიმხდალე, პატივმოყვარეობა ან სხვა რაიმე მსგავსი ბიწი არ განებებს მათსავით სცოდო.

მეხუთე: შენ ისიც კი ვერ შეგიცვნი, სცოდავენ თუ არა სხვები. რადგან ბევრი რამ შემთხვევით და უნებურად ხდება. ამიტომ გულდასმით იკვლიე და კარგად აწონდაწონე ყველაფერი, ვიდრე სხვის ნაქმარს განსჯიდე ან შეაფასებდე.

მექვსე: ყოველთვის, როცა მეტისმეტად დრტვინავ ან მრისხანებ, გაიხსენე კაცთა სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობა და სიკვდილი, რომელიც დღეს თუ ხვალ მოგვიკაკუნებს კარზე.

მეშვიდე: ნუ დაივიწყებ, რომ ჩვენ გვამღვრევენ არა კაცთა საქმენი და მოქმედებანი (ისინი მათსავე მოქმედთა სულში რჩებიან), არამედ ჩვენივე წარმოდგენები. მაშ, მოიკვეთე ისინი, შეეშვი კაცთა საქმეების განსჯას, როგორც შენთვის ავსა და მავნეს, და მოიკვეთ რისხვის საბაზსაც. შენ შესძლებ ამას, თუ გულისხმაყოფ, რომ მათ ქცევაში არა არის რა შენთვის სასირცხვო. რადგან თუ ბოროტებად არა მართო სასირცხვოს მიიჩნევ, თავადაც ვერ ასცდები ბოროტების გზას: ავკაცად იქცევი და ავისმოქმედად.

მერვე: რამდენად უფრო მძიმეა მრისხანებისა თუ წყრომის შედეგი, ვიდრე ის, რაც მრისხანებას თუ წყრომას იწვევს.

მეცხრე: გულმოწყალება უძლეველია, თუ ის წრფელია და არა თვალთმაქცური. მართლაცდა, რას დაგაკლებს თუნდაც ყველაზე თავგასული მოძალადე, თუ შენ მუდამ გულმოწყალე და მიმტყეველი იქნები მის მიმართ^[470], თუ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მშვიდად შეაგონებ ავისმზრახველს და თუ მაშინაც კი, როცა ის აპირებს ბოროტი გიყოს, აუმღვრევლად მიმართავს მას^[471]: «ნუ, შვილო ჩემო! ჩვენ სულ სხვა რამისთვის დავიბადენით. შენი სიავით მე კი არა, შენსავ თავს ავნებ, მერწმუნე შვილო!» მერე ნათლად და გარკვევით დაუმტკიცე მას, რომ ეს ასეა და რომ არც ფუტკრები და არც თანაცხოვრებისთვის დაბადებული სხვა სულიერნი არ იქცევიან ამგვარად. მაგრამ არ არის საჭრო დაცინვა და აბუჩად აგდება, არამედ სინაზით აღვსილი და წყრომით მოუწყლავი სული. ნუ მიჰბამავ სოფისტს, რომელიც ცდილობს მსმენელთა განცვიფრებას, არამედ მოწმეთა თანდასწრების შემთხვევაშიც მიმართე მხოლოდ მას.

მტკიცედ დაიმარხე ეს ცხრა წესი, თითქოს მუზებისაგან მიგეღოს ისინი, და სანამ ცოცხლობ, კაცად იქეც, ბოლოს და ბოლოს! ეკრძალებოდა მრისხანებას, ისე პირთმოთნეობასაც კაცთა მიმართ: არც ერთი და არც მეორე არ შეშვენის საზოგადო სიკეთის მსახურს, ერთიც და მეორეც მავნეა შენთვის. მრისხანების ჟამს ნუ დაივიწყებ, რომ რისხვა არ მოწმობს სიმამაცეს, და რომ, პირიქით, სიმშვიდე და თვინიერება უფრო კაცურნი არიან და ვაჟკაცურნი, რადგან მხოლოდ ისინი ავლენენ სულის ძალმოსილებას, მხნეობას და სიმამაცეს, და არა დრტვინვა ან მრისხანება. რაც უფრო მშვიდი ხარ და ვნებათაგან აუმღვრეველი, მით უფრო ძლიერი ხარ, გწამდეს. მრისხანება და დრტვინვა უძლეურებას მოწმობენ მხოლოდ. რისხვით ცნობამიხდილიცა და მდრტვინავიც ბრძოლის ველზე დაჭრილთ ჰგვანან და ტყვედ ჩავარდნილთ.

და ბოლოს, თუ გნებავთ, მიიღე მეათე წესიც – საჩუქარი მუსაგეტისა^[472]; სიშლეგა იმის თხოვნა, რომ ავკაცნი ავკაცურად არ იქცეოდნენ, რადგან ეს შეუძლებლის მოთხოვნას ნიშნავს^[473]. მაგრამ ნებას რთავდე მათ, ავკაცურად ექცეოდნენ სხვებს და ამავე დროს მოითხოვდე, რომ ისინი არ სცოდავდნენ შენდა მომართ, – ეს ტირანის სიბრიყვეა და უმეცრება.

19. არის ოთხგვარი ცთომა სულისა, რომელთაც ყველაზე მეტად უნდა უფრთხოდე. ყოველთვის, როცა შეამჩნევ, რომ ამგვარად სცდები, ეცადე თავიდან აიცილო ისინი

და თვითეული მათგანისთვის ასე შეაგონო შენსავე თავს: აი, ფუჭი და უსარგებლო წარმოდგენა; აი, წარმოდგენა, რმელიც ჰმუსრავს მოქალაქეობის პრინციპს; აი, მესამეც, რომელიც ერთს გაფიქრებინებს და მეორეს კი გათქმევინებს; ხოლო არა არის რა უფრო უაზრო, ვიდრე ლაყბობა შენივე რწმენის წინააღმდეგ. და ბოლოს, მეოთხეგვარი ცთომა, რომლის გამოც ამ სიტყვებით უნდა ჰყვედრო შენსავე თავს: ეს შენი დღევანდელი მდგომარეობა სხვას არას მოასწავებს, თუ არა შენი არსების დვთაებრივი ნაწილის ძლევას და დათრგუნვას უბადრუკი და მოკვდავი ნაწილის მიერ; ხოლო «მოკვდავი ნაწილი», რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ სხეულსა და ხორციელ ვნებებს.

20. თუმცა შენი სასიცოცხლო ძალა და შენს არსებაში მომწყვდეული ცეცხლის სტიქიონი ბუნებით ზესკნელისკენ უნდა ილტვოდნენ, მაგრამ, კოსმიური წესრიგის მონა-მორჩილნი, ისინი ნებსით იბამენ თავს და შენს არსებას არ სცილდებიან. მეორეს მხრივ, თუმცა ყველაფერი, რაც შენში თხიერია და მიწიერი, ბუნებით ქვედადრეკილია, მაგრამ მაინც არ ეცემა და ქვეობად არ ცვლის მისი ბუნებისთვის უცხო და უჩვეულო ზეობას. ამრიგად, თვით სტიქიონებიც კი ჰმორჩილებენ კოსმიურ კანონს და მანამ არ უტევენ მათთვის მიჩენილ ადგილს, სანამ ზეგარდმო არ მიიღებენ დაშლისა და დარღვევის ნიშანს. და თუ ეს ასეა, განა მკრეხელობა არ იქნება, რომ მხოლოდ შენი წარმმართველი საწყისი ურჩობდეს და ათვალწუნებით უყურებდეს საკუთარ ადგილს, თუმცა მისთვის არა მოუხვევიათ რა თავს ისეთი, რაც არ ეთანხმება მისსავ ბუნებას? ის კი ურჩობს და უჯანყდება არსთა გამრიგეს, რადგან ყოველი გადახრა უსამართლობის, სიშლეგის, მრისხანების, სალმობისა და შიშის მხარეს სხვა არა არის რა, თუ არა ჯანყი ბუნების წინააღმდეგ. ყოველთვის, როცა წარმმართველი საწყისი დრტვინავს ამა თუ იმ ქმნადის გამო, ის უტევენ თავის ადგილს და ღალატობს თავის დანიშნულებას, რადგან გულმოწყალება და დვთისმოსაობა არანაკლებ უნდა ამკობდნენ სულს, ვიდრე სამართლიანობა. და მართლაც, ეს სიქველენი ხომ სამოქალაქო სათნოებათა რიცხვს ეკუთვნის: მეტიც, ისინი წინ უსწრებენ თვით მართლმოქმედებას.

21. ვისაც არ გააჩნია სიცოცხლის უცვლელი და უცვალებელი მიზანი, ის ვერ შესძლებს უცვლელი და უცვალებელი იყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მაგრამ არ კმარა მარტოოდენ ამის აღნიშვნა, საჭიროა ისიც ითქვას, თუ როგორი უნდა იყოს ეს მიზანი. რადგან ყველა ერთნაირად როდი უყურებს იმას, რასაც, მართებულად თუ უმართებულად, სიკეთედ მიიჩნევს ბრბო, და მხოლოდ ზოგიერთ იმ სიკეთეს აღიარებს ერთსულოვნად, რაც საერთოა თითოეული მათგანისათვის. ამიტომ საერთო და საყოველთაო სიკეთის სამსახურს უნდა ვსახავდეთ ჩვენი

სიცოცხლის მიზნად. ის, ვინც ამ მიზნისკენ მიმართავს ყველა თავის სწრაფას, უცვლელი იქნება ყველა თავისი მოქმედებისას და, მაშასადამე, არასოდეს უღალატებს საკუთარ თავს.

22. იფიქრე თავგზზე, მინდვრის თავგსა და სარდაფის თავგზე, მის ძრწოლასა და მის წრიალზე^[474].

23. სოკრატე ლამიას უწოდებდა ბრბოის აზრს, ლამიას, ანუ ყრმათ საფრთხობელას^[475].

24. ლაკედემონელნი ჩრდილში სხამდნენ დღესასწაულზე მოწვეულ სტუმრებს; თვითონ კი, სადაც მოხვდებოდნენ, იქ სხდებოდნენ ხოლმე.

25. როცა პერდიკასმა^[476] უსაყვედურა სოკრატეს, რატომ არ მოდიხარ ჩემთან სტუმრადო, მან უპასუხა: ვშიშობ, ვაითუ სირცხვილი ვჭამო. ეს კი ნიშნავს, რომ სირცხვილს ჭამს ის, ვისაც არ ძალუძს პატივისცემითვე უპასუხოს პატივისმცემელს.

26. ეფესელთა ნაწერები გვიჩვენებენ, გამუდმებით ვიხსენებდით რომელსამე ძველთაგანს, თავისი სიქველით და ზნესრულობით გამორჩეულს^[477].

27. პითაგორელნი გვიჩვენებენ დილაალდრიან ზეცად აღგვეპყრო თვალნი, რათა, ამრიგად, გაგვეხსენებინა, რომ არიან არსნი, რომელნიც ერთგვარად, ერთსულოვნად და ერთსა და იმავე კანონთა თანახმად ასრულებენ თავიანთ საქმეს, გაგვეხსენებინა მათი სიწმინდე და სიშიშვლე, რადგან მნათობთათვის უცხოა ყოველგვარი საბურველი^[478].

28. გაიხსენე, როგორ მოიქცა სოკრატე, როცა ესნათიჰა სახლიდან გაიქცა და თან გაიტაცა მისი მოსასხამი, როგორ მოისხა ცხვრის ტყავი და როგორი სიტყვებით მიმართა თავის მეგობრებს, რომელთაც სირცხვილით ზურგი აქციეს, როცა ამგვარად მოსილი იხილეს იგი^[479].

29. შენ ვერავის შეასწავლი წერა-კითხვას, ვიდრე თვითონ არ ისწავლი მას. მით უმეტეს, ეს ითქმის სიცოცხლის მიმართ.

30. «მონადშობილო, შენ არა გაქვს სიტყვის თქმის ნება»^[480].

31. «ჩემშიგან გაიცინა გულმა»^[481].

32. «უგვანი სიტყვით წაგვბილწვენ ყბედნი სიქველეს»^[482].

33. შლეგია ის, ვინც ლედვს დაემებს ზამთარში; მაგრამ შლეგია ისიც, ვინც მისტირის შვილს, რომელიც აღარ არის^[483].

34. – როდესაც შენს პატარას ეაღერებ, – ამბობს ეპიქტეტე, – ასე უნდა შეაგონო შენსავე თავს: ხვალ ის შეიძლება მოკვდეს^[484], – მაგრამ ეს ხომ ავისმომასწავებელი ჩხავილია, – სრულიადაც არა, – ამტკიცებს ის, – ეს ბუნების ერთ-ერთი ქმედების სიტყვიერი გამოხატულებაა მხოლოდ. სხვაგვარად სიტყვებიც: «ყანასა მკიან» ავისმაუწყებელ ჩხავილად უნდა მიგვეჩნია ჩვენ.

35. ყურძენი მწვანე, მწიფე, დაწურული, – ყველაფერი ეს გადადის არა იმაში, რაც საერთოდ არ არის, არამედ იმაში, რაც ამჟამად არ არის მხოლოდ^[485].

36. არ არსებობს ძალადობა, რომელსაც შეეძლოს არჩევანის თავისუფლება წაგვართვას ჩვენ^[486], – ამბობს ეპიქტეტე.

37. საჭიროა, – ამბობს ეპიქტეტე, – დადგენილ იქნას, როდის და რას განვუცხადოთ ჩვენი თანხმობა^[487]; რაც შეეხება მისწრაფებებს, თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ ისინი უპირობონი კი არ იყვნენ, არამედ განპირობებულნი^[488], საზოგადო სიკეთის შესატყვისნი და საგანთა ჭეშმარიტი ღირებულების თანაფარდნი, გულისთქმათა აყოლისაგან კი სულაც თავის შეკავება გვმართებს, მაგრამ არა ზიზღით გარემიქცევა მისგან, რაც ჩვენს ნებაზე არაა დამოკიდებული^[489].

38. საქმე წვრილმანებს კი არ ეხება, – ამბობს ეპიქტეტე, – არამედ იმას, უცნობონი ვართ თუ ცნობიერნი^[490].

39. – რას ამჯობინებთ, – იკითხა სოკრატემ, – გონიერთა სულებს ფლობდეთ თუ უგუნურთა? – გონიერთა. – მაგრამ კეთილთა თუ უკეთურთა? – კეთილთა. – მაშინ რატომ არ ილტვით მათკენ? – იმიტომ რომ უკვე ვფლობთ მათ. – მაშ, რაღას ებრძვით და ელაღვით ერთიმეორეს?!^[491].

წიგნი მეთორმეტე

1. ყველაფერს, რის მიღწევასაც მიხვეულ-მოხვეული გზით აპირებ, შენ შეგიძლია დღესვე ეზიარო^[492], თუ, რა თქმა უნდა, შენივე თავის მტერი არ ხარ და გამყიდველი. ხოლო თუ არ ხარ, შეეშვი წარსულს, განგებას მიანდე მომავალი, მარტოოდენ აწმყოთი მოიზღუდე თავი^[493] და ღვთისმოსაობის და სამართლიანობის სამსახურს მოასხმარე იგი; ღვთისმოსაობისას, რათა გიყვარდეს შენი წილხვდომილი^[494], რადგან ბუნებამ ის შენთვის შექმნა, ხოლო შენ – მისთვის; სამართლიანობისას, რათა თამამად და მიუკიბ-მოუკიბავად ამტკიცებდე სიმართლეს და რათა ყოველთვის მოქმედებდე კანონისა და ღირსების თანახმად. ნუ შეგაკრთობს და შეგაცბუნებს სხვისი ბიწი, ნურც მისი რწმენა თუ ცრურწმენა, ნურც შენი გარემომცველი გარსის შეგრძნებანი და განცდები, რადგან მათში გარკვევა მათივე მთმენის საქმეა მხოლოდ^[495]. ხოლო თუ დღეს ან ხვალ, უკვე სიკვდილად მიწურვილი, შენ დაუტევებ ყველაფერს და მთელის არსებით მიიქცევი შენი წარმმართველი საწყისისა და შენი ღვთაებრივი და წარუდინებელი ნაწილის თაყვანისცემად^[496], თუ შიშს ალგიძრავს არა ის აზრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დასრულდება შენი სიცოცხლე, არამედ ის, რომ ვერასოდეს იცოცხლებ ბუნების თანახმად, – ჭეშმარიტ კაცად იქცევი და შენი მშობელი სამყაროს ღირს ნაშიერად, აღარასოდეს იგრძნობ თავს უცხოდ შენს სამშობლოში^[497], აღარასოდეს იუცხოებ ყოველდღიურ ქმნადს და მოწევნადს, როგორც რაღაც უჩვეულოს და მოულოდნელს, და, დასასრულ, აღარასოდეს იქნები დამოკიდებული ხან ამისაგან, ხან იმისაგან.

2. ღმერთი ყოველგვარი ნივთიერი გარსის, ნივთიერი სიბილწისგან გაშიშვლებული და გაწმენდილი სახით ჭვრეტს თითოეული ჩვენგანის წარმმართველ საწყისს. რადგან როგორც წმინდა გონება, ის ეხება მას, რაიც, მისგან გამომდინარე, ასევე წმინდად ჩაიღვარა თვითეული ჩვენგანის სულში. ეჰ, რომ შეგეძლოს შენც მსგავსადვე ჭვრეტდე ყველაფერს, რამდენი ამაო შფოთისაგან დაიხსნიდი თავს. რადგან ის, ვინც არად აგდებს ხორციელ გარსს, ალბათ, არც ტანსაცმლის, საცხოვრისის, ფუჭი დიდების თუ სხვა ათასი უმნიშვნელო წვრილმანისა და ყალბი გარეგნული ბრწყინვალეების ჭვრეტას შეაღვეს მთელ თავის დროს^[498].

3. შენ შედგები სამი ნაწილის – სხეულის, სასიცოცხლო ძალისა და გონებისაგან^[499]. პირველი ორი მხოლოდ იმდენად გეკუთვნის შენ, რამდენადაც მოვალე ხარ იზრუნო მათთვის, და მარტოოდენ მესამეა ჭეშმარიტად შენი კუთვნილი. ამიტომ თუ შენ

განირიდებ, ანუ, რაც იგივეა, შენი აზრისაგან განარიდებ ყველაფერს, რაც გამღვრევს, როგორც მოწევნადი; ყველაფერს, რასაც, შენივე ნების წინააღმდეგ, შენი ხორციელი გარსი და მისი თანამებუნებე სასიცოცხლო ძალა გახვევენ თავს; ყველაფერს, რაც გარეშე საგნებს გრიგალივით აბრუნებს შენს ირგვლივ, და თუ, ამრიგად, ბედისწერასთან წილნაყარი ყოველდღიური წვრილმანებისგან თავდახსნილი შენი სული შესძლებს თვითონვე განიწმინდოს და თვითონვე წარმართოს თავისი თავი, ემსახუროს სიმართლეს, უდრტვინველად მიიღოს ქმნადი^[500] და არასოდეს უღალატოს ჭეშმარიტებას, თუ, ვიმეორებ, შენი წარმართველი საწყისისგან განარიდებ არა მარტო ვნებათაღელვას, არამედ წარსულსა თუ მერმისზე ფიქრსაც და, ამრიგად, დაამგვანებ მას ემპედოკლესეულ

*«სფეროს, თანაბრად გარშემოწერილს,
უებრო სიმრგვლით ლალსა და ამაყს»* ,

და თუ, დასასრულ, იზრუნებ მხოლოდ იმ სიცოცხლისთვის, რომლითაც ამჟამად ცოცხლობ, ანუ აწმყოსთვის, – შენ შესძლებ მშვიდად, აუმღვრევლად და შენსავე სულში დამკვიდრებულ დემონთან სრული თანხმობით გაატარო დარჩენილი დღენი.

4. მე არაერთხელ განვუცვიფრებივარ იმას, რომ კაცი, რომელსაც თავისი თავი ურჩევნია ყველას და ყველაფერს, უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს თავის აზრს თავისივე თავის შესახებ, ვიდრე სხვებისას; ყოველ შემთხვევაში, გულთამხილავ ღმერთს ან რომელსამე ბრძენ მოძღვარს რომ ებრძანებინა ჩვენთვის მყისვე ხმამაღლა განგვეცხადებინა ის, რასაც ჩვენს თავზე ვფიქრობთ, მე მგონია, ერთ დღესაც ვერ გავუძლებდით ამ იძულებას. ამრიგად, ჩვენ უფრო მეტად ვუფრთხით სხვის აზრს ჩვენს შესახებ, ვიდრე ჩვენსავე საკუთარს.

5. როგორ მოხდა, რომ ღმერთებს, რომელთაც ასე მშვენივრად და კაცთა მიმართ ასეთი სიყვარულით მოაწყეს და მოაწესრიგეს ყველაფერი, ერთი რამ მაინც გამორჩათ მხედველობიდან, სახელდობრ, ის, რომ თავიანთი სიქველით გამორჩეული, ღვთაებრივ არსებობას ზიარებული და ღვთისმოსაობით, სიწმინდით და მსხვერპლის წირვით ღმერთებთან წილნაყარი კაცნი სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ ქრებიან და აღარასოდეს იღვიძებენ ხელახალი სიცოცხლისათვის . მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, მაშინაც კი ღრმად უნდა გწამდეს, რომ ესაა სწორედ სიკეთე, რადგან სიკეთე სხვა რამე რომ ყოფილიყო, ღმერთები სხვაგვარად გადასწყვეტდნენ საქმეს. ის, რასაც ისინი მიიჩნევდნენ სამართლიანად, შესაძლებელიც იქნებოდა ამავე დროს და, მაშასადამე, ბუნების თანახმადიც, ბუნების თანახმად კი, ბუნებავე აქცევდა

სინამდვილედ. ხოლო იქიდან, რომ ეს ასე არაა (თუ ეს მართლა არაა ასე), შენ შეგიძლია დაბეჯითებით დაასკვნა, რომ ეს არც უნდა ყოფილიყო ასე, რადგან, ალბათ, თავადაც ხედავ, რომ ამ კითხვების დასმით შენ თვით ღმერთებს ეკამათები. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებდით ასე შევკამათებოდით ღმერთებს, ისინი ხომ უკეთილესნი არ იყვნენ და უმართლესნი, ხოლო თუ ეს ასეა, ღმერთები არ დაუშვებდნენ სამყაროულ წესრიგში არაფერს ისეთს, რაც უსამართლობა იქნებოდა და უგნურება.

6. შეეჩვიე შესაძლებლად მიჩნევას მისას, რაც შეუძლებლად გიჩანს. მარცხენა ხელს, რომელიც, საერთოდ, გაცილებით სუსტია მარჯვენაზე, მხოლოდ იმიტომ უჭირავს, სადავე უფრო მტკიცედ, რომ ის ჩვეულია ამას.

7. რა მოელის შენს სულს და სხეულს, როდესაც სიკვდილი მოგიკაკუნებს კარს? იფიქრე სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობის, მარადისობის როგორც შენს წინ, ისე შენს უკან პირაშკუმული უფსკრულისა^[503] და ყოველივე ნივთიერის უმწეობისთვის; იფიქრე!

8. უჭვრიტე მიზეზობრივი საწყისის წმიდასა და ნივთიერი გარსით შეუბღალავ არსს. რას ისახავს მიზნად ესა თუ ის მოქმედება? რა არის ტანჯვა, განცხრომა, დიდება, სიკვდილი? იფიქრე იმისთვის, რომ კაცი თვითონვე იმღვრევს საკუთარ სულს, რომ მას სხვა კი არა, თავისივე თავი ეღობება წინ, და რომ, დასასრულ, ყველაფერს შენი შეხედულება განაპირობებს^[504].

9. პრინციპთა ხმარებისას მოკრივეს უნდა ჰგავდე და არა გლადიატორს. მართლაც, საკმარისია ამ უკანასკნელს ხელიდან გააგდებინონ მახვილი, რომლითაც იბრძვის, და მას ველარაფერი იხსნის სიკვდილისაგან. მაშინ როდესაც, პირველს მუდამ თანა აქვს საკუთარი ხელები და ამიტომ არ სჭირდება სხვა არაფერი, მათი დამუშტვის გარდა.

10. გულისხმავა, რანი არიან საგნები თავისთავად და განასხვავე მათში მატერია, მიზეზობრივი საწყისი და მიზანი^[505].

11. რაოდენ დიდია ძალმოსილება კაცისა! მას ძალუმს აკეთოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც სათნო უჩანს ღმერთს და უდრტვინველად მიიღოს ყველაფერი, რასაც ღმერთი არგუნებს წილად.

12. ნუ ჰყვედრი ღმერთებს, რადგან ისინი არასოდეს არ სცოდავენ, არც ნებსით და არც უნებურად, მაგრამ ნუ ჰყვედრი კაცთაც, რადგან ისინი თავისდა უნებურად სცოდავენ ხოლმე^[506]; მაშასამე, ნურავის ჰყვედრი!

13. რაოდენ უბადრუკი და უმეცარი უნდა იყოს კაცი, რომ ჰკვირობდეს მას, რაც ცხოვრებაში ხდება.

14. ან საბედისწერო აუცილებლობა და ურყევი წესრიგი, ან მრავალმოწყალე განგება, ანდა შემთხვევითობის სათარეშო, უაზრო და უსაზმნო ქაოსი. თუ საბედისწერო აუცილებლობა, – რა აზრი აქვს მასთან შენს ჭიდილს? თუ მრავალმოწყალე განგება, – მოიქეც ისე, რომ ღვთაებრივი შეწევნის ღირსი ჰყო თავი. ხოლო თუ შემთხვევითობის თავაწყვეტილი თარეში, – კმაყოფილი იყავ იმითაც, რომ ამ ქაოსსა და საგანთა ამ უაზროდ მბრუნავ მორევში შენ ერთი მაინც ინარჩუნებ გარკვეულ აზრს და წარმმართველ საწყისს. მაგრამ თუ ეს ქაოტური მორევი მაინც ჩაგითრევს, დაე, მან ჩაითრიოს შენი სხეული, სასიცოცხლო ძალა და მისთანანი, რადგან გონებას ის ვერ ჩაითრევს.

15. სანთლის შუქი ნათელია და არ კარგავს თავის სიცხოვლეს, სანამ სანთელი ბოლომდე არ დაიწვის და დაიშრიტება. ვაგლახ, ნუთუ ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და კეთილგონიერების ნათელი შენს სიკვდილამდე უნდა ჩაქრეს შენში?

16. ყოველთვის, როცა ვისიმე ქცევა გაფიქრებინებს, რომ მან სცოდა, ასე შეაგონე შენსავე თავს: კი მაგრამ, რა ვიცი, რომ მან მართლა სცოდა?^[507] ხოლო თუ სცოდა, განა თვთონვე არ დაისაჯა თავი? რადგან ეს იმას ჰგავს, კაცმა საკუთარი ხელით დაითხაროს ორივე თვალი.

მას, ვისაც არ სურს, რომ ავკაცნი ავკაცურად იქცეოდნენ, ალბათ, არც ის სურს, რომ ლეღვი წვნიანი იყოს^[508], რომ პატარა ბაღლი ღნაოდეს, ცხენი ჭიხვინებდეს, და ასე შემდეგ, ერთის სიტყვით, ხდებოდეს ის, რაც მოსახდენია და უნდა მოხდეს. რა ქნას ამგვარმა კაცმა? კი მაგრამ, რა ვქნა მე? თუ შეგიძლია, განკურნე იგი.

17. თუ ეს ეწინააღმდეგება შენს ბუნებას, ნუ იზამ ამას; თუ ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, ნუ იტყვი ამას: დაე, ასეთი იყოს შენი გადაწყვეტილება ყველა ცალკეულ შემთხვევაში.

18. გამუდმებით უნდა იკვლევდე, რა არის ის, რაც შენში ამა თუ იმ წარმოდგენას იწვევს და, ამასთან, არჩევდე და ასხვავებდე მასში ნივთიერ და მიზეზობრივ საწყისთ, მიზანს და დროს, რომელნიც ზღვარს უდებენ მის არსებას და არსებობას.

19. გულისხმავა, ბოლოს და ბოლოს, რომ შენში არის რაღაც უფრო სრულყოფილი და ღვთაებრივი, ვიდრე ის, რაც ვნებას აღგიძრავს და უხილავი ძალით გიზიდავს თავისკენ. რა ავსებს ამჟამად ჩემს სულს? ^[509] შიში, ეჭვი, ვნება, სურვილი თუ რაიმე სხვა ამდაგვარი?

20. ჯერ ერთი, არაფერი არ უნდა აკეთო უმიზნოდ და უმისამართოდ. მეორეც, ყველაფერი უნდა შეუთანხმო ერთადერთ მიზანს, ერთადერთ ჭეშმარიტ, საერთო და საყოველთაო სიკეთეს ^[510].

21. ცოტაც და შენ აღარ იქნები, ისევე როგორც ყველაფერი, რასაც ირგვლივ ჭკრეტ, და ყველა, ვინც გარს გახვევია ^[511]; რადგან ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი ძველდება, კვდება და ქრება, რათა ადგილი დაუთმოს ახალს.

22. ყველაფერი წარმოდგენაზეა დამოკიდებული, წარმოდგენა კი – შენზე. მაშ, მოიკვეთე, როცა საჭიროდ მიიჩნევ, ის, და, როგორც წყალქვეშა კლდეებს თავდაღწეული მეზღვაური, უკან მოიტოვებ საფრთხეს და მყუდრო ნავთსაყუდელში შეხვალ.

23. თავის დროზე შეწყვეტილი ნებისმიერი ცალკეული მოქმედება არავითარ ბოროტებას არ დაითმენს შეწყვეტის გამო: მაგრამ არც მისი მოქმედი დაითმენს რაიმე ბოროტს მოქმედების შეწყვეტისგან ^[512]. ზუსტად ასევე, ცალკეულ მოქმედებათა ერთობლიობა, რასაც სიცოცხლეს ვუწოდებთ ჩვენ, არავითარ ბოროტებას არ დაითმენს დროულად დასრულების გამო, ხოლო ის, ვინც დროულად დაასრულებს ამ ერთობლიობას, აგრეთვე არ დაითმენს რაიმე ბოროტს. დროს და ვადას კი ბუნებას აწესებს: ზოგიერთ შემთხვევაში – თვითეული ჩვენგანის ბუნება, როცა კაცი სიბერით კვდება. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – საერთო ბუნება, რომლის ნაწილთა გამუდმებული სახეცვალებადობა მარადიულ სიახლეს და სიჭაბუკეს უნარჩუნებს სამყაროს ^[513]. მაგრამ ის, რაც სასარგებლოა საერთო ბუნებისათვის, ყოველთვის დროულია და მშვენიერი. მაშასადამე, სიცოცხლის შეწყვეტა არცერთი ჩვენგანისთვის არ წარმოადგენს ბოროტებას, რადგან არცერთი ჩვენგანისთვის არაა სასირცხვო, რაკი ჩვენს ნებაზე არაა დამოკიდებული და არ ვნებს მოქალაქეობის წმიდათაწმიდა პრინციპს. მეტიც, ბოროტება კი არა, სიკეთეა, რაკი დროულია საერთო

ბუნებისათვის, როგორც მისთვის სასარგებლო და მისი ნებისყოფელი. ამიტომ ღმერთთან ვალს ის, ვინც ღმერთით ვალს და ვინც იმასვე შესტრფის გონებით, რაც სათნო უჩანს ღმერთს^[514].

24. მტკიცედ დაიმარხე ეს სამი წესი:

პირველი: დაე, ნურცერთი შენი მოქმედება ნუ იქნება უმიზნო და უსამართლო; დაე, ყოველთვის გახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, ორიდან ერთის – ან შემთხვევითობის, ან განგების ძალით ხდება^[515]. მაშ, ნუ ჰყვედრი შემთხვევითობას და ნუ დრტვინავ განგების გამო.

მეორე: დაუკვირდი ყოველი არსის ზრდა-განვითარებას ჩასახვიდან დაბადებამდე, დაბადებიდან სიკვდილამდე, და გულისხმაყავ, რისგან შედგება ან რა ნაწილებად განწვალდება დაშლისა და დარღვევის შემდეგ.

მესამე: შენ რომ უეცრად აჭრილიყავ ცაში და იქიდან მოგეხილა მიწიერი არსებობის მთელი ამაოება, მერწმუნე, მხოლოდ ზიზღი აღგეძვროდა მის მიმართ, თუ ამავე დროს თვალს მოავლებდი შენს გარშემო განფენილ უსაზღვრო სივრცეს, ჰაერისა და ეთერის მკვიდრთა საუფლოს. მერწმუნე იმაშიც, რომ რამდენჯერაც არ უნდა ამაღლებულიყავ ამგვარად, ყოველთვის ერთი და იგივე სურათი გადაგეშლებოდა ქვემოთ: ერთფეროვნება და მსწრაფლწარმავლობა. ჩვენ უბადრუკნი კი ამით ვმზვობთ!

25. მოიკვეთე წარმოდგენა და შენ ხსნილი ხარ^[516]; მაგრამ ვინ გიშლის მოიკვეთო იგი?

26. ყოველთვის, როცა რისამე გამო დრტვინავ, შენ ივიწყებ, რომ ყველაფერი საერთო ბუნების თანახმად ხდება; რომ სხვისი ცთომა შენ არ გეხება. ყველაფერი ოდითგანვე ასე მომხდარა, ასე მოხდება და ასევე ხდება დღეს ყველგან; რომ კაცი მთელი კაცობრიობის ნათესავია, მაგრამ არა სისხლით და ხორციით, არამედ სულსა და ღმრთეებასთან თანაზიარების წყალობით; ივიწყებ იმასაც, რომ თვითეული ჩვენგანის სული ღმერთია და ღმერთისმიერი^[517]; რომ არცერთ ჩვენგანს არაფერი არ ეკუთვნის სამარადისოდ; რომ ჩვენი ძე, ჩვენი სხეული და ჩვენი სულიც იმავე ღმერთმა გვიბოძა ჩვენ; რომ ყველაფერს წარმოდგენა განაპირობებს; რომ თვითეული ჩვენგანი მარტოდენ აწმყოთი ცხოვრობს და დაკარგვითაც მას კარგავს მხოლოდ^[518].

27. ძალიან მოიგონე კაცთა მრისხანების, დიდებამოსილების, ურთიერთზიზღის, სვესვიანობის დიადი მაგალითნი, და მერე ასე დაეკითხე შენსავე თავს: რა დარჩა დღეს ყოველივე ამისაგან? მხოლოდ კვამლი, ფერფლი, და მითი, ან მითიც არა!^[519] მოიგონე შემდგომ ამისა ათასი მსგავსი მაგალითი: ფაბიუს კატულინუსი თავის მამულში, ლუციუს ლუპუსი საკუთარ ბაღში, სტერტინიუსი – ბაიაში, ტიბერიუსი – კაპრიზე, ველიუს რუფუსი^[520], და ასე შემდეგ, მოკლედ, ყველა, ვინც განურჩევლად ჰმონებდა ამა თუ იმ ვნებას და ვისაც ესოდენ დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე. რაოდენ უბადრუკი იყო მათი სწრაფვის საგანი და რაოდენ უფრო შეშვენიის ფილოსოფოსს ყველა მოცემულ შემთხვევაში თანაბრად ავლენდეს სამართლიანობას, ზომიერებას და მორჩილებას ღმერთების მიმართ. რადგან ვინც მზვაობს იმის გამო, რომ მზვაობისა არა მცხია რაო, მზვაობართაგან ყველაზე უფრო ბილწია და აუტანელი.

28. მას, ვინც გეკითხება – სად გინახავს ღმერთები, ან საიდან დაასკვნე, რომ ისინი არსებობენ, რაკი ასე გულმხურვალედ ადიდებო მათ, – ასე მიუგო: ჯერ ერთი, ღმერთები ჩვენი მზერისთვისაც საცნაურნი არიან და, ეგეც არ იყოს, მე არც ჩემი სული მიხილავს ოდესმე, მაგრამ მაინც თაყვანს ვცემ მას. იგივე ითქმის ღმერთების მიმართ: მათი ძალმოსილების მარადიულმა გამოვლენამ მე დამარწმუნა იმაში, რომ ისინი არსებობენ და მათ თაყვანისმცემლად მაქცია^[521].

29. სიცოცხლის აზრი იმაშია, რომ თვითეული საგნის მიმართ ვიკვლევდეთ, რას წარმოადგენს ის თავისთავად, რა არის მასში ნივთიერი და რა – მიზეზობრივი, მთელის არსებით ვემსახურებოდეთ სამართლიანობას და ვამბობდეთ მხოლოდ სიმართლეს. თუ ამას ვყოფთ, რაღა დაგვრჩება, გარდა იმისა, რომ დავტკბეთ სიცოცხლით, როგორც ტკბება ის, ვინც ერთი კეთილი საქმიდან დაუყოვნებლივ გადადის მეორეზე^[522], რათა მათ შორის აღარ დარჩეს თვით უმცირესი შუალედიც კი.

30. მზის შუქი ერთია, მიუხედავად იმისა, რომ მას აქუცმაცებს და აქეთ-იქით ფანტავს კედლების, მთების და სხვა საგნების ურიცხვი სიმრავლე^[523]. ერთია ყოვლადი არსი, მიუხედავად იმისა, რომ განწვალულია უმტსა და უშქარ სხეულთა შორის. ერთია სული, მიუხედავად იმისა, რომ განწვალულია ურიცხვ ბუნებასა და სრულიად თავისებურ ფორმათა შორის. ერთია გონიერი სული, თუმცაღა დაყოფილი და დანაწევრებული გვეჩვენება ჩვენ^[524]. ხოლო ყველა სხვა დანარჩენი, როგორც მაგალითად, სასიცოცხლო ძალნი და ნივთიერი საწყისნი, უგრძნობელნი არიან და უცხონი ერთმანეთისთვის. მაგრამ მათაც კი ერთად ჰკრავს გონიერული საწყისი და

მათივე საკუთარი სიმძიმე. გონებისთვის კი, პირიქით, ნიშნულია წინააღმდეგობელი ლტოლვა თავისივე მსგავსისაკენ, და ამ ლტოლვას, მსგავსთან შერწყმის ამ მარადიულ სურვილს ვერავინ ჩაჰკლავს მასში.

31. რას მიელტვი? დღეგრძელობას? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობელობას, ნებელობას, ავსებას, დავსებას, მეტყველებას, აზროვნებას? მაგრამ რა არის ყოველივე ამში სურვილისა თუ სინანულის ღირსი? ხოლო თუ ყველაფერი ფუჭია და ზიზღის ღირსი, მაშინ მიიქეც უმაღლესი მიზნის ჭვრეტად, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მორჩილება ღმერთისა და გონების მიმართ. მაგრამ ამ უკანასკნელთან შეუთავსებელია დრტვინვა იმის გამო, რომ ერთ მშვენიერ დღეს სიკვდილი მიგვხდის ყველა ზემორეჩამოთვლილ ნიჭს^[525].

32. უსასრულო და უსაზღვრო დროის რაოდენ უმნიშვნელო ნაწილი გვიწილადა განგებამ!^[526] ცოტაც და ის საბოლოოდ დაინთქება მარადისობაში. რაოდენ მცირე წილი გვიძვეს ყოვლად არსსა თუ სამყაროს სულში!^[527] მიწის რა უბადრუკ ნაწილზე დავლოდავთ ჩვენ! გულისხმაყავ ყოველივე ეს და ნურაფერს მიიჩნევ არსებითად, გარდა ერთისა: ყოველთვის მოქმედებდე ისე, როგორც გიწესებს შენი ბუნება და უდრტვინველად იღებდე ყველაფერს, რასაც ყოფად მოაქცევს საერთო ბუნება»^[528].

33. რას ემსახურება შენი წარმმართველი საწყისი?^[529] აი, რა არის არსებითი. სხვა დანარჩენი კი, იმისდა მიუხედავად, შენს არჩევანზეა დამოკიდებული თუ არ არის დამოკიდებული მასზე, ხრწნილებაა და მტკერი.

34. არაფერი ისერიგად არ გვაზიზღებს სიკვდილს, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ის, ვინც განცხრომას სიკეთედ თვლიდა, ხოლო ტანჯვას – ბოროტებად, აგრეთვე ზიზღით ემსჭვალვოდა სიკვდილს.

35. კაცი, რომელიც სიკეთედ თვლის მხოლოდ იმას, რაც დროულია და, რომლისთვისაც სულერთია, რამდენხანს იმოქმედებს გონების თანახმად ან რამდენხანს უჭვრეტს ამქვეყნიურ ამაოებას, – ამგვარი კაცი არ უფრთხის სიკვდილს.

36. კაცო, შენ იყავ მოქალაქე ამ ვრცელი ქალაქისა^[530], და განა სულერთი არ არის შენთვის, რამდენ ხანს იყავ: ხუთ წელიწადს თუ სამ წელს მხოლოდ? რადგან კანონის წინაშე ყველა სწორია. მაშ, რა არის საშიში იმაში, რომ ქალაქიდან გასახლებს არა ტირანი ან სამართალმრუდი მსაჯული, არამედ იგივე ბუნება, რომელმაც შენ იქ დაგასახლა? ასე პრეტორი ითხოვს სცენიდან მის მიერვე მიღებულ მსახიობს. – კი

მაგრამ, მე ხომ სამი მოქმედება ვითამაშე მხოლოდ და არა ხუთი?!- კეთილი და პატიოსანი; მაგრამ ცხოვრებაში სამი მოქმედება მთელი პიესაა. რადგან ბოლოს გვაუწყებს ის, ვინც ოდესღაც დასაბამი იყო სიცოცხლისა, ახლა კი მიზეზია მისი შეწყვეტის. შენ კი არაფერ შუაში ხარ, არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში ^[531]. მაშ, განვედ მშვიდად და კეთილმოსურნეობით ადვსილი სულით, როგორც კეთილმოსურნეა ის, ვინც მიწიერი არსებობის კირთებისგან გათავისუფლებს.

^[1] თვითონ ტერმინი «ანტონინუსთა დინასტია» საკმაოდ პირობითია: ასე იწოდებიან I-II საუკ. იმპერატორები – ნერვა (96-98), ტრაიანე (98-117), ჰადრიანე (117-138), ანტონიუს პიუსი (138-161), მარკუს ავრელიუსი (161-180) და კომოდუსი (180-192). ორი უკანასკნელის გამოკლებით (კომოდუსი მარკუს ავრელიუსის ძე იყო), ისინი ბუნებრივი მემკვიდრეობით კი არ სცვლიდნენ ერთიმეორეს, არამედ ყოველ მათგანს, როგორც შვილობილს, წინამორბედი ასახელებდა ტახტის მემკვიდრედ და სიცოცხლეშივე ნიშნავდა თანამმართველად.

^[2] ეს იყო უზარმაზარი, ჭეშმარიტად მსოფლიო იმპერია, გადაჭიმული ბრიტანეთიდან ჩრდილო აფრიკამდე და ლუზიტანიიდან (დღევანდელი პორტუგალია) ტიგროსისა და ევფრატის შესართავამდე.

^[3] E. Renan, Marc-Aurèle et la fin du monde antique, Paris, 1882, p. 2.

^[4] სიყრმის ჟამს მომავალი იმპერატორი ატარებდა თავისი დიდი პაპის – კათილიუს სევერუსის სახელს. მამის – პრეტორ ანიუს ვერუსის სიკვდილის შემდეგ (130 წ) იწოდებოდა მარკუს ანიუს ვერუსად; 138 წ. ის იშვილა ანტონინუს პიუსმა და მისი სახელი გახდა მარკუს ელიუს ავრელიუს ვერუსი; ტახტზე ასვლის დღიდან იწოდებოდა როგორც მარკუს ავრელიუს ანტონინუს ავგუსტუსი.

^[5] სალიები (Salii) – პალატინის ბორცვზე მდებარე მარსის ტაძრის (ე.წ. Mars Gradivus) 12 ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც ყოველწლიურად, მარტის თვის პირველ დღეებში, მარსიან ულ საზეიმო მსვლელობებს აწყობდა რომში... ამრიგად, კაცს, რომელსაც მთელის არსებით სძულდა ომი, ბედის ირონიამ მარსის მუდმივი სამსახური არგუნა წილად: ბავშვობაში ის თავისი წკრიალა ხმით საკრალურ ჰიმნებს უგალობდა ომიანობის მრისხანე ღმერთს, ხოლო მოწიფულობაში მახვილით ემსახურებოდა მას.

^[6] Dion Cassius, LXIX, 21; ზმის აზრი გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ მარკუს ავრელიუსის სიყრმისდროინდელი სახელი – Verus – «მართალს» ნიშნავს ლათინურად, ხოლო Verissimus – «უმართლესს».

^[7] «სიყრმითგანვე სერიოზული იყო» (Capit., Vit. Marc., II); «...იმდენად, რომ თვით სიყრმეშიაც კი ვერც სიხარული და ვერც მწუხარება ვერ უცვლიდა სახეს» (Eutorp., VIII, 11).

^[18] praesul – ლათ. «წინა-მროკავი». საზეიმო მსვლელობების დროს სალიები სამხედრო ცეკვებს ასრულებდნენ, ამიტომაც ეწოდებოდათ მათ «მროკავნი» (Salii წარმოსდგება ზმნიდან salio – «ვხტი», «ვროკავ»).

^[19] ტახტის მემკვიდრის ტიტული.

^[19] საგუმი – მოკლე საომარი მოსასხამი. ლათინური გამოთქმა sumere sagum (საგუმის მოსხმა) «საომრად მზადებას» ნიშნავს. მარკუს ავრელიუსისაგან საგუმით ხლებას რომ მოითხოვდა, იმპერატორი, ალბათ, მუდმივ მზადყოფნას ავალებდა ტახტის მემკვიდრეს (შდრ. ფიქრები, VII, 61).

^[11] წერილების ლათინური დედანი ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ვსარგებლობ მათი კასანისეული ფრანგული თარგმნით; იხ. წიგნში: Pensées de Marc-Aurèle... suivie des Lettres a Fronton, Paris, p. 353-413.

^[12] ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

^[13] მარკუს ავრელიუსს სძულდა ეს სისხლიანი, პატივმოყვარე ავტოკრატორები: «ნუ მისდევ ცეზართა კვალს (იგულისხმებიან ნერვამდელი იმპერატორები, – ბ.ბ.), ნუ იმსჭვალვი მათი სულით»... VI, 30; იხ. აგრეთვე III, 16.

^[14] მეტს აღარ დაგაყოვნებთ, უფალო სენატორებო! (ამ სიტყვებით მთავრდებოდა სენატის ყველა სხდომა).

^[15] ფართო წითელი ლენტი სენატორის ტუნიკაზე.

^[16] Dion Cassius, LXXI, 2. ამის ნაცვლად, ლუციუს ვერუსმა სირიელი ჰეტერები შემოიკრიბა გარშემო და მთელი საომარი კამპანიის მანძილზე გამუდმებული ორგიებით იქცევა თავს.

^[17] თუმცა ვერუსის სიკვდილის შემდეგ მარკუს ავრელიუსმა უარი თქვა მათზე.

^[18] «პლატონის იდეალი განხორციელდა: სამყაროს ფილოსოფოსები მართავდნენ. ყველაფერი, რაც მშვენიერი ფრაზის სახით ცოცხლობდა სენეკას დიად სულში, სინამდვილედ იქცა»..., დასახ. ნაშრ., გვ. 32.

^[121] თუმცა ფილოსოფოსთა მიმართ ამ პროტექტორული პოლიტიკის განხორციელებას თავისი მავნე შედეგებიც მოჰყვა. რომს იმპერიის ყოველი მხრიდან მოაწყდნენ მოფილოსოფოსო შარლატანები. ბევრმა მათგანმა მოახერხა თბილ ადგილზე მოკალათება, ამან საყოველთაო ზიზღისა და დაცინვის საგნად აქცია ისინი; «დასცინოდნენ მათ დაუვარცხნელ თმებს, გაბურძღნულ წვერსა და ჭუჭყიან ფრჩხილებს: «გრძელი წვერი მას 10 000 სესტერციას აძლევს; კი მაგრამ, რაღა დააშავეს თხებმა? მაშინ ხომ მათაც უნდა უხადონ ხელფასიო» – ხუმრობდნენ მათი მისამართით (Luc. Eunuch, 8, 9; Cynicus 1)» – ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 34-35.

^[122] «ალიმენტაციის არსი შემდეგში მდგომარეობდა: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი გარკვეული ფულადი ფონდიდან წვრილსა თუ საშუალო მიწათმფლობელებს უმნიშვნელო პროცენტებით (ჩვეულებრივ, წელიწადში 5%) ეძლეოდათ მათთვის საჭირო სესხი; მიღებული პროცენტები ხმარდებოდა მცირეწლოვანი ობლებისა და უპოვართა ბავშვების აღზრდას. სრულწლოვანებამდე ბიჭები ყოველთვიურად ღებულობდნენ 16 სესტერციას, ხოლო გოგონები – 12-ს». (Н.А. Машкин, Ист. древн. Рима, 1950, стр. 483).

^[123] იხ. М. Сергеевко, Жизнь древнего Рима, М. – Л., 1964, стр. 161-162.

^[124] არ იმრუმოს (ლათ.).

^[125] საროსკიპო (ლათ.).

^[126] განთავისუფლების წყალობა (ლათ.).

^[127] ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.

^[128] ეს ექსცერპტები სენეკას ეკუთვნის: Epist. 47

^[129] ე. რენანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

^[130] V. Duruy, Histoire des Romains, Paris, 1883, v. V. p. 190.

^[131] სიტყვა «კოსმოპოლიტიზმი» პირველად ჯერ კიდევ კინიკოსთა სკოლის დამაარსებელმა დიოგენე სინოპელმა (413-323 ძვ. წ.ა.) იხმარა. მაგრამ თავისი

ნამდვილი მნიშვნელობა ამ სიტყვამ მხოლოდ სტოელთა ფილოსოფიაში შეიძინა (Ed. Zeller. Philosophie der Griechen, Bd. III, S, 298).

^[30] ცელერი, იქვე, გვ. 724.

^[31] არ შეიძლება ამ მომენტის ახსნა მარტოოდენ რომის ექსპანსიით (როგორც ამას ცდილობს ზოგიერთი ისტორიკოსი): არისტოტელე უფრო დიდი ექსპანსიის მოწმე იყო.

^[32] Epist. 95.

^[33] De vita beata, 20

^[34] ბუნინის გადმოცემით, ამ სიტყვებს თურმე დიდი მღელვარებით იმეორებდა ხანში შესული ლევ ტოლსტოი (И. А. Бунин, Собр. соч., т. 9, М., 1967, стр. 7)

^[35] როგორც ამას სჩადის მაგ. იმპერატორი გაიუს კალიგულა კამიუს დრამაში «კალიგულა».

^[36] С. Котляревский, Марк Аврелий (Вступит. очерк), в книге: Марк Аврелий, Наедине с собой, перев. С. Роговина, М., 1914, стр. XX.

^[37] იგულისხმება გოეთეს ცნობილი ლექსი: Kennst du das Land, wo die Zitronen blühen (იცი ქვეყანა, სადაც ჰყვავიან ლიმონები?..).

^[38] V. Duruy, დასახ. ნაშრ., გვ. 191-192.

^[39] Capit., Vit. Marc. Ant., XII, XVII, XXI; Dion Cass., LXXI, 3.

^[40] Pausan, X, 34.

^[41] «ეს მისტიური ნატურა (ალექსანდრე მაკედონელი, – ბ.ბ.) თავისი თავით კმაყოფილი იყო მხოლოდ მაშინ, როცა ახორციელებდა თავის ოცნებებს და ახორციელებდა მსოფლიო მასშტაბით» (А. Боннар, Греческая цивилизация, т. 3, М., 1962, стр. 209).

^[42] ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმპერატორის წინააღმდეგ: «მას სურს ჩვენი გლადიარორები წაგვართვას და ფილოსოფოსობა დაგვაწყებინოს», – დრტვინავდა რომი (Capit., ibid., XXI)

^[43] «ფიქრების» ენას იკვლევს რუდოლფ შეკირას შრომა «De Imperatoris Marci Aurelii Antonini Librorum εἰς ἑαυτὸν sermone quaestiones philosophicae et grammaticae», Greifswald, 1919. მეცნიერის დასკვნით, მარკუს ავრელიუსისთვის უცხოა ატიცისტების პედანტიზმი, და მაინც, თავისი დროის კვალობაზე, მისი ბერძნული უზადოდ უნდა ჩაითვალოს.

^[44] Histoire de la litterature grecque, par A. et M. Croiset, v. V, Paris, 1901, p. 697.

^[45] აკ. გაწერელია, ბარათაშვილი (ვარიაციები პოეტის თემებზე), ლიტერატურული საქართველო, 1968, 12 იანვარი.

^[46] ზემო ეგვიპტის ძველი ბერძნული სახელწოდება. თეზაიდის განთქმულ უდაბნოებს ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე თავს აფარებდა ათასობით ანაქორეტი.

^[47] ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 465.

^[48] მარკუს ავრელიუსის სიცოცხლეში «ფიქრები» არა თუ არ წაუკითხავს, თვალითაც არ უნახავს ვინმეს. ის მხოლოდ მისი ავტორის სიკვდილის შემდეგ იპოვეს პატარა ზარდახშაში.

^[49] ს. კოტლიარესკი, დასახ. ნაშრ. გვ. XXXVI.

^[50] ეს ქანდაკება – ამ ჟანრის ერთადერთი ძეგლი მთელს რომში, რომელიც უვნებლად გადაურჩა ბარბაროსთა მსახვრალ ხელს, თავდაპირველად კაპიტოლიუმის ფერდობზე იდგა, Forum Romanum-ის პირდაპირ. უფრო გვიან მის ადგილას პირველი ქრისტიანი იმპერატორის – კონსტანტინე დიდის ძეგლი დადგეს. XII ს. მას ხელახდა ვხედავთ რომში, ლატერანის მოედანზე. 1538 წ. პაპმა პავლე III, მიქელანჯელოს რჩევით, თავის დღევანდელ ადგილზე – კაპიტოლიუმის მოედანზე გადაატანინა იგი. მიქელანჯელოსვე ეკუთვნის ძეგლის კვარცხლბეკიც.

^[51] Dion Cassius, LXXI, 17.

^[52] საზავო პირობების თანახმად, გერმანელებს დუნაის მარცხენა ნაპირიდან 10 კმ-ით უნდა დაეხიათ უკან, მიეღოთ რომის პროტექტორატი და თავიანთ ციხე-სიმაგრეებში რომაელთა გარნიზონები ჩაეყენებინათ. კვადებმა გაათავისუფლეს 50 000 ტყვე, იაზიგებმა – 100 000...

^[53] Vulcatius Gallicanus. Vita Avidii Cassii.

^[54] ასე მაგ. 172 წ. მან ჩაახშო «ბუკოლოების» – «მეჯოგეების» აჯანყება ეგვიპტეში.

^[55] იმპერატორად თავის გამოცხადებიდან სამი თვისა და ექვსი დღის შემდეგ.

^[56] Vulcatius Gallicanus, *ibid*, VIII.

^[57] Н. И. Новосадский. Елевсинские Мистерии. С.- П. 1887. стр. 85.

^[58] ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 470-471 (თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ რენანის ციტატაში გამოთქმულ აზრს, რომელიც «Historia Augusta»-ს ცნობებს ემყარება, გალიკანუსის, კაპიტოლინუსისა და სხვათა ბიოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით, მთლიანად უარყოფს ზოგიერთი ისტორიკოსი; იხ. V. Duruy, დასახ. ნაშრ., გვ. 211-214).

^[59] ტახტის მემკვიდრედ კომოდუსის გამოცხადებას ძველი თუ ახალი დროის ბევრი ისტორიკოსი არა მარტო შეცდომად, დანაშაულადაც კი უთვლის მარკუს ავრელიუსს, რომელმაც ამ აქტით დაარღვია ანტონინუსთა დინასტიის დროს მიღებული მემკვიდრეობითობის ტრადიციული წესი. მაგრამ ისინი ივიწყებენ, ჯერ ერთი, იმას, რომ არც ნერვას, არც ტრაიანეს, არც ჰადრიანესა თუ ანტონინუს პიუსს ვაჟიშვილი არ ჰყოლიათ და, მეორეც, იმას, რომ მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებისას კომოდუსი მხოლოდ 18 წლის ჭაბუკი იყო და იმპერატორს, რასაკვირველია, არ შეეძლო სცოდნოდა, თუ რა ურჩხულს გადააბარა იმპერიის ბედი.

^[60] Dion Cassius, LXXI, 6; Galenus, De ther., 2.

^[61] იხ. V. Duruy, დასახ. ნაშრ. გვ. 179.

^[62] Capitolinus, Vita Marc. Aurel. Ant. XVIII.

^[63] ე. რენანი, დასახ. ნაშრ., გვ. 468.

^[64] Capit., ibid.

^[65] თვით ტერმინი «სტოელნი» წარმოსდგება ათენის <Στοά ποικιλη>-დან, რაც «ჭრელ ბჭეს» ნიშნავს (ასე იწოდებოდა იმიტომ, რომ დიდი ბერძენი ფერმწერის, პოლიგნოტეს მიერ იყო მოხატული): სტოელთა სკოლა თავდაპირველად მის მახლობლად მდებარეობდა.

^[66] სტოელთა სკოლის დამაარსებელი ძენონ კიტიონელი (340-265 ძვ.წ.ა.) და ეპიკურეიზმის მამამთავარი ეპიკურე (341-270), როგორც მათი დაბადების თარიღებიდან ჩანს, ტოლები იყვნენ. მათ თითქმის ერთდროულად (ეპიკურემ – 306 წ., ხოლო ძენონმა 301 წ.) დაარსეს თავიანთი ფილოსოფიური სკოლები ათენში... სტოიციზმის ისტორიული ევოლუცია 3 ძირითად ეტაპს მოიცავს: 1. ე.წ. «ძველი სტოა» (III-II ს. ძვ.წ.ა.); უმთავრესი წარმომადგენლები – ძენონი, კლეანთე (331-231), ქრისიპე (277-204); მათმა ნაწერებმა ფრაგმენტების სახით მოაღწიეს ჩვენამდე; 2. «საშუალო სტოა» (II-I ს. ძვ.წ.ა.); უმთავრესი წარმომადგენლები – პანეციუსი (185-110 – პოსი – დონიუსი (135-50)); 3. «ახალი სტოა» (I ს. ძვ.წ.ა. – III ს, ახ.წ.ა.); უმთავრესი წარმომადგენლები – სენეკა (4 წ. ძვ.წ. ა. – 65 ახ. წ.ა.), ეპიქტეტე (50-130), მარკუს ავრელიუსი.

^[67] სტოელთა შემეცნების თეორიის შესახებ ძალზე მოკლედ იხ. შენიშვნები, VII, 39.

^[68] სტოიციზმის სისტემატიზაციაში უდიდესი როლი შეასრულეს ქრისიპეს მრავალრიცხოვანმა შრომებმა (გადმოცემით, მათი რიცხვი 700-ს აღემატებოდა, DDiog. Laert. VII, 180).

^[69] Д. С. Мережковский. Вечные спутники. М., 1911, стр. 16.

^[70] Les moralistes sous l'Empire romain, Paris, 1864, p. 213.

^[71] Les moralistes sous L'Empire romain, Paris, 1864, p. 213.

^[72] Г. Арним, История античной философии, С.-П., 1910, стр. 164-165.

^[73] მართალია, მარკუს ავრელიუსთან, ისევე როგორც, საერთოდ, სტოელებთან «ღმერთის» პარალელურად ჩვენ ვხვდებით «ღმერთებსაც», მაგრამ ეს პლურალისტური ფორმა არ ეწინააღმდეგება სტოას მონოთეიზმს. «ღმერთები» (ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებანი) სტოელთა ერთარსება და ერთი ღმერთის სხვადასხვა ჰიპოსტასებად, მისი ბუნების სხვადასხვა ასპექტის პერსონიფიცირებულ სიმბოლოებად გვევლინებიან: ასე მაგ. ზევსი მისი ძალმოსილებათა, აპოლონი – სინათლე, აფროდიტე – სიყვარული, ათენა – სიბრძნე და ა.შ.

^[74] Causa pendet ex causa; privata ac publica longus ordo rerum trahit, Seneca, De provid, 5.

^[75] იხ. II, 13. შდრ. Seneca, Epist, 31; 66; Ad Helv., 6.

^[76] 1 H. Taine, Nouveaux essais de critique et histoire, – Marc-Aurèle, Paris, 1880, p. 257.

^[77] ანიუს ვერუსი – მარკუს ავრელიუსის პაპა მამის მხრივ; სამგზის კონსული და რომის პრეფექტი (ქალაქის კომენდანტი Stadtkommandant) (“iterum consul et praefectus Urbi”), როგორც გვიმოწმებს მარკუს ავრელიუსის ბიოგრაფი კაპიტოლინუსი; გარდ. 138 წ.

^[78] ანიუს ვერუსი – მარკუს ავრელიუსის მამა (კაპიტოლინუსის მოწმობით, ისევე იწოდებოდა, როგორც მამამისი); გარდ. დაახლ. 130 წ. პრეტორის პოსტზე.

^[79] დომიცია ლუცილა (თუ კალვილა) – ორგზის კონსულის კალვიზიუს ტულუსის ასული.

^[80] კატილიუს სევერუსი – რომის პრეფექტი (Spart., Vit. Hadr., V, 10; XXIV, 6).

^[81] კაპიტოლინუსის ცნობით, მარკუს ავრელიუსი სწორედ სახალხო სკოლებში ეუფლებოდა დეკლამაციის ხელოვნებას (frequentavit declamatorum scholas publicas). მაგრამ ეს სიტყვები იმპერატორის სიჭაბუკის პერიოდს ეხება და არა ყრმობისას. ასე

რომ, არ არის არავითარი წინააღმდეგობა კაპიტოლინუსის ცნობასა და «ფიქრების» ტექსტს შორის.

^[82] ჩვენ არ ვიცით, ვინ უნდა იგულისხმებოდეს აქ.

^[83] «მწვანენი» და «ცისფრები» – ცირკის არენაზე მოასპარეზე მხედართა ორი ურთიერთმოწინააღმდეგე პარტია (factio prasina; factio veneta). ასე იწოდებოდნენ ტუნიკების ფერის მიხედვით.

^[84] დედანში: Παλμωλάριος (Parmularius, სიტყვიდან parmula – მომცრო კვადრატული ფარი) და Σκουτάριος (Scutarius, სიტყვიდან scutum – გრძელი და ვიწრო ფარი). პარმულარიების (Parmularii) პარტიაში თრაკიელი გლადიატორები შედიოდნენ, ხოლო სკუტარიებისაში (Scutarii) – გალიელნი, ეს ორი პარტია, ჩვეულებრივ, ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

^[85] დედანში: τὸ φερέπονον (j' endure la fatigue; hart im Ertragen; вынослив в трудах).

^[86] დიოგნეტე – მარკუს ავრელიუსის ერთ-ერთი აღმზრდელი, სწავლული და ხელოვანი. კაპიტოლინუსის მოწმობით, ის თურმე ხატვასაც ასწავლიდა მომავალ იმპერატორს (“operam praeterea pingendo sub magistro Diogneto dedit”; Vit. Marc., IV).

^[87] იგულისხმება აუსპიციუმის ერთ-ერთი სახე: შინნასუქ მწყერებს ერთმანეთს წაჰკიდებდნენ და ბრძოლის შედეგის მიხედვით ცდილობდნენ მერმისის ამოცნობას.

^[88] ბაკხიუსის პიროვნება ჩვენთვის უცნობია. ზოგი მთარგმნელი (მაგ. ა. პ. ლემერსიე, ს. როგოვინი) ბაკხიუსს ცვლის ევტიხიუსით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს, როგორც ლათინური ენისა და გრამატიკის მასწავლებელს, მარკუს ავრელიუსის მოძღვართა შორის იხსენიებს კაპიტოლინუსი (Vit. Marc., III).

^[89] ტანდასისი აგრეთვე უცნობია ჩვენთვის.

^[90] ვოლუზიუს მარციანუსი (თუ მეციანუსი?) – მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი; კაპიტოლინუსის მოწმობით, სამართალს ასწავლიდა მომავალ იმპერატორს (Vit. Ant. Pii, XII).

¹⁹¹ კაპიტოლინუსის მოწმობით, 12 წლიდან მოყოლებული მარკუს ავრელიუსი უკვე მისდევდა ცხოვრების ასკეტურ წესს.

¹⁹² იუნიუს რუსტიკუსი – ფილოსოფოსი-სტოიციტი, მარკუს ავრელიუსის ერთ-ერთი უსაყვარლესი მასწავლებელი, შემდგომ მისივე მრჩეველი და თანამდგომი, ორგზის კონსულად ნამყოფი; პირველად ფლავიუს ტერტულუსსა, ხოლო მეორედ, უკვე მარკუს ავრელიუსის იმპერატორობის დროს, – პლავტიუს აქვილინუსსთან ერთად (162 წ.).

¹⁹³ პოეტიკას, მაგრამ არა პოეზიას; მარკუს ავრელიუსის წერილები თავისი მასწავლებლისა და მეგობრის – ფრონტონისადმი გვიმოწმებენ, რაოდენ კარგად იცნობდა იგი ბერძნულსა თუ მშობლიურ პოეზიას.

¹⁹⁴ ტოგა – სპეციფიკურად რომაული, ძალზე გრძელი და ფართო მოსასხამი, რომელსაც სხვის დაუხმარებლად ვერც კი მოისხამდა კაცი. შინ ტოგის ტარება ისეთსავე ცუდ ტონად ითვლებოდა, როგორც უტოგოდ (მარტოოდენ ტუნიკის ამარა) გამოსვლა შინიდან.

¹⁹⁵ სინუესა – ქალაქი ლაციუმისა და კამპანიის საზღვარზე.

¹⁹⁶ ეპიქტეტე (დაახლ. 50 – დაახლ. 130; სვიდას მოწმობით 161?) – სტოიციზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, წარმომავლობით ფრიგიელი, რომაელი მონა, შემდეგ აზატი. სტოელთა მოძღვრებას ეზიარა მუზონიუს რუფუსის მეშვეობით, მოღვაწეობდა ნიკოპოლისში. ისევე როგორც სოკრატეს, ეპიქტეტესაც არ დაუწერია არაფერი. მისი მოძღვრება შემოგვინახა ისტორიკოს ფლავიუს არიანეს წიგნმა «მოგონებები ეპიქტეტეზე» («Ἐπικτητοῦ ἀπομνημονεύματα», უფრო ცნობილია ლათინური სახელწოდებით, “Dissertationes”, რომელიც პირველად იხმარა ავლე გელიუსმა). ეპიქტეტეს მორალური მოძღვრების არსი გადმოცემულია მის მეორე წიგნში «Ἐγχειρίδιον» («სახელმძღვანელო»), რომელიც, როგორც ვარაუდობენ, «მოგონებების» ადრინდელი (ვრცელი) რედაქციის მოკლე კონსპექტს უნდა წარმოადგენდეს.

¹⁹⁷ აპოლონიუსი – ხალკისელი თუ ხალკედონელი, სტოელი ფილოსოფოსი, მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი (Capit., Vit. Marc., III; Vit. Ant. Pii, X).

^[98] სექსტუს ხერონელი – პლუტარქეს ძმისწული, სტოიციისტი, მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი (Capit., Vit. Marc., III).

^[99] უფრო ზუსტად – ბუნების თანახმად. ჯერ კიდევ სტოიციზმის მამამთავარი ზენონი და მისი მიმდევრები – ქრისიპე და კლეანთე უმაღლეს სიკეთეს განსაზღვრავდნენ, როგორც «ცხოვრებას ბუნების თანახმად» (κατά φύσιν ζῆν; სენეკა იტყობდა: *secundum naturam vivere*). ეს თეზა სტოიციკური მორალის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია და მარკუს ავრელიუსი გამუდმებით უბრუნდება მას. ა. პირონის მართებული შენიშვნით, «ფიქრები» ამ პრინციპის უწყვეტი კომენტარია მხოლოდ. რაკი, სტოიციზმის კოსმოლოგიური თვალსაზრისით, სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა რაციონალურ-პროვიდენციული წესრიგი, ხოლო კაცის გონება უნივერსალური გონების ნაწილია, ამიტომ ცხოვრება საკუთარი ბუნების, ანუ, რაც იგივეა, საკუთარი გონების თანახმად, უნივერსალური გონების თანახმად ცხოვრებას, «ღმერთის მიმდევრობასაც» (*sequere Deum* – სენეკა) ნიშნავს.

^[100] ალექსანდრე გრამატიკოსი – მარკუს ავრელიუსის ბერძნული ენისა და გრამატიკის მასწავლებელი.

^[101] მარკუს კორნელიუს ფრონტონი (100–175) – II ს. ყველაზე სახელგანთქმული რიტორი, მარკუს ავრელიუსის უსაყვარლესი აღმზრდელი, მასწავლებელი და მეგობარი. ჩვენამდე მოაღწია მათმა მიმოწერამ. დაწვრილებით იხ. წიგნში: “Позднее античное ораторское искусство”, М. 1964, с. 177–203.

^[102] ალექსანდრე პლატონიკოსი – ბერძენი ფილოსოფოსი, მარკუს ავრელიუსის პირადი მდივანი (ე. რენანი, ა. პ. ლემერსიე).

^[103] კატულუს ცინა – სტოელი ფილოსოფოსი, რომელსაც მარკუს ავრელიუსის მოძღვართა შორის იხსენიებს კაპიტოლინუსი (Vit. Marc., III).

^[104] დომიციუსი უცნობია.

^[105] ათენოდოტე – მუზონიუს რუფუსის მოწაფე და ფრონტონის მასწავლებელი (კ. რ. ჰაინზი).

^[106] კლავდიუს სევერუსი – პერიპატეტიკოსი, მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი, კონსული (146 წ.). თითქმის ყველა კომენტატორი აღიარებს, რომ აქ სწორედ ეს სევერუსი იგულისხმება, მაგრამ ვერავინ ხსნის, რა შუაშია «ჩემი ძმა»? უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარკუს ავრელიუსის მეორე (თუ მესამე?) ასული – ფადილა ცოლად ჰყავდა სევერუსის ვაჟს, მამის თანამოსახელეს – კლავდიუს სევერუსს, ფილოსოფოსს, ორგზის კონსულს (163 და 173 წწ.).

^[107] პუბლიუს კლოდიუს პეტუს თრაზეა – სენატორი, კონსული, სტოიკოსი, ნერონის ტირანიისადმი ოპოზიციურად განწყობილ არისტოკრატთა ბელადი. ნერონის ბრძანებით თავის მოკვლა მიესაჯა და მან ვენების გადაჭრით დაასრულა სიცოცხლე (65 წ.). თრაზეას შესახებ მოგვითხრობენ ტაციტი, პლინიუსი, სვეტონიუსი, დიონ კასიუსი.

^[108] გაიუს პრისკუს ჰელვიდიუსი – თრაზეას სიმე, პრეტორი (70 წ.), სტოიკოსი და რესპუბლიკელი. იმპერატორმა ვესპასიანემ ჯერ გააძევა, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა (Suet. Vit. XII Caes., Vesp., 15).

^[109] მარკუს პორციუს კატონი (უმცროსი; უტიკელი) (95–46 ძვ. წ. ა.) – ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი და ფილოსოფოსი-სტოიკოსი, ცეზარის მოწინააღმდეგე სენატორ არისტოკრატთა იდეური ბელადი. პომპეუსის დამარცხების შემდეგ თავი მოიკლა. კატონის ცხოვრება ვრცლად აღწერა პლუტარქემ თავის «პარალელურ ბიოგრაფიებში».

^[110] დიონი (409–354 ძვ. წ. ა.) – ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე, პლატონის მოწაფე და მიმდევარი, სირაკუზელი ტირანის – დიონისიოს უმცროსის ბიძა, აღმზრდელი და მეგობარი, შემდგომ მისი ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი. მოღალატურად მოკლა კალიპემ. დიონის ბიოგრაფები არიან პლუტარქე და კორნელიუს ნეპოტი.

^[111] მარკუს იუნიუს ბრუტუსი (85–42 ძვ. წ. ა.) – ცნობილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და მწერალი, გაიუს იულიუს ცეზარის მკვლელი. ბრუტუსის შესახებ მოგვითხრობენ პლუტარქე, სვეტონიუსი, დიონ კასიუსი.

^[112] კლავდიუს მაქსიმუსი – ფილოსოფოსი-სტოიკოსი, მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი, კონსული (145 წ.), პანონიის ლეგატი (154 წ.), აფრიკის პროკონსული

(155–158 წწ.); vir sanctissimus (უწმინდესი კაცი) – ასე უწოდებს მას აპულიუსი (“Apologia”).

^[113] შდრ. ჰორაციუსის “Nil admirari”, (Epist. I, 6, 1).

^[114] იგულისხმება ტიტუს ელიუს ანტონინუს პიუსი (86–161) – რომის იმპერატორი (138–161); მისმა კეთილშობილებამ, ზნეობრივმა სიწმინდემ, კაცთმოყვარეობამ, რომაული რელიგიისა და ტრადიციებისადმი პატივისცემამ გამოხატულება ჰპოვა მეტსახელში “Pius” («ღვთისმოსავი»).

^[115] დედანში უბრალოდ, φαίδρσν მე გამოვდივარ სიტყვებიდან, რომლებითაც კაპიტოლინუსი ახასიათებს ანტონინუს პიუსს: ingenio clarus.

^[116] კაპიტოლინუსის მოწმობით, იმპერატორმა უარყო სენატის წინადადება – ანტონინუსისა და ფაუსტინას (ანტონინუსის მეუღლის) სახელები ეწოდებინათ სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებისათვის.

^[117] დედანში – οσαρνάκλσς ტრანსლიტერაცია ლათინური სიტყვისა vernaculus.

^[118] “praecipue sobrius” – ასე ახასიათებს ანტონინუსს კაპიტოლინუსიც.

^[119] პირველი საუკუნიდან მოყოლებული, რომში უკვე ჩვევად იქცა ტანის ყოველდღიური ბანა, მაგრამ ადრე, სენეკას მოწმობით, ეს მიუღებლად ითვლებოდა თურმე (იხ. М. Сергеевко, Жизнь дневного Рима, М. 1964, с. 144). ნუ დავივიწყებთ, რომ ანტონინუს პიუსი ტრადიციონალისტია.

^[120] აქ მე ვტოვებ ერთ წინადადებას, იმდენად შერყვნილს, რომ გამომცემელთა, მთარგმნელთა და კომენტატორთა ვერავითარმა მცდელობამ ვერ შესძლო მისი ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტირება. “Le passage reste obscur” – შენიშნავს ა. პ. ლემერსიე.

^[121] ცნობილია ამ დის სახელი: ანია კორნიფიცია; ცნობილია ისიც, რომ მარკუს ავრელიუსმა უარი თქვა მამისეულ მემკვიდრეობაზე საყვარელი დის სასარგებლოდ.

[122] იგულისხმება ლუციუს ელიუს ავრელიუს კომოდუს ვერუსი (130–169) – ჰადრიანეს მიერ ტახტის მემკვიდრედ დანიშნული ცეიონიუს კომოდუსის ძე. მამის სიკვდილის შემდეგ ჰადრიანეს ბრძანებით ის მარკუს ავრელიუსთან ერთად იშვილა ანტონინუს პიუსმა, მაგრამ ცეზარის წოდება არ უბოძებია. ამისდა მიუხედავად, მარკუს ავრელიუსმა ტახტზე ასვლისთანავე თანამოსაყდრედ დაისვა იგი. ისტორიკოსები ხატავენ მას როგორც მემთვრალეს, მემრუმესა და საცირკო სანახაობათა ტრფიალს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით ემსჭვალვოდა მარკუს ავრელიუსს.

[123] ჩვენთვის უცნობი სახელები.

[124] იგულისხმება ანია გალერია ფაუსტინა, უმცროსი (დაიბადა რომში 125 წ. გარდაიცვალა კაპადოკიაში 175 თუ 176 წ.) – იმპერატორ ანტონინუს პიუსისა და მარკუს ავრელიუსის მამიდის – ანია გალერია ფაუსტინას (უფროსი) ასული. ასე რომ, მეუღლე მამიდაშვილად მოხვდებოდა მარკუს ავრელიუსს. ფაუსტინა თან ახლდა ქმარს თითქმის ყველა მოგზაურობისას და თვით გერმანიის ომშიაც კი, სადაც ჯარისკაცებმა «ბანაკთა დედა» (Mater castrorum) შეარქვეს მას. მარკუს ავრელიუსს მისგან ჰყავდა 11 შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი – ლუციუს ელიუს ავრელიუს კომოდუსი (161–192) მამის სიკვდილის შემდეგ რომის იმპერატორი გახდა (180–192).

[125] ქალაქი კამპანიაში, ვერგილიუსის მიხედვით, დაარსებული ენეასის მიერ თავისი ძიძის – კაიეტას პატივსაცემად (დღევანდელი გაეტა).

[126] კვადები (Quadi, Κουάδοι) – დუნაის სანაპიროზე, დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელიც მარკომანებთან ერთად ებრძოდა რომს.

[127] გრანუა (გრანი) – დუნაის შენაკადი.

[128] . შდრ. სენეკა: «ბუნებამ ნათესავებად შეგვქმნა ჩვენ» (natura nos cognatos edidit, Epist. 95).

[129] შდრ. სენეკა: «კაცნი ურთიერთშეწევნისთვის არიან შექმნილნი» (homo in adjutorium mutuuum genitus est, De ira, I, 5).

[130] πνεύματιον – სტოელთა ნატურფილოსოფიაში, ერთგვარი უნივერსალური, მრჩობლი ბუნების მქონე, სუბტილური მატერიალურ-სულიერი სუბსტანცია, რომელიც განწონის შედარებით უხემ სხეულებს და ამა თუ იმ თვისებას (მაგ., სითბოს, ფერს და ა. შ.) ანიჭებს მათ. (იხ. С. Н. Трубецкой, Учение о Логосе, М. 1906, с. 43). მაგრამ ამ საკმაოდ ტევადი ტერმინის მნიშვნელობა მარტოოდენ ამით არ ამოიწურება. კერძოდ, აქ ის ნიშნავს άνεμος – მშვინვა (souffle, Atem, breath).

[131] τὸ ἡγεμονικόν– შინაგანი მძღოლი, წარმმართველი საწყისი (le guide intérieur, die führende Vernunft, the ruling Reason, руководящее начало) – უნივერსალური, ღვთაებრივი გონების ემანაცია, კაცის ერთგვარი «შინაგანი სიტყვა» λόγος ενδιάμετος განსხვავებით «წარმოთქმული სიტყვისაგან λόγος προφορικός»), რომელიც პირველის სიმბოლური გამოხატულებაა; ეპიქტეტესეული «წრფელი გონება» λόγος ὀρθός recta ratio), რომლის ძალითაც კაცი ეზიარება, ემსგავსება და ეტოლება კიდევაც ღმერთს. ამ ლოგოსში ის ჭეშმარიტად «ძეა ღვთისა» (σὶς τοῦ θεοῦ Dissert., I, 9, 6) (იხ. ს. ნ. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ., გვ. 48-49).

[132] მარკუს ავრელიუსმა ამ დროისთვის უკვე 50 წელს გადააბიჯა.

[133] τὰ τῶν θεῶν (создаемое богами; les oeuvres des dieux; das Walten der Gotter; the works of the Gods).

[134] მარკუს ავრელიუსი თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობს ტერმინებს – განგება (πρόνοια providentia) და ბედისწერა (εἰμαρμένη fatum). და მართლაც, სტოიციკური კონცეპციით, განგება აბსოლუტური აუცილებლობაა, კოსმიური კანონი, რომელიც წარმართავს და მართავს სამყაროს, ხოლო ბედისწერა ამ აუცილებლობით განპირობებული მოვლენაა მიზეზ-შედეგობრიობის სახით. მაგრამ თუ ანტიკური გაგებით ბედისწერა მიჩნეული იყო რაღაც ველურ და ფატალურ ძალად, რომლის წინაშე ქედს იხრიან თვითონ ღმერთები და რომელიც მათ თითქოს გარედან ეხვევა თავს, სტოიციზმი განგება-ბედისწერას სახავს ღვთაებრივი ნების შინაგან, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ აქტად, რომლითაც ღმერთი თანხმობას უცხადებს თავისსავე თავს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, სტოიციზმის პანთეისტური თვალსაზრისის გამო, ისეთი ცნებები, როგორცაა «ღმერთი» და «ბუნება», ხშირად

ემთხვევა «განგებას» და «ბედისწერას». ღმერთი, სამყარო, ბუნება, განგება, ბედისწერა, – «ყოველივე ეს ერთი და იგივე ღმერთის სახელება, ღმერთისა, რომელიც სხვადასხვაგვარად ავლენს თავის ძალმორჭმულებას» (Sen., De benef. IV, 8).

[135] ἡ τοῦ ὅλου φύσις (ἡ τῶν ὅλων φύσις, ἡ κοινή φύσις) – სამყაროს, როგორც ორგანული მთელის ბუნება. ს. როგოვინი თარგმნის: природа Целого (общая природа); ფრანგი მთარგმნელები: la nature universelle (la nature du tout); ა. მაუერსბერგერი: die Allmutter Natur (Allnatur); კ. რ. ჰეინზი: the Nature of the Whole (of the Universe).

[136] ὑβριζέις, ὑβριζέις... – ირონიული იმპერატივები: “impératives d’impatience ironique” (M. Puech).

[137] შდრ. პერსიუსი, III, 2: “...Quem te dues esse jussit, et humana qua parte locatus es in re”.

[138] თეოფრასტე (372–287 ძვ. წ. ა.) – არისტოტელეს მოწაფე და მიმდევარი.

[139] მარკუს ავრელიუსი აქ შორდება სტოელთა მკაცრად დოგმატურ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი შეცოდება თანაბრად მძიმეა.

[140] ტექსტში ამ ადგილას აკლია ზმნა. Gataker-ი აღადგენს: παρέχουσιν.

[141] შდრ. სენეკა: «სიკვდილი ბუნების კანონია» (mors naturae lex est, Nat. quaest. VI, 32).

[142] პინდარეს სიტყვები, სხვათა შორის, ციტირებულნი პლატონის მიერაც (თეეტეტი, 173 E).

[143] სტოიციზმმა გაიზიარა სოკრატესა და პლატონის სწავლა ადამიანის სულში ღმერთის (დემონის) პრეზენციის შესახებ. «შენ ყველგან თან დაატარებ ღმერთს», ამბობს ეპიქტეტე (Dissert. II, 8, 18); «ახლო არს ღმერთი, შენთან არს, შენში არს», ამბობს სენეკა (prope est a te Deus, tecum est, intus est; Epist. 41). ცოტა ქვემოთ ის «წმიდა სულს» უწოდებს ამ შინაგან დემონს, ყველა ჩვენი კეთილისა თუ ბოროტის დარაჯს და მჭვრეტს (sacer intra nos spiritus sedet, malorum bonorumque nostrorum observator et custos, ibid). კაცი, რომელიც ზნეობრივ სრულქმნილებას სახავს თავისი სიცოცხლის მიზნად, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს საკუთარ სულში დამკვიდრებულ

ღვთაებას, დემონს. მხოლოდ ამ გზით იქცევა ის «კაციდან ღმერთად», როგორც იტყოდა ეპიქტეტე (θεός ἐξ ἀνθρώπου Dissert. II, 19, 27).

[144] შდრ. სენეკა: «მე არც წარსული მეკუთვნის და არც მომავალი; მალემსრბოლი დროის ერთ წერტილზე ვკიდევარ» (nec quod futurum est meum est, nec quod fuit, in puncto fugientis temporis pendeo, Nat. quaest. VI, 3).

[145] სირაკუზელი, დიოგენეს მოწაფე. «სექსტუს ემპირიკუსსთან ვხვდებით დოგმას, რომელსაც უნდა გულისხმობდეს მარკუს ავრელიუსი: «კინიკოსი მონიმე ამბობს, რომ ყველაფერი ფუჭი მოჩვენებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარი წარმოდგენებით არსებობას ვანიჭებთ არარსებულს» (ა. პიერონის შენიშვნა).

[146] იგულისხმება სამყარო. კოსმოსის, როგორც უნივერსალური, «უფლის ქალაქის» (Civitas Dei) იდეა პირველად ჩაისახა სტოიციზმში. კაცის ჭეშმარიტი სამშობლო სამყაროა (mundus est nobis patria, Sen., De tranqu. IV, 4); აქედან – სტოელთა «ზნეობრივი უნივერსალიზმი, რომელიც პირველად მალღდება საყოველთაო ძმობის იდეამდე. აღარ არსებობს ათენელი და კორინთელი: ყველა კაცი ერთმანეთის ძმაა, როგორც ძენი ერთი მამისა. ამ ჭეშმარიტების შეგნება შლის ყოველგვარ სოციალურ და ნაციონალურ განსხვავებას თუ უთანასწორობას: მონა ძმად იქცევა, უცხოთესლი – თვისტომად და კოსმოპოლიტიზმი იკავებს ნაციონალური სახელმწიფოს იდეალის ადგილს» (ს. ნ. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ., გვ. 51).

[147] ασι(substantia).

[148] შდრ. სენეკა: vivere militare est, Epist. 96.

[149] პანონიის ქალაქი, მარკუს ავრელიუსის საზამთრო სადგომი კვადებსა და მარკომანებთან ომის დროს.

[150] დედნისეული ἔαυτα χρήσθαι-ს პირდაპირ თარგმნას თითქმის ყველა მთარგმნელი არიდებს თავს და მართებულადაც. ამ ფორმულას, რომელიც, ა. პიერონის აზრით, ძველ სტოელთაგან უნდა მომდინარეობდეს, არაერთხელ იყენებს სენეკაც, მაგ.: vivit is qui se utitur, Epist. 60.

[151] დედანში: ა. მაუერსბერგერი თარგმნის: die Begleiterscheinungen natürlicher Vorgänge... ა. ი. ტრანუა: circonstances accessoires des productions naturelles...

[152] ჰიპოკრატე (დაახლ. 460 – დაახლ. 356 ძვ. წ. ა.) – სახელგანთქმული ბერძენი მკურნალი და მეცნიერი.

[153] იგულისხმება ჰერაკლიტეს მოძღვრება ყოველი «მსოფლიო წლის» (ჰერაკლიტეს მიხედვით, 10800 წ.) დამლევს სამყაროს ხანძარში დანთქმის (εκπύρωσις) შესახებ, რის შემდეგაც იწყება სამყაროს ხელახალი ფორმირების (παλιγγενεσία) პროცესი. ეს «მსოფლიო ხანძარი» (der Weltbrand) მიჩნეულია ერთგვარი კოსმიური განკითხვის აქტად: «მოვა ცეცხლი და განსჯის და განიკითხავს ყოველს» πάντα γάρ, φησί. Τό πυρ εγένεθον κρινεί και καταλήψεται ἢ H. Diels, fr. 66).

[154] ძველი გადმოცემის თანახმად, წყალმანკით დაავადებულმა ჰერაკლიტემ რჩევა სთხოვა ექიმებს, როგორ შეიძლებოდა ამ ინონდაციის სიმშრალედ ქცევა. ექიმებმა ურჩიეს ძროხის ნეხვი წაეცხო ტანზე.

[155] სხვა მოწმენი არ ეთანხმებიან მარკუს ავრელიუსს. ასე, დიოგენე ლაერციუსის მოწმობით, დემოკრიტე ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, ხოლო ლუკრეციუსის თანახმად, მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

[156] სენეკა ამბობს: «მე უფრო დიდი ვარ და უფრო დიდი რამისთვის შობილი, ვიდრე მსახურება ჩემივე სხეულის მიმართ» (mayor sum et ad mayora genitus, quam ut mancipium sim mei corporis, Epist. 65).

[157] შდრ. II, 8, 13.

[158] ζῶον κοινωνικόν– animal sociale (Sen. De benef. I, 7).

[159] შდრ. II, 13, 17; III, 5, 6, 12, 16. შდრ. წმ. პავლე, 1 კორინთ. III, 16: არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკვიდრებულ არს თქუენ შორის?

[160] დედანში: συνεμφεται τε και συνεμφρει – თარგმანში გადმოუცემელი სიტყვათა თამაში.

[161] როგორც ჩანს, «მარკუს ავრელიუსი აქ უნდა გულისხმობდეს რომაული სასამართლო პროცესის ერთ თავისებურებას: თუ პრეტორი შეუძლებლად მიიჩნევდა პირველსავე სხდომაზე დაემთავრებინა საქმის გარჩევა, ის უშვებდა მოპასუხეს, მაგრამ, ამასთან, პირობას (vadimonium) ართმევდა მას, აუცილებლად გამოცხადებულიყო მომავალ სხდომაზე. პირობის შესრულება, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა გარანტირებული ყოფილიყო თავმდებობით (cum satisdatione) ან საზეიმო ფიცით (iusiurandum, ὅρκος)» – ს. როგოვინის შენიშვნა.

[162] შდრ. VII, 12.

[163] შდრ. პლატონი, ტიმეოსი, 61 D.

[164] შდრ. სენეკა: «ღმერთმა გვიბოძა ორი ისეთი რამ, რომელთა წყალობითაც სუსტი კაცი უძლიერესის ადგილს იმკვიდრებს ყველა სხვა არსთა შორის: ესაა გონება და მოქალაქეობა» (De benef. IV, 18).

[165] ძველთუბველესი ფორმულა, რომლის ავტორობასაც პლუტარქე მიაწერს პიტაგორას.

[166] დედანში: ἐμφαλευσον – პირდაპირ – «ბუნაგში დამალული» (terré en un trou).

[167] დედანში: τὴν ὑποληπτικὴν δύναμιν (facultatem opinatricem, Gataker; facultatem, e qua opinioniones nascuntur, Schultz).

[168] დედანში: ἀπροπτασία ზენონი განსაზღვრავდა ამ სიქველეს, როგორც ცოდნას, რომელსაც ძალუმს მიგვახვედროს როდის და რას განვუცხადოთ ან არ განვუცხადოთ ჩვენი თანხმობა (assensus, συγκατάθεσις) – იხ. შენიშვნები, VII, 39.

[169] შდრ. II, 14.

[170] შდრ. VIII, 21; XI, 16.

[171] შდრ. IV, 3.

[172] შდრ. II, 17.

[173] შდრ. XII, 10, 18.

[174] «სტოელნი სამყაროს ადარებენ ხან ორგანიზმს, რომლის ყველა ურთიერთსოლიდარული ნაწილი ერთსულოვნად ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს – სამყაროს კონსერვაციას..., ხან კიდევ ქალაქს, სადაც კანონებით გაერთიანებული გონიერი არსებანი თანამოქალაქეებად გვევლინებიან... ეს ორი შედარება ერთმანეთს ავსებს: პირველის თანახმად, უნივერსალურ სისტემაში ყოველ ინდივიდს საკუთარი მოვალეობა და საკუთარი ხვედრისადმი მორჩილება ეკისრება, მეორის თანახმად კი, თვითეულს, როგორც გონიერ არსს, ხელეწიფება შეიცნოს თავისი როლი სამყაროში და ნებაყოფლობით იკისროს მისი შესრულება. სწორედ ეს განასხვავებს პრინციპულად კაცს ცხოველისგან: მისთვის ნიშნეულია არა მარტო მეორე კერძო არსის სარგებლიანობისადმი დაქვემდებარებული მოქმედება, არამედ სამყაროში საკუთარი როლის შეგნებაც. ის სამყაროში, უბრალოდ ისე კი არაა, როგორც ორგანო ორგანიზმში, არამედ როგორც მოქალაქე რესპუბლიკაში» (J. Moreau, Epictète, Paris, 1964, p. 64). იხ. აგრეთვე შენიშვნები, II, 19.

[175] სტოიციზმის თანახმად, ერთადერთი ჭეშმარიტი სიკეთე სათნოებაა (ἀρετή virtus), ხოლო ერთადერთი ბოროტება – ბიწი (κακία vitium). ყოველივე სხვა დანარჩენი კი მათ შორის ძვეს და მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიკეთედ ან ბოროტებად. ამ ინტერმედიალურ ფენომენტ სტოელნი იხსენიებენ როგორც «საშუალო» (μέσα media), ანუ «განურჩეველთ» (ἀδιάφορα indifferentes). მაგრამ მათ შორისაც არის გარკვეული განსხვავება ზნეობრივი შეფასების თვალსაზრისით. სენეკა პირდაპირ ამბობს: “est et horum, quae media appellamus, grande discrimen”, Epist. 82. კერძოდ, ზოგიერთი «საშუალოთაგანი» უფრო მეტად უახლოვდება ჭეშმარიტ სიკეთეს. სტოელნი მათ უწოდებენ «უპირატესთ» (προϊγμένα producta).

[176] ე. ი. ღვთაებრივის და კაცურის.

[177] გაურკვეველია, რომელ წიგნს გულისხმობს მარკუს ავრელიუსი – «ფიქრებს» თუ იმ თხზულებას, რომელიც საეკლესიო მწერლის ნიკეფორუს კალისტუსის მოწმობით თავისი ძის დასამოძღვრად დაუწერია იმპერატორს და რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ა. პიერონის აზრით, აქ სწორედ ეს უკანსაკნელი იგულისხმება.

[178] შდრ. ფრონტონი, Ad Caes. II, 10: “excerpta ex libris sexaginta in quinque tomis”...

[179] ἀνδράγαθος – პირდაპირ, ჰერმადროდიტს, აკუმს ნიშნავს. აქ იხმარება ფიგურალურად, ზნეობრივი სიმდაბლის მნიშვნელობით.

[180] აგრიგენტელი ტირანი (565–549 ძვ. წ. ა.), ცნობილი თავისი სისასტიკით და გულმხეცობით.

[181] შდრ. რუსთაველი: «რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს».

[182] დედანში: μεθ' ὑπερβαρῶν σπουδῶν, «არასდროს არ უნდა განაცხადო აბსოლუტისტურად: მე ვიქმ ამას და ამას, მე წავალ აქა და აქ, და ა.შ. ყოველთვის უნდა გულისხმობდე რაიმე ხელისშემშლელსა და დამაბრკოლებელს, რათა არასდროს იწვნიო იმედგაცრუების სიმწარე. სწორედ ამას აღნიშნავს სიტყვა ὑπερβαρῶν საკუთრივ, გამორიცხვა, გამონაკლისი (გადატანით, წინდახედულება, სიფრთხილე)» – ა. პიერონის შენიშვნა. შდრ. სენეკა: «ბრძენი... ყველაფრის მიმართ სიფრთხილეს იჩენს: ხომ არ აღმოჩნდება რაიმე ხელისშემშლელი?» (sapiens... ad omnia cum exceptione veniet, si nihil inciderit, quod impediatur, De benef. IV, 34).

[183] შდრ. V, 20; VI, 50. შდრ. სენეკა: «უბედურება სიქველის გამოვლენის პირობაა» (calamitas virtutis occasio est, De provid. IV, 6).

[184] შდრ. VII, 28. შდრ. პლოტინი I, VI: «მიიქეც შენად და შეიცან შენივე თავი».

[185] შდრ. III, 13.

[186] შდრ. VII, 22, 63; XI, 18 (3). სტოიციზმის მიხედვით, ნებელობა მხოლოდ ჩვენი შინაგანი განსჯითაა განპირობებული. «კაცი ყოველთვის ცდილობს იმოქმედოს ისე, როგორც თვითონ ეპრიანება, საკუთარი განსჯის (judgement) თანახმად, მაგრამ ყოველთვის როდი ახერხებს ჰყოს ის, რაც სურს, თუნდაც იქმოდეს მას, რის ქმნაც გადასწყვიტა. ამით აიხსნება საერთო აზრის (sens commun) პროტესტი სოკრატული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, რომლის მტკიცებითაც ნებელობა განსჯითაა განპირობებული; ასე მართლდება წმ. პავლეს სიტყვები: მე ჩემდა უნებურად ვპყვით ბოროტს. ეს პარადოქსი ნებელობისა, რომელიც თავის თავს ეწინააღმდეგება და რომელიც თავისდა უნებურად ახდენს არჩევანს,... ნების აბსოლუტისტურ

მისწრაფებასა და მის პარტიკულარულ დეტერმინაციათა შორის არსებული დისპროპორციის შედეგია... ნება, რომელიც აბსოლუტურად მიელტვის სიკეთეს, მხოლოდ და მხოლოდ პარტიკულარული წარმოდგენებითაა დეტერმინირებული, წარმოდგენებით, რომელთაგან არცერთი არ შეიცავს აბსოლუტურ სიკეთეს მთელი თავისი სიცხადით... აქედან, ნების ესოდენ ხშირი ცთომილება; მაგრამ ეს ცთომილება არანანდაურია (vouslu)» (ჟ. მორო, დასახ. ნაშრ., გვ. 35–36). შდრ. პლატონი, გორგია, 466C–468E. შდრ. წმ. პავლე, რომ. VII, 19–20: რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ, რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად.

[187] შდრ. ძველი ქართველი პოეტი:

«მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა!

სადა არს შური, საოცრაზად და ხდომად

სადა არს ძვირის ხსენებად და ზვაობად

და ხორცთა გულისთქმანი, აჰა, ესერა –

მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი!»

[188] შდრ. VIII, 17; IX, 28, 39. «განგებისა» და «ატომების» დაპირისპირებით მარკუს ავრელიუსი ეპაექრება ეპიკურესეულ ატომიზმს, რომელიც მთლიანად უკუაგდებს სტოელთა ტელეოლოგიურ შეხედულებებს და რომელსაც ყველაფერი ატომთა მექანიკურ, შემთხვევით კომბინაციებამდე დაჰყავს.

[189] შდრ. IV, 4, 23; X, 15; XII, 36. შდრ. წმ. პავლე, ფილიპ. III, 20: ხოლო ჩუენი მოქალაქობად ცათა შინა არს. იხ. აგრეთვე შენიშვნები, II, 19, III, 25.

[190] შდრ. V, 14; VII, 28.

[191] შდრ. III, 10; IV, 19; VIII, 21.

[192] შდრ. VII, 9.

[193] შდრ. VII, 64.

[194] შდრ. V, 17.

[195] შდრ. XII, 16.

[196] შდრ. IV, 39; VII, 14, 29; IX, 7; XII, 25. სტოიციზმის მიხედვით, ადამიანის ერთ-ერთი ზნეობრივი მოვალეობა ტანჯვისა თუ ტკივილის მიმართ სრული უგრძობელობისა ἀπάθεια და აბსოლუტური აუმღვრეველობის ἀταραχία გამომუშავებაში მდგომარეობს. ამის მისაღწევად კაცმა, უპირველეს ყოვლისა, თავიდან უნდა მოიცილოს, მოიკვეთოს ის სუბიექტური ელემენტი, რომელიც გამოიხატება მის შიშში ეგრეთწოდებული ბოროტების მიმართ, უნდა მოიკვეთოს წარმოდგენა ბოროტებაზე.

[197] შდრ. II, 11; VII, 64.

[198] შდრ. X, 25.

[199] შდრ. VI, 21, 30; VIII, 16.

[200] λόγος σπερματικός იგულისხმება დასაბამიერი ცეცხლი, იგივე მარადიული გონება, ყოველი ქმნადისა თუ ქმნილის დასაბამი და თესლი. პირველი ქრისტოლოგები ქრისტეს აღსანიშნავად იყენებდნენ ამ ტერმინს.

[201] მარკუს ავრელიუსი უნდა გულისხმობდეს ბერძნულ ანდაზას: ἢ μέος ἢ φίριον – ან ღმერთი, ან მხეცი (შდრ. Arist. Eth. VII, 1).

[202] შდრ. III, 4.

[203] აგათონი (448–401 ძვ. წ. ა.) – ბერძენი დრამატურგი.

[204] დედნისეული ტექსტი შერყვნილია. მე მივყვები ს. როგოვინის ინტერპრეტაციას.

[205] შდრ. VII, 15.

[206] სტოელთა უმრავლესობა მერყეობს ინდივიდუალური სულის უკვდავების უარყოფასა და ამ უკვდავების აღიარებას შორის. შდრ. III, 3; VI, 24; VII, 32, 50; VIII, 25,

58; XII, 5. შდრ. სენეკა: «რაა სიკვდილი? დასასრული, ანდა გარდასვლა» (mors quid est? aut finis, aut transitus, De provid. VI, 6).

[207] როგორც ჩანს, მარკუს ავრელიუსი აქ იზიარებს კლევანტეს კონცეპციას, რომლის მიხედვითაც, «ინდივიდუალური სულების აბსორბცია ღვთაებრივი სუბსტანციის მიერ მხოლოდ სამყაროს ხანძარში დანთქმის მომენტში ხდება, როცა ყოველი სხეული ცეცხლად იქცევა და როცა არსთა სიმრავლე და სხვადასხვაობა კვლავ უბრუნდება მათი საერთო საწყისის ერთიანობას, სანამ ხელახლა არ დაიწყება ცეცხლის დასაბამიერი სუბსტანციის დივერსიფიკაცია და, ამრიგად, ახალი ციკლიც – მიწყვი იდენტური – სამყაროს ისტორიაში» (ჟ. მორო, დასახ. ნაშრ., გვ. 74).

[208] ნივთიერი საწყისი (τὸ σλικόν) – მატერია, ფორმალურ-მიზეზობრივი საწყისის სამოქმედო მასალა. ფორმალური საწყისი (τὸ ἀίτιωδὲς) – კაუზალური, ფორმალური ან მაფორმირებელი პრინციპი, რომელიც საგანს აქცევს იმად, რაც არის. შდრ. VI, 5; VII, 29; VIII, 11; XII, 8, 10, 18, 29.

[209] ἐκ σου πάντα, ἐν σοί πάντα, εἰς σέ πάντα შდრ. წმ პავლე, რომ. XI, 36: ἐξ αὐτοῦ δι αὐτοῦ εἰς αὐτοῦ τὰ πάντα (რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი).

[210] ატიკის პირველი ლეგენდარული მეფე. კეკროპსის სატახტო ქალაქი იყო ათენი.

[211] ფრაგმენტი არისტოფანეს ჩვენამდე არმოღწეული პიესიდან.

[212] დემოკრიტეს სიტყვები (შდრ. Stob. I, 100).

[213] შდრ. IV, 37; IX, 37.

[214] შდრ. IX, 4, 38.

[215] შდრ. IV, 17.

[216] შდრ. VI, 10. მ. ავრელიუსი განაგრძობს კამათს ეპიკურეიზმთან. იხ. აქვე, შენ. 7.

[217] . შდრ. X, 25.

[218] ბერძენ ფილოსოფოსთაგან მხოლოდ კინიკოსები არ ატარებდნენ ქიტონს.

[219] რომის ისტორიაში ამ სახელით ცნობილია, სულ ცოტა, 5 პიროვნება მაინც. მარკუს ავრელიუსი, ალბათ, გულისხმობს მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულს – მარკუს ფურიუს კამილუსს (V–IV ს. ძვ. წ. ა.) – ვეიებისა და გალების მძლეველს, ხუთგზის დიქტატორს.

[220] ალბათ, ფაბიუს ვიბულანუს ცეზონი (V ს. ძვ. წ. ა.) – კონსული, გმირულად დაღუპული თავის 306 თანამოგვარესთან ერთად ვეიების წინააღმდეგ ბრძოლაში (479 წ.).

[221] უცნობია.

[222] ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი. დაიღუპა 322 წ. ძვ. წ. ა. ათენელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

[223] ბედისწერის ერთი სამ ქალღმერთთაგანი.

[224] იხ. აქვე, შენ. 15.

[225] შდრ. II, 11.

[226] ეპიქტეტეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ეს სიტყვები არ მოიპოვება.

[227] შდრ. II, 17; V, 23; VI, 15; VII, 19.

[228] შდრ. VI, 38; VII, 9.

[229] H. Diels, fr. 76.

[230] შდრ. VI, 15, 50.

[231] პომპეი და ჰერკულანუმი განმარტებას არ საჭიროებენ, ჰელიკე – აქაიის ქალაქი, რომელიც ზღვაში ჩაიძირა 373 წ. ძვ. წ. ა.

[232] როგორც ა. პიერონი ამბობს, «რომის ისტორიაში იმდენი მსგავსი სახელები გვხვდება, რომ ძნელი დასადგენია – ვის უნდა გულისხმობდეს მარკუს ავრელიუსი».

[233] დედანში: *τριყερვიος* – მახვილგონივრული შერწყმა ორი სიტყვისა: *τριყერავ* (სამგზის მოხუცი; ნესტორის ეპითეტია) და *Γερვიος* (გერენონელი, ქალაქ გერენონის მკვიდრი; აგრეთვე ნესტორის ფსევდონიმი).

[234] იხ. შენიშვნები, I, 23.

[235] წმ. ლუკა, VI, 34: და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა?

[236] შდრ. სენეკა: «რაოდენ ტკბილია და ძვირფასი ქველმოქმედება, როცა ქველმოქმედი არას იღებს რა სანაცვლოდ, და რა მოგცემს, მყის ივიწყებს, რომ მოგცა» (*quam dulce, quam pretiosum est, si gratias sibi agi non est passus, qui dedit; si dedisse, dum dat, oblitus est!* De benef. II, 6). შდრ. წმ. მათე, VI, 3: ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი. შდრ. VII, 73; IX, 42.

[237] მკურნალობის უფალი ბერძნულ მითოლოგიაში. მისი სახელი ექიმის აღსანიშნავადაც იხმარებოდა.

[238] შდრ. IV, 26.

[239] ეს იყო ღრუბლის ძალზე მსუბუქი და ნაზი სახეობა, ე. წ. *penicillus*.

[240] პლინიუსიც გვიმოწმებს, რომ კვერცხი თვალის ტკივილის წამლად იხმარებოდა.

[241] შდრ. ციცერონი: «ვისა აქვს ისე მახვილი მზერა, რომ ამ წყვდიადში ერთხელაც არ წაიფორხილოს?» (*quis est tam lynceus, qui in tantis tenebris nihil offendat, nusquam incurrat?* Ad fam. IX, 2).

[242] შდრ. VI, 34.

[243] მენანდრე, fragm. 530 (Kock).

[244] იხ. შენიშვნები, IV, 27. აქ იგულისხმება გონება (სული) (νοῦς) და სხეული (σῶμα).

[245] შდრ. V, 32; XI, 1.

[246] κατορθώσις (recte facta – ციკრონი) – «წრფელი გონებისეულ» (იხ. შენიშვნები, II, 4) აქტთა აღმნიშვნელი ტერმინი. სტოიციკურ ლიტერატურაში ამ სიტყვის უფრო ხშირად ხმარებული სინონიმია καθήκοντα (officia).

[247] შდრ. V, 30; VII, 55; XI, 18 (1). შდრ. წმ. პავლე, რომ. XII, 4–5: ვითარცა ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს, ხოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს, ეგრეცა ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თვითოეული ურთიერთას ასოებ ვართ.

[248] შდრ. წმ. პავლე, 1 კორინთ. X, 13: განსაცდელი თქუენ არა შეგემთხვა, გარნა კაცობრივ; ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროდს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებადცა, რაითა შეუძლოთ დათმენად.

[249] შდრ. სენეკა: «ბავშვები და ჭკუიდან შეშლილნი არ უფრთხიან სიკვდილს; და განა სამარცხვინო არ იქნება, თუ გონება ვერ გვაზიარებს იმ სიმშვიდეს და უშიშობას, რასაც უგუნურება გვანიჭებს?» (...nec pueros, nec mente lapsos timere mortem; et esse turpissimum, si eam securitatem nobis ratio non praestat, ad quam stultitia perducit, Epist. 36).

[250] შდრ. XI, 16.

[251] შდრ. VI, 8.

[252] დედანში: αυτοῦς უფრო სწორი იქნებოდა αὐτόν (ასევე ფიქრობს კ. რ. ჰეინზიცი).

[253] შდრ. VIII, 41.

[254] შდრ. სენეკა: «რა ადგილიც უჭირავს სამყაროში ღმერთს, იგივე ადგილი უჭირავს ადამიანში სულსაც; და რაც ღმერთისთვის არის უნივერსალური მატერია, იგივეა ჩვენთვის სხეულიც» (quem in hoc mundo locum Deus obtinet, hunc in homine animus, quod est illic materia, id nobis corpus est, Epist. 65).339

[255] შდრ. VI, 54; X, 6.

[256] ἡ σύμπασα οὐσία (ἡ τῶν ὅλων οὐσία) – უნივერსალური მატერია (la matière universelle; die Substanz des Weltganzen; the universal Substance).

[257] შდრ. წმ. მათე, XVIII, 15: ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი შენი.

[258] τὸν ζῆν ἔξειμι სტოიციზმი დასაშვებად თვლის თვითმკვლევლობას, ხოლო სენეკა თვითმკვლევლობის ჭეშმარიტ აპოლოგეტად გვევლინება: «ხედავ იმ ფრიალო კლდეს? მისი ქიმიდან იწყება თავისუფლების გზა. ხედავ იმ ზღვას, იმ ჭას, იმ მდინარეს? მათ ფსკერზე წევს თავისუფლება. ხედავ იმ დაბალ, იმ ბრუნდე და უნაყოფო ხეს? მის ტოტზე ჰკიდია თავისუფლება. ხედავ შენს ყელს, შენს კისერს, შენს მკერდს? ყველა ამ ბჭით შეგიძლია გაექცე მონობას» (De ira, III, 15). ამ სიტყვების ერთგვარ თეატრალურ პომპეზურობას ნაწილობრივ ისყიდის ის ფაქტი, რომ მათმა ავტორმა თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე.

[259] ამ გამოთქმის პირველწყარო უცნობია. ა. ი. ტრანუა ძველ ანდაზად მიიჩნევს მას.

[260] ჰომეროსი, ოდისეა, IV, 690.

[261] ჰესიოდე, საქმენი და დღენი, 197.

[262] იხ. შენიშვნები, IV, 25.

[263] ἀνέχεσθαι... καὶ ἀπέχεσθαι – ცნობილი სტოიციკური ფორმულის: sustine, abstine! (დაითმინე, ეკრძალებ!) კონკრეტული ილუსტრაცია.

[264] დედნისეული ტექსტი შერყვნილია და ნაკლულოვანი.

[265] იხ. შენიშვნები, V, 23. ნეოპლატონიზმისთვის, რომელიც მატერიას განიხილავს, როგორც «არაარსს» და «დასაბამიერ ბოროტებას», მატერია «ურჩია» (პლოტინი, ენეადა I, VI, 3), სტოიციზმისთვის კი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია უსხეულმყოფელი სამყარო, მატერია «მორჩილია და მომყოლი». თუმცა სენეკა ამბობს: «შემოქმედს არ ძალუძს მატერიის შეცვლა» (non potest artifex mutare materiem, De provid. V).

[266] შდრ. სენეკა «სიცოცხლის ერთი დანიშნულებაა სიკვდილი» (unum ex vitae officii, mori, Epist. 77).

[267] შდრ. VIII, 25.

[268] შდრ. V, 6.

[269] იხ. შენიშვნები, IV, 7, 35.

[270] ჰომეროსი, ილიადა, VII, 99.

[271] ფალერნი – ადგილი კამპანიაში (ager Falernus), სადაც აყენებდნენ ამავე სახელწოდების საუცხოო ხარისხის ღვინოს.

[272] კრატესი (IV ს. ძვ. წ. ა.) – თებელი, კინიკოსი ფილოსოფოსი, ზენონის პირველი მასწავლებელი. ქსენოკრატე (IV ს. ძვ. წ. ა.) – ცნობილი ფილოსოფოსი, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე (339–314) სათავეში ედგა ძველ აკადემიას. ჩვენ არ ვიცით, რა თქვა კრატესმა ქსენოკრატეს მიმართ.

[273] შდრ. VI, 41.

[274] შდრ. IV, 46; IX, 28.

[275] შდრ. წმ. მათე, VII, 14: ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა...

[276] შდრ. სენეკა: «ვიბადებით, არა როგორც ურთიერთსწორნი და ვკვდებით, როგორც სწორნი» (impares nascimur, pares morimur, Epist. 66). შდრ. რუსთაველი: «მისგან გასწორდეს ყოველი»...

[277] შდრ. V, 28.

[278] იგულისხმება იმპ. ანტონინუს პიუსი. შდრ. ეს პარაგრაფი I, 16-ს.

[279] შდრ. III, 2.

[280] შდრ. II, 14; IV, 32; VII, 1, 49; XI, 1; XII, 24 (3), შდრ. ეკლესიასტე, I, 9–10: რად ყოფილი, იგივე ყოფადი, და რად ქმნადი, იგივე ქმნული. და არა რად არს ახალ მზესა ქუეშე.

[281] შდრ. ეპიქტეტე, სახელმძღვ. I, 27, 13: «საგანთაგან ზოგი ჩვენზეა დამოკიდებული, ზოგი კი არა. ჩვენზეა დამოკიდებული: განსჯა, ნებელობა, სურვილი, ზიზღი, მოკლედ, ყოველივე ის, რაც ჭეშმარიტად ჩვენი საქმეა. ჩვენგან დამოუკიდებელია: სხეული, სიმდიდრე, პატივი, ძალაუფლება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც ჩვენი საქმე არ არის. ის, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ბუნებით თავისუფალია, თავისთავადი და თავახსნილი, ხოლო ის, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული, უძლურია, არათავისუფალი, თავდაბმული და, ამასთან, უცხოა ჩვენთვის. მაშ, გახსოვდეს, რომ თუ ბუნებით არათავისუფალს შენ მიიჩნევ თავისუფლად, ხოლო შენთვის უცხოს – შენეულად, თვითონვე შეიკრავ გზას და იძულებული იქნები, ვნებათაგან ამღვრეულმა, უკვდავნი თუ მოკვდავნი ჰგმო. და, პირიქით, თუ შენ შენეულად მიიჩნევ მას, რაც ჭეშმარიტად შენია, ხოლო შენთვის უცხოს – იმად, რაც არის, ე. ი. უცხოდ, ველარავინ შეგიკრავს გზას და შეგავიწროებს, აღარასოდეს აღიძვრი ვისიმე ყვედრებად და გმოზად»...

[282] მარკუს ავრელიუსი ერთადერთი ავტორია, რომელმაც ჰერაკლიტეს ეს მშვენიერი სიტყვები შემოგვინახა (იხ. H. Diels, fr. 75).

[283] ქრისიპე (დაახლ. 282 – დაახლ. 208 ძვ. წ. ა.) – ზენონის მოწაფე და მიმდევარი, სტოიციზმის უდიდესი სისტემატიზატორი. პლუტარქეს თავის ტრაქტატში «სტოელთა წინააღმდეგ» (Adv. Stoic. 13, 14) მოჰყავს ქრისიპეს სიტყვები, რომელთაც უნდა გულისხმობდეს მარკუს ავრელიუსი: «როგორც კომედიებში ვხვდებით ხოლმე

სუსტსა და სასაცილო ლექსს, რომელიც თუმცა თავისთავად უფასურია, მაგრამ მაინც გარკვეულ მომხიბვლევლობას ანიჭებს მთელს ქმნილებას, ისე ბიწიც თავისთავად საგმობია, მაგრამ არა უსარგებლო სხვა რიგის ფენომენტათვის».

[284] კარპოფორა – დემეტრას ეპითეტი («ნაყოფთა მომტანს» ნიშნავს).

[285] შდრ. სენეკა, De otio, XXXI: «ჩვენ აზრით მოვიცავთ ორ რესპუბლიკას: ერთი ვრცელია, ჭეშმარიტად საერთო ქალაქი, რომელიც გარემოიცავს ღმერთთაც და კაცთაც, და რომელშიაც ჩვენი წილი გარკვეული სივრცით კი არ ისაზღვრება, არამედ განფენილია ისევე ფართოდ, როგორც მზის შუქი; მეორე – მცირე, რომელიც ჩვენმა დაბადებამ გვისამშობლოვა და რომელსაც ათენის, კართაგენის ან რომელიმე სხვა ქალაქის სახელი ჰქვია»...

[286] იხ. შენიშვნები, III, 26.

[287] სამივე სახელი უცნობია.

[288] ევდოქსე (IV ს. ძვ. წ. ა.) – ცნობილი ბერძენი მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი, მედიკოსი და ფილოსოფოსი, პლატონის მოწაფე. ჰიპარქე (II ს. ძვ. წ. ა.) – დიდი ბერძენი ასტრონომი და მათემატიკოსი.

[289] მენიპე გადარელი (III ს. ძვ. წ. ა.) – ბერძენი ფილოსოფოსი-კინიკოსი.

[290] λίτρα (ლათ. libra) – წონის საზომი ერთეული – 327,45 გ.

[291] შდრ. IV, 1; V, 20; VIII, 41.

[292] მე ვკითხულობ ტრანუას მიხედვით: ἤ τὰ δόγματα და ა.შ.

[293] შდრ. IV, 12; VII, 7.

[294] შდრ. IV, 33; VIII, 21.

[295] შდრ. წმ. მათე, VI, 34: ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა. კმა არს დღისაჲ მის სიბოროტე თვისი.

[296] შდრ. IV, 4, 45; VI, 38.

[297] შდრ. II, 12.

[298] შდრ. სენეკა, «ერთი და იგივეა, ცხოვრობდე ნეტარის ცხოვრებით და ცხოვრობდე ბუნების თანახმად» (*idem est ergo beate vivere et secundum naturam*, *De vit. beat.* VIII).

[299] დედანში სიტყვების თამაშია: μέλις – ასო, ორგანო და μέρις – ნაწილი.

[300] მარკუს ავრელიუსს იმის თქმა სურს, რომ სიტყვა «ასო» ამ შემთხვევაში «ნაწილზე» უფრო სრულყოფილად გამოხატავს არა მარტო ნაწილის ორგანულ ერთიანობას მთელთან, არამედ ნაწილთა ერთიანობასაც ერთმანეთთან. შდრ. წმ. პავლე, 1 კორინთ. XII, 14–27.

[301] იხ. შენიშვნები, IV, 15; შდრ. VII, 16, 17.

[302] ბედნიერება ბერძნულად – εὐδαιμονία – საკუთრივ, «კეთილდემონურობას» ნიშნავს. ქრისტიკე ბედნიერებას განსაზღვრავდა როგორც ჩვენს სულში დამკვიდრებული დემონისა და ღვთაებრივი ნების ჰარმონიულ კავშირს.

[303] შდრ. IV, 36.

[304] შდრ. VIU, 42.

[305] შდრ. წმ. მათე, V, 44: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი...

[306] იხ. შენიშვნები, IV, 5. შდრ. აგრეთვე წმ. ლუკა, XXIII, 34: ხოლო იესო იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.

[307] შდრ. IV, 6.

[308] შდრ. VII, 25.

[309] შდრ. IV, 3; VIII, 48.

[310] შდრ. IX, 20.

[311] შდრ. სენეკა: Deum sequere (De vit. beat. XV)

[312] დემოკრიტე (?). დედნისეული ტექსტი შერყვნილია და ნაკლულევანი.

[313] იხ. შენიშვნები, IV, 25.

[314] შდრ. სენეკა: «ტკივილი... მსუბუქია, თუ შემძლია მისი დათმენა; ან – ხანმოკლე, თუ არ შემძლია მისი დათმენა» (dolor... levis est, si ferre possum; brevis est, si ferre non possum, Epist. 24).

[315] რესპუბლიკა, VI, 486 A.

[316] ანტისტენე (444–368 ძვ. წ. ა.) – სოკრატეს მოწაფე, კინიკოსთა სკოლის დამაარსებელი.

[317] იხ. ეპიქტეტე, Dissert. IV, 6, 20.

[318] ციტატა ევრიპიდეს ჩვენამდე არმოდლწეული ტრაგედიიდან «ბელეროფონტი» (fragm. 289).

[319] უცნობი ავტორი.

[320] ციტატა ევრიპიდეს ჩვენამდე არმოდლწეული ტრაგედიიდან «ჰიპსიპილე» (fragm. 757).

[321] ევრიპიდე, «ანტიოპე» (fragm. 207).

[322] ევრიპიდე, fragm. 910.

[323] სოკრატეს აპოლოგია, 28 B.

[324] იქვე, 28 E.

[325] «გორგია», 512 DE.

[326] პლატონის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ეს ნაწყვეტი არ მოიპოვება.

[327] ევრიპიდე, «ქრისიპე» (fragm. 836).

[328] ევრიპიდე, «მავედრებელი ქალები», 1110.

[329] უცნობი ავტორი.

[330] ακατάληπτον. სტოელთა შემეცნების სენსუალისტური თეორიის თანახმად, ყოველგვარი შემეცნების საწყისი საფეხურია გრძნობადი წარმოდგენა (φαντασία) რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა საგნის უბრალო აღნაბეჭდი(τύπασις) სულში. წარმოდგენა ჭეშმარიტია, თუ იმგვარად ასახავს ობიექტს, როგორცაა სინამდვილეში. მაგრამ არსებობს თუ არა ამ ჭეშმარიტების კრიტერიუმი? სტოიციზმის მიხედვით, ამგვარი კრიტერიუმია წარმოდგენის უშუალო სიცხადე (ενάρχεια)რაც ბუნებრივი აუცილებლობის ძალით აიძულებს სულს თავისი თანხმობა συγκατάμεισις განუცხადოს ამ წარმოდგენას, ე. ი. რეალურად არსებული ობიექტის ზუსტ ასლად მიიჩნიოს იგი. ამგვარ წარმოდგენას სტოელნი უწოდებენ კომპრეჰენსიულს (κατάληπτική) ეპიკურესაგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ ყოველგვარი გრძნობადი წარმოდგენა უტყუარია, სტოელები შესაძლებლად მიიჩნევენ გრძნობადი წარმოდგენის მცთარობას. წარმოდგენას, რომელიც ვერ იმსახურებს სულის თანხმობას, ისინი უწოდებენ ἀκατάληπτη-ს (არაცხადს, ბუნდოვანს, ინკომპრეჰენსიულს).

[331] შდრ. ეპიქტეტე, Dissert. I, 10, 2: «შენ ხარ სამყაროს მოქალაქე და ნაწილი მისი; მაგრამ არა მონათაგანი, არამედ მთავართა შორის შერაცხილი». შდრ. შესაქმე, I, 28: და აკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყუელმან: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას: და მთავრობდით თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყვთა, და ყოველსა ქუეყანასა, და ყოველთა ქუეწარმავალთა ქუეყანასა ზედა.

[332] სტოელთა კონცეპციით, ორი რამ განასხვავებს ცოცხალ არსებას, ცხოველს მცენარისაგან: შეგრძნება (αισθησις) და სწრაფვა (όρεξις) ორივე ეს სპეციფიკური ნიშანი

თავისი ბუნებით ინსტიტუტურია. ადამიანში მათ შეესაბამება უფრო მაღალი რანგის ორი ფენომენი: გრძნობადი წარმოდგენა და თავისუფალი ნება; როგორც ერთის, ისე მეორის უშუალო ინგრედიენტია სულიერი აქტი – წარმოდგენაში მოცემული სინამდვილის შინაგანი განსჯა.

[333] დედნისეული ტექსტი შერყვნილია და ნაკლულევანი. მე ვიზიარებ ა. პ. ლემერსიეს კონიექტურას: καί μέμνησο ἀμφοτέρων, ὅτι ἀδιάφορος μὲν ἢ ἄλη, ἢ πρᾶξις δ' ὄν.

[334] ეპიქტეტეს სიტყვები, Dissert. I, 28, 4. ხოლო ეპიქტეტე, თავის მხრივ, ეყრდნობა პლატონს, იხ. სოფისტი, 238C; რესპუბლიკა, III, 412.

[335] შდრ. VII, 33.

[336] პითაგორას ძე, ემპედოკლეს მასწავლებელი.

[337] იხ. პლატონი, სოკრატეს აპოლოგია.

[338] θεῖος– similis Deo (სენეკა, De const. sap. VIII) – სტოელთა იდეალური ბრძენმოდვრის ეპითეტი.

[339] შდრ. II, 5.

[340] შდრ. წმ. მათე, V, 45: რადთა იყვნეთ თქუნ შვილ მამისა თქუნისა ზეცათადას; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა.

[341] მარკუს ავრელიუსი აბსურდად მიიჩნევს ალტერნატივის მეორე ნაწილს.

[342] შდრ. III, 7.

[343] შდრ. V, 17.

[344] იხ. შენიშვნები, III, 4; IV, 26; VI, 16.

[345] დედანში ῥαξις (ლტოლვა რისამე მიმართ) და ἔκκλισις (გარემიქცევა რისგანმე). ერთიცა და მეორეც ნებელობისმიერი მოქმედების სახეებია. ნებელობა განსჯითაა დეტერმინირებული (იხ. შენიშვნები, IV, 5), განსჯის საფუძველი კი ის ობიექტური მასალაა, რაც გრძნობად წარმოდგენაშია მოცემული. ნების მოქმედება იწყება მას შემდეგ, რაც სული, განსჯის გზით, კაცის ბუნების შესატყვისად ან, პირიქით, არაშესატყვისად მიიჩნევს მოცემულ საგანს: «როგორ აღიძვრის სული მოქმედებად, – ამბობს ციცერონი, – თუ მოცემული საგანი არ აღიქმება, როგორც ჩვენი ბუნების შესატყვისი ან, პირიქით, როგორც მისთვის შეუსაბამო?» (quomodo autem moveri animus ad adpetendum potest, si id quod videtur non percipitur accomodatumne naturae sit an alienum? Acad. II, 8, 24–25).

[346] შდრ. V, 1.

[347] სოლარული კულტის ანარეკლი. მზისა და ვარსკვლავთა კულტი აღმოსავლეთ პროვინციებიდან შევიდა რომში. ცნობილია, რაოდენ ფართო გავრცელება ჰქონდა იმპერიის ეპოქაში სინათლის ძველი ირანული ღვთაების – მითრას კულტმა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც «უძლეველ მზეს» (Sol invictus). სოლარულ-ასტრალურმა კულტმა უდიდესი გავლენა მოახდინა ნეოპლატონისტთა მსოფლმხედველობაზე.

[348] შდრ. IV, 42; VII, 23.

[349] ლუცილა – მარკუს ავრელიუსის ასული, ვერუსის (იხ. შენიშვნები, I, 46) მეუღლე. სეკუნდა – მაქსიმუსის (იხ. შენ. I, 36) მეუღლე (?). ეპიტინხანე და დიოტიმე – ორივე უცნობია. ანტონინუსი – იმპერატორი ანტონინუს პიუსი. ფაუსტინა – ანია გალერია ფაუსტინა, უფროსი (104–141) – ანტონინუს პიუსის მეუღლე, მარკუს ავრელიუსის მამიდა და სიდედრი. ცელერი – კანინიუს ცელერი, ცნობილი რიტორი, იმპერატორ ჰადრიანეს პირადი მდივანი, მარკუს ავრელიუსისა და ლუციუს ვერუსის მასწავლებელი.

[350] ხარაქსი – უცნობია. დემეტრე პლატონიკოსიც უცნობად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ კომენტატორნი ასახელებენ ხან დემეტრე ფალერელს (IV– III ს. ძვ. წ. ა.), ხან – დემეტრე სუნიონელს (I ს. ახ. წ. ა.); მაგრამ პირველი პერიპატეტიკოსი იყო, ხოლო მეორე – კინიკოსი.

[351] შდრ. ციცერონი, De nat. Deor. II, 14, 37: «კაცი დაბადებულია იმისთვის, რომ უჭვრიტოს სამყაროს და მიჰბაძოს მას».

[352] შდრ. VII, 33; VIII, 40.

[353] მარკუს ვიპსანიუს აგრიპა (62–12 ძვ. წ. ა.) – ავგუსტუსის სიძე, მეგობარი და თანამებრძოლი, კონსული.

[354] არეუს (არეოს) დიდიმოსი – ფილოსოფოსი-სტოიკოსი, ავგუსტუსის მეგობარი და მრჩეველი.

[355] შდრ. XI, 8.

[356] შდრ. IV, 1; V, 20; VI, 50; VIII, 32, 41.

[357] შდრ. VII, 8; IX, 6.

[358] პანთეია – ვერუსის (იხ. შენიშვნები, I, 46) ხარჭა. პერგამოსი – ვერუსის ყოფილი მონა, შემდეგ აზატი. ხაბრია და დიოტიმე – ორივე უცნობია.

[359] ჩვენ არ ვიცით, ვის გულისხმობს მარკუს ავრელიუსი.

[360] შდრ. XI, 12; XII, 3.

[361] შდრ. V, 18.

[362] შდრ. VII, 28. შდრ. სენეკა: «სული ყველაზე ძლიერია მაშინ, როცა განირიდება ყველაფერს, რაც უცხოა მისთვის, და თვითონვე იხვეჭს სიმშვიდეს, არას მოშიში, თვითონვე იუნჯებს უნჯს, არას მსურველი» (nunquam major est animus quam ubi aliena seposuit, et fecit sibi pacem, nihil timendo, fecit sibi divitias, nihil concupiscendo, Epist. 87).

[363] შდრ. სენეკა: «ტკივილი ადვილი ასატანია, თუ მას ჩვენი წარმოდგენა არას დაუმატებს რა თავის მხრივ» (levis dolor est, si nihil illi opinion adjecerit, Epist. 78).

[364] შდრ. VII, 59.

[365] შდრ. V, 35.

[366] დედანში: *πρῶταιρετικόν*, საკუთრივ, «არჩევანის უნარი» (*la faculté de choix; the power of choice; die freie Entscheidung*). ესაა ჩვენი შინაგანი თავისუფლების ყველაზე მაღალი გამოხატულება, ჩვენი დამოუკიდებლობის ყველაზე ნათელი მანიფესტაცია.

[367] ეტიმოლოგია ყალბია. ა. პიერონის აზრით, *ακρίς* შეიძლება წარმოსდგებოდეს ზმნიდან *ἀγῶ* – მიმყავს, კ. რ. ჰეინზის აზრი კი ან *ἀίσσα*-დან (ვისწრაფვი), ან *ἀγυσμ-*დან (ვამსხვრევ).

[368] შდრ. VI, 16, 41.

[369] შდრ. II, 11.

[370] თავის 102-ე წერილში ლუცილიუსისადმი სენეკა მიმართავს ამავე შედარებას.

[371] შდრ. IV, 50.

[372] შდრ. IV, 26; IX, 38.

[373] მე ვკითხულობ ა. პ. ლემერსიეს მიხედვით: *τῆς θείας αιτίας*. შდრ. VIII, 27.

[374] შდრ. XII, 30.

[375] «...ლოგოსი განაგებს და მართავს სამყაროს, როგორც იმპერატივი, როგორც მბრძანებელი, რომელიც აწესებს, რა ხამს და რა არა ხამს. კანონის ასეთსავე იმპერატივულ ძალას ინარჩუნებს იგი თვითეული ინდივიდის სულშიც, მაგრამ აქ ის უკვე აბსტრაქტული იმპერატივი კი არაა, არამედ ცოცხალი და ქმედითი ძალა, რომელსაც ხელეწიფება ხორცი შეასხას თავის მოთხოვნებს. ეს კანონი მიემართება არა მარტო ცალკეულ ინდივიდს, რომლის შეგნებამდეც დადის, არამედ მთელს სამყაროსაც. ამიტომ კაცი, რომელშიაც ის მოქმედებს, როგორც ცოცხალი ძალა, ყოველთვის ეცდება კეთილი და გონივრული დაამკვიდროს არა მარტო თავის შინაგან არსებაში, არამედ გარეგნული მოქმედების ყველა სფეროშიც... სიბრძნისა და

სატნოების თვალსაზრისით, წინააღმდეგობა კერძოსა და ზოგადს შორის ქრება. ბრძენი საზოგადო სიკეთეს უფრო მაღლა აყენებს – ვიდრე საკუთარს; მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, სიცოცხლესაც კი სწირავს მას, მაგრამ სწორედ ამის წყალობით ერთგულობს იგი თავის წმინდა დანიშნულებას, სწორედ ამის წყალობით ემსახურება მართებულად გაგებულ საკუთარ ინტერესსაც, რადგან სწორედ ამ გზით იცავს ვნებისაგან თავის უმაღლესსა და უჭეშმარიტეს ბუნებას» (Г. Арним, Ист. антич. филос. С.-П., 1910, с. 195–196).

[376] წმ. პავლე, გალატ. V, 22: ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება.

[377] შდრ. V, 28; VIII, 59; XII, 1.

[378] შდრ. მონტენი, I, 40: «ადამიანებს, ამბობს ძველი ბერძნული სენტენცია, საგნები კი არ ამღვრევენ, არამედ საკუთარი წარმოდგენები საგნებზე».

[379] შდრ. რუსთაველი: «არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა».

[380] შდრ. IV, 42; VIII, 20. წინა პარაგრაფში გამოთქმული აზრის განვითარება: ქვა პასიურია.

[381] შდრ. IV, 38; VII, 34, 62; IX, 27, 34.

[382] შდრ. სენეკა: «ჩვენ ყოველდღე ვკვდებით, იმიტომ რომ ყოველდღე ვკარგავთ ჩვენი სიცოცხლის გარკვეულ ნაწილს, სიცოცხლისა, რომელიც მაშინაც კი მცირდება, როცა ვიზრდებით და ვვითარდებით» (*quotidie morimur, quotidie enim demitur aliqua pars vitae; et tunc quoque, quum crescimus, vita decrescit*, Epist. 24).

[383] შდრ. XII, 23.

[384] დედანში: Νέκυια როგორც ჩანს, მარკუს ავრელიუსი უნდა გულისხმობდეს «ოდისეას» XI სიმღერას, რომელიც ამ სახელს ატარებს და რომელშიც აღწერილია ოდისეუსის ჩასვლა ჰადესში.

[385] შდრ. სენეკა: «უცვლელი და უქცეველი ბრუნვა თანაბრად აბრუნებს ღმერთთაც და კაცთაც; შემოქმედიც კი, არსთა გამრიგე, რომელმაც დასდო ბედისწერის დიდი კანონი, თვითონვე ჰმორჩილებს მას: ერთგზის ბრძანა, სამუდამოდ ემორჩილება» (irrevocabilis humana partier ac divina cursus vehit; ille ipse omnium conditor ac rector scripsit fata, sed sequitur: semper paret, semel jussit, De provid. V). შდრ. შენიშვნები, II, 7.

[386] შდრ. VI, 36; VII, 75.

[387] დედანში: $\mu\sigma\chi\acute{\alpha}\nu \mu\epsilon\sigma\tau\acute{\alpha}$ – ცინგლით (წვინტლით) სავსენი.

[388] შდრ. წმ. მათე, VI, 1: ეკრძალებით ქველის საქმესა თქუენსა, რადთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა.

[389] იხ. შენიშვნები, VIII, 9.

[390] შდრ. VII, 18.

[391] იხ. Diog. Laert. Epicur. 10.

[392] დედანში: $\mu\iota\sigma\theta\acute{\iota}\rho\varsigma$ ეს სიტყვა შემოვიდა და დამკვიდრდა კიდევ ქართულ ენაში: «მიზღი – ასაღები რამ სარგო, ქირა» (სულხან-საბა ორბელიანი).

[393] შდრ. IX. 6.

[394] იგულისხმება სამყარო, ბუნება.

[395] შდრ. VII, 23.

[396] შდრ. სენეკა: «სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მთავრდება; თვითონ სიკვდილიც» (post mortem omnia finiuntur, etiam ipsa; fragm. 28).

[397] შდრ. VIII, 59; XI, 9, 13, 18 (9).

[398] შდრ. IV, 26.

[399] იგულისხმება განგება, ბედისწერა; შდრ. II, 3. იხ. შენიშვნები, II, 7.

[400] შდრ. VI, 54; X, 33. შდრ. ციცერონი: «განა შეიძლება ქალაქისთვის უსარგებლო იყოს ის, რაც მოქალაქისთვის სასარგებლოა? (potest quod inutile reipublicae sit, id cuiquam utile esse? Offic. III)

[401] შდრ. V, 35.

[402] შდრ. IV, 5.

[403] შდრ. IV, 14, 21.

[404] შდრ. III, 3; V, 13.

[405] *μηριομάχοι* – გლადიატორები იგულისხმებიან.

[406] *μακάρων νησοί* (*fortunatae insulae*) – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ამქვეყნიურ სიცოცხლეში სიბრძნე-სიქველით შემოსილ სულთა სიკვდილშემდგომი სამყოფელი, მარადიული სიმშვიდისა და ნეტარების საუფლო.

[407] *ἔξιμι τὸν βίον* შდრ. V, 29; VIII, 47; X, 22. იხ. შენიშვნები, V, 25.

[408] დედანში *μίσις* – მიმოსი, ფარსი. ეს სიტყვა, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული, ამ კონტექსტში უადგილო ჩანს და Coray ასწორებს *μίσις* – სიძულვილი, ზიზღი. ზოგი მთარგმნელი იზიარებს ამ შესწორებას: ასე მაგ., ა. პ. ლემერსიე თარგმნის – *la haine*, ს. როგოვინი – *ненависть*. ჩემის აზრით, ერთადერთ დამაჯერებელ ინტერპრეტაციას (ყოველგვარი შესწორების გარეშე) იძლევა ა. ი. ტრანზუა: “*la besse comédie (de la vie)*”.

[409] შდრ. X, 1.

[410] სარმატები – ბარბაროსი ნომადები, რომელთა ზნე-ჩვეულებებს და ყოფაცხოვრების წესს პირადად უნდა გასცნობოდა მარკუს ავრელიუსი მარკომანებსა და კვადებთან ომის დროს.

[411] შდრ. III, 4; VI, 59; VII, 62; VIII 52, 53; IX, 34.

[412] როგორც მართებულად შენიშნავს ს. კოტლიარევსკი, «მარკუს ავრელიუსის აზრით, ლოცვა – სამყაროსადმი კაცის მორჩილების სიმბოლოა და არა მისი მარადიული ბრუნვის შეცვლის საშუალება. ბრძენი ლოცვისას ამ სიტყვებით მიმართავს ბუნებას: მომეცი, რაც გსურს და წარმიღე, რაც გსურს (δός ὁ μῆλεις, ἀπὸλαβ ε ὁ μῆλεις) სიტყვებით, რომლებიც გვაგონებენ ნეტარი ავგუსტინეს მიმართვას ღმრთისადმი: *da mihi quod jubes, et jube quod vis* – იხ. შესავალი წერილი, რომელიც წინ უძღვის «ფიქრების» ს. როგოვინისეულ თარგმანს, გვ. XLI. შდრ. იობი, I, 21: უფალმან მომცა, უფალმანცა მიმიღო, ვითარცა უნდა უფალსა, ეგრეთცა იქმნა.

[413] დედანში: ἀγαθός ἀήρ. დიონ კასიუსი (71, 34, 5) ზუსტად ამ სიტყვებით ახასიათებს მარკუს ავრელიუსს: «ჭეშმარიტად კაცური კაცი იყო» (ἀληθινός ἀγαθός ἀήρ ἦν)

[414] შდრ. IV, 23.

[415] ევრიპიდე, fragm. 890 (Nauck).

[416] შდრ. ეპიქტეტე, Dissert. III, 22: «სადაც უნდა მივდიოდე, ყველგან მზეა და ყველგან მთვარე, ვარსკვლავები და კეთილი სიზმრები ძილში, ყველგან ჩიტები და ნეტარი ღმერთების დასი».

[417] ციტატა «თეეტეტიდან» (174 D). პლატონი ამბობს, რომ ტირანის კეთილდღეობა ბევრით არაფრით განსხვავდება ნახევრად ველური მწყემსის ყოფისგან.

[418] შდრ. VII, 1, 49.

[419] შდრ. სენეკა: «მორჩილს წინ უძღვის ბედისწერა, ურჩს კი მიათრევს» (*ducunt volentem fata, nolentem trahunt*, Epist. 107).

[420] შდრ. XII, 31.

[421] შდრ. VII, 26; XI, 18 (4).

[422] შდრ. VII, 63.

[423] ევფრატე – ფილოსოფოსი-სტოიკოსი, რომელსაც იხსენიებენ სენეკა, პლინიუსი და ეპიქტეტე. ალკიფრონი (II ს. ახ. წ. ა.) – ბერძენი მწერალი და სოფისტი. სევერუსი – იხ. შენიშვნები, I, 30. ქსენოფონტე (464–354 ძვ. წ. ა.) – ცნობილი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი, სოკრატეს მოწაფე და ბიოგრაფი. კრიტონი (V–IV ს. ძვ. წ. ა.) – სოკრატეს მოწაფე და მეგობარი; მისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს. ყველა დანარჩენი უცნობია.

[424] შდრ. VII, 58.

[425] შდრ. IX, 41.

[426] შდრ. V, 22; X, 6.

[427] ჰომეროსი, ილიადა, VI, 147–149.

[428] იქვე; შდრ. ისო ზირაქი, XIV, 18–19: ყოველი ხორცი ვითარცა ფურცელი იზრდების ხესა ზედა ხშირსა, ზოგი უკუე დასცვივდების, ხოლო სხუანი აღორძინდების; ეგრეთვე ნათესავიცა ხორცისა და სისხლისა, ზოგი უკვე მოკუდების, ხოლო ზოგი იშობების.

[429] შდრ. IV, 48.

[430] შდრ. I, 8; VIII, 49; IX, 40; XI, 33, 34. თვით მარკუს ავრელიუსი რამდენიმე შვილის სიკვდილს მოესწრო: შდრ. თუნდაც, VIII, 25 (შენიშვნები, VIII, 8).

[431] შდრ. წმ. ლუკა, VI, 42: ანუ ვითარ ხელ-გეწიფების რქუმად ძმასა შენსა: ძმაო, მიტევე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ დვირესა თუალსა შინა შენსა არა ჰხედავ? ორგულო, აღმოიღე პირველად დვირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.

[432] შდრ. XII, 1.

[433] შდრ. VI, 8.

[434] შდრ. ეპიქტეტე: «გონიერი არსი თავისთვის აკეთებს ყველაფერს, რასაც აკეთებს» (γέγνε τό ζῶον ὥστε αὐτοῦ ἕνεκα πάντα ποιεῖν, Dissert. I, 19, 11).

[435] შდრ. XII, 36.

[436] შდრ. სენეკა: «მე იმას ვცდილობ, რომ მთელი სიცოცხლის ხატი იყოს ერთი ჩემი დღე» (id ago, ut instar totius vitae sit dies, Epist. 61).

[437] იხ. შენიშვნები, III, 4.

[438] იხ. შენიშვნები, VI, 16.

[439] შდრ. წმ. მარკ. VIII, 36-37: რა სასარგებლო არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?

[440] παγκράτιον – ე. წ. ანტიკური «ორჭიდი», რომელშიაც შედიოდა πάλη – ჭიდაობა და πσυγή – კრივი.

[441] I ენეადის VI ტრაქტატში პლოტინი ამ სიტყვებით გადმოგვცემს სტოელთა მოძღვრების არსს მშვენიერების შესახებ: ისინი «ამტკიცებენ, რომ ხილული მშვენიერება ესაა ნაწილთა სიმეტრიულობა როგორც ერთურთის, ისე მთელის მიმართ; ამ სიმეტრიულობას უმატებენ მშვენიერ ფერებს და თვლიან, რომ ყოველი არსის მშვენიერება მისი სიმეტრიულობისა და თანაბარზომიერებისგან იღებს დასაბამს. მათი თვალსაზრისით, მშვენიერია არა მარტივი, არამედ, აუცილებლობის ძალით, მხოლოდ რთული და მხოლოდ მთელი, ნაწილები კი მშვენიერნი არიან არა თავისთავად, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს მიემართებიან, რათა მათმა მთლიანობამ დასაბამი მისცეს მშვენიერს». თუმცა, როგორც ნეოპლატონისტი, რომელიც სავსებით იზიარებს პლატონის სიტყვებს: «მშვენიერი მშვენიერთაა მშვენიერი» (ფედონი, 100 E, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ გრძნობად-კონკრეტულ საგანს მხოლოდ მშვენიერების იდეასთან ზიარების წყალობით ენიჭება მშვენიერება), პლოტინი იქვე აკრიტიკებს სტოელთა ესთეტიკურ მრწამსს: «მაგრამ თუ მთელი მშვენიერია, ნაწილებიც მშვენიერნი უნდა იყვნენ უთუოდ, რადგან მშვენიერ საგნებს მახინჯი კი არა, მშვენიერებასთან წილნაყარი ნაწილები შეიძლება შეადგენდნენ

მხოლოდ». ცოტა ქვემოთ ის დასძენს, რომ, თუ სტოელთა შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ, ალბათ, ვედარაფერს ვიტყვით ცალკე აღებული მუსიკალური ბგერის მშვენიერების შესახებ, «თუმცა ხშირად, ძალიან ხშირად მშვენიერი მელოდიის ნებისმიერი ცალკე აღებული ბგერა მშვენიერია თავისთავადაც».

[442] ქრისტიანობასთან მარკუს ავრელიუსის დამოკიდებულების საკითხს ვრცლად აშუქებს ე. რენანის ფუნდამენტური შრომა «მარკუს ავრელიუსი და ანტიკური სამყაროს დასასრული» (Marc-Aurèle et la fin du monde antique). მიუხედავად იმისა, რომ მარკუს ავრელიუსს, როგორც ჭეშმარიტ ჰუმანისტს, არასოდეს მიუღია ქმედითი მონაწილეობა ქრისტიანების დევნაში, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის მაინც მტრულად იყო განწყობილი ქრისტიანიზმის მიმართ. და განა მართო მარკუს ავრელიუსი, საერთოდ, მთელი ძველი ინტელექტუალური სამყარო განცვიფრებით და აშკარა ზიზღით შეჰყურებდა ახალი რელიგიის ადეპტთა «მოწამეობის წყურვილამდე» მისულ ფანატიზმს. «ახალი მავნე ცრურწმენა», – ასე უწოდებს სვეტონიუსი ქრისტიანიზმს (Nero, 16). «კაცთა მოდგმის მოძულენი არიან» (odio humani generis convicti sunt) – ამბობს ტაციტი ქრისტიანთა მისამართით (Ann. XV, 44). «მე ვერაფერი ვუპოვე მათ (ე. ი. ქრისტიანებს, – ბ. ბ.), გარდა უბადრუკი და უსაზმნო ცრუმორწმუნეობისა (superstitionem pravam et immodicam)» – სწერს პლინიუს უმცროსი იმპერატორ ტრაიანეს (Epist. X, 33). მსგავსი ციტატების მოტანა შეიძლება ეპიქტეტეს, ელიუს არისტიდეს, კლავდიუს გალენუსისა და სხვათა თხზულებებიდან... მაგრამ როდესაც გამარჯვებულ ქრისტიანიზმს თავისი დოქტრინის დასამკვიდრებლად დასჭირდა ფილოსოფიის ენა, მან აღმოაჩინა, რომ არსებობს ბევრი ფორმალური, ხოლო ზნეობის სფეროში არამართო ფორმალური მსგავსება მასა და სტოიციზმს – ანტიკური სამყაროს ამ უკანასკნელ დიდ ფილოსოფიურ მოძღვრებას შორის; აღმოაჩინა და წარმატებითაც გამოიყენა ეს მსგავსება თავისი საბოლოო ტრიუმფისათვის (იხ. ს. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ., გვ. 54–56).

[443] შდრ. VII, 13, 73; IX, 42. შდრ. იგავნი, XI, 17: სულსა თვისსა კეთილ ჰყოფს კაცი მოწყალე. შდრ. სენეკა: «ის ვინც სხვას უყოფს კეთილს, თავის თავსვე რგებს» (nemo non, quum alteri prodest, sibi profuit, Epist. 81).

[444] სოფოკლე, ოიდიპოს მეფე, 1391.

[445] უკვე ციტირებული ნაწყვეტები ევრიპიდედან: VII, 41, 38, 40.

[446] ძველი, საშუალო და ახალი კომედიების შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 206-238.

[447] შდრ. ლუკანუსი: «დაე, განემოროს სასახლის კარს, ვისაც სურს ღვთისმოსაობით შეიმკოს სული» (exeat aula qui vult esse pius, I, 493).

[448] შდრ. IV, 29; VIII, 34.

[449] შდრ. IX, 23; შდრ. შექსპირი, მეფე ლირი, IV, 2 (ივ. მაჩაბლის თარგმანი).

«შტო, რომელიცა მოსწყდეს თავის მშობელსა ხესა,
დაჭკნეს და გახმეს, ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთოს».

შდრ. ჰეგელი: «სხეულის სხვადასხვა ასონი მხოლოდ სხეულთან მათს მთლიანობასა და მიმართებაში არიან ის, რანაც არიან თავისთავად. ასე მაგალითად, სხეულს მოკვეთილი ხელი, როგორც უკვე შენიშნა არისტოტელემ, მხოლოდ სახელითაა ხელი და არა თავისი ჭეშმარიტი არსით» (Соч., т. I, с. 326).

[450] შდრ. IX, 11, 42.

[451] შდრ. X, 25.

[452] შდრ. თეოგნიდე, 147: «სამართლიანობაშია თავმოყრილი ყველა სიქველე (έν δε δικαιοσύνη συλλήβδην παυ' αρετή 'στιν).

[453] იხ. შენიშვნები, III, 26.

[454] შდრ. VIII, 41; XII, 3.

[455] შდრ. VIII, 57.

[456] შდრ. V, 25.

[457] შდრ. X, 32; XI, 18 (9).

[458] ფოკიონი (IV ს. ძვ. წ. ა.) – სახელგანთქმული ბერძენი სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, დემოსთენეს მოწინააღმდეგე. ფოკიონის ბიოგრაფები არიან პლუტარქე და ნეპოტი.

[459] შდრ. ისო ზირაქი, XIX, 25: სახისაგან იცნობების კაცი.

[460] იხ. შენიშვნები, III, 26.

[461] შდრ. XI, 11.

[462] შდრ. VIII, 47.

[463] საგულისხმოა, რომ მარკუს ავრელიუსი მწყემსს კი არ ადარებს თავს, არამედ მხოლოდ ბოტსა და კუროს (მწყემსი – ღმერთია).

[464] შდრ. IV, 3; VIII, 17; IX, 39; X, 6.

[465] შდრ. II, 1; V, 16, 30; XI, 10.

[466] შდრ. X, 19.

[467] იხ. შენიშვნები, IV, 5.

[468] იგულისხმება სამართლიანობა.

[469] შდრ. VII, 70; X, 30.

[470] შდრ. სენეკა: «უკეთურთ ამარცხებს ჯიუტი სიკეთე» (vincit malos pertinax bonitas, De benef. VII, 31).

[471] შდრ. V, 28; VI, 27; VIII, 59; X, 4; XI, 13.

[472] მუსაგეტი ბერძნულად მუზათ მყვანებელს, მუზათ წინამძღოლს ნიშნავს (აპოლონის ეპითეტი).

[473] შდრ. V, 17; IX, 42.

[474] კ. რ. ჰეინზისა და ა. მაუერსბერგერის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ეზოპეს ერთი იგავი (297), განსაკუთრებით ფართოდ ცნობილი ჰორაციუსის მეშვეობით (Sat. II, 6).

[475] ლამია (Λάμια, Lamia) – იგივე *μιομισκαίον* მითიური ურჩხული, ყრმათ სისხლის მწოველი; ბუა; ვამპირი. შდრ. ეპიქტეტე, Dissert. II, 1, 14; შდრ. ფედონი, XXIV.

[476] იგულისხმება პერდიკას II, მაკედონიის მეფე (454–413 ძვ. წ. ა.). სენეკა, რომელიც გადმოგვცემს ამავე ეპიზოდს სოკრატეს ცხოვრებიდან (De benef. V, 6), პერდიკასის ნაცვლად ასახელებს მის ძეს – არქელაოსს, მაკედონიის მეფეს (413–399 ძვ. წ. ა.).

[477] სენეკა (Epist. 11) ამ პრეცედენტს ეპიკურეს მიაწერს.

[478] შდრ. VII, 47.

[479] უცნობი ანეკდოტი სოკრატეს ცხოვრებიდან.

[480] ავტორი უცნობია.

[481] ჰომეროსი, ოდისეა, IX, 413.

[482] არაზუსტი ციტატა ჰესიოდედან, სამუშაონი და დღენი, 184.

[483] ეპიქტეტე, Dissert. III, 24, 86.

[484] ეპიქტეტე, იქვე, III, 24, 88.

[485] ეპიქტეტე, იქვე, III, 24, 91.

[486] ეპიქტეტე, იქვე, II, 22, 105.

[487] იხ. შენიშვნები, VII, 39.

[488] შდრ. IV, 1; VI, 50.

[489] ეპიქტეტე, Man. II, 2.

[490] ეპიქტეტე, Dissert. I, 22, 17–21.

[491] ჩვენთვის უცნობია ამ ციტატის პირველწყარო.

[492] შდრ. ჰორაციუსი, Epist. I, 11, 28–30.

[493] შდრ. VII, 8.

[494] შდრ. III, 16; X, 20.

[495] «მარკუს ავრელიუსს იმის თქმა სურს, რომ მხოლოდ სხეული უნდა დრტვინავდეს ხორციელ ტკივილთა გამო; სული კი, სტოიციკური დოქტრინის მიხედვით, არა უნდა აგდებდეს მათ. რადგან სული მდაბლდება და დეგრადირდება, როცა თავისად მიიჩნევს მის ტკივილებს, რაც მასზე უარესია და უდარესი. მაგრამ სტოელთა სკოლა ერთსულოვანი არ ყოფილა ამ საკითხში. ასე მაგ., ადრინდელი სტოიციზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი – კლეანთე აღიარებდა სულისა და ხორცისა მჭიდრო ურთიერთკავშირს და მათ სოლიდარობას შეგრძნებათა სფეროში. აი, საკუთრივ მისი სიტყვები, ციტირებულნი ეკლესიის მამის, წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ: *συμὰ σχει ἢ ψυχὴ τὰ σάρματα νοσησύντι καὶ τρεμοῖε* 'ვა, καὶ τὸ σάρκα τῆ ψυχῆ (სული თანაუღმობს სნეულსა და ტკივილით შეძრულ სხეულს, ხოლო სხეული – სულს)» – ა. პიერონის შენიშვნა. შდრ. ჰერაკლიტე: «მსგავსად იმისა, როგორც აბლაბუდის შუაში ჩასაფრებული და განაბული ობობა გრძნობს, როდის გაწყვეტს აბეზარი ბუზი მისი ქსელის რომელსამე ძაფს და დაუყოვნებლივ გარბის გაწყვეტილის კვლავ გასაბმელად, – საკმარისია სხეულის რომელსამე ასოს ევნოს რაიმე, რომ სული მყისვე მიიქცევა ვნებულის და, მაშასადამე, მთელი სხეულის შველად, სხეულისა, რომელსაც მთლიანად და თანაბარზომიერად ერწყმის» (fragm. 67 a, Diels).

[496] შდრ. V, 21; XII, 26.

[497] შდრ. IV, 29; VIII, 15; XII, 13.

[498] შდრ. პლატონი, ფედონი, IX; სენეკა, Ad Marc. X.

[499] შდრ. II, 2; III, 16.

[500] შდრ. რუსთაველი: «ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა».

[501] შდრ. VIII, 41; XI, 12. იხ. ემპედოკლე, fragm. 28 (Diels). როგორც ცნობილია, ემპედოკლე აღიარებს «ოთხ ელემენტს – ცეცხლს, ჰაერს, წყალს, მიწას, და ორ დასაბამიერ ძალას – სიყვარულს და მტრობას, რომელთაგან პირველი შემაერთებელია, ხოლო მეორე – გამთიშველი» (A 33). «სამყარო დასაბამს იღებს თავისი პირველადი (primitive) პერიოდიდან, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სიყვარულის აბსოლუტური სუფევა. ამ პერიოდის ბუნება ერთიანობაა: ყველა ელემენტი აქ ურთიერთშერწყმულია, ყველა ურთიერთმოპირისპირე – იდენტიფიცირებული. ერთი, ერთსახოვანი, უნივერსალური, მორჩმული და ჰარმონიული, – სფერული ღმერთი (dieu sphérique), ანუ სფერო – ამგვარად წოდებული, იმიტომ რომ უზარმაზარი სფეროს სახით ავსებს კოსმიურ სივრცეს – უძრავად ჰგის თავის თავში, ყოველგვარი პარტიკულარული განსხვავების, განყოფილების, ყოველგვარი ქმედითი მრავლობითობის გარეშე, როგორც პითაგორელთა მრავლისგან თხზული ერთიანობა (l'unité multiple). ეს სფერული ღმერთი განუყრელია სიყვარულისგან – სიკეთისა და სიწმინდის ამ უზენაესი პრინციპისაგან» (A. Fouillée, Histoire de la philosophie, Paris, 1901, p. 57).

[502] იხ. შენიშვნები, IV, 25.

[503] შდრ. IV, 50; V, 23.

[504] შდრ. V, 2; XII, 22.

[505] შდრ. VIII, 11; XII, 18, 29. იხ. შენიშვნები, IV, 27.

[506] შდრ. IV, 5; VII, 22 და ა. შ. იხ. შენიშვნები, IV, 5.

[507] შდრ. VII, 29; IX, 38.

[508] შდრ. IV, 6.

[509] შდრ. V, 11.

[510] შდრ. XI, 21.

[511] შდრ. IX, 28, 33.

[512] შდრ.

[513] შდრ. VII, 25.

[514] ეპიქტეტე ამბობს: «ღმერთის მიმართ მზირალმა ასე არქვი მას: ჩემი აზრი თანხვდება შენსას» (πρός τόν θεόν αναβλέψας εἶπειν, ὁ μ-ογναμοινά σοι, Dissert II, 16, 42).

[515] შდრ. IV, 3; VIII, 17; IX, 28.

[516] შდრ. IV, 7; VII, 17, 29; VIII, 29; IX, 7; XII, 22.

[517] შდრ. ევრიპიდე, ფრაგმ. 1007: ὁ νοῦς γάρ ημῶν ἐστίν ἐν ἐκάστῳ θεός (გონებაა თვითეული ჩვენგანის ღმერთი, თვით ჩვენშივე დამკვიდრებული).

[518] შდრ. II, 14; XII, 3.

[519] შდრ. III, 3; VI, 47; VIII, 25; X, 31.

[520] ფაბიუს კატულინუსი – კონსულარული ფასტები (Fasti consulares) ამ სახელით იხსენიებენ ერთ-ერთ კონსულს იმპერატორ ჰადრიანეს დროს. ლუციუს ლუპუსი – უცნობია. სტერტინიუსი – რომის ისტორიაში ამ სახელით ცნობილია, სულ ცოტა, 6 პიროვნება მაინც, ამიტომ თითქმის შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება. ბაია (Baiae) – ძალზე მდიდარი და ლამაზი ზღვისპირა საკურორტო ქალაქი კამპანიაში; «გარყვნილების ქარვასლა» (deversorium voluptatum) – ასე უწოდებდნენ მას.

იმპერატორ ტიბერიუსის ცხოვრება კუნძულ კაპრიზე ისტორიაში დარჩა, როგორც რომაელ ცეზართა გახრწნილებისა და ზნედაცემულობის ერთი ყველაზე შემზარავი ფურცელი (იხ. Suet. Tib. 40-44). ველიუს რუფუსი – უცნობია.

[521] შდრ. სენეკა, De benef. I, 8: «არ არსებობს ბუნება ღმერთის გარეშე, ხოლო ღმერთი – ბუნების გარეშე, რადგან ორივე ერთია, ისევე როგორც ერთია მათი საქმე... შენ ამბობ: ბუნება, ბედი, ბედისწერა; ყოველივე ეს ერთი და იგივე ღმერთის სახელება, ღმერთისა, რომელიც სხვადასხვაგვარად ავლენს თავის ძალმორჩმულებას. ზუსტად ასევე, სამართლიანობა, პატიოსნება, კეთილგონიერება, სიმამაცე, ზომიერება, – ყოველივე ეს ერთი და იგივე სულის სხვადასხვა სიქველენია (bona sunt); და თუ სათნო გიჩანს რომელიმე მათგანი, მაშასადამე, სათნო გიჩანს სული (quidquid horum tibi placuit, animus placet).

[522] შდრ. V, 6.

[523] შდრ. III, 57; IX, 8.

[524] შდრ. IV, 40; VII, 9.

[525] შდრ. X, 29.

[526] შდრ. IV, 50; V, 24.

[527] შდრ. ეპიქტეტე: «იცი თუ არა, რაოდენ უზადრუკი ნაწილაკი ხარ სამყაროსთან შედარებით?» (οὐκ οἶσθα ἠλίκον μέρος εἰ πρὸς τὰ ὄντα. Dissert. I, 12, 26).

[528] შდრ. III, 4; V, 8.

[529] შდრ. V, 11; X, 24.

[530] შდრ. II, 16; III, 11; IV, 4. იხ. შენიშვნები, II, 19; III, 25.

[531] შდრ. ეპიქტეტეს სიტყვები, რომლებსაც გადმოგვცემს ბლეზ პასკალი: «ნუ დაივიწყებ, ამბობს ის (იგულისხმება ეპიქტეტე, – ბ. ბ.), რომ შენ აქ ხარ, როგორც მსახიობი, და რომ თამაშობ კომედიის იმ გმირის როლს, რომელსაც გაძლევს შენი

პრეტორი. თუ ის გაძლევს მოკლე როლს, ითამაშე მოკლე, თუ გაძლევს გრძელ როლს, ითამაშე გრძელი, თუ მას სურს, რომ შეასრულო გლახაკის როლი, გახდი გლახაკი და ასე შემდეგ. შენი საქმეა კარგად შეასრულო როლი, რომელსაც ის გაძლევს. ხოლო რაც შეეხება როლის არჩევას, ეს უკვე სხვისი საქმეა და არა შენი» (Entretien avec M. de Saci sur Epictète et Montaigne, წიგნში: Pascal, Pensées et Opuscules, Brunschvicg, editio minor, pp. 148–150. შდრ. ეპიქტეტე, Man. 17).